ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ISSN 1512-3154

# ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

## 2023 №27

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2023

უაკ (UDC) 94(100) „15/18“ + 94(100) „1918/“...
ა-984

მთავარი რედაქტორი:
**ავთანდილ სონღულაშვილი**

სარედაქციო კოლეგია:
**ირინა არაბიძე**
(რედაქტორის მოადგილე)
**ალექსანდრე დაუშვილი**
(რედაქტორის მოადგილე)
**მიხეილ ბახტაძე**
**ირაკლი გაბისონია**
**გია გელაშვილი**
**ოთარ გოგოლიშვილი**
**ნუგზარ ზოსიძე**
**ლელა მიქიაშვილი**
**ვაჟა კიკნაძე**
**თამარ კიკნაძე**
**ალექსანდრე მოსიაშვილი**
**უჩა ოქროპირიძე**
**ანჯეი პუქშტო**
(ვიტაუტას დიდის უნივერსიტეტი)
**გელა საითიძე**
**ლელა სარალიძე**
**ხათუნა ქოქრაშვილი**
**დოდო ჭუმბურიძე**
**ივანე ჯაგოდნიშვილი**
**ნიკო ჯავახიშვილი**
(რედაქტორის მოადგილე)
**ოთარ ჯანელიძე**

EDITOR-IN-CHIEF:
**Avtandil Songulashvili**

EDITORIAL BOARD:
**Irina Arabidze**
(Deputy Editor)
Alexander Daushvili
(Deputy Editor)
**Mikheil Bakhtadze**
**Irakli Gabisonia**
**Gia Gelashvili**
**Otar Gogolishvili**
**Nugzar Zosidze**
**Lela Mikiashvili**
**Vazha Kiknadze**
**Tamar Kiknadze**
**Aleksandre Mosiashvili**
**Ucha Okropiridze**
**Andžej Pukšto**
(Vytautas Magnus University)
**Gela Saitidze**
**Lela Saralidze**
**Khatuna Kokrashvili**
**Dodo Chumburidze**
**Ivane Jagodnishvili**
**Niko Javakhishvili**
(Deputy editor)
**Otar Janelidze**

გამომცემლობა **„უნივერსალი“**, 2023
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

# შინაარსი
# Contents

## საქართველოს ისტორია
## The History of the Georgia

**ნიკო ჯავახიშვილი** ..... 11
ოგბაიძეთა გვარის ისტორიიდან (წარმომავლობა, განშტოება, ეტიმოლოგია, ტრადიციული საკულტო თანამდებობა)
***Niko Javakhishvili***
*From the history of the Ogbaidze surname (The origin, family branches, etymology, traditional clerical position)*

**ქეთევან მანია** ..... 32
ქართულ-ბერძნული ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი ბეჭდურ მედიაში („დროება", „ივერია", „ცნობის ფურცელი", „მწყემსი")
***Ketevan Mania***
*Some issues of Georgian-Greek relations in print media (Droeba, Iveria, Tsnobis Purtseli, Mtskemsi)*

**არჩილ ჩაჩხიანი** ..... 45
1920 წელი — ბოლშევიკური წითელი შენაერთების შემოსვლა შავიზღვისპირეთში
***Archil Chachkhiani***
*1920 Year – Penetration of Red Bolshevik Formations in Black Sea Area*

## საქართველოს საზღვრისპირა რეგიონები
## Border regions of Georgia

**ნატო სონღულაშვილი** ..... 66
საქართველოს საზღვრისპირა მოსახლეობის განათლება საბჭოთა პერიოდში (მეოცე საუკუნის 50-იანი წლები)
***Nato Songulashvili***
*ducation of the border population of Georgia (50s of the twentieth century)*

## მიგრაციული პროცესები
## Migration processes

**ალექსანდრე დაუშვილი** ..... 81
სოფლის მოსახლეობის გარე და შიდა მიგრაციის ზოგიერთი საკითხი XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში

## კავკასიის ისტორია
## The Hstory of the Caucasus

**Giorgi Leon Kavtaradze** ..... 97
THE „CAUCASIAN GATE“ – A DETERMINING FACTOR FOR THE EMERGENCE AND EXISTENCE OF THE STATE SYSTEM IN CENTRAL TRANSCAUCASIA
***გიორგი ქავთარაძე***
*„კავკასიის კარიბჭე“ - ცენტრალურ ამიერკავკასიაში სახელმწიფო სისტემის აღმოცენებისა და არსებობის განმსაზღვრელი ფაქტორი*

## ემიგრაციის ისტორია
## History of emigration

**შორენა მურუსიძე** ..... 104
საბჭოთა კავშირის ხალხთა განთავისუფლების ლიგა (პარიზის ბლოკი)
***Shorena Murusidze***
*League for the Liberation of the Peoples of the USSR (The Paris Bloc)*

## მსოფლიო ისტორია
## The History of the World

**ავთანდილ სონღულაშვილი** ..... 123
ესპანეთის ეროვნული უმცირესობა
***Avtandil Songulashvili***
*Spanish national minority*

**სოფიო გარდავა** ..... 141
რუსეთ-უკრაინის ომი და ეკონომიკური სანქციები ომის პირობებში
***Sophio Gardava***
***Russia*** *_ Ukraine war and economic sanctions in the conditions of war*

## წყაროთმცოდნეობა
## Source-Studies

**დავით მერკვილაძე** ..... 150
პეტრე ბუტკოვი ფათალი ხანის მიერ რუსული სავაჭრო გემის გაძარცვისა და დერბენდიდან რუსული გარნიზონის გასვლის შესახებ
***Davit Merkviladze***
*Peter Butkov about the Robbery of a Russian Merchant Ship by Fatali Khan and the Russian Garrison Leaving Derbent*

## პოლიტიკა
## The Policy

**ედიშერ გვენეტაძე** ..... 157
გარდაქმნა („პერესტროიკა") საბჭოთა კავშირში და გერმანიის გაერთიანების ზოგიერთი საკითხი
***Edisher Gvenetadze***
*Transformation ("perestroika") in the Soviet Union and some issues of German reunification*

**სოფიო ჩანთაძე** ..... 172
კულტურა, როგორც რბილი ძალა ევროკავშირის პოლიტიკაში
***Sophio Chantadze***
*Culture as soft power in EU politics*

**ზურაბ კვეტენაძე** ..... 185
ევრაზიული ინტეგრაციის თავისებურებები და თანამედროვე გამოწვევები
***Zurab Kvetenadze***
*Peculiarities of Eurasian Integration and Contemporary Challenges*

**ანი ბუკია** ..... 194
კოსოვო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა და მისი განვითარების პერსპექტივები
***Ani Bukia***
*Kosovo as an independent country and its development prospects*

## საერთაშორისო უფლებები
## International Relationships

**ხარჩილავა ლილი** ..... 206
ნატო-რუსეთის ურთიერთობები: უახლესი წარსულის გამოცდილება და პერსპექტივები
*Lili Kharchilava*
*NATO-Russia Relations: Recent Experience and Perspectives*

**ქეთევან ჯოჯიშვილი** ..... 215
ახალი მულტიპოლარული სამყარო და ჰეგემონური ამბიციები
***Ketevan Jojishvili***
*The new multipolar world and hegemonic ambitions*

**Irakli Benashvili** ..... 220
THE IMPACT OF ARTIFICIAL INTELLIGENCE ON TERRORISM AND CYBERCRIME AS CHALLENGE IN INTERNATIONAL RELATIONSHIP
**ირაკლი ბენაშვილი**
*ხელოვნური ინტელექტის გავლენა ტერორიზმსა და კიბერდანაშაულზე, როგორც გამოწვევა საერთაშორისო ურთიერთობებში*

## კონფლიქტოლოგია
## Conflictology

**უჩა ბლუაშვილი** ..... 238
ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების გზების ძიებაში
***Ucha bluashvili***
*Georgian-Abkhazian conflict Looking for ways to adjust*

## ისტორიოგრაფია
## Hstoriography

**მერაბ კალანდაძე** ..... 249
სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში
***Merab Kalandadze***
*Study of the History of Medieval Scandinavian Countries' in Georgian Historiography*

## განათლება და კულტურა
## Edication and culture

**სოფიო ანდღულაძე** ..... 270
წმინდა აღმსარებელ ეპისკოპოს სტეფანეს (კარბელაშვილი) მოსაზრებები მუსიკისა და სიმღერის წარმოშობის შესახებ
***Sofia Andghuladze***
*The Holy Confessor Bishop Stephen (Karbelashvili's) views on the origins of music and singing*

## სამეცნიერო კონტაქტები
## Scientific contacts

**Николай Джавахишвили** ..... 278
*ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-БАЛТИЙСКОГО НАУЧНОГО СОТРУДНИЧЕСТВА: ГЕОРГИЙ АХВЛЕДИАНИ И ЯНИС ЭНДЗЕЛИНС*
***Niko Javakhishvili***
*From the history of the Georgian-Baltic scientific collaboration:George Akhvlediani and Jānis Endzelīns*

## გამოხმაურება
## Feedback

**ვახტანგ გურული** ..... **291**
არჩილ ჩაჩხიანის მონოგრაფია „სომხეთ-საქართველოს ომი“
***Vakhtang Guruli***
*Feedback on Archil Chachkhiani's monograph "Armenia-Georgia War"*

## მილოცვა

**აკადემიკოსი ნიკო ჯავახიშვილი** ..... **306**
ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი

კრებულის სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე და შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2, კორპუსი XI.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება

**ნიკო ჯავახიშვილი**
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი*

# ოგბაიძეთა გვარის ისტორიიდან
## (წარმომავლობა, განშტოებანი, ეტიმოლოგია, ტრადიციული საკულტო თანამდებობა)

წინამდებარე გამოკვლევაში შესწავლილია ჭანური (ლაზური) წარმომავლობის ერთ-ერთი ქართული, კერძოდ, მთიულური გვარის – ოგბაიძეთა ისტორიის ზოგიერთი ასპექტი. ეს სტატია სამ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში დადგენილია ოგბაიძეთა სამკვიდრო ფუძე-სოფელი მთიულეთში, საგვარეულო განშტოებანი და მათ შესახებ საისტორიო-ფოლკლორულ წყაროებში შემონახული ინფორმაცია, მეორეში – გვარის ეტიმოლოგია და წარმომავლობა, ხოლო მესამეში – ოგბაიძეთა ტრადიციული საკულტო თანამდებობა.

### 1) ოგბაიძეთა ფუძე-სოფელი, საგვარეულო განშტოებანი და მათ შესახებ საისტორიო-ფოლკლორულ წყაროებში შემონახული ინფორმაცია

ოგბაიძეთა გვარის წარმომადგენლები ამჟამად საქართველოს არაერთ დასახლებულ პუნქტში ცხოვრობენ, თუმცა მათი საგვარეულო ფუძე-სოფელია ოგბანი. ნასოფლარად ქცეული ეს სოფელი მდებარეობს მთიულეთის ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე თეთრი არაგვის მარცხენა ნაპირას, ზღვის დონიდან დაახლოებით 1600 მეტრზე. იმავე გვარის განაყოფები არიან: ობგაიძენი, ობგაძენი და გოგბაიძენი, რომლებიც XIX საუკუნეში დამოუკიდებელ გვარებად ჩამოყალიბდნენ [1, 8].

ორიოდე საუკუნის წინათ ერთიანი საგვარეულოს ამჟამად ოთხ გვარად დაყოფილი წარმომადგენლების საერთო რაოდენობა, 1995

წლის მონაცემებით, 854-ს შეადგენს. მათ შორისაა: 224 ოგბაიძე, 471 ობგაიძე, 62 ობგაძე და 97 გოგბაიძე [2, 61-155]. მათი მცირერიცხოვნება მათივე საერთო გენეტიკურ წარმომავლობაზე მეტყველებს.

ფეოდალურ ეპოქაში, ოგბანი ისევე, როგორც მის მეზობლად მდებარე სოფლები, შედიოდა ცხავატის თემში. ეს რეგიონი მდებარეობს შიდა ქართლის მთიანეთში, მდინარე თეთრი არაგვის ხეობაში და მოიცავდა ტერიტორიას სოფელ ქვეშეთიდან სამხრეთის მიმართულებით, სოფელ მთიულთკარამდე (მდებარეობდა ფასანაურთან).

ცხავატის თემს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი – ხადა, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას ქვეშეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, ჯვრის უღელტეხილამდე. ცხავატს სამხრეთიდან ესაზღვრებოდა ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი – ჭართალი [3, 23].

სიტყვა „ცხავატი" ქართულ ენაში არის მთაგორიანი, ბარიდან მთისკენ გარდამავალი რელიეფის ზოგადი სახელი, რომელიც საისტორიო წყაროებში პირველად VII საუკუნეში იხსენიება [4, 247].

ცხავატის რეგიონთან დაკავშირებულია საქართველოს ისტორიის არაერთი საყურადღებო ფაქტი. თავისი ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის გამო, ისევე როგორც არაგვის ხეობაში მდებარე სხვა რეგიონები, ცხავატის რეგიონიც ყოველთვის იპყრობდა სამეფო ხელისუფლების ყურადღებას. იგი საქართველოს მეფეთა საიმედო დასაყრდენის როლს ასრულებდა.

XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, ცხავატისა და ხადას გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა ახალი, უფრო მსხვილი რეგიონი – მთიულეთი. იგი შედიოდა არაგვის საერისთავოში, რომელსაც სათავეში არაგვის ერისთავი ედგა. 1743 წლიდან ეს მხარე უშუალოდ დაექვემდებარა მეფე თეიმურაზ II-ს, რომელმაც ყოფილი საერისთავო – საუფლისწულო მამულად აქცია. 1770 წლის აღწერით, ამ საუფლისწულო მამულში მცხოვრებთა რაოდენობა 16 ათას 500-ს შეადგენდა [5, 99-102].

მართალია, ჯერჯერობით დაუდგენელია, თუ როდის დასახლდა ოგბაიძეთა გვარის ფუძემდებელი ცხავატის თემში, მაგრამ მათი კომპაქტურად მკვიდრობა აღნიშნულ რეგიონში და მათი საგვარეულო სოფლის – ოგბანის არსებობა ორნახევარი საუკუნის წინათ დოკუმენტურად დასტურდება. ამას იუწყება ორი საისტორიო წყა-

რო, რომლებიც XVIII საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარს განეკუთვნება.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ მთიულეთში შემავალი ცხავატის თემი XVIII საუკუნის ბოლო მესამედში მოიცავდა: გარეშემოს, მრევლისა და ცხაოტის თემებს.

ოგბაიძენი თავდაპირველად ცხოვრობდნენ საგვარეულო ფუძეზე – სოფელ ოგბანში, რომელიც მდებარეობდა მთის ზედა ზოლში, ხოლო XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში თანდათან ჩამოსახლდნენ იმავე მთის ქვედა ზოლში მდებარე სოფლებში – გოგნაურსა და სალაჯურში, სადაც მათი რამდენიმე ოჯახი დღემდე შემორჩა. ოგბაიძენი სხვადასხვა დროს გადასახლდნენ ქართლისა და კახეთის ცალკეულ სოფლებშიც.

მთიულეთის სოფლები დასახელებულია რიგელი გერმანელი მოგზაურისა და მეცნიერის, დოქტორ იოჰან ანტონ გიულდენშტედტის (1745-1781) თხზულებაში. გიულდენშტედტი შედიოდა იმ საექსპედიციო ჯგუფის შემადგენლობაში, რომელიც რუსეთის იმპერიის მეცნიერებათა აკადემიამ საქართველოს შესასწავლად გამოგზავნა. ამ ჯგუფმა საქართველოში 1771-1772 წლებში იმოგზაურა. მათ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად, მთიულეთიც მოინახულეს. გიულდენშტედტის თხზულებაში ჩამოთვლილია მრევლის თემის სოფლები და მათ შორის – ოგბანი, ნადიბანი, ჩოხელიანი და კეკიანი [6, 269].

ხსენებული ტოპონიმები სათავეს იღებენ იქ კომპაქტურად მოსახლე გვარებიდან, მაგალითად, ოგბანი – ოგბაიძიდან, ნადიბანი – ნადიბაიძიდან, ჩოხელიანი – ჩოხელიდან, ხოლო კეკიანი – კეკიშვილიდან (ძველი ფორმა – კეკაური).

აღნიშნული გვარები დაფიქსირებულია არაგვის ხეობის სოფლებისა და იქ მცხოვრები მოსახლეობის აღწერაში, რომელიც ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის დავალებით, 1774 წელს შეადგინეს თავადებმა ლუარსაბ მაყაშვილმა და მანუჩარ თუმანიშვილმა [7].

ამ აღწერის მიხედვით, სოფლებში გოგნაურსა და სალაჯურში უცხოვრია ოგბაიძეთა 10 კომლს, რომელიც აერთიანებდა 23 ოჯახს. მათგან ოჯახის უფროსები და სამხედროვალდებული მამაკაცები ყოფილან: **ბერის** ვაჟები – *გივი* და *თანდილა;* **გამახარეს** ვაჟი – *ხიზანა;* **გივის** ვაჟები – *გოდერძი, ხოსრო, გივი* და *მარტია;* **გიორგის** შვილები – *გამიხარდი, ელისბარ, ღთისია* და *ხოსრო;* **დათვიას** ვაჟები – *ივანე* და *სულხანი;* **თათარას** ვაჟები – *ბერი* და *გიორგი;*

**ივანეს** ვაჟი – *ბია;* **ბერის** ვაჟები – *ივანე და გაგა;* **გამახარეს** ვაჟები – *ლომი* და *გიორგი;* **დათუნას** ვაჟები – *გივი, დათუნა* და *ივანე* [7, 450-451].

საგულისხმოა, რომ მთიულეთში ტრადიციულად არსებული დასახლების ტიპურ ნიმუშად გოგნაური მიიჩნია ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელმა, აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ (1890-1986), რომელმაც ამ საკითხს საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა [8, 170-183].

1953 წელს დაწერილ გამოკვლევაში დიდი მეცნიერი აღნიშნავდა, რომ გოგნაური შედგებოდა სამი უბნისაგან: ზემო უბანი, შუუბანი და ქვემო უბანი; ამ სოფელში მცხოვრებ ოგბაიძეთა ექვსი კომლიდან მათი ორი სახლი იდგა ზემო უბანში, ხოლო ოთხი – ქვემო უბანში; ქვემო უბანში მდგარ ოგბაიძეთა სახლებს გარშემო ბაღები და ბაღჩები ეკვროდა. მისივე აღწერის თანახმად, ოგბაიძეთა „საერობო იმყოფება ბიჭიაანთ კალოზე. ქალების საერობონი კი შემდეგ ადგილებში იყო: ერთი – საწამლიას წინ, მეორე – ნანეენების, ხოლო მესამე – გამახარდიანთ სახლის წინ“ [8, 177].

ცხავატის თემში მკვიდრი ოგბაიძენი სხვადასხვა დროს გადასახლებულან მახლობელ სოფლებში.

არაგვის საერისთავოს ბარის სოფლების 1781 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, ანანურში სახლობდა ლომი ოგბაიძის კომლი [9, 122], დუშეთში – გაგა ოგბაიძე [9, 135], ხოლო არშის ციხეში – „ოგბაიძე ბიძიას შვილი გია“, თავისი კომლითურთ [9, 110].

ქსნის ხეობის სოფლების 1774 და 1781 წლის აღწერათა მონაცემებით, ოგბაძეთა (ოგბაიძეთა განშტოება) რამდენიმე ოჯახი სახლობდა ხოზოეთსა და ქორჩოხში [9, 187-210].

ქართულმა ხალხურმა პოეზიამ შემოგვინახა ამ გვარის რამდენიმე გამოჩენილი წარმომადგენლის სახელი.

ერთ-ერთი ფოლკლორული ტექსტიდან ირკვევა, რომ გიორგი სააკაძის თანამებრძოლთა შორის ყოფილა გივი გოგბაიძე (იგივე ოგბაიძე), რომელსაც 1625 წელს მდინარე ქსანთან მომხდარ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა მიუღია. როგორც ცნობილია, ამ ბრძოლაში ქართველებმა სპარსელთა 12-ათასკაციანი ლაშქარი გაანადგურეს [10, 142].

ამ ტექსტში, რომელიც გასული საუკუნის შუა ხანებში ჩაიწერა ქართული ფოლკლორული წყაროების აღმნუსხველმა მიხეილ მარსაგიშვილმა, ხოლო შემდეგ ფოლკლორისტმა ქსენია სიხარულიძემ შე-

იტანა მრავალტომეულში „ქართული ხალხური პოეზია“ [11, 37], ვკითხულობთ:

„გივი სამ წამოვიდოდა,
ის გოგბაიძე ხარიო,
ჩასულა სააკაძესთან,
სიმაგრეს მისცა მხარიო,
გაბრუნებს ქსნურო წისქვილო,
ურუმთა სისხლის წყალიო“.

დიდმა ქართველმა მწერალმა და მეცნიერმა გიორგი ლეონიძემ (1898-1966), რომელიც დაინტერესებული იყო თემით: „გიორგი სააკაძე ხალხურ პოეზიაში“, 1960 წელს გამოაქვეყნა ზემოთ მოყვანილი ფოლკლორული ტექსტის ოდნავ განსხვავებული ვერსია [12], რომელშიც ვკითხულობთ:

„გივი სამ წამოგივიდა,
ის გოგბაიძე ფარიო,
ჩასულა სააკაძესთან,
სიმაგრეს მისცა მხარიო:
გაბრუნებს ქსნურო წისქვილო,
ურუმთა სისხლის წყალიო“.

გიორგი ლეონიძე მიიჩნევდა, რომ ეს ფოლკლორული ტექსტი უნდა შექმნილიყო XVII საუკუნის პირველ ნახევარში და წერდა: „ქსნურ წისქვილში“ უნდა იგულისხმებოდეს გიორგი სააკაძის მიერ პარტიზანული ბრძოლა ქსანზე, ირანელებთან, როცა მარაბდას წაგებული ბრძოლის (1625 წ.) შემდეგ, სააკაძემ გაანადგურა შაჰ-აბასის საოკუპაციო ძალები საქართველოში... ჩანს, რომ გივი გოგბაიძე სააკაძის თანამხედარი ყოფილა და მონაწილეობა მიუღია... ირანელთა ამოჟლეტაში ქსანზე“ [13, 503].

მდინარე ქსნის ხეობაში მომხდარ სამდღიან ბრძოლაში ქართველთა გამარჯვებით მტერმა დაკარგა ის უპირატესობა, რომელიც მან მარაბდის ველზე მოიპოვა.

აქვე დავსძენთ, რომ ზემოთ მოყვანილ ფოლკლორულ ტექსტებში მოხსენიებული სახალხო გმირი გივი გოგბაიძე სინამდვილეში უნდა ყოფილიყო გვარად ოგბაიძე [14, 56], ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოგბაიძეთა საგვარეულო განშტოებანი მხოლოდ XIX საუკუნიდან გაჩნდა. ასევე უნდა გავიხსენოთ, რომ ეს ფოლკლორული ტექსტები ჩაწერილია გასული საუკუნის შუა ხანებში, როდესაც გოგბაიძეთა განშტოება უკვე არსებობდა და გასაკვირი სულაც არ

არის, თუ ლექსის პირვანდელ ვარიანტში მოხსენიებული „გივი ოგ-ბაიძე", გამომდინარე ახალი რეალობიდან, მთქმელმა – „გივი გოგ-ბაიძედ" გარდაქმნა.

ზეპირსიტყვიერებამ ასევე შემოგვინახა სახელი ასპინძის ბრძოლაში თავგამოჩენილი გიორგი ოგბაიძისა, რომელიც „ფრანგულით" ანუ ხმლით დაუჯილდოვებია ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს. ამ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

„ასპინძას ვახლდი ბატონსა
ოგბაიძეთა გვარისა,
ჯილდოდ მიბოძა „ფრანგული" –
„შენზედ ალალი არისა".
ორპირს წარწერა ამშვენებს –
„პატარა კახის არისა",
გაჭირდეს, დავიხარჯები,
ზნე არის ჩემი გვარისა" [1, 46].

ფოლკლორისტი თემურ ჯაგოდნიშვილი წერს: „ქართულ ფოკლორისტიკაში ერეკლე მეორეზე ჩვენი ხალხის მიერ შექმნილი 142 ზეპირსიტყვიერი ტექსტია გამოვლენილი... ეს გარემოება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ცოცხალ ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში ერეკლე მეორის შესახებ შექმნილი ყველა ლექს-სიმღერა უკვე გამოვლენილია... მოულოდნელად გამოგვიჩინა ზეპირსიტყვიერებამ ერეკლეს ეპიკური თავგადასავლის უცნობი პასაჟი და კიდევ ერთი ქართველი გმირი – მთიული გიორგი ოგბაიძე. ერეკლე უბრალო კაცს ასეთი იარაღით არ დააჯილდოვებდა, თუ არა ომში გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის" [15, 153-154].

ზეპირსიტყვიერებამ ასევე შემოგვინახა სახელი მტერთან ბრძოლაში სახელგანთქმული დათუნა ოგბაიძისა, რომელიც ხმლით დაუჯილდოვებია ლევან ბატონიშვილს (1756-1781) – მეფე ერეკლე II-ის ვაჟთა შორის გამორჩეულს, არაგვის ხეობის მფლობელსა და „მორიგე ჯარის" შემქმნელს. ამ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

„ომში მივდივარ ბიჭებო,
ხმალი მიჭირავს რვალისა,
ლევანის ნაბოძებია,
– „პატარა კახის" ვაჟისა.
ხმლის ჩრდილში პირჯვარს ვიწერავ,
ნაბანს კი ვივლებ ტანზედა,
არ მეკარება მტრის ტყვია.

ჯილა მადგია თავზედა“ [1, 76; 15, 154].

ზემოთ მოყვანილ ფოლკლორულ ტექსტში აღწერილია საყურადღებო რიტუალი, რომელსაც ხსენებული მებრძოლი ყოველი ბრძოლის დაწყებამდე მიმართავდა. ამ ხალხური ლექსიდან კიდევ ერთხელ დასტურდება არაგველთათვის ტრადიციულად დამახასიათებელი ერთგულება სამშობლოსა და მის სათავეში მდგარი ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიისადმი. კერძოდ, ჩანს, რომ არაგვის საერისთავოს მფლობელი უფლისწულის – ლევან ბაგრატიონის მიერ ნაბოძებ მახვილს ზებუნებრივ ძალას მიაწერდნენ მისი ქვეშევრდომი არაგველნი და იმედოვნებდნენ, რომ ამ იარაღის ნაბანში განბანილ მხედარს მტრის ტყვია ვერ გაეკარებოდა.

ოგბაიძეებისა და მათ საგვარეულო განშტოებათა წარმომადგენელთაგან ჩაწერილია სხვა ფოლკლორული ტექსტებიც, რომლებშიც ასახულია საყურადღებო ფაქტები საქართველოს ისტორიიდან, კერძოდ, მთიულთა მონაწილეობა ქართული ჯარის მიერ 1210 წელს სპარსეთში მოწყობილ ლაშქრობაში [16, 192], ერთი ეპიზოდი გიორგი სააკაძის საბრძოლო ეპოპეიდან [11, 37], ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრთა მიმოსვლის მარშრუტი 1795 წლის სექტემბერში, აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრის შემოსევის პერიოდში [17, 38-39] და სხვ.

## 2) **ოგბაიძეთა გვარის ეტიმოლოგია**

ენათმეცნიერ ალექსი ჭინჭარაულის მოსაზრებით, ოგბაიძეთა გვარის ძირი – **გბ** დაკავშირებულია სიტყვასთან – **„გბობა“** [18, 99-107], რაც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით – **„ხარშვას“** ნიშნავდა [19, 154].

ეს სიტყვა განმარტებულია ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში.

ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის განმარტებით, ქართული **„გბობის“** (იმავე „ხარშვის“) შესატყვისია მეგრული **„გიბუა“,** ჭანური **„ოგიბუ/ოგუბუ“** და სვანური **„ჯაბ“** [20, 131].

ალი თანდილავას მიერ შედგენილი ჭანური (ლაზური) ლექსიკონის თანახმად, **„ოგიბუ/ოგუბუ“** ნიშნავს **„ხარშვას“** [21, 594-595].

მანანა ბუკიას მიერ შედგენილი ლაზური ლექსიკონის მიხედვით, **„ოგიბაფა“** ნიშნავს **„მოხარშვას“,** ხოლო **„ოგუბუ-ოჭუ“** – მოხარშვას და შეწვას [22, 337-338].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმავე ზმნის მეგრული სინონიმია

**„გიბუა“** [23, 12; 24, 116], ხოლო სვანური შესატყვისია – **„ლიჯაბ“** [25, 506], ანუ, მეგრულში არსებულ **გბ**-ს სვანურში **ჯბ** ანაცვლებს.

აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა შენიშნავდა, რომ **გბ** ძირი „ყველა ქართველურ ენაში გვაქვს; ყველაზე მდიდარი მისი ჭანური ვარიანტებია: გუბ-//გიბ-//ჯიბ. ამათში უძველესია გუბ-, მისგან **უ**-ს **ი**-თ შეცვლის გზით მიღებულია ხოფ. გიბ-, ათინური ჯიბ– ამ უკანასკნელის შემდგომი ცვლაა. საინტერესოა, რომ სვანური ლი-ჯაბ „ხარშვა“ გ-ს ნაცვლად ჯ-ს გვაძლევს (შდრ. ეჯა=იგი, „ეგა“)... ზანურისა და სვანურის ვითარება გვაფიქრებინებს, რომ ქართულში დაკარგული ხმოვანი – ა– უნდა ყოფილიყო; ძირი, ამგვარად, გაბ–იყო; გაბ-ობ-ა→გბ-ობ-ა – „ხარშვა“, უ-მ-გბ-არ-ი – მოუხარშავი, მ-გბ-არ-ი – მოხარშული... ამ ზმნის ადგილი ახალ ქართულში დაიჭირა „ხარშვამ“, მეგრულში – „ხაშუამ“ და მხოლოდ სვანური და ჭანური, ერთის მხრით, ძველი ქართული, მეორე მხრით, გბ//გუბ-//გიბ– ძირს ხმარობენ. მეგრულში ეს ძირი ზოგიერთ თქმაშიღა შემოგვენახა: ასე, მაგალითად, აბრეშუმის პარკზე (//ძაფზე) „გიბუა“ ითქმის და არა „ხაშუა“, აგრეთვე „აბედის მოხარშვის“ შესახებ იტყვიან: „ობედი დოგიბუ“ – „აბედი მოხარშა“ [26, 266-267].

ენათმეცნიერ მერაბ ჩუხუას დაკვირვებით, ვინაიდან ჭანურად (ლაზურად) **ოგიბა/ოგიბუ/ოგუბუ** ნიშნავს ხარშვას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ სიტყვაზე დაფუძნებული გვარის – **ოგიბ**-აის-ძეთა (ანუ ოგბაიძეთა) ძირითად პროფესიულ საქმიანობას წარმოადგენდა სწორედ ხარშვის პროცესის განხორციელება, რაც ამ გვარისათვის ტრადიციული გახლდათ [27, 34].

სწორედ ამ საპატიო, პროფესიულმა ვალდებულებამ, რასაც ადასტურებს ოგბაიძეთა ტრადიციული, რიტუალური საქმიანობა (ლუდისა და შესაწირი ზვარაკის ხარშვა), როგორც ირკვევა, დასაბამი მისცა ანთროპონიმ „ოგბაიძის“ (“მხარშველის“ ანუ კულტის მსახურის შთამომავლის) წარმოშობას, ე. ი. აღნიშნული გვარის წარმომადგენლებს ეს საქმიანობა ოდითგანვე გაუგვარდათ. ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

მსგავსი ტიპის ქართული გვარები მრავლად შემოგვრჩა. ასეთებია მაგალითად, მკურნალიძე, რაც მკურნალის, ანუ ექიმის შთამომავალს ნიშნავს, ასევე, მგალობლიშვილი, მდივნიშვილი, მეგუთნიშვილი, მეთოფიშვილი, მეისრიშვილი, მექვევრიშვილი, მექუდიშვილი, მეყანწიშვილი, მეშვილდიშვილი, მეჭურჭლიშვილი, მოლარიშვილი,

მონადირიშვილი, მშვილდაძე, მჭედლიანი, მჭედლიშვილი, მჭედლიძე, მჭედლური და სხვ. [2, 136-148].

ჩვენი დაკვირვებით, სავსებით შესაძლებელია, რომ ჭანურ ენაში დამკვიდრებული „ოგიბუ" საფუძველს იღებდეს შუმერულ მითოლოგიაში არსებული ცეცხლის ღვთაების სახელიდან – **„გიბილ".** აქვე განვმარტავთ, რომ „გიბილი" იყო ვაჟი ჭექა-ქუხილის ღვთაება იშქურისა და ნაყოფიერების ქალღმერთ შალასი. აღნიშნული მითოლოგიის თანახმად, გიბილი იყო პასუხისმგებელი, რომ იარაღი ყოფილიყო საბრძოლო მზადყოფნაში, კერძოდ, ლესავდა შუბებსა და ისრების პირებს. ზოგჯერ იგი მიიჩნეოდა გამწმენდ ცეცხლად. ის იყო სამჭედლო საქმეთა ოსტატიც, მფლობელი ისეთი სიბრძნისა, რომელშიც ვერცერთი ღვთაება ვერ შეედრებოდა [28].

აქვე უნდა დავამატოთ, რომ აღნიშნული შუმერული სიტყვა ფართოდ არის შესული მეგრულში, სადაც **„გიბილი"** ნიშნავს მგბარს (ანუ მოხარშულს), დაგულს, დაბუგულს, დამდუღრულს [24, 116], **„დოგიბილი"**– დაგბობილს (ანუ მოხარშულს), **„დოგიბუა"** – დაგბობას (ანუ მოხარშვას) [24, 245], ხოლო **„ოგიბალი"** – დასაბუგს, დასადაგს, საგბოლელად, ანუ რაიმეს მოსახარშად გამოსაყენებელ ჭურჭელს – ქვაბს, კარდალას და სხვ. [24, 532].

აქედან ჩანს, რომ გვარ ოგბაიძეს საფუძვლად უდევს როგორც ჭანური „ხარშვა", რაც მის ჭანურ წარმომავლობაზე მეტყველებს, ასევე ჭანურსა და მეგრულში შესული შუმერული ცეცხლის ღვთაების სახელიც, რაც ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება (ცეცხლი + ხარშვა).

ეს გვარი რომ ჭანური წამოშობისა არ იყოს, აღმოსავლურქართულ, კერძოდ, მთიულურ რეალობაში ის სავარაუდოდ იქნებოდა – **გბობაიძე,** ვინაიდან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხარშვის აღმნიშვნელ ჭანურ სიტყვას **„ოგიბა/ოგიბუ/ოგუბუ"** შეესატყვისება ქართული **„გბობა".**

ყოველივე ზემოთქმულს ამყარებს ოგბაიძეებში და მის ცალკეულ საგვარეულო განშტოებათა წარმომადგენლებში (ობგაიძეებში, ობგაძეებსა და გოგბაიძეებში) შემონახული გადმოცემა მათი ჭანეთში მცხოვრები წინაპრის, კულტის მსახურის ცხავატის თემში, ანუ მთიულეთში გადასახლების შესახებ.

სხვათა შორის, ზემოთქმულს, სხვებთან ერთად, ადასტურებს ოგბაიძეთა გვარის ერთ-ერთი განშტოების, გოგბაიძეთა წარმომადგენელი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორ-

გი (გოგი) ანდროს ძე გოგბაიძე (დაბადებული 1943 წელს, ყაზბეგის რაიონის სოფელ კარკუჩაში), რომელიც დიპლომატიურ ასპარეზზეც მოღვაწეობდა. კერძოდ, 1997-2000 წლებში იგი მსახურობდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის დედაქალაქ კაიროში აკრედიტებულ საქართველოს საელჩოში, ჯერ დროებითი წარმომადგენლის, ხოლო შემდეგ პირველი მდივნის თანამდებობაზე.

### 3) ოგბაიძეთა ტრადიციული საკულტო თანამდებობა

ოგბაიძენი ტრადიციულად იყვნენ ცხავატის თემის გამაერთიანებელი სალოცავის – ცეცხლიჯვრის დეკანოზები (უფროსი მღვდლები, ხატის მსახურნი), რაც ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება [29, 126].

ცხავატის ცეცხლიჯვრის კომპლექსი მდებარეობს ოგბანის მოპირდაპირე მხარეს, ნასოფლარ ზამთრეულში (იმავე ზამთრეულთაში), რომელიც სოფელ ნადიბანს ჩრდილო-დასავლეთიდან ემიჯნება. კლდის თხემზე მდებარე ეს კომპლექსი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დღემდე შემორჩენილ ისტორიულ-არქიტექტურულ ნაგებობებს შორის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია. იგი აგებულია VIII-X საუკუნეებში, ფიქლითა და ნატეხი ქვით. ამ სალოცავ კომპლექსში შედის: IX-X საუკუნეებით დათარიღებული ღვთისმშობლის ეკლესია, რომლის მახლობლადაც შემორჩენილია VIII-IX საუკუნეებში აგებული დარბაზული ეკლესიის ნაშთები და სადგომთა ნანგრევები [30, 282-283].

ეს სალოცავი კომპლექსი, რომლის უძველესი ნაგებობაც VIII საუკუნით თარიღდება, უძველესია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ცეცხლიჯვრის სალოცავებს შორის. მათ შორისაა მთიულეთშივე, კერძოდ, ქოროღოსა და შარმიანში არსებული სალოცავები, რომლებიც მომდევნო საუკუნეებში ააგეს [30, 330-333]. ისინი არ ყოფილა მთელი თემის გამაერთიანებელი სალოცავები, განსხვავებით ზამთრეულში მდებარე ცხავატის სათემო ცეცხლიჯვრისაგან.

სპეციალისტთა ვარაუდით, ცხავატის ცეცხლიჯვრის კომპლექსის აგებამდე, ზამთრეულის იმავე ადგილას უნდა არსებულიყო სხვა სალოცავი, რომელიც უფრო ძველ პერიოდში უნდა აეშენებინათ [31, 45-46].

ცეცხლიჯვრის თითოეულ სალოცავში პერიოდულად იმართებო-

და დღესასწაული „ცეცხლისჯვრობა“ (იგივე – „ცეცხლიჯვრობა“), რომელსაც ტრადიციულად უდიდესი ზეიმით აღნიშნავდნენ.

სერგი მაკალათია წერდა: „ცეცხლისჯვრობას“ ხადაში, შარუმიანთ მთაში ორი სოფელი – ციხიანი და შარუმიანი დღესასწაულობენ. ხატობა დღეს დეკანოზები დროშებს ამ მთის წვერზე აიტანენ, მლოცველებიც აქ იკრიბებიან, ხატს ღამეს უთენებენ და ცეცხლისჯვარს ევედრებიან საქონლისა და ოჯახის ცეცხლისაგან დაცვას. ამ ცეცხლისჯვრობას და ნაღვარევ-ხარხეთის ცეცხლისჯვრის ეკლესიის არსებობას იდუმალი კავშირი უნდა ჰქონდეს იმ სასწაულთმოქმედ ცეცხლისჯვართან, რომელიც მცხეთის ერთ ბორცვზე ახლად მოქცეულ იბერიელებს რომ ეჩვენა (იხ. მოქცევაი ქართლისაი, Е. Такайшвили, Опис. рукоп. т. II, вып. 4, 1906-1912, გვ. 793-798)“ [32, 179].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ნაღვარევ-ხარხეთის ცეცხლისჯვარში“ მკვლევარი გულისხმობს ცხავატის ცეცხლიჯვარს, რომელიც ხსენებული სოფლების სიახლოვეს მდებარეობს.

ცხავატის ცეცხლიჯვრის დეკანოზთა ლოცვის ტექსტი შემონახულია ოგბაიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლებში. ეს ტექსტი გარკვეული ცვლილებებით წარმოითქმებოდა და ამჟამადაც წარმოითქმება არაგვის ხეობის ცალკეულ სოფლებში, ლხინისა თუ ჭირის ჟამს, სანთლის ანთებისას. ტექსტიდან განსაკუთრებით საყურადღებოა პატივით მოხსენიებული ცხავატის ცეცხლიჯვარი. კერძოდ, ცხავატელი დეკანოზი უფალს ევედრებოდა: *„ღმერთო, გაუმარჯვე ჩვენს სალოცავს – ცხავატის ცეცხლიჯვარს, ცეცხლით მოარულსა!“* ასევე საინტერესოა ამავე ლოცვის დასკვნითი ნაწილი, რომელშიც დეკანოზი უფალს შესთხოვდა: *„ღმერთო, უშველე სრულიად საქრისტიანოს, მასთან ერთად სრულიად საქართველოს, საქართველოსთან ერთად მთა-მთიულეთს, მასთან ერთად ჩვენს ცხავატს, ცხავატთან ერთად ჩვენს მრევლს, მრევლთან ერთად ჩვენს სოფელს* (ამ ადგილას დეკანოზი ასახელებდა თავისი სოფლის სახელს. ნ. ჯ.) *ამინ!“* [1, 113-115].

დეკანოზები სიტყვით *„ჩვენი“* – მხოლოდ საკუთარ სალოცავებს იხსენიებდნენ, ხოლო ღმერთს შესთხოვდნენ თავიანთი თემისა და სოფლის მფარველობას. ცალკეული თემებისა და სოფლების დეკანოზებს მსგავსი ცვლილებები შეჰქონდათ ლოცვის ტექსტში, რომლის ძირითადი ნაწილიც ერთმანეთს ჰგავდა.

ცხავატის ცეცხლიჯვარს პატივით ახსენებდნენ არა მხოლოდ ამ

თემში შემავალ სოფლებში, არამედ ხადაშიც. მაგალითად, ხადას თემის სოფლის – წკერეს კვირაცხოველში დეკანოზი სანთლის ანთებისას სალოცავებიდან უპირველესად ახსენებდა ლომისის წმინდა გიორგის, ხოლო შემდეგ სხვა სალოცავებს და უფალს შესთხოვდა მათ გამარჯვებას. ერთ ადგილას ის ამბობდა: *„ღმერთო, გაუმარჯვე დედა ღვთისმშობელს, ცეცხლიჯვარს, პატიოსანს ცეცხლით მოარულსა!“* [33, 377].

ფოლკლორისტ ელენე ვირსალაძის მიერ მთიულეთის სოფელში – სეთურნი ჩაწერილ ტექსტში „დამწყალობნება“ დეკანოზი აცხადებდა: *„გაუმარჯოს ცეცხლისჯვარს – ცეცხლით მეომარს!“* [34, 268].

ქართულ ფოლკლორში შემონახულია „ცეცხლის ჯვრის მიერ დასნეულებულის ლოცვა“, რომელშიც ვკითხულობთ: *„გამარჯვებულო – ცეცხლის ჯვარო, დასაჯულია თქვენგნიდან დასნეულებული. ასრულებს სამსახურს. თქვენი წყალობა მიეცით და ალალი იქნას მისი ხვეწნა-ვედრება“* [34 , 269].

იმ უდავო ფაქტთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მთიან რეგიონებში ქრისტიანობის გავრცელების მიუხედავად, დღემდე შემორჩა წარმართული რელიგიის ნაშთები, სერგი მაკალათია მიუთითებდა: „რელიგიის ჩასახვა-განვითარებასთან ერთად, ამ ღვთაებათა მსახურთა საგანგებო შერჩევაზეც წარმოიშვა ერთგვარი სოციალური მოთხოვნილება. საჭირო იყო ლოცვებისა და მსახურების რიტუალის შექმნა და ეს ნიჭის ერთგვარ შერჩევასთან მოითხოვდა ღვთისმსახურთა კასტის შექმნასაც და ამგვარად წარმოიშვა ქურუმთა წოდება, რომელსაც დაეკისრა შუამავლის როლი ადამიანსა და ამ ღვთაებათა შორის. ჩვენში ასეთ ქურუმებს დეკანოზების სახით დღემდე მოულწევია. მთიულეთ-ხევსურეთში ეს დეკანოზები კიდევ ქურუმობენ და თავიანთ მსახურებას მტკიცედ ასრულებენ. მართალია, ეს დეკანოზები და აქაური ხატებიც მოჩვენებით გაქრისტიანებულია, მაგრამ საკმარისია ამ ქრისტიანულ ფენის ოდნავი აფხეკა, რომ წარმართობის ცოცხალი ნაშთები იხილოთ“ [32, 149).

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში დეკანოზს (იმავე ხევისბერს) ტრადიციულად ექვემდებარებოდა მასზე დაბალი რანგის მქონე ხატის მსახური – **„დასტური“**.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის თანახმად, *„ხევისბერი“* არის *„ერთის ხეობის უხუცესი (უფროსი) კაცი“* [35, 438], ხოლო

*„დეკანოზი“* ლათინური სიტყვაა და ნიშნავს *„ხუცესთ-უხუცესს“* [19, 216]. ორბელიანისავე განმარტებით, *„დასტური“* ნიშნავდა *„დაჯერებულს“* და *„სხვათა ენაა ორივ“* [19, 202].

ზოროასტრიზმში დასტური (სპარსულად – *„დასტურ“)* იყო მაღალი რანგის კულტის მსახური პროვინციებში, სადაც რამდენიმე ცეცხლთაყვანისმცემლური ტაძარი მოქმედებდა. აღნიშნული თანამდებობის პირს ირჩევდნენ ამ რელიგიის მიმდევრები – საუკეთესო „მობედისაგან“, რომელიც ასევე კულტის მსახური გახლდათ. მობედი შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ წინასწარმეტყველ ზარათუშთრას პირველ მოწაფეთა გენეტიკური შთამომავალი (სპარსულად – *„მობედ ზადე“),* რომელიც იმავდროულად ჯანსაღი მამაკაციც უნდა ყოფილიყო. მობედთა მიერ არჩეულ დასტურს ამტკიცებდა ზოროასტრული რელიგიის იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მდგომი პირი, რომელსაც სპარსულად ეწოდებოდა – *„მობედან მობედ“,* ანუ მობედთა მობედი, უფროსი მობედი. ამ უკანასკნელს კი ირჩევდნენ უმაღლესი რეპუტაციის მქონე დასტურთაგან. როდესაც რეგიონში რამდენიმე ცეცხლთაყვანისმცემლური სალოცავი იყო, დასტურთაგან ირჩევდნენ მთავარ დასტურს, რომელსაც სპარსულ ენაზე ერქვა *„სარ-მობედ“,* ხოლო საშუალო სპარსულად (იმავე პართულად) – *„ბოზორგ დასტურ“* [36-37].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში არსებული გამაერთიანებელი, სათემო სალოცავის ხევისბერები (დეკანოზები) რანგის მიხედვით შეესაბამებოდნენ ზოროასტრულ რელიგიაში არსებულ „მობედან მობედს“ ანუ მობედთა მობედს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხევში მდებარეობს სალოცავი – „სპარსანგელოზი“, რომელიც გადმოცემის მიხედვით, სპარსეთის ანგელოზს უკავშირდება.

სერგი მაკალათია წერდა: „თერგისა და სნოს ხეობის შუა ერთ მაღალ წვერზე მოთავსებულია ხევის მთავარი სალოცავი *„სპარსანგელოზი“*. ეს ძლიერ ხატად ითვლება და სპარსანგელოზის სახელით მოხევეები დღესაც ფიცულობენ და იწყევლებიან. სპარსანგელოზის მთის წვერი 4000 მეტრს აღწევს ზღვის დონიდან და მისი ბილიკიც ძნელი გასავლელია. სპარსანგელოზში გზა ადის ყაზბეგიდან და სნოს ხეობიდან. სპარსანგელოზობას მოხევეები აგრეთვე *„ათენგენობასაც“* უწოდებენ“ [38, 249].

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სათემო დეკანოზი იყო

ფრიად პატივსაცემი სასულიერო პირი, კულტის მსახური, რომლის ფუნქციას წარმოადგენდა სახატო რიტუალის (დროშებისა და ხატების გამოსვენება, მსხვერპლთშეწირვა, დალოცვა) შესრულება და ხატის ქონების განკარგვა. მოგვიანებით, მას თანდათან შეერწყა ხევისბერის თანამდებობაც, რომელიც მთის რეგიონებში იყო სახელმწიფო მმართველობის წარმომადგენელი, სამხედრო ხელმძღვანელი და მოსამართლეც. ხევისბერის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრული იქნა ჯერ კიდევ მეფე გიორგი V ბრწყინვალეს მიერ მიღებულ „ძეგლისდებაში". იგი თავისი პატივით უტოლდებოდა განმგებელს, აზნაურს და მისი სისხლი 6000 თეთრად ფასობდა [39, 451].

დეკანოზს, იმავე ხევისბერს – ტრადიციულად ერთი გვარის წარმომადგენელთაგან ირჩევდნენ.

სერგი მაკალათია წერს: „დეკანოზობა მემკვიდრეობით გადადის. იშვიათი შემთხვევაა, რომ დეკანოზი ხალხმა გადააყენოს. დეკანოზს მემკვიდრე თუ არ ჰყავს, მაშინ მისივე მონათესავე კომლიდან ირჩევენ. თითოეული საგვარეულო თავისი გვარის დეკანოზს ირჩევს, რომელიც გვარის ხატს ემსახურება. პატარა ხატებში თითო დეკანოზია, მაგრამ არის დიდი სათემო ხატები, სადაც რამდენიმე დეკანოზია. დეკანოზებს შორის ყველაზე მაღლა თემის დეკანოზი დგას, რომელიც დიდი ხნის ნამსახურია და პირველ დეკანოზად ითვლება. სათემო ხატობაში უხუცესი დეკანოზი ზვარაკს არ დაკლავს. ის მლოცავებს ამწყალობლებს, შესაწირავებს იღებს და სნეულებს „ხატით ლახავს". ხატის საქმეებს მხოლოდ დეკანოზი განაგებს. მის ნებადაურთველად ეკლესიიდან ხატსა და დროშას ვერავინ გამოასვენებს, ვერც საკლავს დაკლავენ და ვერც ხორცს გაინაწილებენ... დეკანოზებს გავლენა ჰქონდათ და მათ თემის საკულტო საქმეებთან ერთად ეკითხებოდათ საოჯახო და საზოგადო საქმეებიც. დეკანოზს ხშირად მოციქულადაც აგზავნიდნენ, რადგანაც მისი გაცუდება ხატის შიშით არავის შეეძლო... დეკანოზი ხატის მოურავია, რომელიც ხატის ქონების გამგე და მეთვალყურეა. ხატის ყველა შემოწირულებას ის იღებს, სახატო მამულებს იჯარით გასცემს და სხვ" [32, 151-152].

ის ფაქტი, რომ ცხავატის ცეცხლიჯვრის დეკანოზებს ტრადიციულად ირჩევდნენ ოგბაიძეთა გვარიდან, ეს მიუთითებს დამსახურებასა და ავტორიტეტზე ამ გვარისა, რომელიც მონოგრაფიულად გვაქვს შესწავლილი [1].

აღსანიშნავია, რომ ნასოფლარ ზამთრეულის ტერიტორიაზე,

კერძოდ, ცეცხლიჯვრის კომპლექსის მიდამოებში სხვადასხვა დროს აღმოჩნდა ვერცხლისა და სპილენძის მონეტების განძები. მათი ნაწილი ქართულია, ხოლო ნაწილი – უცხოური. ამ მონეტების ერთი ჯგუფი მოჭრილია ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში, პართიის სამეფოში; მეორე ჯგუფი – VI-VII საუკუნეებში, სასანურ ირანში; მესამე ჯგუფი – XII-XIII საუკუნეებში, საქართველოს სამეფოში (მეფეების: დემეტრე I-ის, გიორგი III-ის, თამარის, გიორგი IV ლაშას და რუსუდანის სახელებით) და სხვ. [40, 16-19]. ამ მონეტების აღმოჩენა მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ძირძველი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის – ცხავატის (ისევე როგორც სრულიად მთიულეთის) წარსულის წარმოსაჩენად.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: საიდან უნდა მოხვედრილიყო ცხავატში პართული და სასანური მონეტები?

დადგენილია, რომ ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან – ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნემდე ქართლის სამეფოს ფულადი მიმოქცევის ძირითად საფუძველს წარმოადგენდა პართული და რომაული მონეტები. ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოს ფულადი ბაზარი გაჯერებული იყო სასანური ვერცხლის მონეტებით. მათ მხოლოდ VI საუკუნის მიწურულიდან დაემატა ე. წ. ქართულ-სასანური დრამები, რომლებიც ერისმთავართა სახელით იჭრებოდა. აქვე დავამატებთ, რომ სასანური მონეტების რევერსზე (ზურგზე) გამოსახულია ზოროასტრიული (მაზდეანური) რელიგიის ამსახველი რიტუალი – ცეცხლის საკურთხეველი მცველებით [41, 14-21].

ჩვენი ვარაუდით, პართული და სასანური მონეტების აღმოჩენა ცხავატის თემის გამაერთიანებელი სალოცავის – ცეცხლიჯვრის კომპლექსის მიდამოებში უნდა ადასტურებდეს შემდეგს: ამ რეგიონში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებამდე ხსენებული კომპლექსის ტერიტორიაზე მოქმედებდა ცეცხლთაყვანისმცემლური (იგივე ზოროასტრიული, მაზდეანური) სალოცავი, რომელსაც თავის დროზე შესწირეს ზემოთ დასახელებული მონეტები.

ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს ასევე თვით ამ სალოცავის სახელწოდებაც, რაც იშიფრება როგორც – ცეცხლი + ჯვარი, ანუ თავდაპირველად იყო ცეცხლი, რასაც მოგვიანებით დაემატა ჯვარი. ამ თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა ზემოხსენებულ ლოცვის ტექსტებში ჩართული სავედრებელი სიტყვები, რომლებსაც ცალკე

გამოვყოფთ (ხაზგასმა ჩვენია):

*1) „ღმერთო, გაუმარჯვე ჩვენს სალოცავს – ცხავატის ცეცხლიჯვარს, ცეცხლით მოარულსა!“;*

*2) „ღმერთო, გაუმარჯვე დედა ღვთისმშობელს, ცეცხლიჯვარს, პატიოსანს ცეცხლით მოარულსა!“;*

*3) „გაუმარჯოს ცეცხლისჯვარს – ცეცხლით მეომარს!“;*

*4) „გამარჯვებულო – ცეცხლის ჯვარო“.*

იმავე თვალსაზრისით საყურადღებოა ამ სალოცავის ტრადიციულ დეკანოზთა გვარის ეტიმოლოგიაც, რომელიც უკავშირდება რიტუალურ ხარშვას ანუ ცეცხლს და რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ.

***

ამრიგად, მთიულურ გვარ ოგბაიძეს, რომელსაც საფუძვლად უდევს ჭანური სიტყვა „**ოგიბაფა/ოგიბუ/ოგუბუ**“, ანუ ხარშვა, წარმომავლობაც ჭანური უნდა ჰქონდეს [42, 113; 43, 226; 44, 427]. როგორც ირკვევა, ამ გვარის წარმომადგენლებს, რომლებიც ტრადიციულად იყვნენ ცხავატის თემის გამაერთიანებელი სალოცავის – ცეცხლიჯვრის დეკანოზები და რომელთა საპატიო მოვალეობასაც შეადგენდა ლუდის და შესაწირი ზვარაკის რიტუალური ხარშვის ჩატარება, ეს საქმიანობა ოდითგანვე გაუგვარდათ. კერძოდ, ამ პროფესიულმა ვალდებულებამ დასაბამი მისცა ანთროპონიმ „**ოგიბ-აისძის**“, იმავე „**ოგბაიძის**“ ანუ „**მხარშველის (კულტის მსახურის) შთამომავლის**“ წარმოშობას.

ჩვენი დაკვირვებით, სავსებით შესაძლებელია, რომ ჭანურში დამკვიდრებული „ოგიბუ/ოგუბუ“ საფუძველს უნდა იღებდეს შუმერულ მითოლოგიაში არსებული ცეცხლის ღვთაების სახელიდან – „**გიბილ**“.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ შუმერული სიტყვა „**გიბილ**“ ფართოდ არის შესული მეგრულში, სადაც „**დოგიბილი**“ ნიშნავს დაგბობილს, ანუ მოხარშულს, „**დოგიბუა**“ – დაგბობას, ანუ მოხარშვას, ხოლო „**ოგიბალი**“ – რაიმეს მოსახარშად გამოსაყენებელ ჭურჭელს.

ამდენად, ჩანს, რომ გვარ ოგბაიძეს საფუძვლად უდევს როგორც ჭანური სიტყვა – „ხარშვა“, რაც მის ჭანურ წარმომავლობაზე მეტყველებს, ასევე ჭანურსა და მეგრულში შესული შუმერული ცეცხლის ღვთაების სახელიც, რაც შინაარსობრივი თვალსაზრისით ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება (ცეცხლი + ხარშვა). სწორედ

ასეთივე მჭიდრო კავშირშია ოგბაიძეთა გვარი ცხავატის ცეცხლიჯვრის უძველეს სალოცავთანაც.

ეს გვარი რომ ჭანური წამოშობისა არ იყოს, აღმოსავლურქართულ, კერძოდ, მთიულურ რეალობაში ის სავარაუდოდ იქნებოდა – **გბობაიძე,** ვინაიდან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხარშვის აღმნიშვნელ ჭანურ სიტყვას **„ოგიბუ/ოგუბუ"** შეესატყვისება ქართული **„გბობა".**

ყოველივე ზემოთქმული შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მთიულ ოგბაიძეთა წინაპარი იყო ჭანი (ლაზი) კულტის მსახური, რომელსაც ეს საკულტო საქმიანობა ადრიდანვე გაგვარებული ჰქონდა. როგორც ჩანს, იგი ჭანეთიდან შუა საუკუნეებში გადმოსახლდა აღმოსავლეთ საქართველოში და დამკვიდრდა ცხავატის თემში (ამჟამინდელ მთიულეთში), სადაც მას მიანდვეს უძველესი სათემო სალოცავის – ცეცხლიჯვრის დეკანოზის საპატიო თანამდებობა.

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**


1. ჯავახიშვილი ნიკო, ოგბაიძენი (საგვარეულოს ისტორიისათვის), თბილისი, 2005.
2. სილაგაძე ავთანდილ, თოთაძე ანზორ, გვარ-სახელები საქართველოში, თბილისი, 1997.
3. Гвасалия Джондо, Историческая география восточной Грузии (Шида Картли), Тбилиси, 1991.
4. გვასალია ჯონდო, ცხავატი, ქსე, ტ. XI, თბილისი, 1987.
5. გვრიტიშვილი დავით, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი, 1955.
6. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტომი I, თბილისი, 1962.
7. სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ XVIII საუკუნეში, გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით და წინასიტყვაობით, თბილისი, 1907.
8. ჩიტაია გიორგი, დასახლების ფორმები, საცხოვრებელი და სამეურნეო იარაღები, დასახლების ტიპი მთიულეთში, წიგნში: გიორგი ჩიტაია, შრომები ხუთ ტომად, ტომი I, ქართველი ხალხის

სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, შემდგენელი რედაქტორი თამილა ცაგარეიშვილი, თბილისი, 1997.
9. ჯავახიშვილი ივანე, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები, გამოსაცემად მომზადდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტში დარეჯან მეგრელაძისა და ნათელა ჯავახიშვილის მიერ, თბილისი, 1967.
10. ჯამბურია გივი, გიორგი სააკაძე, თბილისი, 1964.
11. ქართული ხალხური პოეზია, ტომი XI, შეადგინა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ქსენია სიხარულიძემ, თბილისი, 1984.
12. ლეონიძე გიორგი, ჩემი უბის წიგნაკიდან (შენიშვნები, დაკვირვებანი, ცნობები, მასალები), „ლიტერატურული გაზეთი", № 28, თბილისი, 1960.
13. გიორგი ლეონიძე – 100, საიუბილეო კრებული, შემდგენელი და რედაქტორი იზა ორჯონიკიძე, თბილისი, 2000.
14. ჯავახიშვილი ნიკო, გოგბაიძე (ოგბაიძე) გივი, ენციკლოპედია „საქართველო", ტომი 2, თბილისი, 2012.
15. ჯაგოდნიშვილი თემურ, ერეკლეს ეპოსი, თბილისი, 2021.
16. ჯავახიშვილი ნიკო, 1210 წელს სპარსეთზე გალაშქრებაში მთიულთა მონაწილეობის ასახვა ქართულ ფოლკლორში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტომი XV, თბილისი, 2019.
17. ჯავახიშვილი დავით, ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრთა მიმოსვლის მარშრუტის დადგენისათვის (1795 წლის სექტემბერი), კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", № 25, თბილისი, 2021.
18. ეტიმოლოგიური ეტიუდები (უგაბი, უგბილი, უგლიმი და სხვ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული „ეტიმოლოგიური ძიებანი", თბილისი, 1990.
19. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტომი I, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1991.

20. ფენრიხი ჰაინც, სარჯველაძე ზურაბ, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2000.
21. თანდილავა ალი, ლაზური ლექსიკონი, თბილისი, 2013.
22. ბუკია მანანა, ლაზური ლექსიკონი, Wojnowice, 2018.
23. ფიფია დანიელ, მეგრული სალექსიკონო მასალები, თბილისი, 2008.
24. ქობალია ალიო, მეგრული ლექსიკონი, მერაბ ჩუხუას, ნონა ქობალიას და ნანა ქობალიას რედაქციით, თბილისი, 2010.
25. საღლიანი მედეა, სვანური ლექსიკონი (ტექსტებითა და გამოკვლევითურთ), Wojnowice, 2018.
26. ჩიქობავა არნოლდ, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938.
27. ჯავახიშვილი ნიკო, ქართლის სამეფოს მონეტების განძი ოგბანიდან, ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი", № 52, თბილისი, 2015.
28. https://en.wikipedia.org/wiki/Gibil
29. თოფჩიშვილი როლანდ, ქართული გვარსახელების ისტორიიდან, ტომი I, მთის რეგიონების გვართა ეთნოისტორიული შესწავლის ცდა, თბილისი, 2003.
30. დვალი თამაზ, წერეთელი კახი, ცეცხლისჯვრის კომპლექსი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტომი 2, მეორე გამოცემა, ახმეტის, დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის რაიონები, რედკოლეგიის ხელმძღვანელი თამაზ დვალი, თბილისი, 2008.
31. ქისტაური გელა, მთიულეთის სინკრეტული რელიგიის ისტორიულ-ეთნოლოგიური ნარკვევი (ცეცხლისჯვრის ისტორიულ-ეთნოლოგიური ასპექტები), თბილისი, 2021.
32. მაკალათია სერგი, მთიულეთი, თბილისი, 1930.
33. მზიანი რწმენის საუფლო, შეადგინეს: ნანა კოტეტიშვილმა, ნათია ხორნაულმა და გიგი ხორნაულმა, თბილისი, 2005.
34. ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება (მთიულეთ-გუდამაყარი), ტექსტების მომზადება, რედაქცია, გამოკვლევა და შენიშვნები ელენე ვირსალაძისა, თბილისი, 1958.
35. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტომი II, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და

განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1993.
36. https://iranicaonline.org/articles/dastur
37. https://en.wikipedia.org/wiki/Mobad
38. მაკალათია სერგი, ხევი, თბილისი, 1934.
39. ფუტკარაძე იაკობ, ხევისბერი, ქსე, ტომი XI, თბილისი, 1987.
40. ჯავახიშვილი ნიკო, ცხავატის ცეცხლიჯვრის საიდუმლო, რას მოგვითხრობენ სალოცავის მიდამოებში აღმოჩენილი ძველებური მონეტები, ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი", № 72, თბილისი, 2016.
41. დუნდუა თედო, დუნდუა გიორგი, ჯავახიშვილი ნიკო (ავტორთა კოლექტივთან ერთად), ფული საქართველოში, საქართველოს ეროვნული ბანკის მეორე შესწორებული გამოცემა, თბილისი, 2003.
42. ჯავახიშვილი ნიკო, ჭანური წარმომავლობის ქართული/მთიულური გვარის – ოგბაიძეთა ისტორიიდან, კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი (14-16. XI. 2022, თსუ), ეძღვნება მიხეილ ლოხვიცკის (აჯუკ-გირეის) ასი წლის იუბილეს, თბილისი, 2022.
43. Javakhishvili N., From the history of Mtiuletian/Georgian surname Ogbaidze of Lazi origin, Proceedings of I International Linguistic Antropological Congress of Caucasiologists (14-16. XI. 2022, Ivane Javakhishvili Tbilisi State University), Dedicated to centenary of Mikhail Lokhvitsky (Adzhuk-Girey), Tbilisi, 2022.
44. Джавахишвили Н., Из истории грузинской фамилии Огбаидзе – мтиулского рода лазского происхождения, Материалы I международного лингвистическо-пнтропологического конгресса кавказоведов (14-16. XI. 2022, ТГУ), Посвящается столетию Михаила Лохвицкого (Аджук-Гирея), Тбилиси, 2022 (https://drive.google.com/file/d/1TR5ImsQ3CWhgRirl851XfGUOiAyJTHVw/view)

**Niko Javakhishvili**
*Doctor of historical sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Chief scientist-researcher of the Department Modern and Contemporary History*

## From the history of the Ogbaidze surname (The origin, family branches, etymology, traditional clerical position)

### Summary

This reasearch of the history of Mtiuletian/Georgian surname – the *Ogbaidze* of Lazi origin, is devided into three parts. In the first part are identified the root of this family name – Ogbani – the village of Mtiuleti (mountainous region of north-east Georgia), the family branches and information about them defended in historical-folk-lore sourses, in the second – the etymology of the family name, and in the third – the traditional clerical position of the Ogbaidzes.

The branches (divisions) of Ogbaidze are: *Obgaidze, Obgadze and Gogbaidze,* which were formed as independent surnames in the 19th century. The base for the surname Ogbaidze is derived from the Lazian word **„Ogibu/Ogubu"** meaining **„boiling/cooking"**. As it turns out, the representatives of this family name, were traditionally the deacons of the shrine of the whole Tskhavati community – the Tsetskhlijvari (fire cross) built in the 8th-10th centuries, and whose honorable duty was to conduct ritual cooking; Having had this activity since ancient times, it became a bases for the surname „Ogiba-is-dze", the same „Ogbaidze" i.e. „ritual cookers".

The paper supposes, that this surname, besides the Lazi word „Ogibu", also includes the name **„Gibil",** which eneterd Lazian and megrelian languages from the Sumerian. In Sumerian mythology – Gibil is the god (divinity) of fire, variously of the son of An and Ki, An and Shala or of Ishkur and Shala. He later developed into the Akkadian god Gerra. In some versions of the Enûma Eliš Gibil is said to maintain the sharp point of weapons, have broad wisdom, and that his mind is „so vast that all the gods, all of them, cannot fathom it". Some versions state Gibil, as lord of the fire and the forge, also possesses wisdom of metallurgy.

Both words contexually are inteconnected (fire+cooking). Similar tight connection is seen between the Ogbaidze and Tskhavati ancient shrine ("Tsetskhlijvari", i. e. fire cross).

**ქეთევან მანია**
*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი*

# ქართულ-ბერძნული ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი ბეჭდურ მედიაში
## („დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მწყემსი“)

ქართულ-ბერძნულ ურთიერთობას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს, შორეულ წარსულში იღებს სათავეს. საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში სპეციალისტების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა და იწვევს დღესაც. არაერთი მკვლევარი შეეხო ბერძენთა მიგრაციის პრობლემას. საგანგებოდ იქნა შესწავლილი სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ საქართველოში – თრიალეთში, მესხეთსა და აფხაზეთში – მცხოვრები ბერძნების დასახლების ისტორია [1, 219-239; 2, 125-153]. მკვლევრის დაკვირვებით „არა გვაქვს არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ აწინდელ ბერძნულ მოსახლეობას საქართველოში რაიმე კავშირი ჰქონდეს იმ ძველ ბერძნულ მოსახლეობასთან, რომელიც ძვ. წ. VII საუკუნიდან გაჩნდა დასავლეთ საქართველოში“ [3, 219]. ბერძენთა დასახლების საკითხს ეხება პაატა გუგუშვილიც [4]. აფხაზეთში მცხოვრებ ბერძენთა ყოფა-ცხოვრების განხილვა წარმოდგენილია ნიკოლაი იოანიდის გამოკვლევაში [5]. მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ქართველთა გაბერძნების საკითხმა, რომლის ანალიზი საარქივო მასალების საფუძველზე მოცემულია იაკობ ახუაშვილის სტატიაში [6, 156-165]. ქართველი მართლმადიდებლების გაბერძნების თუ ბერძენ-ურუმების საქართველოში გადმოსახლების ისტორიას განიხილავს მეუფე ანანია ჯაფარიძეც [7]. პონტოელ ბერძენთა ისტორიის, კულტურის, ყოფისა და დიალექტის შესწავლას მიეძღვნა ავტორთა კოლექტიური მონოგრაფიაც [8]. ბერძნების ჩამოსახლების ისტორია, მათი განსახლების არეალი საარქივო მასალის და სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით გაანალიზებულია ავთანდილ სონღულაშვილის ნაშრომში [9]. საქართველოში მცხოვრები ბერძნების მდგომარეობა პოსტსაბჭოურ პერიოდში საინტერესოდ აქვს წარმოდგენილი ირმა კვაშილავას თავის გამოკვლევაში [10, 170-203].

არაერთ პუბლიკაციას უძღვნის XIX საუკუნის პრესა ბერძენთა გადმოსახლების საკითხს, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეთნიკური სურათის შეცვლით გამოხატული რუსული მმართველობა თავისი მიზნების განსახორციელებლად სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად, ბერძნებსაც იყენებდა. 70-იანი წლებიდან იწყება რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად დაცარიელებული შავი ზღვის სანაპირო ზოლის სხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხით, მათ შორის, ბერძნებით დასახლება [11]. ეთნიკური სურათის შეცვლის მცდელობა აისახა თვითსახელწოდებების შეცვლაში. ბერძნების ჩასახლების შემდეგ სახელი შეუცვლია აფხაზების სოფელ გუმას, სადაც 1879 წლიდან მთავრის, ნიკოლოზ მიხეილის ძის ნებართვით ტრაპეზუნტელი ბერძნები ჩაუსახლებიათ და სოფლისთვის მიხაილოვკა დაურქმევიათ [12].

„ფინიკიელნი, ბერძენნი, რომაელნი, გენუეზელნი, ოსმალნი და ქართველნი მორიგეობით ჰფლობდენ ამ გემოვანს ნაჭერს და თითოეული მათგანი ჰსტოვებდა მასზედ თავის მყოფობის კვალსა“ [13].

იმპერიალისტური პოლიტიკის წყალობით შავი ზღვის სანაპირო ზოლში განვითარდა ახალი სამეურნეო (თამბაქო) კულტურა, რამაც ჩაანაცვლა ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრე და მდიდარი აფხაზეთი გახდა უცხო იდენტობის ეკონომიკური სიძლიერის საფუძველი. აფხაზეთში თამბაქოს კულტურის გაშენება ბერძენ და სომეხ კოლონისტებს უკავშირდება: „ოფიციალური ცნობით, 1900 წელს სოხუმის ოლქიდან გაიტანეს 150 ათას ფუთამდე თამბაქო; პლანტატორთა რიცხვი სამი ათასამდის ავიდა“ [14].

როგორც ზემოთ მივუთითე, აღნიშნული საკითხი შედარებით უკეთ არის შესწავლილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. წინამდებარე ნაშრომში შევეხები მეორე არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხს – ბერძნების პრეტენზიებს ქართულ მიწებზე, რომლებმაც ჯერ ათონის ივერთა მონასტრიდან გამოაძევეს ქართველები, მერე საქართველოში ამ მონასტრისადმი შეწირული მამულების დაპატრონება სცადეს. მართალია, სპეციალისტთა ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ქართული სავანეებისა და სავანეებისადმი შეწირული მამულების ბერძნების მიერ მისაკუთრების ფაქტი [15, 69-86; 16, 53-59; 17, 176-190; 18], თუმცა, მე შევეცდები საკითხის ანალიზი წარმოვადგინო ბეჭდური მედია-მასალების ეთნოსიმბოლისტური რეპრეზენტაციით – საზოგადოებრივ პერცეფციებზე, ღირებულე-

ბებზე, მახსოვრობებზე დაკვირვებით განვიხილავ ბერძნების როლს ქართული იდენტობის ისტორიისათვის.

ცნობილია, რომ ათონის ივერთა მონასტერი მეათე საუკუნეში დაარსდა დავით კურაპალატის მეფობის დროს, იოანე და ექვთიმე მთაწმინდელების თაოსნობითა და ინიციატივით. ამ მონასტრისათვის საქართველოს მეფეებს და კერძო პირებს მრავალი განძი და უძრავი მამული უძღვნიათ. მეათე საუკუნიდან დაწყებული ქართველი ბერები შეუწყვეტლად მოღვაწეობდნენ. აქ ითარგმნებოდა სასულიერო ხასიათის წიგნები ბერძნულიდან ქართულად. აქ მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა ყოფილა დაცული. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისათვის ივერთა მონასტერი სრულებით დახშული ყოფილა ქართველი ბერებისათვის, რადგანაც ბერძენი ბერები ქართველ ბერებს მონასტერში არ უშვებდნენ.

ბერძნებისთვის მამულები 70-იან წლებში ჩამოურთმევია მმართველობას და სახელმწიფო საკუთრებად გამოუცხადებია. თუმცა, იერუსალიმის პატრიარქს გამოუთხოვია ხელმწიფე იმპერატორისათვის და ხელმეორედ ებოძათ ბერძნებს. ეს მამულები საქართველოს მეფე-მთავრებისგან იყო შეწირული იერუსალიმის, სინას და ათონის მონასტრებისთვის მაშინ, რათა უცხო მხარეში ამ მამულებით ერჩინათ თავი ქართველ ბერებს. შესანირავი მიმოფანტული იყო საქართველოს ყოველ კუთხეში: ქართლში, კახეთსა და იმერეთში. მაგრამ, როცა საქართველოს ბედი უკუღმა დატრიალდა და დამოუკიდებლობა შეირყა, შესუსტდა ქართველების მდგომარეობა ქართულ მონასტერებშიც. დრო იხელთეს ბერძენმა ბერებმა, ქართული სავანეებიდან ქართველი ბერები გამოდევნეს და მამულებიც ბერძნების ხელში გადავიდა. როცა რუსეთის მმართველობა დამყარდა საქართველოში, ათონის ბერძენმა ბერებმა გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები საქართველოს მეფეთა სიგელ-გუჯრებით და დაეპატრონნენ მონასტრის მამულებს.

„დროება" საინტერესო ცნობებს გვაწვდის ავნევის ხეობის სოფლების აღწერისას მიმდებარე სოფლების ბერძნებისთვის მიკუთვნების შესახებ:

„სახნავ-სათესი, ვენახ-ბაღებით სოფლების დირბისა, ტახტი-ძირისა და არკნეთისა შეადგენენ ბერძნის მონასტრების კუთვნილებას. დირბი და ტახტი-ძირი ეკუთვნიან იერუსალიმის ქრისტეს საფლავის მონასტერს. სოფ. არკნეთი კი, მგონი, ათონის მთას ეკუთვნის. ამათ გარდა დიდლიახვზე მდებარე სოფელი მეღვრეკისი საბეროა, ე. ი. სა-

მონასტრო, როგორც გამიგონია, ეკუთვნის სინის მთას. ქართლს გარდა ამ მონასტრებს აქვთ მამულ-ადგილი კახეთში, უფრო იერუსალიმის ქრისტეს საფლავის მონასტერს; აქვთ აგრეთვე ქ. თბილისში; დღეს თბილისში ბერების ეკლესიას შეადგენს ჯვარი-მამას ეკლესია. ამ ეკლესიას, როგორც ვიცით, აქვს სახლები, დუქნები. ყველა ჩამოთვლილ მამულების შემოსავალი იკრიფება მოურავებისაგან, რომელნიც დანიშნულნი არიან მონასტრებისაგან და შემოსილნი არხიმანდრიტ ხარისხით" [19].

ქართული სავანეებისთვის საქართველოში შეწირული მამულების მმართველად დანიშნული ბერძენი არქიმანდრიტი ბერები თავიანთი გემოვნებით მართავდნენ მონასტრის მამულებს. ეს მამულები ხალხით იყო დასახლებული და უფრო მეტად იმის ცდაში იყვნენ, რაც შეიძლება მეტი ფასი გამოერთვათ მოიჯარადეებისათვის. იმდენად დახარბებული ყოფილან, რომ აღარ კითხულობდნენ ხალხს გზა თუ სჭირდებოდა. ოღონდ „5-10 კაპ. აიღონ ქირა, და იმას აღარ დაგიდევს შესავალ-გასავალი გზაც იქმნება თუ არა?" [20].

ერთ-ერთი ასეთი შეწირული მამულის ბერძენი მმართველის არქიმანდრიტ ევგენიოსის მკვლელობაც მომხდარა თელავის მაზრის სოფ. ხოდაშენში. არქიმანდრიტის მკვლელობის გამო დაუპატიმრებიათ სამი პირი – ორი ბერძენი (ერთი არქიმანდრიტი ნიფონი, რომელიც ევგენიოსის გამოსაცვლელად ყოფილა გამოგზავნილი და მეორე ნიფონის მხლებელი) და ერთი ზემო ხოდაშენშივე მცხოვრები გლეხი სოლომონ ებიტაშვილი, რომელიც მოკლულ ევგენიოსთან მოჯამაგირედ მდგარა [21].

ძალმომრეობით წართმეული ათონის ივერთა მონასტრის დასაბრუნებლად ბერძნებთან დავა გაუმართავს მამა ბენედიქტე ბარკალაიას. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთი პირველი წერილი „ივერიაში" ქვეყნდება საისტორიო წერილების სერიაში „ზოგიერთი რამ ჩვენს ისტორიაზე, არხეოლოგიაზე, ყოფა-ცხოვრებაზე და სხვა". ავტორი დიმიტრი ბაქრაძე ყურადღებას ამახვილებს ათონის მთიდან მამა ბენედიქტეს მიერ ჩამოტანილი ძველი წიგნის საქართველოსათვის მნიშვნელობაზე. როგორც ირკვევა, მამა ბენედიქტეს ჩამოტანილი წიგნი საინტერესო ცნობებს შეიცავდა მეათე-მეთორმეტე საუკუნის ქართლის ცხოვრებისათვის. მამა ბენედიქტე საგანგებო მისიით ჩამოსულა საქართველოში. იგი თხოვნით მიმართავს ქართულ საზოგადოებას, ასევე მთავრობას, გაუწიონ დახმარება ათონის მთის ქართული კულტურის გადარჩენის საქმეში, სადაც ამ დროისათვს მამა ბენედიქტეს გადმოცემით, 1520

ქართველი, უმეტესად იმერეთიდან გამოსული ბერი მოღვაწეობდა [22]. „დროებაც“ მიმართავს ქართულ საზოგადოებას, „შემწეობა და თანაგრძნობა აღმოუჩინოს მამა ბენედიქტეს ამ საქმეში, რომელიც საქართველოს წარსულ ისტორიას და განათლებას დიდათ შეეხება“ [23].

წერილის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ აწმყო და მომავალ კეთილდღეობასთან ერთად საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარსული ცხოვრების გათვალისწინება. ეს ფაქტორი ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა წარმატების გზაზე დასადგომად. ქართველი ყოველთვის იხსენებს თავიანთ მამა-პაპათა სურათებს და ღირსსახსოვარ საქმეებს, რომლებიც ადამიანს ამხნევებს და სწვრთნის. თუ რომელიმე ოჯახის წევრი ივიწყებს თავის წინაპარს, ის ივიწყებს თავის თავს. საქართველო მდიდარია ღირსახსოვარი და ღირსსაცნობი ფაქტებით, მაგრამ საზოგადო ყურადღებას მოკლებულია, მოითხოვს მოძიებას, შეგროვებას, შენახვას.

მამა ბენედიქტე გულისტკივილს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ბერძენი მამები ძველ ქართულ წიგნებს და ქვებზე ზედ-წარწერებს ანადგურებდნენ, ძველი წიგნების ფურცლებს ბოთლების საცობად იყენებდნენ [24]. მამა ბენედიქტე იმოწმებს პლატონ იოსელიანის ცნობასაც, რომელიც ასევე, მიუთითებდა 1849 წელს ივერთა მონასტერში მოგზაურობის ჩანაწერებში, ქართული სიძველებისადმი ბერძნების უდიერ დამოკიდებულებას. მას შეუნიშნავს ივერიის მონასტერში უპატრონოდ დაყრილი ქართული წიგნები, რომელთა უმეტესი ნაწილი დაგლეჯილი ან დაკარგული ყოფილა, ან ბოთლის საცობად იყენებდნენ. უჩივლია თესალონიკის კონსულთან და ფაშასთან და ამგვარად აიძულა წიგნთსაცავი გაეკეთებინათ ქართული სიძველეების დასაცავად [25]. მოგვიანებით, 1900 წელს „ივერიის“ 26-ე ნომერში „ნ-ლი“-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში გერასიმე ნადარეიშვილი[1] საუბრობს მის მიერ ათონის მთაზე 1882, 1887 წლებში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე და ამ მოგზაურობების პერიოდში მომხდარ ცვლილებებზე. ტაძრის კარიბჭეზე მეფეთა გამოსახულების ზემოდან გერასიმე ნადარეიშვილს პირველი მოგზაურობის დროს დაუფიქსირებია ბერძნული წარწერა „მეფენი საქართველოსანი“, რომელიც მეორე მოგზაურობის დროს წარწერა „საქართველოს მეფენი, აღმაშენებელნი და განმაახლებელნი ივერიის მონასტრისა“ შეცვლილი დახვედრია

[1] ნ-ლი-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებული პუბლიკაციას ეკუთვნის გერასიმე ნადარეიშვილს რაც დასტურდება მის მიერვე გვიან გამოქვეყნებული წერილით („საქართველო“ 1920, №68).

წარწერით „ბიზანტიელნი მეფენი, აღმაშენებელნი ივერიის მონასტრისანი"; დედოფალ ნესტან-დარეჯანის მაგიერ ეწერა: „ირინე დედოფალი" [26]. ფაქტი ნათელი დადასტურებაა იმისა თუ როგორ ცდილობდნენ ბერძენი მამები ქართული კვალის წაშლას ათონის ივერთა მონასტერში.

ქართული წიგნების განადგურება-დაკარგვის ფაქტზე მიუთითებს დეკანოზი პეტრე კონჭოშვილიც ათონის მთაზე მოგზაურობისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში. იგი აღნიშნავს, რომ მოიკითხა ქართული წიგნები და თხოვდა ბერძენ მამებს ეჩვენებინათ მისთვის ქართული წიგნები, თუმცა, მათ ასეთი პასუხი გაუციათ: „ერთი ნაწილი ქართულის წიგნებისა დაიწვა, მეორე ამოჭრით დაიკარგაო და მესამე ნაწილიც „ექვსის ჯორის საპალნე წიგნები მოიპარესო". აი ასეთი მცველნი ჰყავს ივერიის მონასტერს. ოსმალნი უფრო კეთილ შობილად მოიქცეოდნენ ამ გვარს საქმეში, ვიდრე ივერიის მონასტრის ბერძენნი ძმანი" [27].

ივერიის მონასტრის ბერძენი[1] არქიმანდრიტი გერასიმე უარყოფს ქართული სიძველეებისადმი ბერძნების დამოკიდებულების შესახებ მამა ბენედიქტეს (რომელსაც სხვა მოგზაურებიც ადასტურებენ) ინფორმაციას და სიცრუეს უწოდებს [28]. თუმცა ფაქტია, რომ ათონის ივერთა მონასტერი ბერძენ ბერებს ჰქონდათ დაკავებული და ქართველ ბერებს შიგნით არ უშვებდნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართული სიძველეებისადმი ბერძნების დამოკიდებულების ამსახველი სხვა არაერთი ინფორმაცია გამოქვეყნდა ბეჭდურ მედიაში.

როგორც მამა ბენედიქტეს გერასიმე არქიმანდრიტის საპასუხო წერილიდან ირკვევა, მამა გერასიმეს საზღვარგარეთის დესპანებისთვის გადაცემულ სიჩივარში, რომლის ასლი მამა ბენედიქტეს მიუღია კონსტანტინეპოლის დესპანისგან, არწმუნებდა საზღვარგარეთის დესპანებს, რომ ათონის ივერთა მონასტერი არასოდეს ყოფილა ქართველთა მფლობელობაში, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ კი ბერძნებს გადაეცათო.

ქართული კვალის წაშლის მცდელობას ისტორიული ექსკურსის გაშლით პასუხობს მამა ბენედიქტე, ჰყვება მონასტრის ისტორიას – როგორ შეძლეს ქართველმა ბერებმა მეთერთმეტე საუკუნეში მონასტრის შენარჩუნება.

---

[1] არქიმანდრიტი გერასიმე იყო ათონის მთის საქართველოში მყოფი მამულების გამგებელი (გაზ. დროება, 1884, №76).

„კლიმენტოს ნავთ-საყუდელი, სადაცა არს ივერიის მონასტერი, დიდი საფასით მიყიდულ არს ვასილ მეორისაგან ქართველებისათვის, ფასად მისცა ორი მონასტერი, იოანე ნათლისმცემლისა სტამბოლში, მეორე წმ. ფოკას მონას. ტრაპზონში გარდა სხვა საფასისა და სიკეთისა, რომელიც დღესაც ჰსჩანს ათანასე ათონელის ნაწერში და დამტკიცებული ვასილი კეისრისაგან, რომელშიაც სწერს: არა ქონდეს უფლება პორტას, ე. ი. საბერძნეთის სასულიეროს, მხოლოდ ჰგიებდეს კეისრის მფარველობასა ქვეშე და შეერთება თავის სამშობლო მაღალ ეკლესიასთან. ათონის მთაზე აშენებული ივერიის მონასტერი საკუთარი ქართველთათვის არის, როგორც აცხადებს მეთერთმეტე საუკუნის დაწერილი მატიანე იმავე მონასტრისა. ბერძნები იყვნენ მონასტერში შეწყნარებული მხოლოდ მეჯოგეთ და მენავეთ. შემდგომ ქართველებმა თავისი სიწრფოებით შეინყნარეს ბერძნის საბერო მორჩილები ძმათა შორის“ [29; 30].

მამა ბენედიქტე, ასევე, ყურადღებას ამახვილებს, როგორ უპირებდნენ გამოძევებას ქართველებს და როგორ შეუდგინეს პატრიარქის მაგივრად წერილი, რომელსაც „ცვინგელიას“ უწოდებენ, თითქოს ქართველები ვერ უვლიდნენ მონასტერს და ამ მიზეზით პატრიარქისგან ტაძრის გადმოცემას ელოდებოდნენ. მამა ბენედიქტეს გადმოცემით, ქართველებმა მიუსწრეს საკითხთან დაკავშირებით პატრიარქის გადაწყევტილების მიღებამდე და დიდი ბრძოლით შეძლეს შენარჩუნება. „დაუმტკიცეს ქართველებს ოქროს ბეჭდითა წინამძღვრობით მამისა სვიმიონის ქართველისა, და ამიერითგან იყვნენ მშვიდობასა შინა, ვიდრე მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე. წერილი იგი დაშთა კონსტანტინეპოლში საპატრიარქო არხივში“ [31]. როდესაც ოსმალებმა აიღეს კონსტანტინეპოლი, პატრიარქს ყოველი საბუთი, რომელიც არქივში იყო დაცული ვენეციაში გაუგზავნია. ამ საბუთებს შორის იხსენიებს „ცვინგელიას“, რომლის პირი საჭიროებისამებრ წარსადგენად გადააღებინა [32]. არქიმანდრიტ გერასიმეს არზის შინაარსს გამოეხმაურა მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი წერილით „მოკლე ისტორია ივერიის მონასტრისა ათონის მთაზე“. წერილში წარმოდგენილია, ასევე, მონასტრების შენების ისტორიული რეპრეზენტაცია, ქართველი და ბერძენი ბერების ბრძოლა, მსჯელობა ათონის ივერთა მონასტრის კუთვნილებაზე, მამა ბენედიქტეს ღვაწლზე [33].

„ივერიის მონასტერი დაფუძნებულია და დამყარებული ქართველთა მეფეთა და მთავართაგან, მორწყული და გაპოხიერებული, ვითარ-

ცა ვენახი ქრისტესი, ცრემლთა ნაკადულითა, სისხლის ოფლითა და მოღვაწეობითა ქართველთა წმ. მამათა თორნიკე, იოანნე, ექვთიმე, გიორგი, გაბრიელის და სხვათა მამათა, რომელთა სახელები დაწერილ არიან წიგნსა ცხოველთასა" [34].

პუბლიკაცია კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ შეუძლებელია ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ღვაწლის ასე ადვილად წაშლა ისტორიის ფურცლებიდან.

დიდია მამა ბენედიქტეს (ბარკალაია) დამსახურება ათონის ივერთა მონასტრის დაბრუნების თვალსაზრისით. 1903 წლის „ივერია" იტყობინება რომ ის ჩასულა სტამბოლში და რუსეთის სტამბოლელ ელჩთან კიდევ ერთხელ აღუძრავს მონასტრის დაბრუნების საკითხი [35]. მიუხედავად იმისა, მის ღვაწლთან დაკავშირებით განსხვავებულ ვერსიასაც ვხვდებით პუბლიკაციებში [36; 37]. ჟურნალი „მწყემსი" აშინოვის საქმიანობას ადარებს მამა ბენედიქტეს მოღვაწეობას:

„ერთი აშინოვი გვპირდება ჩვენ, რომ იგი შემოუერთებს საქართველოს ნახევარ კონსტანტინეპოლს დარდანელის სრუტით, ხალკედონიას, მაკედონიას და თესალონიკეს ათონის მთით. ამავე დროს რუსებს რას პირდება, ამას ვინ მოსთვლის რუსეთის ვრცელ სახელმწიფოის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გარბის-გამორბის გულზე ხატ ჩამოკიდებული და ყველას ცრემლით ემუდარება: „მიშველეთ, ხელი გამიმართეთ, შემწეობა აღმომიჩინეთ და მე ვიცი რას ვიზამო, ბერძნებს გავრეკავ საბერძნეთიდან და მას საქართველოს შემოვუერთებო... ამგვარად შეკრებილი ფულებით თავის ნათესავების სახელზე ყიდულობს წისქვილებს, მამულებს და ვექსილებით ასესხებს ფულებს... ეს აშინოვიც კაი ფულს ჰკრებს ხალხში, ვითომ და საქართველოს დანგრეული მონასტრების შესაკეთებლად და განსამშვენებლად" [38].

მართალია, წერილში მამა ბენედიქტე არსად არის დასახელებული, მაგრამ ცხადია, რომ ამ პერიოდში უცხოეთის ქართული სავანეების დასაბრუნებლად ძალას და ენერგიას არ იშურებდა, მათ დასაბრუნებლად აგროვებდა შემოწირულობას, ამიტომაც განაპირობა „მწყემს"-ის პუბლიკაციამ მამა ბენედიქტეს განაწყენება [39]. დეკ. დავით ღამბაშიძე საპასუხო წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მამა ბენედიქტეზე არ გვქონდა პუბლიკაციაში საუბარი, ტყუილად გაგვინაწყენდაო, მაგრამ საპასუხო წერილს თუ დავაკვირდებით, აგრძელებს პოლემიკას და კრიტიკას:

„ჩვენ სულით და გულით ვსწუხვართ მონასტრების შემცირებას, მაგრამ, მართალი უნდა გითხრათ, სრულებით ჩვენ არაფერს გვიქადის

და არავითარს სარგებლობას არ მოუტანს ჩვენს მამულს სამეგრელოდამ რამოდენიმე პირის სათათრეთში გადახვეწა იმ აზრით, რომ მერე იქიდგან თავიანთ სარჩოსათვის ხალხი შეაწუხონ. ჩვენს მონასტრებს ათონის და სინას მთაზედ და იერუსალიმში მაშინ ჰქონდათ მნიშვნელობა, როდესაც ჩვენ ქვეყანას ქართველი მეფეები განაგებდენ. ამისთანა ისტორიული მნიშვნელობა რომ ვიღაცა ბარკალაებმა აღუდგინონ ჩვენ ხალხს, როგორც ამას ჰპირდებიან იგინი, ჩვენ არ გვწამს და არასოდეს არ ვერწმუნებით" [40].

ისეთი შთაბეჭდილება რჩება დეკანოზს არ მოსწონს ის გარემოება, რომ „ვიღაცა ბარკალაები" ცდილობენ აღუდგინონ ისტორიული მნიშვნელობა. იგი, ერთი მხრივ, ამბობს, რომ არ ვგულისხმობდი მამა ბენედიქტესო, მეორე მხრივ, ეკამათება მამა ბენედიქტეს საპასუხო წერილით და ამ წერილში მამა ბენედიქტეს საქმიანობის დაჩრდილვას ცდილობს, ადანაშაულებს მას შემოწირულობების პირადი მიზნით გამოყენებაში [41]. შემოწირულობების დახარჯვის თვალსაზრისით საინტერესოა მღვდელ დიმიტრი ჯანაშვილის ინფორმაცია, სადაც უფრო კონკრეტულად არის მითითებული თუ როგორ დაიხარჯა შეგროვილი თანხა. ამასთან, გამოკვეთილია ამ საქმეში მამა ბენედიქტეს დამსახურებაც [42].

მაგრამ მამა ბენედიქტე არ იყო მარტო ამ ბრძოლაში. მას გვერდით დაუდგა ქართული საზოგადოების ნაწილი, რომელმაც გააცნობიერა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთათვის ამ ბრძოლას. „ივერიაში" ქვეყნდება ათონის ივერთა მონასტრის მამების დეკანოზ პეტრე კონჭოშვილისათვის გაგზავნილი წერილი მისივე წინასიტყვაობით, სადაც აღწერილია თუ როგორ შევიწროებული იყვნენ ბერძენი მამებისგან [43].

ამ ბრძოლაში თავადაზნაურთა წინამძღოლების შუამავლობით 1883 წლიდან დავა გაუმართავთ რათა „დაუბრუნდეს ათონის ქართველთა სავანის ძმათა ათონის ივერიის მონასტერი თავის მამულებით, ვითარცა სამკვიდრებელი ქართველი ერისა... ამ წერილის წამკითხველი ანუ მომსმენი ქართველი საზოგადოება, განურჩევლად წოდებისა და სქესისა, ვისაც-კი მცირედი სიყვარული უღვივის გულში სამშობლოს მიმართ, მოვალეა წინაშე ღმრთისა და კაცობრიობისა აღმოუჩინოს შემწეობა ქართველთა ათონის სავანის ძმათა გამოსახსნელად მათდა ბერძენთა ბერთა მტარვალობისგან, ამას მოითხოვს ჩვენი ეროვნული ღირსება, პატივი, ძველი ისტორიული დიდება ქართველის ერისა და მოყვასთა მიმართ სიყვარული..." [44].

ეპიზოდით, ცხადია, ისტორიული მეხსიერების დაცვა ეროვნული ღირსების დაცვის ტოლფასია.

მედია სათანადო შეფასებას აძლევს მამა ბენედიქტეს მოღვაწეობას:

„მან ჩასდგა საძირკველი და შესაძლებელი გახადა ბერძნის ბერებთან ბრძოლა და მათგან ივერიის მონასტრის დაბრუნების სურვილი აღძრა ქართველთა შორის“ [45].

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიულ რეპრეზენტაციას, ხალხისთვის საკითხის ისტორიის მიწოდება-პოპულარიზაციას.

ამ მხრივ აღსანიშნავია ზემოთ ხსენებული მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილის პუბლიკაცია „მოკლე ისტორია ივერიის მონასტრისა ათონის მთისა“. ამავე მიზანს ემსახურებოდა 1911 წელს გაზეთ „შინაური საქმეებში“ გამოქვეყნებული წერილი „დაკარგული დიდება“. „დღეს ძლივს თუ ათასში ერთმა იცის სად არის ეს დიდებული მონასტერი, რა მნიშვნელობა ჰქონდა მას საქართველოს ისტორიაში და რა განძს წარმოადგენს იგი დღესაც ჩვენს გაღატაკებულ ეკლესიასა და საღვთისმეტყველო ლიტერატურისთვის. ბევრ მღვდელთან შემხვედრია პირადათ მე ლაპარაკი ათონის მონასტრის შესახებ და ყოველთვის განცვიფრებული დავრჩენილვარ მათი უვიცობისაგან“. ამ დროისთვის რუსულ ენაზე გამოცემული ყოფილა ათონის ივერთა მონასტრის აღწერილობა ნატროშვილის მიერ. მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის, რომელმაც მხოლოდ საყველპურო რუსული იცოდა, ცნობილი არ იყო. ამ მიზეზით ავტორი საჭიროდ თვლის ესაუბროს თავის მკითხველებს ათონის ივერთა მონასტრის მნიშვნელობაზე სწორედ ნატროშვილის წიგნზე დაყრდნობით. წიგნში მოთხრობილი ყოფილა მონასტრის აშენების ისტორია და მასზე უფლების შესახებ ქართველთა და ბერძენთა ცილობის ისტორია. „საჭიროა ყველა ჭეშმარიტ ქართველს თვალწინ ედვას ეს წიგნი, რათა მუდამ ახსოვდეს, რომ იგი მოვალეა იზრუნოს ივერიის მონასტრის კვლავ დაბრუნებისათვის, რომელიც 12000 ქართველის სისხლით და ძვლებით არის ანაშენი და შეძენილი თავის ადგილმდებარეობით“ [46].

მიზანი ქართული საზოგადოების გამოფხიზლებაა: „ყველა ეროვნებას ქართველების გარდა შერჩენიათ თავისი მონასტრები... მარტო ქართველებმა დაჰკარგეს ეს უფლება და ამის მთავარი მიზეზი, რასაკვირველია, სხვა ეროვნების ბერების გამრავლება-კი არაა, არამედ თვით ჩვენი სიჩუმე და ხმის ამოუღებლობა“ [47]. „კმარა ამდენი ძილი,

დროა გავიღვიძოთ და მამა-პაპის დანატოვარს მაინც მოვუაროთ თუ ახლის შეძენა არ შეგვიძლია“ [48].

მედია ქართული საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულებაზე საუბრობს და მოუწოდებს, რომ არ იყვნენ ინდიფერენტულნი საზოგადო საქმისადმი.

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, საქართველოს პოლიტიკური სისუსტის პერიოდში უცხო იდენტობა ხელიდან გვაცლიდა კულტურულ საგანძურს, მამა-პაპისეული სისხლით და ძვლებით შექმნილ-გაპოხიერებულ ქართულ სავანეებს. ამასთან, პრეტენზიას აცხადებდა საზღვარგარეთის ქართული სალოცავებისათვის შენირულ საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე. აღნიშნული ფაქტის საპასუხოდ ქართულმა ბეჭდურმა მედიამ აქტიური პროპაგანდა გაშალა ნაციონალური გრძნობების გასაღვივებლად და გასაძლიერებლად ქართველ მკითხველებში. ისტორიული მეხსიერების რეპრეზენტაციით მედია აღძრავდა ეროვნულ სენტიმენტებს და ახდენდა საერთო დარაზმულობას ტერიტორიული თუ კულტურული იდენტობის დასაცავად.

**დამოწმებული ლიტერატურა:**


1. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1942.
2. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946.
3. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1942.
4. პ. გუგუშვილი, თურქეთის საფაშოებიდან სომეხთა და ბერძენთა გადმოსახლება საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, ტ. 1, თბილისი, 1949.
5. Н. Иоаниди, Греки в Абхазии, Сухуми, 1990.
6. ი. ახუაშვილი, ბერძნული ახალშენები ქვემო ქართლში, მნათობი, 1989, №12.
7. ა. ჯაფარიძე, ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში, თბილისი, 1997.
8. ლ. ბერძენიშვილი, ი. გარაყანიძე, რ. გორდეზიანი, ა. მიქაბერიძე, ნ. ტონია, მ. ფხაკაძე, მ. შახპაზიდი, ა. ჩეპიდი, ნ. ჯანაშია, ბერძნები საქართველოში, თბილისი, 1990.
9. ა. სონღულაშვილი, ბერძნები საქართველოში, თბილისი, 2004.

10. ი. კვაშილავა, საქართველოში მცხოვრები ბერძნები პოსტსაბჭოურ პერიოდში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, XV, თბილისი. 2013.
11. გაზეთი „ივერია“ 1905. №8.
12. გაზეთი „ივერია“ 1901. №41.
13. გაზეთი „დროება“ 1884. №266.
14. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1902. №1729.
15. კ. კეკელიძე, მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურული კერისა ათონზე და მისი მდგომარეობა მე-16-17 საუკუნეებში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1955.
16. ბ. კანდელაკი, ათონის ივერთა მონასტერი, ძეგლის მეგობარი, 1970, №22.
17. ზ. ჭუმბურიძე, ქართული კულტურის ათასწლოვანი სავანე, განთიადი, 1982, №2.
18. ა. ალექსიძე, ათონი ათასწლოვანი (ათონის ივერთა მონასტერი), თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1982.
19. გაზეთი „დროება“, 1884, №219.
20. გაზეთი „ივერია“, 1897, №175.
21. გაზეთი „ივერია“, 1891, №3.
22. გაზეთი „ივერია“, 1877, № 8.
23. გაზეთი „დროება“, 1878, №229.
24. გაზეთი „დროება“, 1882, №226.
25. გაზეთი „დროება“, 1882, №268.
26. გაზეთი „ივერია“, 1900, №26.
27. გაზეთი „ივერია“, 1899, №259.
28. გაზეთი „დროება“, 1882, №236.
29. გაზეთი „დროება“, 1882, №267.
30. ჟურნალი „მწყემსი“, 1884, №1.
31. გაზეთი „დროება“, 1882, №267.
32. გაზეთი „დროება“, 1882, №267.
33. გაზეთი „დროება“, 1884, №76, №77, №78, №79, №80.
34. გაზეთი „ივერია“, 1899, №259.
35. გაზეთი „ივერია“, 1903, №266.
36. გაზეთი „დროება“, 1876, №112.
37. გაზეთი „შინაური საქმეები“, 1912, №6.
38. ჟურნალი „მწყემსი“, 1889, №4.

39. გაზეთი „ივერია“, 1889, №71.
40. ჟურნალი „მწყემსი“, 1889, № 11:9.
41. ჟურნალი „მწყემსი“, 1889, № 12:9.
42. გაზეთი „დროება“, 1884, №80.
43. გაზეთი „ივერია“, 1899, №220.
44. გაზეთი „ივერია“, 1899, №217.
45. გაზეთი „შინაური საქმეები“, 1912, №1.
46. გაზეთი „შინაური საქმეები“, 1911, №28.
47. გაზეთი „ივერია“, 1900, №26.
48. გაზეთი „შინაური საქმეები“, 1911, №35.

**Ketevan Mania**
*Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior-research associate of the Department of Modern and Contemporary History*

## Some issues of Georgian-Greek relations in print media (Droeba, Iveria, Tsnobis Purtseli, Mtskemsi)

### Summary

In the XIX century, during the ordeal of Georgian identity, the claims of a foreign identity, the Greeks, on the Georgian lands became active. The Greeks expelled the Georgians from the Monastery of Iviron in Athos and tried to take possession of the lands donated to this monastery in Georgia.

In this work, an attempt to represent the above mentioned issue in print media is presented with an ethnosymbolist approach. By observing public perceptions, values, and memories, the role of Greeks in the history of Georgian identity is analyzed.

Through the analysis of media material, it was found that the Georgian press engaged in active propaganda in the conditions of denationalization in order to arouse and strengthen national feelings among Georgian readers. Through the representation of historical memory, the media aroused national sentiments and mobilized collective efforts to protect territorial or cultural identity.

**არჩილ ჩაჩხიანი**
*თადარიგის პოლკოვნიკი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვის ანალიზის მიმართულების პროფესორი*

# 1920 წელი – ბოლშევიკური წითელი შენაერთების შემოსვლა შავიზღვისპირეთში

1918 წლის მეორე ნახევრიდან დაწყებული გენერალ ანტონ დენიკინის „მოხალისეთა არმიამ“ („დობროარმია“) ჩრდილოეთ კავკასიიდან წითელარმიული შენაერთები განდევნა და რეგიონის სრული ოკუპაცია მოახდინა. ამავე დროს, I მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, ანტანტის უმაღლესი საბჭოს გადაყვეტილებით, ამიერკავკასია ბრიტანელთა ერთპიროვნული მანდატის ზონად ცხადდება, სადაც შემოსვლას იწყებენ ბრიტანული საოკუპაციო ჯარები. ბრიტანელები ტრიუმფატორებად შემოვიდნენ ამიერკავკასიაში და, შესაბამისად, მათი შემდგომი მოქმედებების სტრატეგიას ომში გამარჯვებულის სტატუსი განაპირობებდა.

1919 წლის თებერვალში მოხალისეთა არმიამ მთლიანად დაიკავა ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთი და საქართველოს შავიზღვისპირა ზოლი გაგრის ჩათვლით, მდინარე ბზიფამდე. ბზიფის მარცხენა სანაპიროზე კი ქართული გარნიზონი განლაგდა.

მოხალისეთა არმიის მიერ ტუაფსეს, სოჭისა და გაგრის დაკავებას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრად გაუარესება მოჰყვა შედეგად. დამყარდა მმართველობის სამხედრო ფორმა. დაიწყო რეპრესიები, ტერორი, თვითმმართველობის დემოკრატიული ინსტიტუტების გაუქმება, „ძველი წესრიგის“ რესტავრაცია. მიწები ისევ თავიანთ ძველ მფლობელებს დაუბრუნდათ. ჩაატარეს საქონლის, ფურაჟის, საზიდრების რეკვიზიციები. ისტორიულ წყაროებში მოხალისეთა სისასტიკის არაერთი ფაქტია აღწერილი.

ბუნებრივია, თბილისი რეგიონში შემოყვანილი ბრიტანული ჯარების სარდლობისაგან სასწრაფო და რადიკალური ზომების მიღებას მოელოდა, მაგრამ ამაოდ. მოსახლეობაში საპროტესტო განწყობები გაძლიერდა. საერთო ჯამში, გლეხებმა და კაზაკობის უმრავლესობამ არ მიიღო მონარქიის აღდგენის იდეა, აკრძალა რა, როგორც მისი, ასევე ბოლშევიზმის პროპაგანდა [1]. ნათელი გახდა,

რომ საჭირო იყო სოჭისა და სოხუმის ოლქის დემოკრატიული ძალების კონსოლიდაცია, რეალური ქმედებების განხორციელება.

შეიძლება ითქვას, რომ შავიზღვისპირეთში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები, რომელიც აქამდე ბოლშევიკების წინააღმდეგ იყო მიმართული, არ ჩამქრალა, იგი ისევ გრძელდებოდა, ოღონდ უფრო შეზღუდულ ფორმებში. სოჭის ოლქის ერთ-ერთ მთიან სოფელში გაიმართა ესერებისა და სოციალ-დემოკრატების მიერ ორგანიზებული შავიზღვისპირეთის გლეხთა ყრილობა, რომელზეც შეიქმნა განსაკუთრებული ორგანო – „შავი ზღვის გუბერნიის განთავისუფლების კომიტეტი“ და შავიზღვისპირეთის გლეხთა ცენტრალიზებული სამხედრო რაზმი. ამ რაზმში რეგიონში მოქმედი გლეხთა საბრძოლო რაზმების, – ე. წ. „მწვანეთა“ – სხვადასხვა ჯგუფები და რაზმები გაერთიანდნენ. განთავისუფლების კომიტეტის დაქვემდებარებაში ათასზე მეტი გამოცდილი მებრძოლი მოექცა [2, 63]. გამოცხადებულ იქნა, რომ სოჭის ოლქის მოსახლეობისათვის ერთნაირად მიუღებელი იყო როგორც ბოლშევიკთა დიქტატურა, ასევე დენიკინის არმიის პოლიტიკა. „განთავისუფლების კომიტეტის“ თავმჯდომარედ ცნობილი ციმბირელი ესერი, მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი, ვასილი სამარინ-ფილიპოვსკი აირჩიეს, ხოლო შეიარაღებული რაზმის მეთაურად, სოჭელ ესერთა ლიდერი – ნიკოლაი ვორონოვიჩი.

ყრილობაზე ნათლად ჩამოყალიბდა „განთავისუფლების კომიტეტის“ ძირითადი მიზნები და ამოცანები – წინ აღდგომოდა ბოლშევიკურ აგრესიას, ორგანიზება გაეკეთებინა საყოველთაო ანტიდენიკინური შეიარაღებული აჯანყებისათვის და ოლქში „გლეხთა სახალხო ხელისუფლება“ დაემყარებინათ. ფაქტობრივად, ეს იყო დემოკრატიულ საწყისებზე არჩეული შავიზღვისპირეთის რეგიონის სამხედრო მმართველობითი ორგანო, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა. ყრილობის მიერ არჩეულ კომიტეტს დაევალა დენიკინის არმიის წინააღმდეგ გეგმიური ბრძოლის ორგანიზება, ყუბანის რადასთან მოლაპარაკებების წარმოება ყუბანი-შავიზღვისპირეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის თაობაზე, ასევე ევროპის ქვეყნებისა და ამერიკისთვის მიმართვის გაგზავნა, მათი მხრიდან დენიკინის რეაქციული რეჟიმის მხარდაჭერაზე პროტესტით. პირველ რიგში კი მიმართვები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებას და ქართველ ხალხს გაეგზავნა:

„ქართველო ძმებო და თავისუფალი საქართველოს სხვა ხალხებო!

ავწიეთ რა რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა, ჩვენ, შავიზღვისპირეთის გლეხობა, მოგმართავთ ძმური სალმით. ჩვენს უახლოეს მიზნად შავიზღვისპირეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა დავისახეთ და გვსურს დავამყაროთ კავშირი სხვა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან რევოლუციური მონაპოვრებისა და ხალხთა თავისუფლების ერთობლივი დაცვისათვის.

და პირველ რიგში ჩვენი მზერა დემოკრატიული საქართველოსაკენ არის მიმართული...“ [2, 55].

შავიზღვისპირეთის კომიტეტმა მიმართვა „რუსეთის კომუნისტური პარტიის ყველა წევრს და სახალხო კომისართა საბჭოსაც“ გაუგზავნა, სადაც ხაზგასმული იყო საერთო ამოცანის – სოციალიზმის დამყარების პრიმატი და დენიკინის მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა. აქვე იყო დაყენებული მკაცრი მოთხოვნა, რომ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დროს შეხვედრის შემთხვევაში, წითელი არმიის არც ერთ ჯარისკაცს ფეხი არ უნდა შეედგა შავიზღვისპირეთის რესპუბლიკის საზღვრებში.

შავიზღვისპირეთისა და სოხუმის ოლქის მოსახლეობაში „მწვანე მოძრაობა“ აგორდა, დაიწყო ანტიდენიკინური მცირე პარტიზანული რაზმების, ე. წ. „მწვანეების“, ორგანიზება და მოქმედება, რაც ძლიერ მხარდამჭერ ფაქტორად იქცა მდ. ბზიფთან კონცენტრირებული სახალხო გვარდიის ქვედანაყოფებისათვის სრულმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების დასაწყებად. აღსანიშნავია მოქმედებების ის კოორდინაციაც, რაც „მწვანეთა“ ლიდერებსა და ქართული ქვედანაყოფების მეთაურებს შორის დამყარდა.

1919 წლის თებერვალში „სამხრეთ რუსეთის მთავრობის“ მიერ მოსახლეობის არმიაში გაწვევა გამოცხადდა. მაგრამ გამწვევ პუნქტებში ხალხი ფაქტობრივად არ გამოცხადდა, მათ თავი აარიდეს ამ კომპანიას. ისე ჩანდა, რომ მოსახლეობამ ღიად გაუკეთა იგნორირება დენიკინის ბრძანებას „იმ პირთა სამხედრო-საველე სასამართლოზე გადაცემის შესახებ, რომლებიც არ გმოცხადდნენ გასაწვევ პუნქტებში და თავი აარიდეს სამხედრო ვალდებულებას“. გაწვევის ბრძანებას სოჭის ოლქის უფროსის №303 ბრძანება მოჰყვა, „დამნაშავე პირთა“ დასჯის შესახებ: „იმ პირების მაგივრად, რომლებმაც თავი აარიდეს მობილიზაციას, პასუხს აგებს იმ სოფლის მოსახლეობა, სადაც დეზერტირთა ოჯახები ცხოვრობენ. ამავე

დროს, ის დეზერტირები, რომლებიც იქნებიან დაჭერილნი, დაუყოვნებლივ გადაეცემიან სამხედრო-საველე სასამართლოს და გასამართლდებიან საომარი მდგომარეობის წესებით. ხოლო ის პირები, რომლებმაც თვითნებურად მიატოვეს საგუშაგოები, სიკვდილით დაისჯებიან". მიუხედავად ამ ბრძანების კატეგორიული ტონისა, 1919 წლის მარტში ჩატარებულმა მობილიზაციის პროცენტულმა მაჩვენებელმა სოჭის ოლქში სულ რაღაც 9% აჩვენა. მოსახლეობამ მთებში დაიწყო გახიზვნა [3].

დენიკინელთა ამ მოქმედებების აღკვეთის მიზნით, ტუაფსესა და სოჭის ოლქის 21-მა სოფლსაბჭომ თავისი დელეგატები გააგზავნა გაგრაში ბრიტანულ სარდლობასთან პროტესტის გამოსახატავად, მაგრამ ამ საჩივრებზე საოკუპაციო ჯარების სარდლობას ქმედითი რეაგირება არ მოუხდენია. პოლკოვნიკმა ფაინსმა მიიღო გლეხთა დეპუტატები, მაგრამ მისი პასუხი ერთობ გულგრილი და ცინიკურიც კი იყო: „მოხალისეებმა ჩემს თვალწინაც რომ დაგხოცონ, თქვენი გამოსარჩლების უფლება იმ შემთხვევაშიც არ მექნებოდა, რადგან გენერალი დენიკინი და მისი არმია კანონიერ ხელისუფლებას წარმოადგენს, რომელსაც სცნობს ინგლისის სამეფოს მთავრობა" [3].

ასე დაიწყო ახალი სისხლიანი ვანდეა შავიზღვისპირეთსა და აფხაზეთში, რომლის წინააღმდეგ მიმართული პირველი ნაბიჯები „მწვანეების" – გლეხთა ადგილობრივი პარტიზანული მოძრაობის – ორგანიზება იყო. იქმნებოდა სხვადასხვა პარტიზანული რაზმები, სადაც ძირითადში იმ სოფლების მოსახლეობა ერთიანდებოდა, რომლებმაც თავი აარიდეს დენიკინისეულ გაწვევას: პლასტუნკა, ორეხოვო-პოლიანა, ნავაგინკა, მამაიკა, აჟექი და სხვა. პარტიზანთა უმეტესობას ქართველი და რუსი გლეხები შეადგენდნენ [3].

დენიკინელთა წინააღმდეგ გამართული პირველივე ბრძოლა სოფელ პლასტუნკასთან დენიკინელთა მარცხით დასრულდა. შემდეგ „მწვანეებმა" ხოსტიდან განდევნეს დენიკინელები და გაგრაზე შეტევაც დაგეგმეს. „მწვანე არმია – ეს ჩვენი, გლეხთა ჯარია, რომელიც ადრე თუ გვიან განდევნის „კადეტებს",[1] – ასეთი იყო შავიზღვისპირეთის გლეხთა მრწამსი.

---

[1] კადეტები – ამ დასახელებით მოიხსენიებდნენ შავიზღვისპირეთის გლეხები გენერალ ანტონ დენიკინის ე. წ. „მოხალისეთა არმიას" და „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს".

პირველი პარტიზანული რაზმები მცირერიცხოვანი იყო, ხოლო მებრძოლთა შეიარაღება – ერთობ მწირი. თეთრი ტერორის გაძლიერებასთან ერთად იქმნება ისეთი მსხვილი და ბრძოლისუნარიანი რაზმები, როგორებიც იყო ვოლკოვსკის (მეთაური ვ. ბალონკიენი), ვორონცოვო-ხოსტის (გ. გრუშა და ნ. ბარიბანი), პლასტუნკის (კ. კაზნოდეი). სულ სოჭის ოლქში 1919-1920 წლებში მოქმედებდა დაახლოებით 15 პარტიზანული რაზმი [4]. როგორც კავკასიაში მოსკოველ ბოლშევიკთა საგანგებო კომისარი, სერგო ორჯონიკიძე აცხადებდა, სოჭის ოლქში საერთო-სახალხო აჯანყებას მკვეთრად ანტიდენიკინური ხასიათი მიეცა [5, 31]. არქივებში შემონახულია გენერალ ვიქტორ პოკროვსკის ბრძანება, რომელსაც იმ მომენტისათვის მოხალისეთა არმიის ყუბანის კორპუსის სარდლის თანამდებობა ეკავა. ბრძანებაში ვკითხულობთ: „მე მტკიცედ გადავწყვიტე, ბოლო მოვუღო ამ ბოროტებას – მწვანე არმიას. მოვითხოვ, რომ მწვანე არმია ყუბანში აღარ არსებობდეს. სოფლები და ხუტორები, სადაც მწვანეარმიელები არიან ჩაბუდებულები, მიწასთან გასწორდება“ [6].

მარტის ბოლოს მოსახლეობა და „მწვანეები“ აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ. ისინი საკმაოდ ეფექტურად მოქმედებდნენ და პირველ ხანებში გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს პლასტუნკის, ლოოს, დაგომისის, ხოსტისა და ადლერის მიდამოებში, სადაც თეთრგვარდიელთა საგუშაგოებსა და კომუნიკაციებზე სწრაფი და მოულოდნელი თავდასხმებით მნიშვნელოვნად შეასუსტეს დენიკინელთა ზურგი.

1919 წლის 2 აპრილს მოხალისეთა არმიის სარდლობამ წინადადება მისცა პარტიზანებს, დაეწყოთ მოლაპარაკებები. შეხვედრა სოფ. პილენკოვოში შედგა, სადაც ყველა აჯანყებული სოფლის თითო-თითო ლიდერი იყო წარმოდგენილი. შეხვედრაზე მოხალისეთა არმიის წარმომადგენლის, პოლკოვნიკ კარდაშოვის მიერ მკაცრი მოთხოვნები იქნა წარდგენილი, რაც საერთო ჯამში მუქარაში გადაიზარდა: „თუ არ იქნება შესრულებული ჩვენი მოთხოვნები, – განაცხადა პოლკოვნიკმა, – მაშინ მე იძულებული ვიქნები... შეუჩერებლად ვიარო წინ, და გზადაგზა პირისგან მიწისა აღვგავო ყველაფერი, როგორც ეს გავაკეთეთ სოფელ ესტონკა-სალმეში. თქვენ თვითონ შეიცოდეთ თქვენი თავი“ [3].

1919 წლის აპრილის ბოლოს საქართველოს გვარდიულმა რაზმებმა „მწვნეების“ მხარდაჭერით დენიკინელები სოხუმის ოლქიდან განდევნეს და ადლერამდე მიაღწიეს. მაგრამ ბრიტანელების ჩარევით ქართული ქვედანაყოფების წინსვლა შეჩერებულ იქნა და მათ

მდინარე ფსოუმდე დაახევინეს, სადაც ბრიტანული სამხედრო გარნიზონი იქნა ჩაყენებული. „სამხრეთ რუსეთისა“ და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკებს შორის მდინარე ფსოუზე დე-ფაქტო საზღვარი დაფიქსირდა.

დაწყებული 1920 წლის იანვრიდან, მწვანე არმიის წარმატებული ბრძოლების სერია გაგრძელდა. „მწვანე არმიის“ საბრძოლო რაზმებს ადგილობრივი მოსახლეობიდან არჩეული ლიდერები – როშჩენკო, სკობელევი, კაზანსკი, ძიძიგური, გვასალია, უჩაძე მეთაურობდნენ. 1920 წლის იანვრის ბოლოს „მწვანე არმიის“ საბრძოლო რაზმების გაერთიანებულმა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა მოხალისეთა არმიის 52-ე ბრიგადა და მდინარე ფსოუდან ტუაფსემდე ტერიტორიებიდან განდევნა დენიკინელები. მწვანეებმა ალაფად მოიპოვეს 4 ქვემეხი, 16 ტყვიამფრქვევი, 700 შაშხანა, 500000 ვაზნა. ტყვედ კი მოწინააღმდეგის 800 მებრძოლი ჩაიგდეს ხელთ. გლეხთა ლაშქრის დანაკარგები მინიმალური იყო – 6 მოკლული და 20 დაჭრილი [7].

მწვანეთა რაზმებში გაერთიანებით მოსახლეობამ ბრძოლის პარტიზანულ მეთოდებს მიმართა – ჩასაფრება, რეიდი, სწრაფი და ხანმოკლე იერიშები, ბრძოლიდან სწრაფი გასვლა, მიმალვა. მათ რამდენიმე წარმატებული თავდასხმა განახორციელეს ხოსტაზე, ადლერზე, დენიკინელთა სამხედრო საგუშაგოებზე, ტყვედ აიყვანეს ხელისუფლების წარმომადგენლები და ოფიცერთა დიდი ჯგუფი. შემდეგ ისევ მთებში გაუჩინარდნენ, თან მათკენ მიმავალ გზებზე დაბრკოლებები აღმართეს. პარტიზანების საბრძოლო აქტივობას დენიკინელთა შესაბამისი რეაქცია მოჰყვა შედეგად. პარტიზანული თავდასხმებისა და იერიშების საპასუხოდ დაიწყო სოჭის ყრილობის დელეგატთა დაპატიმრებები და დახვრეტები.

მიუხედავად მოსახლეობაში მენშევიკთა და ესერთა დიდი პოპულარობისა, მთელი ამ ხნის გამავლობაში სოჭის ოლქის ბოლშევიკებს საქმიანობა არ შეუწყვეტიათ. ამ ეტაპზე, რეგიონის ბოლშევიკებმა, როგორც მოსახლეობაში არაპოპულარულმა და მიუღებელმა ძალამ, თავიანთი მოქმედებების ტაქტიკა შეცვალეს. ისინი იატაკქვეშეთში გადავიდნენ. აქცენტები აგენტურულ და პროვოკატორულ საქმიანობაზე იქნა გადატანილი, რისი გამოცდილებაც ბოლშევიკებს ნამდვილად დიდი ჰქონდათ.

აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1918-1919 წლებში შავიზღვისპირეთის გლეხთა ლაშქართან დამარცხებული წითელარ-

მიელებისა და თეთრგვარდიელების გარკვეული ნაწილი მწვანეთა მხარეს გადადიოდა. უფრო მეტიც – მოხალისეთა არმიის ეს ტყვე ჯარისკაცები უმეტესწილად იმ ყოფილ წითელარმიელებს წარმოადგენდნენ, რომლებიც ჯერ კიდევ 1918 წელს იქნა ტყვედ აყვანილი დენიკინელთა მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი წითელი არმიის განადგურების შემდეგ. იმის გამო, რომ სახალხო ლაშქარი უკვე 5000-ზე მეტ მებრძოლს ითვლიდა და გლეხთა რაზმები ძალიან გადაიღალნენ უწყვეტი ბრძოლებისაგან, ამავე დროს, სოფლად გადაუდებელი საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარების მიზნით, მთავარმა შტაბმა მწვანეარმიელი გლეხების სახლებში გაშვების გადაწყვეტილება მიიღო. ეს იყო შეცდომა, დიდი შეცდომა, საბედისწერო გადაწყვეტილება, რადგან ფრონტზე მწვანეთა რაზმებში მებრძოლი მხოლოდ ტყვედყოფილი წითელარმიელები და დენიკინელები, ანუ ისევ ყოფილი წითელარმიელები, დარჩნენ [2, 123].

ამ ფაქტმა კი, ბოლშევიკთა შემდგომი აგენტურული და პროპაგანდისტული საქმიანობისათვის ნოყიერი ნიადაგი შექმნა. ჯერ კიდევ 1919 წლის 31 დეკემბერს კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი, ანასტას მიქოიანი[1] რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს ატყობინებდა: „მწვანე არმიის წევრები უკმაყოფილო გლეხები არიან – ყოფილი ჩრდილოკავკასიელი წითელარმიელები და დენიკინის არმიის დეზერტირები ყიზლარის და, განსაკუთრებით, შავიზღვისპირეთის გუბერნიის ნოვოროსიისკისა და ტუაფსეს რაიონებიდან. ისინი უკვე დიდი ხანია, რაც საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან დენიკინელებთან და ამიტომ საუკეთესო მოკავშირეებს წარმოადგენენ ჩვენთვის. სამხარეო კომიტეტმა ენერგიული ზომები უნდა მიიღო მათთან კავშირის დამყარებისა და მათი გამოყენებისათვის, მოწინააღმეგის ზურგის განადგურების მიზნით“ [6].

და მართლაც, ბოლშევიკთა კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ სულ მალე დაიწყო სოჭის ოლქის განთავისუფლების კომიტეტში აგენტურული ქსელის ორგანიზება – ბოლშევიკი აგენტების შეგზავნა და ჩანერგვა. ეს პროცესები საკმაოდ სწრაფად და ეფექტურად განხორციელდა და თანდათანობით სოჭის განთავისუფლების კომიტეტში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ჩრდილოეთიდან მოსული

---

[1] ანასტას მიქოიანი (1895-1978) – საბჭოთა სახელმწიფო, პარტიული და პოლიტიკური მოღვაწე, დაშნაკი და ბოლშევიკი, პროფესიონალი რევოლუციონერი, საბჭოთა წითელი ტერორის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

„ვოენსპეცი“[1] ბოლშევიკები აღმოჩნდნენ – ე. კაზანსკი, ი. შევცოვი, ვ. ვაფიცკი, მ. ტომაშევსკი, ი. საბლინი. მათ ამოცანას პოლიტიკური გადატრიალების მოწყობა წარმოადგენდა. საინტერესოა თუ რას წერდა სოჭის ოლქში მიმდინარე პროცესებზე ბოლშევიკი პ. სორკინი გაზეთ „Известия Кубано-Черноморского областного комитета РКП(б)“-ს 1921 წლის 7 ნოემბრის ნომერში. ამონარიდი კი თავად ივან შევცოვის მემუარული ხასიათის წიგნიდანაა მოყვანილი, მეტად „იდუმალი და შთამბეჭდავი“ სათაურით – „Особое задание“: „ტფილისში მუშაობისას ჩვენ საქმის კურსში ვიყავით „მესამე ძალის“ – „შავიზღვისპირეთის განთავისუფლების კომიტეტის“ ორგანიზების შესახებ. გადავწყვიტეთ, არ შეგვეშალა ხელი „კაბინეტის“ ფორმირებისათვის. ვიცოდით, რომ ესერები 1918 წელს, ბოლშევიკთა იქიდან წასვლის შემდეგ, სოჭის ოლქში დაფუძნდნენ, დიდ მუშაობას ეწეოდნენ და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდნენ. ტფილისსა და სოხუმში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ უპარტიო „სპეცების“ სახით რიგი ამხანაგებისა ჩაგვენერგა კომიტეტის ოპერატიულ შტაბში, ზოგიერთი მათგანი კი, სამეთაურო თანამდებობებზეც გაგვეყვანა. „შემდეგ კი გამოჩნდებოდა“ – ასე ვფიქრობდით მაშინ. გეგმამ იმუშავა და მუშაობაც გაჩაღდა...“ [6].

1920 წლის 1 თებერვალს ეკატერინოდარის იატაკქვეშეთში მომუშავე ბოლშევიკებს ელენე სტასოვას[2] ხელმოწერით რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილი მიუვიდათ, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „ადგილობრივ ბოლშევიკთა ამოცანას შეადგენდა მათი რევკომთან კოორდინირებული მოქმედება, რათა წითელ-მწვანეთა მოქმედებები წინააღმდეგობაში არ მოსულიყო წითელი არმიის მოქმედებებთან“ [6]. ესერთა და მენშევიკთა გავლენა კი ნელ-ნელა შესუსტდა და „მწვანეთა“ საბრძოლო რაზმები და ოლქის სახალხო

---

[1] საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, რუსეთის სამოქალაქო ომის პერიოდში, რუსეთის იმპერიის ის სამხედრო მოსამსახურეები – გენერლები, ადმირალები, ოფიცრები და შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ჩინოვნიკები, რომლებმაც სამსახური მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში გააგრძელეს.

[2] ელენა დმიტრიევნა სტასოვა (1873-1966) – რუსი და საბჭოთა რევოლუციონერი ქალი, რსდმპ წევრი, ძველი ბოლშევიკი, ტერორისტი და პროპაგანდისტი, რუსეთისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ლიდერი, ნადეჟდა კრუპსკაიას პირადი მეგობარი და ლენინის უახლოესი თანამებრძოლი, სრულიად რუსეთის განსაკუთრებული კომისიის (ВЧК) ერთ-ერთი ხელმძღვანელი

მოძრაობა ფაქტიურად ბოლშევიკური ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდა გადასული. მალე კი, ხელსაყრელი გარემოებების დადგომისთანავე, ბოლშევიკთა საოკუპაციო სქემის შესაბამისად, კიდევ ერთხელ იქნა ორგანიზებული სოჭის ოლქის ე. წ. „რევკომი", ცნობილი ბოლშევიკის, ლ. მოსკვიჩოვის თავმჯდომარეობით. ამ მოვლენებმა, ბოლშევიკური ოკუპაციის ცნობილი სქემის შესაბამისად, ნიადაგი შეუმზადა რეგიონში წითელი არმიის შენაერთების შემოსვლას [8].

1920 წლის 7 მარტს ტუაფსეში ჩატარდა შავიზღვისპირეთის გუბერნიის რკპ(ბ)-ის „ხელმძღვანელ მუშაკთა" საგანგებო თათბირი, სადაც გადაწყდა შავიზღვისპირეთის ერთიანი პარტიზანული არმიის, სამხედრო-რევოლუციური საბჭოსა და არმიის შტაბის შექმნა. ამ სამხედრო ორგანიზაციამ „შავიზღვისპირეთის წითელი არმიის" სახელწოდება მიიღო. არმიის სარდლად ე. კაზანსკი დაამტკიცეს, შტაბის უფროსად – ვ. ვაფიცკი. რევკომის წევრები გახდნენ: ლ. ივანიცკი, ა. ციმბალისტი, ი. შევცოვი. არმიის შექმნის დადგენილება 11 მარტს გამოქვეყნდა. ზემოთ ხსენებულ გაბოლშევიკებული „ვოენსპეცებიდან" ერთ-ერთი, იგორ საბლინი, „შავიზღვისპირეთის წითელი არმიის" შექმნაში არ მონაწილეობდა. საქმე იმაშია, რომ იგი პარტიის „განსაკუთრებული დავალებით" საქართველოში, ბათუმში, იგზავნება. ისევ შევცოვის მემუარი: „იგორ საბლინი და მისი ჯგუფი, – პრატუსევიჩი, ბაზელჩუკი და ტარანოვი შემდეგ უკვე, 1920 წელს, ბათუმში იმყოფებოდა და აქ დივერსიული საქმიანობით იყო დაკავებული. კერძოდ, ამ ჯგუფმა ორგანიზება გაუკეთა ტანკერ „Свет"-ის აფეთქებას, რომელსაც ნავთობი უნდა მიეწოდებინა ვრანგელის არმიისათვის. ამ დივერსიულმა აქტმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო გენერალ ვრანგელის რუსული არმია" [6].

შავიზღვისპირეთში მიმდინარე ამ პროცესების პარალელურად, მთელი რიგი პოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული და ტაქტიკური შეცდომების დაშვების გამო, დენიკინის „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალები" ბოლშევიკებთან ბრძოლებში ნელ-ნელა თმობენ პოზიციებს და მე-11 წითელი არმიის შენაერთები ჩრდილოეთ კავკასიაში იწყებენ შემოსვლას, რომელიც ამ არმიის უკვე მესამე ფორმაციას წარმოადგენდა. იგი აღმოსავლეთის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს ბრძანებით შეიქმნა 1919 წლის 14 აგვისტოს თურქესტანის ფრონტის ასტრახანის დაჯგუფებიდან. 14 ოქტომბრიდან იგი სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის შემადგენლობაში იქნა ჩართული, 1920 წლის 16 იანვრიდან კი – კავკასიის

ფრონტის შემადგენლობაში [9, 45]. სწორედ მესამე ფორმაციის მე-11-ე არმია წარმოადგენდა „მუშურ-გლეხური წითელი არმიის“ იმ საჯარისო ოპერატიულ გაერთიანებას, რომლის საბოლოო ამოცანასაც ჯერ ჩრდილოეთ კავკასიის, ხოლო შემდეგ, სამხრეთ კავკასიის ბოლშევიკური ოკუპაცია წარმოადგენდა.

1920 წლის თებერვლის დასაწყისში კავკასიის ფრონტის სარდლად რუსეთის სამოქალაქო ომის წარმატებული წითელი მეთაური, 27 წლის მიხაილ ტუხაჩევსკი[1] ინიშნება, რომელიც პორტ-პეტროვსკში (დღევანდელი მახაჩყალა) ჩამოვიდა ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარესთან, სერგო ორჯონიკიძესთან ერთად. ცნობილი რუსი საბჭოთა სამხედრო ისტორიკოსი და ტუხაჩევსკის თანამებრძოლი, არმიის სარდლის თანაშემწე, ნიკოლაი კაკურინი[2] ხაზგასმით აღნიშნავს მიხაილ ტუხაჩევსკის განსაკუთრებულ როლს სამოქალაქო ომში კოლჩაკთან გამარჯვების საქმეში, ცალკე კი მის მხედრულ ტალანტს უსვამს ხაზს: „ტუხაჩევსკი კარგად იყენებდა ადგილმდებარეობის ფაქტორს. მის მიერ საარმიო მასშტაბებში ოპერაციების მართვა დაფუძნებული იყო ძალების გაბედულ და ორიგინალურ გადაჯგუფებაზე. ოპერაციები მოულოდნელობაზე იყო გათვლილი, ყველა დოკუმენტს პირადად ამუშავებდა და შტაბს მხოლოდ მათთვის განკუთვნილ ნაწილში გადასცემდა“ [10, 245].

ცოტა მოულოდნელია ასეთ პათეტიკურ ტონებში იმის განცხადება, რომ „ტუხაჩევსკი... ყველა დოკუმენტს პირადად ამუშავებდა და შტაბს მხოლოდ მათთვის განკუთვნილ ნაწილში გადასცემდა“. აღნიშნული ფრაზით ავტორი ალბათ ტუხაჩევსკის სამხედრო გენიის ხაზგასმას ცდილობს. რეალურად კი, ყველაფერი ზუსტადაც რომ პირიქითაა.

სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან კარგადაა ცნობილი, რომ ოპერაციების დაგეგმვის ეს სტილი მხოლოდ ძველი დროის სარ-

---

[1] მიხაილ ნიკოლაევიჩ ტუხაჩევსკი (1893-1937) – რუსი და საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, I მსოფლიო ომის მონაწილე, მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი, პოდპორუჩიკი. რუსეთის სამოქალაქო ომის გმირი, სხვადასხვა ფრონტების სარდალი. სამხედრო თეორეტიკოსი და პუბლიცისტი, სტრატეგიული „სიღრმისეული შეტევითი ოპერაციის“ კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი და აპოლოგეტი. შემდგომში ყველაზე ახალგაზრდა საბჭოთა კავშირის მარშალი.

[2] ნიკოლაი ევგენევიჩ კაკურინი (1883-1936) – რუსი და საბჭოთა ოფიცერი, სამხედრო მეთაური, „ვოენსპეცი“, ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი და პედაგოგი.

დლების დამახასიათებელი ნიშანი იყო, და ისიც, მხოლოდ მართლაც გენიალურად გამორჩეულებისა. მაშინ სამხედრო შტაბები და, მით უმეტეს გენერალური შტაბი როგორც ასეთი, ანუ ჯარების მართვის ცენტრალიზებული ორგანო – „არმიის ტვინი", ან საერთოდ არ არსებობდა, ან მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა. ბოლო ასეთი გენიალური სარდალი, რომელიც საარმიო ოპერაციების დაგეგმვას შტაბის ელემენტების ჩარევის გარეშე და საშტაბო პროცედურების დაუცველად ახერხებდა, ნაპოლეონ ბონაპარტე იყო... გასაგებია, რომ ნაპოლეონი ნაპოლეონია, მაგრამ თავისი პოლიტიკური და სამხედრო კარიერის ბოლოს მანაც ვეღარაფერი გაანყო აღმავლობის გზაზე დამდგარ პრუსიულ სამხედრო სკოლასთან, რომლის სამხედრო და პოლიტიკური ძლევამოსილების მთავარ საიდუმლოს სწორედ გენერალური შტაბის შექმნა და ოპერაციების დაგეგმვის თანმიმდევრული პროცედურების დანერგვა წარმოადგენდა. გენერალური შტაბისა და პრუსიული სამხედრო სკოლის ფუძემდებლები, გენერლები – გნესენაუ, შარნჰორსტი, კლაუზევიცი და მოლტკე კი თანამედროვე სამხედრო აზრისა და ომის თეორიის ფუძემდებლებად იქცნენ. კაკურინმა კი დიდი ტენდენციურობა გამოიჩინა მიხაილ ტუხაჩევსკის გენიალურობის წარმოჩენის საქმეში.

გავუსწრებთ მოვლენებს წინ და აღვნიშნავთ, რომ აღწერილი მოვლენებიდან სულ მოკლე ხანში, 1920 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე, რუსეთ-პოლონეთის ომის მსვლელობის დროს, სადაც დასავლეთის ფრონტის სარდლად ტუხაჩევსკი დაინიშნა, სწორედ მეფის პოლკოვნიკი და „ვოენსპეცი" კაკურინი წარმოადგენდა მის თანაშემწეს. ამიტომ კაკურინის ტენდენციურობასთან დაკავშირებით ყველაფერი გასაგები ხდება. ფაქტი კი ისაა, რომ ძალიან მალე, 1920 წლის შემოდგომაზე, საბჭოთა რუსეთ-პოლონეთის ომი ბოლშევიკთათვის სრული კატასტროფით დასრულდება. მიხაილ ტუხაჩევსკის ფრონტი განადგურებული იქნება, ხოლო ამ ომის მთავარი ბატალია – 1920 წლის აგვისტოს ვარშავის ბრძოლა – ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიაში „ვისლაზე სასწაულის" სახელით შევა. წითელი არმიის ამ კატასტროფის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი, სწორედ კაკურინის მიერ აღწერილი ტუხაჩევსკის „გენიალური თავდაჯერებულობა" და მის მიერ განხორციელებული „ძალების გაბედული და ორიგინალური გადაჯგუფება" იქნება ვარშავის ოპერაციის დაგეგმვისა და აღსრულების დროს. ტუხაჩევსკის იგივე „გენიალური თავდაჯერებულობა" იყო იმის მიზეზი, რომ იგი გარკვეულ

დაპირისპირებაში მოვიდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სამხედრო რევოლუციურ საბჭოსთან და პირადად იოსებ სტალინთან. თუმცა, ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა...

დავუბრუნდეთ ისევ ჩრდილოეთ კავკასიას და აქ მიმდინარე პროცესებს. 1920 წლის დასაწყისიდან საომარი მოქმედებები რუსეთსა და პოლონეთს შორის განახლდა და წარმატებული სამხედრო მოქმედებებით პოლონელებმა მარტის დასაწყისისათვის მარშალ იუზეფ პილსუდსკის საერთო ხელმძღვანელობით შეძლეს მინსკის და ბელორუსიის მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაკავება. მარტის ბოლოსათვის კი საომარი მოქმედებები რუსეთ-პოლონეთის ფრონტზე ისევ რემისიის ფაზაში შევიდა. ბოლშევიკებმა კარგად ისარგებლეს ამ მდგომარეობით და ჩრდილოეთ კავკასიაში ძალებს დაუწყეს თავმოყრა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კავკასიის ფრონტის მთავარ შენაერთს მე-11 არმია წარმოადგენდა, რომლის ამოცანასაც ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილიდან დენიკინის „დობროარმიის" განდევნა და გროზნოსა და მისი ნავთობსარეწების დაუფლება წარმოადგენდა, ასევე ამიერკავკასიის შემდგომი ოკუპაციისათვის პლაცდარმის შექმნა. გასაგებია თუ ბოლშევიკთათვის რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ენერგორესურსების, ნავთობისა და გაზის მდიდარი საბადოების ფლობას. თავად სერგო ორჯონიკიძე ამბობდა, რომ „საწვავი – ეს მთელი საბჭოთა რუსეთისა და მსოფლიო რევოლუციის ხერხემალს წარმოადგენს" [11, 145]. აქედან გამომდინარე, ჩრდილოეთ კავკასიის ოკუპაციის საქმეში მცირე შეფერხებებიც კი ლენინის უკიდურეს გაცეცხლებას იწვევდა: „ჩვენ ჰაერივით გვჭირდება ნავთობი. მოიფიქრეთ მანიფესტის ტექსტი ხალხისათვის, რომ იმ შემთხვევაში, თუ ცეცხლს გაუჩენენ და დააზიანებენ ნავთობსარეწებს, ყველას დავხოცავთ და, პირიქით, ყველას ვაჩუქებთ სიცოცხლეს იმ შემთხვევაში, თუ მაიკოპს და განსაკუთრებით გროზნოს დაუზიანებლად გადმოგვცემენ..." – წერდა ლენინი კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს [12]. უკვე 1920 წლის 20 მარტით დათარიღებულ მოხსენებით ბარათში – „კავკასიის ფრონტის შემდგომი ამოცანების შესახებ", წითელი არმიის მთავარსარდალი სერგეი კამენევი ლენინს ატყობინებდა: „თუ საქართველოსა და აზერბაიჯანის შიდა მდგომარეობა რევოლუციურია, მაშინ, როგორ მდგომარეობაშიც არ უნდა იმყოფებოდეს კავკასიის ფრონტი, ჩვენი შეტევითი

მოქმედებების დახანებას არ ვთვლი მიზანშეწონილად“ [13, 331].

წითელი არმია ამიერკავკასიის ოკუპაციისათვის ემზადებოდა. 21 მარტს სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი ლევ ტროცკი, სტალინს, როგორც პოლიტბიუროს წარმომადგენელს კავკასიაში, შემდეგი სახის შეკითხვას უგზავნის: „ნოვოროსიისკისა და გროზნოს დაკავების შემდეგ განსაზღვრულია თქვენგან სამი ქვეითი და სამი საკავალერიო დივიზიის გამოყოფა... გთხოვთ, გვიპასუხოთ, შესაძლებელია თუ არა ასეთ პირობებში დაუყოვნებლივ დაიწყოთ ოპერაცია ბაქოს დაკავებისა და შენარჩუნებისათვის? იქონიეთ მხედველობაში საქართველოს მხრიდან აზერბაიჯანის მხარდაჭერის შესაძლებლობა“. ამ ტელეგრამაზე სტალინის პასუხი შემდეგი იყო: „დარჩენილი ძალებით თამამადაა შესაძლებელი ბაქოს შენარჩუნება. ქართველები საფრთხეს არ წარმოადგენენ, თუ საქართველოს ნეიტრალიტეტს შევპირდებით“ [12].

ტროცკის შეკითხვიდან ჩანს, რომ იგი გარკვეულად ყოყმანობდა აზერბაიჯანის ოკუპაციასთან დაკავშირებით – გადაწყვეტილება შეტევის დაწყებაზე ჯერ კიდევ არ იყო მიღებული. მთავარ პრობლემად კი იგი საქართველოს მიიჩნევდა, მისი შეიარაღებული ძალების შესაძლო ჩართვას მე-11 არმიის შენაერთების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში. მაგრამ სტალინი სრულად ფლობდა ინფორმაციას იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ წრეებში არსებული სიტუაციის შესახებ. მან კარგად უწყოდა საქართველოს მთავრობისა და პირადად მისი თავმჯდომარის „დემოკრატობისა“ და ზღვარგადასული „პაციფისტური“ განწყობების შესახებ. ამიტომ სტალინი მართალი იყო, როცა ამბობდა – „ქართველები საფრთხეს არ წარმოადგენენ, თუ საქართველოს ნეიტრალიტეტს შევპირდებით“-ო. პირადად ლენინის ბრძანებით მე-11 არმიის ძირითადი ძალისხმევა ვლადიკავკაზის, გროზნოს, პორტ-პეტროვსკისა და აზერბაიჯანისკენ იქნა მიმართული, დასავლეთ კავკასიაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში კი მე-9 და მე-12 არმიის შენაერთები იქნა ჩართული.

ქართული პოლიტიკური ელიტა ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენების შესახებ ინფორმაციას, ცხადია, ფლობდა და იმ პოტენციურ საშიშროებასაც გრძნობდა, რაც ბოლშევიკებისაგან მომდინარეობდა. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ნოე რამიშვილის წერილის შინაარსი ირაკლი წერეთელსა და ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძეს-

თან, რომლებიც ამ მომენტისათვის პარიზში იმყოფებოდნენ ევროპულ სახელმწიფოთა მხრიდან დახმარებებისა და აღიარების მიღწევის მიზნით. ეს საარქივო დოკუმენტი დედანს წარმოადგენს და დაწერილია ლურჯი ფანქრით „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის“ ბლანკზე. ამ საკმაოდ ვრცელი წერილიდან მხოლოდ ჩვენს თემასთან დაკავშირებულ ამონარიდს მოვიყვანთ.

„ნოე რამიშვილის წერილი თბილისიდან პარიზში „კარლოს და ირაკლის“,

ინგლისელთა და ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან

საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებათა შესახებ“.

1920 წლის 29 მარტი.

პარიზში. ამხ. კ. ჩხეიძეს და ირ. წერეთელს.

ამხანაგებო!

ცეკას დავალებით ორიოდე სიტყვით გვსურს აქაური მდგომარეობა აგიწეროთ.

ბოლშევიკები მოადგნენ საზღვარს. მიღებულია ყოველივე ზომები საზღვრების დასაცავათ. თავდასხმაზე არ გვიფიქრია და არც ვფიქრობთ, ხოლო თავისი საზღვრების დაცვას უთუოდ შევძლებთ. მართალია, სამხედრო მასალა გვაკლია, მაგრამ დენიკინელთ საკმაო მასალა ავართვით საზღვრებში შემოსვლისას. ევროპელნი გვპირდებიან, მაგრამ ეს დაპირებათ თუ რჩება. საჭიროა ამ საგანს დიდი ყურადღება მიაქციოთ.

მეორე საქმე. ინგლისი ეჭვს გარეშეა ცდილობს ამიერკავკასიის თავის ბრჭყალებში ჩაჭერას... საჭიროა ენერგიული მუშაობა თქვენის მხრივ. ჩვენ ვფიქრობთ, შეიძლება ინგლისის ხელმძღვანელ წრეებს ადვილად დაუმტკიცოთ, რომ ძლიერი საქართველო სწორეთ მათი ინტერესია და მათ პოლიტიკას მცირე და შუა აზიაში ამტკიცებს. ამიტომ საჭიროა საქართველოს ინტერესთა უზრუნველყოფა. იმედი გვაქვს, მუშათა პარტია ინგლისისა დიდ დახმარებას გაგიწევთ... საერთოთ, დროა საზღვრების საკითხი პირველ რიგში დააყენოთ. მოდის გენ. ოდიშელიძე[1]. მან ჩვენი აზრი იცის და საჭიროა მისი ერუდიციის სავსებით გამოყენება. იმედი გვაქვს თქვენ შეძ-

---

[1] ილია ოდიშელიძე – მეფის რუსეთის ოფიცერი, ქართველი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის საიმპერატორო არმიის გენერალური შტაბის გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი და ქართული არმიის გენერალი. გიორგის ჯვრის კავალერი.

ლებთ ამ უკანასკნელ დაბრკოლებათა დაძლევას. კ. გვარჯალაძე[1] და კ. საბახტარაშვილი[2] უნდა დაბრუნდნენ, აგრეთვე გობეჩიაც. სალამი ჩემის მხრიდან.

მოგიკითხეს სილვამ[3] და ნოე ხომერიკმა[4]. ალბათ, ნოე ჟორდანია ცალკე მოგწერს.

ამხანაგური და მეგობრული სალმით – ხელმოწერა" [14].

ბოლშევიკურ საფრთხესთან დაკავშირებით სწორი აღმოჩნდა ბატონი ნოე რამიშვილის პროგნოზი, თუმცა, ბრიტანელთა დარწმუნების საკითხში, რა მოგახსენოთ. ასევე ეფემერული იყო რამიშვილის მოლოდინები „ინგლისის მუშათა პარტიის" მხრიდან დახმარებების გაწევის თაობაზე. იმაში კი ნამდვილად მართალი იყო ბატონი მინისტრი, რომ 1920 წლის გაზაფხულისათვის ქართული სახელმწიფო, პოლიტიკურისაგან განსხვავებით, სამხედრო-ოპერატიული თვალსაზრისით მზად იყო ბოლშევიკთა ახალი სამხედრო აგრესიის აღსაკვეთად. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა რესპუბლიკის სამხედრო საბჭო, რომელიც სახელმწიფოს მმართველობით სამხედრო-პოლიტიკურ ორგანოს წარმოადგენდა. საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის არსებულ მრავალ დაურეგულირებელ საკითხთან ერთად კი ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს, რა თქმა უნდა, საზღვრები, სასაზღვრო ხაზის დადგენა, წარმოადგენდა.

ამ მომენტისათვის შავიზღვისპირეთის მოვლენები შემდეგნაი-

---

[1] კონსტანტინე გვარჯალაძე (1884-1969) – ცნობილი ქართველი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი. 1921 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი.

[2] კონსტანტინე საბახტარაშვილი (1884-1938) – ცნობილი ქართველი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი, 1918 წლის აგვისტოდან შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, 1920 წლის ბოლოდან – რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

[3] აქ ცნობილ ქართველ პოლიტიკოსზე, სახელმწიფო მოღვაწესა და პუბლიცისტზე, სილიბისტრო (სილვესტრ, სილვა) ჯიბლაძეზეა საუბარი.

[4] ნოე ხომერიკი (1883-1924) – ცნობილი ქართველი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ძველი რევოლუციონერი, სოციალ-დემოკრატი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრი, მინათმოქმედებისა და შრომის მინისტრი. დამფუძნებელი კრების წევრი.

რად ვითარდება. ჩრდილოეთ კავკასიაში წითელი არმიის შენაერთების შემოსვლითა და შექმნილი მდგომარეობით კარგად სარგებლობენ სოჭელი ბოლშევიკები და ისინი აქტიურ, გადამწყვეტ მოქმედებებზე გადადიან. ამუშავდა ბოლშევიკური ოკუპაციის ჩვეული სქემაც, რაც ჯარების შეყვანამდე ადგილებზე უკმაყოფილებებისა და სახალხო აჯანყების ინსპირირებას, „მშრომელთა ინტერესების დამცველი", ე. წ. „სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის", შექმნას და მის დროებით მთავრობად გამოცხადებას ითვალისწინებდა. ბოლო ფაზას კი წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთისა და წითელი არმიისათვის დახმარების თხოვნით მიმართვა და სამხედრო შენაერთების შემოყვანა. ოკუპაციის ამ სქემას საბჭოელები წარმატებით ახორციელებდნენ უკვე შემდეგშიც, მთელი 60 წლის განმავლობაში...

ტუაფსეში რევკომის მიერ მოწვეულ იქნენ „შავიზღვისპირეთის განთავისუფლების კომიტეტის" ხელმძღვანელები, რომლებსაც შემდეგი წინადადებით მიმართეს: „გლეხთა ლაშქარი აღარ არსებობს. მის მაგივრად შეიქმნა შავიზღვისპირეთის წითელი არმია, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოხალისეთა არმიის განადგურება და წითელ არმიასთან შეერთება. მოგიწევთ თქვენი ძველი გეგმების გადახაზვა „დემოკრატიული" რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ხალხს არ სურს რესპუბლიკა და ყველგან გამოდის საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე" [11]. ბოლშევიკური და იმპერიალისტული იდეოლოგიისათვის ერთობ დამახასიათებელი შტრიხია ამ ამონარიდში წარმოდგენილი, ე. წ. „ხალხის" ნებით, „ხალხის" სურვილითა და „ხალხის" სახელით აპელირება. დიახ, ასეა. პარტიამ და იმპერიამ უკეთესად იცის, რა უნდა და რა სჭირდება „ხალხს"...

„სოჭის ოლქის განთავისუფლების კომიტეტმა" არსებობა შეწყვიტა, ასევე იქნა ანულირებული კომიტეტის „მწვანე არმია". იგი ბოლშევიკთა „შავიზღვისპირეთის წითელ არმიად" გარდაიქმნა. „სოჭის ოლქის განთავისუფლების კომიტეტის" დამარცხების მთავარ მიზეზად სოჭის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ალექსანდრ ჩერკასოვი, ესერთა პოლიტიკურ ახლომხედველობას თვლის – ესერთა ზედმეტად მიმნდობ დამოკიდებულებას ბოლშევიკთა მიმართ [3].

მალე „შავიზღვისპირეთის წითელი არმიის" პირადმა შემადგენლობამ 10000-ს გადააჭარბა. ორგანიზაციულად და სტრუქტურულად იგი საკმაოდ ჭრელ კონგლომერატს წარმოადგენდა, რომელიც შედგებოდა შავიზღვისპირეთის გუბერნიის ცალკეული პარტიზანუ-

ლი რაზმებისაგან, პარტიზანთა მხარეს გადასული ყოფილი სამხედრო ტყვეებისგან, დეზერტირების, მოლაშქრე გლეხთა ჯგუფებისა და მათი მეთაურებისაგან. თავისი ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოწყობის წესითა და არსით იგი წითელგვარდიულ რაზმს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე არმიულ შენაერთს. 1919 წლის ბოლოდან დაწყებული, ეს „ჭრელი არმია“ საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებდა უკვე დასუსტებული დენიკინური არმიის ნარჩენებთან შავი ზღვის ფრონტზე, ნოვოროსიისკში, აგრეთვე ჩრდილოეთის მიმართულებაზე – ბელორეჩენსკი-მაიკოპის რაიონში.

1920 წლის მარტის ბოლოს შავიზღვისპირეთში ბოლშევიკთა რეგულარული არმიის შენაერთები იწყებენ შემოსვლას, კერძოდ, კავკასიის ფრონტის მე-9 წითელი არმია. მე-9 არმიის სოჭთან მოახლოებასთან ერთად, 1920 წლის 31 მარტს ე. წ. „შავიზღვისპირეთის წითელი არმიაც“ დაშალეს, ხოლო მისი ქვედანაყოფების ნაწილი მე-9 არმიის 22-ე, 34-ე და 50-ე დივიზიების შემადგენლობაში იქნა შეყვანილი.

შავი ზღვის რესპუბლიკა გააუქმეს. მათი ლიდერები თავაზიანად მიიწვიეს სოჭში, სადაც საუკეთესო სასტუმრო – „გრანდ ოტელი“ გამოუყვეს. მეზობელ შენობაში კი, ВЧК-ის განსაკუთრებული განყოფილება იყო განთავსებული. მათ, ვინც უფრო ჭკვიანები აღმოჩნდნენ, საქართველოში გაქცევით უშველეს თავს. სხვებს კიდევ სჯეროდათ ბოლშევიკებთან თანამშრომლობისა ან იმისა, რომ ეს რეკვიზიტების მორიგი ცვლა იყო. ანუ კომუნისტები, რომლებმაც ადგილობრივი მთავრობა გარეკეს, საბჭოების ახალ არჩევნებს ჩაატარებდნენ, სადაც ხალხი ისევ მათ აირჩევდა. მეორე დღეს ჩეკისტები მოვიდნენ... ხოლო როცა შავიზღვისპირეთის „მწვანეები“ ტყეში გავიდნენ და გადაწყვიტეს, ისევე ემოქმედათ, როგორც ამას დენიკინის წინააღმდეგ ჩადიოდნენ და არ სცნობდნენ არავითარ ხელისუფლებას, წითლებმა მთებში გასული „მწვანეების“ ოჯახის წევრების დაპატიმრებები დაიწყეს. მალე ისინი ჩრდილოეთის გზას გაუყენეს, მათ ქონებას კი, კონფისკაცია ჩაუტარეს. გარდა ამისა, სოფლებიდან მძევლები აიყვანეს იმ მუქარით, რომ გლეხების ტყეში გასვლის შემთხვევაში, მათ დახვრეტდნენ [15].

ფაქტობრივად ეს იყო „რევკომის“ მიერ წაყენებული ულტიმატიური ხასიათის მიმართვა, რასაც განთავისუფლების კომიტეტის წევრები იძულების წესით დაემორჩილნენ. წითელი არმიისა და ВЧК-ის ორგანოების მიერ „კონტრრევოლუციონერთა“ პროლეტა-

რული რევოლუციის არსში „გარკვევის“ მეთოდები კი, უკვე საყოველთაოდ იყო ცნობილი. ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი „აფხაზეთის რევკომის“ თავმჯდომარის ყოფილი მოადგილისა და კავკასიის ფრონტის სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის (ВЧК) განსაკუთრებული რწმუნებულის, „რკინის გევორქის“ (აქ გევორქ ათარბეგოვზეა საუბარი – ა. ჩ.) ჯალათობის ამბავი საშინელ კოშმარზე უფრო მძიმე იყო [16, 47], – აღნიშნავს თავის ნაშრომში ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრ ჩერკასოვი. მშვიდობიანი მოსახლეობის მძევლად აყვანის პრაქტიკა, რომელიც მის მიერ კარგად აპრობირებული და დანერგილი ბრძოლის მეთოდი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში, მეტად ეფექტურ და შედეგის მომტან ინსტრუმენტს წარმოადგენდა ანტიბოლშევიკურად განწყობილი მოსახლეობის წინააღმდეგ, ე. წ. „კონტრრევოლუციასთან“ საბრძოლველად.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის მიმართვაში ყუბანისა და შავიზღვისპირეთის მოსახლეობისადმი, ვკითხულობთ:

1. სტანიცები და დასახლებები, რომლებიც იფარავენ თეთრებს და მწვანეებს, განადგურებულნი იქნებიან, მთელი ზრდასრული მოსახლეობა – დახვრეტილი, მთელ მათ ქონებას ჩაუტარდება კონფისკაცია;

2. ყველა პირი, რომელიც უთანაგრძნობს ბანდებს, დაუყოვნებლივ დაიხვრიტება;

3. მთაში წასული მწვანეების უმეტესობას სოფლებში დარჩათ ნათესავები. ყველა ისინი აღრიცხვაზე არიან აყვანილნი და ჩვენს წინააღმდეგ ბანდების შეტევითი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, მათ ყველა ზრდასრულ ნათესავს დავხვრეტთ, არასრულწლოვნებს კი ცენტრალურ რუსეთში გადავასახლებთ;

4. ცალკეული სოფლების, სტანიცებისა და ქალაქების მასობრივი გამოსვლების შემთხვევაში იძულებულნი ვიქნებით, მათ წინააღმდეგ მივიღოთ მასობრივი ტერორის ზომები: თვითოეული მოკლული საბჭოთა მოღვაწის გამო პასუხს აგებენ ამ სოფლებისა და სტანიცების მოსახლეობა;

ჩრდილოეთ კავკასიის ВЧК-ის საგანგებო რწმუნებული ლანდერი [2, 154].

1920 წლის აპრილის დასაწყისისათვის, ამიერკავკასია ბოლშევიკთა კავკასიის ფრონტის მე-9 და მე-11 წითელი არმიების რკალში აღმოჩნდა მოქცეული. ჩრდილოეთ კავკასიასა და შავიზღვისპირეთ-

ში შემოსული რუსი ბოლშევიკები ამიერკავკასიის ოკუპაციისათვის ემზადებოდნენ...

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**


1. Зайцев Андрей Алексеевич, Региональный политический процесс в условиях гражданской войны 1917-1922 гг. (На материалах Дона и Кубано-Черноморя). Автореферат. Диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Москва, 2009, http://ol-dvak.ed. gov.ru/ common/img/uploaded /files/vak/ announcements/isto-rich/2009/009/ Zaytsev AA. doc. ГАКК. Ф.Р-6. Оп.1. д. 127.
2. Н. В. Воронович, „Зеленая книга". Сборник матеріалов и документов. Исторія крестьянского движенія в Черноьорской губерніи. Изданіе Черноморской крестьянской делегации, Париж, 1921.
3. Н. Е. Герасимова, Гражданская война. 1918-1920 гг. Сочи: Страницы прошлого и настоящего. Иллюстрированный сборник статей (2003 год). http://sochionline.3dn. ru/blog/ sochi_stranicy_proshlogo _i_ nastojashhego_ illjustrirovannyj_ sbornik_statej_ 2003_god/2011-08-31-66
4. Развитие политической ситуации на Кубани и в Сочинском округе в 1917 году. http://www.lovlinskaja. ru/htm/article-sochi-preface.php.
5. И. Разгон, „Орджоникидзе и Киров, и борьба за власть Советов на Северном Кавказе", 1917-1920 гг., Москва, 1941.
6. Шевцов И. Б., Особое задание, Издание второе, исправленное и дополненное. Москва, 1965. http://militera.lib.ru/memo/russian/shev-tsov_ib/01.html.
7. Газета „Борьба", 6 Февраля, 1920.
8. Сочинский филиал Государственного архива Краснодарского края, ф. 14, оп. 1, д. 1.
9. Центральный государственный архив Советской армии, В двух томах. том 1, Путеводитель. 1991, Северокавказцы в боях за Родину, Глава 2.
10. Какурин Н. Е., Как сражалась революция, т. 2, Москва, 1990.
11. Г. К. Орджоникидзе, Статьи и речи, Госполитиздат, Москва, 1956, т. 1.
12. Исторический альманах. Лабиринт времени. Счастье на штыках.

Секретная борьба в большевистском руководстве по поводу „советизации“ Закавказья, http://www. hist.ru/ kavbolsh.html.
13. Гражданская война в СССР/ под общей ред. Н. Н. Азовцева. Москва, 1986, т. 2.
14. საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ჰარვარდისა და ლევილის ფონდები, ფონდი 2115, ანაწერი 1, საქმე 119.
15. Шамбаров В. Е., Белогвардейщина. Москва, ЭКСМО-Пресс, 2002. militera.lib.ru/h/ shambarov1/index.html.
16. Александр Арвелодович Черкасов. Доктор исторических наук, профессор. Анвар Мирзахматович Мамадалиев. Кандидат педагогических наук, доцент. Сочинский государственный университет. Крестьянское ополчение Комитета Освобождения Черноморской Губернии (1919-1920гг.): Формирование и боевые действия. История и историки в контексте времени, 2011, Вып. 8. http://ida.aule.ee/ kirjutised/cherkasov2011.pdf.

**Archil Chachkhiani**
*Colonel, Rtd. Ph.D., Professor. David Agmashenebeli Georgian National Defense Academy*

## 1920 Year – Penetration of Red Bolshevik Formations in Black Sea Area

### Summary

The article discusses political and military-strategic situation in Black Sea Area upon the second part of 1918, when General Anton Denikin`s „South Russia Armed Forces“ and his „Dobroarmy“ expelled Red Army formations from the north Caucasus and totally occupied the region. Democratic processes in Black Sea Area opposing the Bolsheviks were still ongoing but in limited forms. In November of 1919, there was held peasants congress organized by socialist-revolutionaries and socialist-democrats. As a result, special organization was created named

„Black Sea Guberniya (governorate) Liberation Committee" and Black Sea Area Peasants Military Centralized Attachment in corporating peasants combat attachments, various groups of so called „Greens" acting in the region. It was announced that the population of Sochi strictly resisted neither Bolsheviks dictatorship nor Denikins` Army Politics. During that period, despite the popularity of Mensheviks and socialist-revolutionaries among the population, Bolsheviks of the County of Sochi did not stop their activities. As unpopular and unacceptable forces, they changed their tactics and began underground activities. They concentrated on human intelligence and provocative e6orts in which Bolsheviks were real experts. Simultaneously with the processes ongoing in Black Sea Area, due to the political, military-strategic and tactical mistakes Denikin`"South Russia Armed Forces" gradually yielded their positions in the 7ght against Bolsheviks and by the end of March, 1920, the 11th Red Army Formations began infiltrating Black Sea Area. At the end, up on the first part of April, 1920, Transcaucasia turned out to be inside the circle of the 9th and 11th Red Armies of Bolsheviks` Caucasian fronts... The article introduces analysis of the processes mentioned above.

**ნატო სონღულაშვილი**
*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი*

# საქართველოს საზღვრისპირა მოსახლეობის განათლება საბჭოთა პერიოდში
## (მეოცე საუკუნის 50-იანი წლები)

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქვეყანა ახალი რთული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა საგანმანათლებლო სისტემის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება. 1921 წლიდან მოყოლებული საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები სკოლების რაოდენობის გაზრდას დიდ ყურადღებას აქცევენ, თუმცა მათ იყენებენ საკუთარი მიზნების მისაღწევად. საზოგადოების პოლიტიკური „აღზრდა" მათი მთავარი ამოსავალი პრინციპი ხდება. საზოგადოება მეორე უკიდურესობაში აღმოჩნდა. ქართული პოლიტიკური ელიტა ემიგრაციაშია და იქიდან იბრძვის, საქართველოში კი საბჭოთა იდეები მკვიდრდება. ემიგრაციაში წასვლის პერიოდიდან მოყოლებული 1991 წლამდე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ქართველი ემიგრანტების მოღვაწეობა არ შეჩერებულა და მათი ძალისხმევა მიმართული იყო საქართველოს თავისუფლების მოპოვებისაკენ. ბუნებრივია, 70 წლის მანძილზე ეპოქის გამოწვევებიდან, დასავლეთსა და საბჭოთა კავშირში მიმდინარე ვითარებიდან გამომდინარე მათი ბრძოლა ზოგჯერ აქტიურდებოდა, და ზოგჯერ პასიური ფორმით გამოიხატებოდა, თუმცა ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, იდეა და მიზნისაკენ მისასვლელი გზა უცვლელი რჩებოდა.

1921 წლიდან მოყოლებული საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებდა ისეთ პოლიტიკას, რომელიც მისი იდეოლოგიის განმტკიცებას შეუწყობდა ხელს. ამ მხრივ, საგანმანათლებლო სისტემა შეიძლება მოვიაზროთ ამ პროცესის შემადგენელ ნაწილად. ამჯერად

ყურადღებას გავამახვილებთ საარქივო მასალებზე, რომლებიც საინტერესო სტატისტიკურ ინფრომაციას შეიცავენ. მეოცე საუკუნის 50-იან წლებში „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქში განათლების საკითხი არცთუ სახარბიელო იყო. 1952-1953 წლისათვის 697 ბავშვი სკოლის გარეშე იყო დარჩენილი. 1953 წლის 1 ივნისის მონაცემებით ოლქში სულ 361 სკოლა ფუნქციონირებდა. აქედან, 269 იყო ქართული და 92 რუსული. ქართულ სკოლაში სწავლობდა 7902 ეთნიკურად ოსი მოსწავლე. რუსულ სკოლაში – 5142. რუსულ სკოლაში სწავლობდა ეთნიკური ქართველების მინიმალური რაოდენობა – 133 მოსწავლე მთელ ავტონომიურ ოლქში [15, 155].

ყაზბეგის რაიონში 1926 წლის პირველი საკავშირო სახალხო აღწერის მიხედვით კობის თემში 99, 4% ოსი ეროვნების ადამიანია დაფიქსირებული, 1939 წლის სახალხო აღწერით ყაზბეგის რაიონში 34, 7% ოსი მოსახლეა [16, 17].

30-იან წლებში ყაზბეგის რაიონის ოსურ სოფლებში თითქმის ყველგან იყო სკოლები, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ზოგან დაწყებითი, ზოგან რვაწლიანი. ყაზბეგის რაიონულ გაზეთ „ახალ ხევში“ ვკითხულობთ, რომ რაიონში იყო სულ 34 სრული, არასრული და დაწყებითი საშუალო სკოლა (სადაც სწავლობდა 2240 მოსწავლე), იყო 114 მასწავლებელი, აქედან 90 – ადგილობრივი კადრი [16, 35-36].

1953-54 წლებში ჩატარდა აღრიცხვა 1-ელ კლასებში მისაღები ბავშვებისა, რომელთაც 1 სექტემბრისათვის უსრულდებოდათ 7 წელი. სულ რესპუბლიკაში ასეთები 1 ივლისის მდგომარეობის მიხედვით აღმოჩნდა 60 489, გეგმით იყო გათვალისწინებული 55 000. გარდა ამისა იმავე დროისთვის აღრიცხული იყო სკოლისათვის 3 358 მოზარდი, რომლებიც ჩამოშორდნენ სკოლას სხვადასხვა დროს და არ სწავლობდნენ.

სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული იყო 1953/54 სასწავლო წელს მეხუთე კლასებში 79 000 მოსწავლის მიღება, ხოლო მეცხრე კლასებში 42000 მოსწავლის მიღება.

სულ „გეგმით“ 1953 წლის 1 სექტემბერს საქართველოს სსრ დაწყებითი, რვაწლიან და საშუალო სკოლებში გათვალისწინებული იყო 682 000 მოსწავლე, ან 21000 მოსწავლით მეტი, ვიდრე გასულ სასწავლო წელს. განსაკუთრებით გაიზარდა IX-XI კლასების მოსწავლეთა კონტიგენტი, თუ გასულ სასწავლო წელს ამ კლასებში იყო 65 300 მოსწავლე, 1953/54 სასწავლო წელს იქნებოდა 88 000

მოსწავლე.

გაიხსნა 24 ახალი დაწყებითი სკოლა, 22 დაწყებითი სკოლა რეორგანიზებული იქნა 8 წლიან სკოლებად, ხოლო 25 რვაწლიანი სკოლა რეორგანიზებულ იქნა საშუალო სკოლებად [1, 1-2].

საქართველოს სს რესპუბლიკის არაქართულ სკოლებში სხვა რესპუბლიკებიდან სწავლის გასაგრძელებლად ყოველწლიურად მოდიოდნენ მოსწავლეები, რომლებიც იქ არ სწავლობდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიასა და საქართველოს გეოგრაფიას.

ამ მოსწავლეთა მშობლები სკოლებს, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებსა და განათლების სამინისტროს მიმართავდნენ თხოვნით გაენთავისუფლებინათ მათი შვილები აღნიშნული საგნების სწავლისა და ჩაბარებისაგან.

ამასთან დაკავშირებით განათლების სამინისტრომ 1952 წლის 29 თებერვალს გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლისა და გამოცდებისაგან თავისუფლდებოდნენ მოსწავლეები, რომლებიც ადრე არ სწავლობდნენ ამ საგანს და სწავლის გასაგრძელებლად შემოვიდნენ საქართველოს სსრ სკოლების IX-XI კლასებში.

ამავე ბრძანებით ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლასა და ჩაბარებისაგან თავისუფლდებოდა ყველა კლასის მოსწავლე რომელთა მშობლებიც სამხედრო მოსამსახურენი იყვნენ და საქართველოს სს რესპუბლიკაში დროებით საცხოვრებლად გადმოვიდნენ 2-3 წლის წინ [1, 8].

1953 წლის 8 სექტემბრის ბრძანებით, თელავის რაიონის ყარაჯალის 8 წლიანი სკოლის დაწყებით კლასებში სწავლა გადაყვანილი იქნა მშობლიურ /აზერბაიჯანულ/ ენაზე [1, 12].

აჭარის ასს რესპუბლიკაში 1921-52 სასწავლო წლის პირველ ნახევარში სკოლებს დაუბრუნდა 301 განთესილი მოსწავლე.

აფხაზეთის განათლების სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად სასწავლო წლის პირველ ნახევარში ჩაბმული იქნა სწავლებაში 1733 ბავშვი [2, 5].

1947/48 სასწავლო წელს აჭარის ასსრ-ს სკოლებში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 35 241; 1948/49 სასწავლო წელს – 38 135; 1949/50 სასწავლო წელს – 40019, 1950/51 სასწავლო წელს 40639 და 1951/52 სასწავლო წელს – 413997 მოსწავლეს.

აჭარის პირობებში საყოველთაო სწავლების საქმეში დიდი მნიშ-

ვნელობა ენიჭებოდა ინტერნატებს. ამასთან დაკავშირებით აჭარის ასს რესპუბლიკაში გახსნილი იყო 19 ინტერნატი. აქედან, ხულოს რაიონის ღორჯომის საშუალო სკოლასთან – 34 მოსწავლისათვის, უჩამბის საშუალო სკოლასთან 24 მოსწავლისათვის, ხულოს ქალთა რვაწლიან სკოლასთან – 57 მოსწავლისათვის, ჭვანის რვაწლიან სკოლასთან – 18, შუახევის 8 წლიან სკოლასთან – 16, დღვანის რვაწლიან სკოლასთან – 17, ოლადაურის 8 წლიან სკოლასთან – 16 და ყინჩაურის 8 წლიან სკოლასთან – 17 მოსწავლისათვის, სულ ხულოს რაიონში 11 ინტერნატია 308 მოსწავლისათვის. დანარჩენი 8 ინტერნატი მოქმედებდა ქედისა (3) და ბათუმის (5) რაიონებში.

აჭარის ასს რესპუბლიკაში საკვლევ პერიოდში ფუნქციონირებდა 370 დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლა. აქედან: დაწყებითი – 212, რვაწლიანი – 126 და საშუალო – 32 [3, 32].

აჭარის ასსრ-ის სკოლებში მუშაობდა 2767 მასწავლებელი, უმაღლესი განათლებით – 808, არასრული უმაღლესი განათლებით – 464, სამასწავლებლო ინსტიტუტდამთავრებული – 266, პედაგოგიური განათლებით– 266 და არასრული საშუალო განათლებით – 5 [3, 33].

1952 წლის იანვრის მდგომარეობის მიხედვით აჭარის განათლების სამინისტროს ცნობებით სკოლის გარეთ დარჩენილი სასკოლო ასაკის 229 ბავშვი ირიცხებოდა, ამათგან ხულოს რაიონში – 114, ქედის რაიონში – 65, ბათუმის – 27, ქობულეთის – 54 და ქ. ბათუმში – 9.

ხულოს რაიონის 134 სკოლიდან შემოწმებულ მარტო 23 სკოლას, 1952 წლის აპრილის თვის მდგომარეობით 7-15 წლის ასაკის 120 ბავშვი ჩამოშორდა; ქედის რაიონის 69 სკოლიდან შემოწმებულ 23 სკოლიდან – 97 ბავშვი; ქალაქ ბათუმის 24 სკოლიდან შემოწმებულ 3 საშუალო და 1 რვაწლიან სკოლას – 46 მოსწავლე. სულ აჭარის ასს რესპუბლიკაში 75 შემოწმებულ სკოლიდან სწავლას ჩამოშორებულია 7-15 წლის ასაკის 324 ბავშვი, რაც დაახლოებით სწავლებაში ჩაბმული მოსწავლეების 3-4% შეადგენს, ამათ რიცხვში არ შედიან ის ბავშვები, რომლებიც ამა თუ იმ ანგარიშგასაწევი მიზეზით არიან დარჩენილი სკოლის გარეთ.

ქ. ბათუმისა და ქობულეთის სკოლების გამოკლებით, სოფლის სკოლებიდან განთესილია 263 მოსწავლე, მათ შორის 198 (75%) ქალი.

ხულოს რაიონში სკოლის გარეთ დარჩენილი 120 ბავშვიდან 93

(79%) ქალია, ქედის რაიონის – 61 ბავშვიდან – 46 (75%) და ქობულეთის რაიონის 67 ბავშვიდან – 53 ქალი (80%) იყო.

მაგალითად, ქვედა ცხმორისის (ქედა) რვაწლიანი სკოლის კურსი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არც ერთ ქალს არ დაუმთავრებია, ხოლო ახოს რვაწლიანი სკოლა, ამავე პერიოდში, 3 ქალს ჰქონდა დამთავრებული. ცხმორისის რვაწლიან სკოლაში მოსწავლე ქალთა და ვაჟთა რიცხობრივი შედარება ხუთი წლის განმავლობაში ასეთი იყო: 1947/48 სასწავლო წელს სკოლაში 68 მოსწავლიდან 17 (25%) ქალი იყო; 1948/49 სასწავლო წელს 85 მოსწავლიდან – 13 (15%), 1949/50 სასწავლო წელს – 87 დან 10 (12%), 1950/51 სასწავლო წელს 96 დან 27 (28%); 1951/52 სასწავლო წელს – 105-დან 36 (34%) [3, 34].

ხულოს რაიონი – 87 დაწყებითი სკოლა, 43 რვაწლიანი სკოლა, 4 საშუალო სკოლა, 9977 მოსწავლე.

შესაბამისად ქედის რაიონი – 48 დაწყებითი, 18 რვაწლიანი, 4 საშუალო და 3854 მოსწავლე. ადიგენის რაიონი – 33 დაწყებითი, 12 რვაწლიანი, 4 საშუალო, 3971 მოსწავლე. ახალქალაქის რაიონი – 22 დაწყებითი, 39 რვაწლიანი, 8 საშუალო, 13 114 მოსწავლე. ასპინძის რაიონი – დაწყებითი 5, რვაწლიანი – 11, საშუალო – 6, 2756 მოსწავლე. ახალციხის რაიონი – 23 დაწყებითი, 24 რვაწლიანი, 6 საშუალო, 8330 მოსწავლე. ბოგდანოვკის რაიონი – 6 დაწყებითი, 22 რვაწლიანი, 5 საშუალო და 6396 მოსწავლე.

ხულოს რაიონში არსებობდა სოფლის ახალგაზრდობის 7 სკოლა 189 მოსწავლით. ქედის რაიონში 21 სკოლა 25 მოსწავლით, ადიგენის რაიონში – 8 სკოლა 220 მოსწავლით, ასპინძის რაიონში – 2 სკოლა 40 მოსწავლით, ახალქალქის რაიონში 5 სკოლა 188 მოსწავლით, ახალციხის რაიონში 5 სკოლა 146 მოსწავლით და ბოგდანოვკის რაიონში 5 სკოლა 356 მოსწავლით [3, 50-51].

ხულოს რაიონში არსებობდა ორი პედაგოგიური სასწავლებელი ქალებისა და ვაჟებისათვის ცალცალკე 198 მსმენელით, ქედის რაიონში – 1100 მსმენელით, ახალქალქის რაიონში 2253 მსმენელით, ახალციხეში იყო საბავშვო სახლი, რომელიც 49 აღსაზრდელს ითვლიდა. ხულოში, ქედაში, ასპინძაში, ახალქალაქში და ბოგდანოვკაში არსებობს თითო საბავშვო ბაღი 10-დან 40-მდე ბავშვით [3, 51].

1921-1945 წლებში აიგო: ხულოს რაიონში 56 დაწყებითი, 17 რვაწლიანი და 1 საშუალო სკოლა. ქედის რაიონში 30 დაწყებითი,

17 რვაწლიანი, 3 საშუალო. ადიგენის რაიონში 9 რვაწლიანი, 5 საშუალო. ასპინძის რაიონში 3 დაწყებითი, 6 რვაწლიანი. ახალქალქის რაიონში 18 დაწყებითი, 21 რვაწლიანი, 5 საშუალო. ახალციხის რაიონში – 16 დაწყებითი, 15 რვაწლიანი, 1 საშუალო. ბოგდანოვკის რაიონში 2 დაწყებითი, 11 რვაწლიანი, 3 საშუალო.

1945-1952 წლებში აიგო: ხულოს რაიონში 31 დაწყებითი, 21 რვაწლიანი, 3 საშუალო. ქედის რაიონში 3 დაწყებითი, 1 რვაწლიანი. ადიგენის რაიონში 7 დაწყებითი, 2 რვაწლიანი. ასპინძის რაიონში 1 დაწყებითი, ახალქალაქის რაიონში 3 დაწყებითი, ახალციხის რაიონში 2 დაწყებითი, 4 რვაწლიანი, 1 საშუალო. ბოგდანოვკის რაიონში – 5 რვაწლიანი [3, 51].

ხულოს რაიონის სკოლებში მუშაობდა 620 მასწავლებელი, ამათგან უმაღლესი განათლებით 206, სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი – 70, საშუალო პედაგოგიური განათლებით- 231, ზოგადი საშუალო განათლებით – 113; ქედის რაიონში – 300 მასწავლებელი, ამათგან უმაღლესი განათლებით – 91, სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსდამთავრებული – 57, საშუალო პედაგოგიური განათლებით – 124, ზოგადი საშუალო განათლებით – 27, საშუალო დაუმთავრებელნი – 1.

ადიგენის რაიონში – 281 მასწავლებელი, უმაღლესი განათლებით – 78, სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსდამთავრებული – 56, საშუალო პედაგოგიური განათლებით – 70, ზოგადი საშუალო განათლებით – 77;

ასპინძის რაიონში – 209 მასწავლებელი, ამათგან უმაღლესი განათლებით – 62, სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსდამთავრებული – 42, საშუალო პედაგოგიური განათლებით – 10, ზოგადი საშუალო განათლებით – 95;

ახალქალაქის რაიონში 871 მასწავლებელი, ამათგან ინსტიტუტის კურსდამთავრებული – 148, საშუალო პედაგოგიური განათლებით – 467, ზოგადი საშუალო განათლებით – 199;

ახალციხის რაიონში – 524 მასწავლებელი, უმაღლესი პედაგოგიური განათლებით – 265, ზოგადი საშუალო განათლებით – 45;

ბოგდანოვკის რაიონში – 403, უმაღლესი განათლებით – 33, სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსდამთავრებული – 97, საშუალო პედაგოგიური განათლებით – 182, ზოგადი საშუალო განათლებით – 77, საშუალო დაუმთავრებელნი – 14.

ცხმორისის რვაწლიან სკოლაში 1947-48 სასწავლო წელს 68 მოსწავლიდან 17 ქალი იყო, 1948-49 სასწავლო წელს – 85-დან -13, 1949-50 სასწავლო წელს 87-დან 10, 1950-51 სასწავლო წელს 96-დან 27, 1952 წელს 105-დან 36 [3, 51].

1952 წლის მონაცემებით კაჭრეთის რაიონის სკოლების 5 490 მოსწავლიდან დატოვებულია იმავე კლასებში 1205 მოსწავლე (22%) ცალკეულ სკოლებში აკადემიურად ჩამორჩენილი და მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა კიდევ უფრო მეტია. ასე, მაგალითად, ზიარის რვაწლიან სკოლაში მოსწავლეთა 28% მეორეწლიანია, დარჩეთის დაწყებით სკოლაში – 41, 3%, ყანდაურის საშუალო სკოლაში – 23%.

გორის რაიონის სკოლების 14 269 მოსწავლიდან 3219 მცირეწლიანია (23%). შინდისის საშუალო სკოლაში მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა 28%-ს უდრიდა. არბოს რვაწლიან სკოლაში – 25, 8%-ს, ხოლო გაგლოვანთუბნის სკოლაში – 42, 3%. აკადემიური ჩამორჩნილობის გამო მეორეწლიან მოსწავლეთა ერთი ნაწილი სკოლიდან იყო განთესილი. მარტო კაჭრეთის რაიონის კაჭრეთის, კაკაბეთის, ყანდაურის საშუალო და ზიარის რვაწლიანი სკოლებიდან 83 მეორეწლიანი მოსწავლეა გასული. გორის რაიონის კარალეთის საშუალო სკოლიდან – 20 მოსწავლე [4, 112].

საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც საგანმანათლებლო პროცესს თვალყურს ადევნებდნენ, ხშირად აკრიტიკებდნენ იმ პედაგოგებს, რომლებიც სისტემის იდეოლოგიას განათლების სფეროში არ ახორციელებდნენ. „ისტორიის საპროგრამო მასალას ჯერ კიდევ ყველა მასწავლებელი ვერ იყენებს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისთვის, მათში ნაციონალური სიამაყის გრძნობის გამომუშავებისათვის. მაგალითად, შინდისის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე აღნიშნავდა, რომ „მიჩურინი დაკავშირებული იყო ევროპულ და, განსაკუთრებით ამერიკელ მეცნიერებთან“. ამავე მოსწავლის აზრით, მეფის რუსეთში თუ სკოლაში მოხვდებოდა გლეხის შვილი, იგი სწავლით თავს არ იწუხებდა. მოსწავლეს მცდარ შეხედულებებს მასწავლებელი არ ასწორებდა დაბალ თეორიულ დონეზე ტარდება ისტორიის გაკვეთილები ნიქოზის საშუალო სკოლაში“ [4, 115].

1956/57 სასწავლო წლის ბოლოს განათლების სამინისტროს სკოლების XI კლასებში ირიცხებოდა 34 765 მოსწავლე. ამათგან საშუა-

ლო სკოლის კურსი დაამთავრა 31 929. ავადმყოფობდა და მიეცა სიმწიფის ატესტატი – 928, საშემოდგომო გამოცდა მიიღო – 2635, მოისმონა კურსი და მიიღო მოსმენის მოწმობა – 7, კურსის განმეორებით გასავლელად დატოვებულ იქნა იმავე კლასში – 192 [5, 6].

1954/55 სასწავლო წლისათვის იგზავნება 50 კაცი მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში.

1952/53 სასწავლო წელს 4201 დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლა არსებობდა, აქედან დაწყებითი – 2202, რვაწლიანი – 1337, საშუალო – 709.

სტატისტიკური აღრიცხვის მიხედვით აღნიშნული სკოლებიდან მოსწავლეთა კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის არც ერთი ცალი არ ჰქონდათ 869 დაწყებით სკოლას და 31 რვაწლიან სკოლას, სულ 900 სკოლას, ხოლო დანარჩენი სკოლებიდან 50-მდე წიგნი ჰქონდათ 608 სკოლას, 51-დან 100-მდე – 341 სკოლას, 101-დან 250-მდე 562 სკოლას, 251-დან 500-მდე – 493 სკოლას, 501-დან 1000-მდე 467 სკოლას. ყველა სკოლას ბიბლიოთეკაში ყოველგვარი სახის ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, პედაგოგიურ-მეთოდური, სამეცნიერო, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა შეადგენდა 2802184 ცალს. აქედან კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა შეადგენდა 2000,0 ათას ცალს, 680,0 ათას მოსწავლეზე ან საშუალოდ ერთ მოსწავლეზე მოდიოდა არაუმეტეს 3 ცალისა [6, 45].

საინტერესოა აზერბაიჯანის საზღვრებში მოქცეული ქართული ტერიტორიების – საინგილოს სოფლების განათლების მდგომარეობა საარქივო დოკუმენტების მიხედვით. კერძოდ, 1945 წლის მონაცემებით კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში იყო შემდეგი მდგომარეობა: ა) ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეს ყველა სკოლაში მიქცეული აქვს განსაკუთრებული ყურადღება; მცირე გამონაკლისის გარდა /მოსულისა და თასმალოს შვიდწლიანი სკოლები/ გაკვეთილი ტარდება მომზადებულად, ლიტერატურის ტექსტის შესწავლა წარმოებს გულდასმით, წერითი სამუშაოები მასწავლებელთა დიდი ნაწილის მიერ კარგად არის მოფიქრებული და სისტემატიურად ტარდება. მოსწავლეთა შეცდომები სწორდება და თანმიმდევრულად მუშაობა წარმოებს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად /კახისა და ალიაბადის საშუალო სკოლები, ძაგამისა და ალიბეგლოს შვიდწლიანი სკოლები/. ქორუქლოს შვიდწლიან სკოლაში სკოლის ასაკის 13 ბავშვი არ არის სკოლაში ჩაბმული, თოფახში – 11, ალათემურში – 23, თასმალოში

– 30 [7, 17].

1948 წლისთვის საინგილოში მუშაობს 16 ქართული სკოლა, მათ შორის საშუალო – 3, შვიდწლიანი – 7, დაწყებითი – 6 და ორი საბავშვო ბაღი. აღნიშნულ სკოლებში სწავლობდა 2500-ზე მეტი მოსწავლე და მუშაობდა 107 მასწავლებელი /საქართველოდან გაგზავნილი 63, ადგილობრივი – 44/. საშუალო სკოლების კურსდამთავრებული 49 სტუდენტი განათლებას იღებდა თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში, თბილისის პედსასწავლებლებში და სხვა პროფტექნიკურ სკოლებში სწავლობდა 34 ინგილო. ინგილო სტუდენტები იმყოფებოდნენ სახელმწიფო კმაყოფაზე და წარმატებით სწავლობდნენ [8, 21].

სოფელ იგოეთის, თელადგორის და აღაიანის საშუალო სკოლების IX, X და XI კლასებში მოსწავლეთა კონტიგენტი ძალზე მცირეა. სოფ. იგოეთის საშუალო სკოლის IX, X და XI კლასებში სიით ირიცხებოდა 26 მოსწავლე, თელადგორის საშუალო სკოლის ამავე კლასებში – 25, ხოლო აღაიანის საშუალო სკოლის IX, X და XI კლასებში – 22 მოსწავლე [7, 32].

მშრომელთა დეპუტატების ახალქალაქის რაისაბჭოს აღმასკომი 1946 წლის 25 მაისის დადგენილებით აყენებს საკითხს დილისკის, გულიკამის, ზაკის, ალათუმნისა და ხანდოს სომხური სკოლების IX, X და XI კლასების მახლობელ საშუალო სკოლებთან გაერთიანების შესახებ. ხსენებული სკოლები არ იყვნენ უზრუნველყოფილი უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებლებით. გულკარისა და ალათუმნის საშუალო სკოლებს არ ჰყავდათ არც ერთი უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებელი, ხოლო დილისკისა და ხანდოს საშუალო სკოლებში უმაღლესი განათლებით მხოლოდ თითო-თითო მასწავლებელი იყო. ადიგენის რაიონის ახლოს საშუალო სკოლის 16 მასწავლებლიდან მხოლოდ ერთ მასწავლებელს ჰქონდა უმაღლესი განათლება. ტობანიერის საშუალო სკოლაში 17 მასწავლებლიდან უმაღლესი განათლებით მხოლოდ 2 მასწავლებელი ჰყავდათ. ამ სკოლებში მოსწავლეთა კონტიგენტი მეტად მცირე იყო [7, 62, 64].

აჭარის ასსრ განსახკომის სისტემაში შედიოდა 256 დაწყებითი, 108 არასრული საშუალო, 32 საშუალო სკოლა და 4 პედსასწავლებელი. ამ სკოლებში, პედსასწავლებლების გამოკლებით, 33 393 მოსწავლე ირიცხებოდა. აჭარის ასსრ-ში მოქმედებდა 3 კულტსახ-

ლი, 48 სასოფლო კლუბი, 10 ქოხ-სამკითხველო, 1 რესპუბლიკური ბიბლიოთკა, 3 სარაიონო ბიბლიოთეკა, 2 სასოფლო ბიბლიოთეკა, 1 საქალაქო ბიბლიოთეკა , 1 საბავშვო ბიბლიოთეკა [9, 31, 41].

ქართული საშუალო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დახელოვნების ერთთვიანი კურსების სასწავლო გეგმა: 1. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები – 30 სთ. 2. პედაგოგიკის ძირითადი საკითხები – 15 სთ. 3. ენის შესახებ ი. ბ. სტალინის მოძღვრების საფუძვლები – 5 სთ. 4. ქართული ენა მეთოდიკით – 40 სთ. 5. ქართული ლიტერატურა მეთოდიკით – 65 სთ.

ა) ძველი ქართული ლიტერატურა 15 სთ.

ბ) ახალი ქართული ლიტერატურა 25 სთ.

გ. საბჭოთა ლიტერატურა 25 სთ.

6. ლიტერატურის თეორია – 10 სთ. 7. ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის ზოგადი საკითხები [10, 78].

არაქართული რვაწლიანი და საშუალო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დახელოვნების ერთთვიანი კურსების სასწავლო გეგმა: 1. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები 30 სთ. 2. პედაგოგიკის ძირითადი საკითხები 15 სთ. 3. ენის შესახებ ი. ბ. სტალინის მოძღვრების საფუძვლები 5 სთ. 4. ქართული ენის მეთოდიკით 85 სთ. 5. ქართული ლიტერატურა მეთოდიკით 40 სთ [10, 79].

1941 წლის 1 აპრილისათვის აჭარის ასსრ დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებში მუშაობდა 1817 მასწავლებელი, მათ შორის 418 მასწავლებელი ქ. ბათუმის სკოლებში, დანარჩენი 1399 რაიონის სკოლებში. აღნიშნული 1399 მასწავლებლიდან აჭარელი იყო 209, დანარჩნი 1190 მასწავლებელი სხვა რაიონებიდან იყო ჩამოსული [11, 42].

**„ქართული ლიტერატურის პროგრამა IX კლასი, პროექტი“.** 1. შესავალი. 2. ქართული მწერლობის I პერიოდის ზოგადი მიმოხილვა. 3. იაკობ ცურტაველი „შუშანიკის წამება“ /შემოკლებით/. 4. იოანე საბანის ძე „წამება აბო ტფილელისა“. 5. გიორგი მერჩულის „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“. 6. ძველი ქართული მწერლობის II პერიოდის ზოგადი მიმოხილვა. 7. მოსე ხონელი „ამირან-დარეჯანიანი“ /შემოკლებით/. 8. ს. თმოგველი – „ვისრამიანი“ /შემოკლებით/. 9. სახოტბო პოეზია /ზოგადი მიმოხილვა/. 10. შ. რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“. 11. ძველი ქართული მწერლობის III პერიოდის ზო-

გადი მიმოხილვა. 12. თეიმურაზ პირველი – „ვარდბულბულიანი“, „წამება ქეთევან დედოფლისა“ (შემოკლებით), „სოფლის სამდურავი“. 13. არჩილი – „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ /შემოკლებით/. 14. სულხან-საბა-ორბელიანი – წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“ /შემოკლებით/. 15. დავით გურამიშვილი – „ქართლის ჭირი“, „სწავლა მოსწავლეთა“. 16. ბესარიონ გაბაშვილი „სევდის ბაღი“, „ტანოტატანო“. 17. მოლიერი – ზოგადი მიმოხილვა. 18 შექსპირი – ზოგადი მიმოხილვა.“ [12, 18].

1952/53 სასწავლო წლისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში უნდა გახსნილიყო 16 საშუალო სკოლა, აქედან აფხაზეთის ასსრ-ში 1 ქ. ტყვარჩლის მე-3 რუსულ-ქართული საშუალო სკოლის სახელწოდებით.

აჭარის ასსრ-ში 1, ქ. ბათუმის მე-9 საშუალო სკოლის სახელწოდებით, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქში, ერთი სოფ. წონის რუსული საშუალო სკოლა, ქ. თბილისში 2 სკოლა – 26 კომისრების სახ. რაიონში, 43-ე რუსული საშუალო სკოლა და 23-ე ვაჟთა სომხური საშუალო სკოლა. ქ. რუსთავში მე-3 რუსული საშუალო სკოლა და მე-6 ქართული საშუალო სკოლა, ზუგდიდის რაიონში 2 – სოფელ განმუხურში და ნარაზენის საბჭოთა მეურნეობის რუსული საშუალო სკოლა, ახალქალაქის რაიონის სოფ. ოკამის ქართული საშუალო სკოლა, ხაშურის რაიონის, სოფ. ხცისის საშუალო სკოლა, სახერის რაიონის სოფ. ჭალას საშუალო სკოლა, ქ. ტყიბულის რუსულ-ქართული საშუალო სკოლა, წალენჯიხის რაიონის, სოფ. საჩინოს საშუალო სკოლა და წულუკიძის რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის რუსული საშუალო სკოლა [13, 219].

ლენინის სახელობის ბათუმის ვაჟთა საშუალო სკოლა 1953-54 სასწავლო წლის დასაწყისში ითვლიდა 202 მოსწავლეს. 786 85 მოსწავლე გავიდა სკოლიდან იმ მიზეზით, რომ სამხედრო შენაერთი, რომელთა მოსამსახურეების შვილები სკოლაში სწავლობდნენ, გადავიდა ქ. ქუთაისში, ხოლო მის ადგილზე ჩამოვიდა რუსული შენაერთი.

26 მოსწავლე გადავიდა სხვა სკოლაში თავისი სურვილით, 5 გავიდა სკოლიდან ავადმყოფობის გამო. სკოლის მიკრორაიონში ამჟამად სკოლის გარეთ არის სასკოლო ასაკის 12 ბავშვი, 7 წლიდან 18 წლამდე. ამასთან 5 ბავშვი მეორე კლასიდან არის გასული.

1952 წლის I მეოთხედში იყო 62%, II მეოთხედში 73%, III მეოთხედში 79%, IV მეოთხედში 80%. მიმდინარე სასწვალო წელს

(1954) I მეოთხედში 72%, II მეოთხედში – 79%, III მეოთხედში – 82% [14, 21].

საინტერესოა, როგორ აღიქვამდა საბჭოთა ხელისფლება სწვლების პროცეში საბჭოთა იდეოლოგიის გამოყენებას. „ლიტერატურა ისტორიულად კლასობრივ მოვლენას წარმოადგენდა მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით. საბჭოური პარამეტრებით მოსწავლეთათვის ნათელი უნდა გამხდარიყო, რომ მწერალი გარკვეული კლასის წარმომადგენელია, რომ მის შემოქმედებაში გარკვეული კლასის ინტერესები, გარკვეული პარტიის მისწრაფებანია გამოხატული. ამ შემთხვევაში ამოსავალ პრინციპად მასწავლებლს უნდა ჰქონოდა მარქსიზმის კლასიკოსების მითითებანი მხატვრული ნაწარმოების ტენდენციურობასა და პარტიულობის შესახებ. თუ ეს პრინციპები სწორად იქნებოდა გამოყენებული, მაშინ ქართული კლასიკური მწერლობა ძვირფას მასალას მოგვცემდა მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის.

ბოლშევიკური იდეოლოგიის თანახმად: გაცილებით მეტი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ლიტერატურას, რომელიც ყველაზე რევოლუციური, ყველაზე იდეური, ყველაზე მოწინავე ლიტერატურას წარმოადგენდა მსოფლიოში. „ბოლშევიკები დიდად აფასებენ ლიტერატურას, მკაფიოდ ხედავენ მის დიად ისტორიულ მისიასა და როლს ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებაში, ხალხის დარაზმვასა და აღზრდაში“ [14, 89]. მოყვანილი დოკუმენტი ნათლად აჩვენებს იმ დამოკიდებულებას და იმ პოლიტიკას, რაც გააჩნდა საბჭოთა სისტემას საზოგადოებისადმი, საგანმანათლებლო სისტემისადმი და ზოგადად, მის გავლენაში მყოფ ერებისადმი.

ქართველი ერისთვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მისი მნიშვნელობა უცხო არასდროს ყოფილა. საქართველოს ისტორია აღნიშნულის არაერთ მაგალითს მოწმობს. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ეროვნული მოძრაობა განვითარების ახალეტაპზე გადავიდა და ახალი ფორმებით გამოვლინდა.

შეიარაღებული გამოსვლების მნიშვნელობით განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო XX საუკუნის 20-იან წლებში მიმდინარე განმათავისუფლებელი მოძრაობა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ერის ისტორია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ორ მიმართულებას მოწმობს: 1. შეიარაღებული გამოსვლა და 2.

იდეოლოგიური. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალური იყო XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული, როდესაც ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ეტაპზე გადავიდა. იდეოლოგიური ბრძოლა კვლავ გაგრძელდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ამჟამად უკვე ემიგრაციაში. როგორც უკვე აღვნიშნე, ამჯერად ჩემი მიზანია, ყურადღება გავამახვილო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგურ მიმართულებაზე. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ახალი აღმავლობა განიცადა XX საუკუნის 40-იანი წლებიდან, რაც გამომდინარეობდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებით. ქართულ ეროვნულ ძალებს იმედი გაუჩნდათ, რომ საბჭოთა რუსეთის ომში დამარცხების შემთხვევაში შეძლებდნენ საქართველოს განთავისუფლებას. სწორედ ამიტომ საზრღვარგარეთ მყოფი ქართული ემიგრაცია ყოველმხრივ ცდილობდა კავშირი დაემყარებინა სხვადასხვა დასავლურ სახელმწიფოსთან, რომლებიც საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მათი დახმარებით აღედგინათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

როგორც უკვე აღვნიშნე, ქართველი ერის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ორი მიმართულებით მიმდინარეობდა: იდეოლოგიური და შეიარაღებული გზით. რა განაპირობებდა ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიურ ხასიათს? სხვადასხვა სოციალური ფენის ცნობიერების ამაღლება, გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოთა სისტემას საკმაოდ მძლავრი პოლიტიკური მექანიზმი გააჩნდა და საზოგადოებაში საკუთარი იდეების დამკვიდრებას, რეალიზებას ცდილობდა. საგანმანათლებლო სივრცე საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილი იყო, თუმცა ქართული კულტურული ელიტა მეტ-ნაკლებად ეროვნულ მიმართულებას აძლევდა.

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**


1. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 300, აღწ. 12, საქ. №868.
2. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 300, აღწ. 12, საქ. № 802.
3. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 300, აღწ,

12, საქ. №795.
4. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 300, აღწ. 12, საქ. №784.
5. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 300, აღწ. 12, საქ. №1036.
6. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 600, აღწ. 20, საქ. №134.
7. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 300, აღწ. 12, საქ. №507.
8. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 300, აღწ. 12, საქ. №581.
9. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 300, აღწ. 12, საქ. №287.
10. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 300, აღწ. 12, საქ. №788.
11. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 300, აღწ. 12, საქ. №287.
12. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 300, აღწ. 12, საქ. №857.
13. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 300, აღწ. 12, ფ. №790.
14. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 300, აღწ. 12, საქ. №932.
15. ნ. ჯალაბაძე, ლ. ჯანიაშვილი, ნ. ლოლაძე, ბორდერიზაცია და ქართულ-ოსური ურთიერთობები ოკუპირებულ რეგიონში, თბილისი, 2022.
16. ნ. ჯალაბაძე, ყაზბეგის რაიონის ოსები ქართულ-ოსური ურთიერთობების კონტექსტში, თბილისი, 2017.

**Nato Songulashvili**
*Doctor of History, Ivane Javakishvili Tbilisi state University, Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology, Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History*

## Education of the border population of Georgia (50s of the twentieth century)

### Summary

After the occupation of Georgia by Soviet Russia, the country faced new difficult challenges. One of the important problems was the use of the educational system for one's own purposes. Since 1921, representatives of the Soviet government have paid great attention to increasing the number of schools, although they use them to achieve their own goals. Political "education" of society becomes their main starting principle. Society found itself at the other extreme. The Georgian political elite is in exile and fighting from there, Soviet ideas are taking root in Georgia. From the period of emigration until 1991, before the restoration of the state independence of Georgia, the work of Georgian emigrants did not stop and their efforts were directed towards gaining the freedom of Georgia. Naturally, depending on the challenges of the era, the current situation in the West and the Soviet Union, their struggle was sometimes active, and sometimes passive, although one thing can be said, the idea and the way to the goal remained unchanged.

**ალექსანდრე დაუშვილი**
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი*

# სოფლის მოსახლეობის გარე და შიდა მიგრაციის ზოგიერთი საკითხი XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში

მსოფლიოში ძნელად მოიძებნება ქვეყანა, სადაც მოსახლეობა არ მოძრაობდეს და ერთი ადგილიდან მეორეზე არ გადადიოდეს უკეთესი ცხოვრების პირობების საძიებლად, ახალი მიწების ასათვისებლად, რაც უფრო ხშირად ეკონომიკური ინტერესებითაც არის ნაკარნახები, თუმცა ისტორია იცნობს სხვა მოტივაციასაც. საკმარისია გავიხსენოთ ამერიკის ისტორია – „ოქროს ციებ-ცხელების" ეპოქა, როცა აღმოსავლეთის შტატებიდან მასობრივად დაიძრა მოსახლეობა დასავლეთის შტატებისაკენ – ოქრომდიდარი ტერიტორიების ასათვისებლად. შიდა მიგრაციები ხშირად ხდებოდა დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, თურქეთში, ლათინური ამიერიკის ქვეყნებში. გარე მიგრაცია კი საერთოდ დამახასიათებელია კაპიტალის პირველადი დაგროვების შეუქცევადი პროცესებისათვის, როცა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან, პირველ რიგში დიდი ბრიტანეთიდან, მოსახლეობა მასობრივად აიყარა მშობლიური ტერიტორიებიდან და ამ მასამ თითქმის წალეკა ამერიკის, აფრიკის, აზიის და შორეული აღმოსავლეთის არა ერთი ქვეყანა თუ სახელმწიფო. მსოფლიო გამოცდილება მიუთითებს, რომ შიდა და გარე მიგრაცია შეიძლება იყოს სტიქიური – მოსახლეობის კონკრეტული სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე და, მეორეც, იყოს სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი – როცა ხდება მოსახლეობის გარკვეული მასის მიზანმიმართული გადაადგილება-ჩასახლება სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით საჭირო ადგილებზე, როგორც ახალი ტერიტორიების ასათვისებლად, ისე სასაზღვრო რეგიონებში – ეთნიკურად სან-

დო ეთნოსების პოზიციების განსამტკიცებლად. ამ პოლიტიკას განსაკუთრებით აქტიურად იყენებდა რუსეთის ცარიზმი თავისი იმპერიის სამხრეთის საზღვრების გასამაგრებლად, ასევე თურქეთის სახელმწიფო – ათა-თურქის მმართველობის პერიოდში და ა. შ.

საქართველოს უახლესი ისტორია ორივე ამ ფორმას კარგად იცნობს, თუმცა ის სხვადასხვა პერიოდში გამოიყენებდა და ორივემ თავისებური დაღი დაასვა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

საყოველთაოდ ცნობილია რუსეთის იმპერიის დივერსიული დემოგრაფიული პოლიტიკის შესახებ სამხრეთ კავკასიაში, რომელიც XIX საუკუნის მთელ მანძილზე საქართველოს სასაზღვრო რეგიონში მიზანმიმართულად ასახლებდა თურქეთიდან დევნილ სომხებსა და ბერძნებს, გერმანიიდან და ესტონეთიდან გადმოსახლებულ შვაბებსა და ესტონელებს, რუსეთიდან გამოდევნილ დუხობორებს, მოლოკნებს. ასეთმა პოლიტიკამ საქართველოში სერიოზული პრობლემები შექმნა თავიდნვე და შემდეგ წლებშიც. მიგრციული პროცესები მუდამ ითხოვდა და დღესაც ითხოვს ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას.

საქართველოს ძალმომრეობით გასაბჭოების შემდეგ საზღვრისპირა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი – უფრო მაჰმადიანი სარწმუნოების მატარებლები, თავიდანვე ავლენდნენ თურქეთში მიგრაციის ტენდენციას – ამას იწვევდა როგორც მათ მიერ საბჭოთა სისტემის საერთოდ მიუღებლობა, გაბატონებული კომუნისტური პარტიის მებრძოლი ათეიზმის პოლიტიკა, ისე მარად გადაუწყვეტი ყოფითი პრობლემებიც.

უკვე 1924 წელს, ბორჩალოს მაზრაში, შეამჩნიეს მიურიდიზმის გამოვლენა და პროთურქული განწყობილებების ზრდა. მთელი 20-იანი წლების მანძილზე ვერ აღმოფხვრეს თურქეთში საზღვრისპირა რეგიონებიდან მოსახლეობის გარკვეული ნაწილის არალეგალური გადასახლების შემთხვევები. ადგილი ჰქონდა საქონლის დიდი ჯოგების თურქეთში გადარეკვის ფაქტებსაც.

უნდა ისიც შევნიშნოთ, რომ თურქეთის სახელწიფო ხელს უწყობდა და ახალისებდა ასეთ მიგრაციებს. არსებობს ლ. ბერიას მიერ საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. კახიანის სახელზე 1928 წელს გაგზავნილი წერილი, რომელშიც სწორედ აჭარის სასაზღვრო რეგიონებიდან თურქეთში მოსახლეობის გარკველი ნაწილის მიგრაციის საკითხს ეხება. ლ. ბერია ამ საქმეში

თურქეთის სახელწიფოს კვალსაც კი ხედავდა და აღნიშნავდა, რომ თურქებმა ეს პროპაგანდა დაიწყეს 1921 წელსვე, და მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პროპაგანდა ეწინააღმდეგებოდა ყარსის ხელშეკრლების სპეციალურ მუხლებს, როგორც ლ. ბერია ამტკიცებდა, თურქეთის სახელმწიფო თავისი ბათუმის საკონსულოს საშუალებით, მაინც მიზანმიმართულად ეწეოდა პროპაგანდას აჭარელი მოსახლეობის თურქეთში გადასახლების სასარგებლოდ.

ამ წერილში ლ. ბერიას მიერ განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ამიერკავკასიაში თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასახლებულთა საქმის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მაარუფ ბეის ვიზიტზე და მის მოგზაურობაზე ბათუმის ოლქში. როგორც ჩანს, მაარუფ ბეის ბათუმის ადგილობრივ გაზეთებში დაუბეჭდავს სტატია, რომელშიც ის მოუწოდებდა თურქულ ენაზე მოლაპარაკე და მუსლიმური აღმსარებლობის მქონე პირებს 9 თვის მანძილზე თურქეთში გადასახლებას, ურჩევდა მათ ან გაეყიდათ თავისი ქონება, ან და ის თურქეთში მთლიანად წაეღოთ. თურქეთის ეს ოფიციალური წარმომადგენელი ყოველმხრივ დახმარებას პირდებოდა საქართველოს მაჰმადიან მოსახლეობას თურქეთში, ახალ ადგილზე, ნორმალური ცხოვრების დაწყებაში [1, 2].

წერილში ლ. ბერია შეშფოთებას გამოთქვამდა აჭარაში თურქოფილური ტენდენციების გაძლიერების გამოც, რაც განსაკუთრებით იგრძნობოდა აჭარის მთის და სასაზღვრო რეგიონებში, ის, აგრეთვე, მიუთითებდა მაჰმადიანი მოლებისა და ხოჯების ზეგავლენაზეც, რაც ასევე აპირობებდა რეგიონში მიგრაციული ტენდენციების ზრდას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებში ურთიერთობა თბილისა და ბათუმს შორის ძლიერ დაიძაბა. განსაკუთრებით გაურთულდა ურთიერთობა თბილისთან „აჭარის ლიდერს“ თ. ხიმშიაშვილს. ამის შესახებ შეიტყობინეს მოსკოვში ი. სტალინს – არსებობს ამ საკითხზე ს. ორჯონიკიძისა და ი. სტალინის მიმოწერაც [1, 1-4]. 1925 წელს მოხდა ე. წ. „ქედის ინციდენტი“ – როცა აჭარის ავტონომიის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ თბილისი „კოლონიალური პოლიტიკის გატარებაში“ დაადანაშაულა [3, 32-60].

როგორც ჩანს, ცალკე თურქუთის სახელმწიფოს პროპაგანდა, მაჰმადიანი მოლებისა და ხოჯების ქმედითი მუშაობა და ცალკე თბილისის ცენტრალური ხელისუფლების შეცდომები ამ ორმხრივი

ურთიერთობების დროს, მიგრაციისთვის განაწყობდა აჭარის ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებიც თავიდანვე უკმაყოფილო იყო საბჭოთა სისტემის ეკონომიკური თუ რელიგიური პოლიტიკით და ამიტომაც აქტიურად ფიქრობდნენ თურქეთში გადასახლებაზე. ლ. ბერია ასახელებს აჭარის მთის რეგიონის იმ სოფლებს, სადაც თურქეთში მიგრაციის ტენდენციები სერიოზულად გამოიკვეთა უკვე 1928 წელს: სოფ. პაპაშვილები, გოგინაური, ლომანაური, ოლადაური და სხვ. წერილში საუბარია 687 ადგილობრივ მოსახლეზე, რომელიც გეგმავდა თურქეთში ახლო მომავალში გადასახლებას [4, 2].

აჭარაში პროთურქული განწყობილების ზრდამ, ანტისაბჭოთა და ზოგჯერ აშკარად ანტიქართული ტენდენციების გაძლიერებამ (რასაც იწვევდა, მაგალითად, ქართული საბჭოთა სკოლების გახსნა მედრესების ნაცვლად და ა.შ.) სერიოზული პრობლემები დაბადა და 1928-1929 წლებში ხულოს საკმაოდ მძლავრ აჯანყებაში გადაიზარდა. საბჭოთა სახელმწიფოს, უშუალოდ ლ. ბერიას მონაწილეობით, დასჭირდა დიდი ძალისხმევა აჭარაში ამ ტენდენციების ჯერ სამხედრო ძალით, ხოლო მოგვიანებით ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მის გასანეიტრალებლად.

მიუხედავად ამისა, XX საუკუნის 30-იან წლებშიც, განსაკუთრებით კოლექტივიზაციის მასობრივი პროცესის დაწყებისთანავე, საქართველოს სხვა კუთხეებშიც: ახალციხის, ახალქალაქის რაიონებში კვლავ გამოცოცხლდა თურქეთში გადასახლების ტენდენცია. საქართველოს სპეცსამსახურები საზღვრისპირა სოფლებში: ოკამში, მისაშხანში, აბლახში, ერინჯაში, ხოვესტაში, ხერთვისში, გერტასა და სხვა სოფლის მცხოვრებლებში აფიქსირებდნენ თურქეთში გადასახლებაზე საუბრებს და სურვილებს. ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელები ასეთ ტენდენციებს სოფლებში ჯერ კიდევ შემორჩენილი ბეგებისა და მოლების ზეგავლენას უკავშირებდნენ, თუმცა სახელწიფო პოლიტიკური სამმართველოს აგენტურა თავის ინფორმაციებში ჩამოთვლიდა ასეთი ტენდენციების მათთვის ცნობილ მიზეზებს: „საბჭოთა ხელისუფლების მიერ რელიგიური დევნა, კოლმეურნეობების ძალმომრეობითი კულტივირება, ფართო მოხმარების საგნების მწვავე დეფიციტი“ [5, 67-68].

თურქეთში მაჰმადიანების გადასახლების ტენდენცია იგრძნობოდა 1932 წელსაც. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქრთველოს ოთხ მოსაზღვრე რაიონში (ახლციხეში,

ახალქალაქში, ტალოში, ადიგენში) გააგზავნა სპეციალური კომისია შექმნილი ვითარების შესასწავლად. ამ რაიონებში არსებული 28 სოფსაბჭოდან გამოიკვლიეს – 17. შეისწავლეს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების ყველა მხარე: ეკონომიკა, სოციალური ურთიერთობა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების საქმიანობა, საკოლმეურნეო ცხოვრება, სახალხო განათლება, ჯანმრთელობის დაცვა. როგორც გაირკვა, იყო მოსახლეობის სერიოზული ეკონომიკური უკმაყოფილება: სასოფლო-სამეურნეო ვალდებულებებს ეს სოფლები პირნათლად ასრულებდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მაინც არ მიეწოდებოდათ ფართო მოხმარების საგნები, სერიოზულად ირღვეოდა საკადრო პოლიტიკაში ეთნიკური თანასწორობის პრინციპი და ა.შ.

რეგიონში ადგილობრივ მოსახლეობაში თურქეთში გადასახლების ტენდენციები პარალელურად შეისწავლეს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ГПУ-ს) წარმომადგენლებმაც, რომლებმაც ასეთი დასკვნა გააკეთეს: თურქეთის სახელმწიფო დაინტერესებული იყო სამხრეთ კავკასიიდან მოსახლეობის დიდი ნაკადების მიგრაციით, მათ ასახლებდნენ ცენტრალური ვილაეთების ცარიელ ტერიტორიებზე, ამის გამო თურქეთმა ამიერკავკასიაში ამ წლებში განსაკუთრებით გააქტიურა თავისი ემისრების საქმიანობა, დიდ მუშაობას ეწეოდნენ ადგილობრივი მოლები და ხოჯები, რამაც, როგორც ჩანს, სათანადო შედეგებიც მოიტანა.

ასეთ ტენდენციებს საბჭოთა სახელწიფო იმჟამად მხოლოდ რეპრესიულ მექანიზმს უპირისპირებდა – ძალიან გამკაცრდა სასაზღვრო რეჟიმი, გაძლიერდა სასაზღვრო საგუშაგოების მატერიალური და სამხედრო შესაძლებლობები და თურქეთთან საზღვარი საგულდაგულოდ ამოიქოლა.

სამშობლოში მიგრაციის სურვილი დაებადათ აფხაზეთში მცხოვრებ ბერძნებსაც – მათგან დიდი ნაწილი I მსოფლიო ომის დროს თურქეთიდან გამოქცეული და აფხაზეთში ჩასახლებული ანატოლიელი ბერძენი იყო, ბევრ მათგანს საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა არც კი ჰქონდა. ცნობილია, რომ საქართველოს საბჭოთა მთავრობამ 20-იანი წლების დასაწყისში შესთავაზა საბერძნეთის მთავრობას წაეყვანა სამშობლოში ომის დროს შემოსახლებული ბერძენი მოსახლეობა, რაზეც საბერძნეთის მხარემ უარი განაცხადა. როგორც ჩანს, აფხაზეთში მცხოვრებ ბერძნებს სურვილი გაუჩნდათ დაბრუნებულიყვნენ ისტორიულ სამშობლოში უკვე საკუთარი

სურვილით და საკუთარი სახსრებით. დოკუმენტურად დასტურდება, რომ 1924 წელს აფხაზეთიდან საბერძნეთში გაემგზავრა 7 ათასი კაცი. შემდეგ წლებში მიგრაციის ნაკადები ასეთი მაშტაბური აღარ იყო, მაგრამ ის მაინც ფიქსირდება: 1926 წელს 30 ოჯახი გაემგზავრა, 1928 წელს კიდევ 205 ოჯახი დაუბრუნდა ისტორიულ სამშობლოს, 1929 წელს საბერძნეთში დაბრუნდა 444 ოჯახი [6, 64].

მიგრაციის პროცესების ზრდის მიზეზების ძიების პროცესში სახელწიფო პოლიტიკური სამმართველოს აგენტურის მიერ გამოიკვეთა ამ საქმეში მაჰმადიანი ქალების განსაკუთრებული აქტივობა – როგორც ჩანს მაჰმადიანი მოსახლეობის ყველა უკმაყოფილების აკუმლატორი და თურქეთში ემიგრაციის იდეური მამოძრავებელი მუსლიმი ქალიც იყო. ქალები, როგორც ჩანს, განსაკუთრებით გაღიზიანებული იყვნენ მოუგვარებელი საბჭოთა ყოფით, არსებული დეფიციტით, ათეისტური პოლიტიკით. არის დოკუმენტური დადასტურება, რომ „ქალების ბუნტების" აღმოსაფხვრელად სასაზღვრო რაიონებში თბილისიდან სასწრაფოდ გააგზავნეს საჩუქრად: ახალციხეში – 32 ტონა პურის ფქვილი, ადიგენის რაიონში – 48 ტონა, ახალქალაქის რაიონში – 48 ტონა და ა. შ. [7, 131].

საკვლევ პერიოდში ახალქალაქის რაიონის დუხაბორებით დასახლებულ სოფლებში დაფიქსირდა ამერიკაში გადასახლების ძლიერი სურვილი.

30-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ლ. ბერიას მოსვლის შემდეგაც, რიგ სასაზღვრო რაიონში კვლავ იყო შესამჩნევი მიგრაციის ტენდენციები, თუმცა 1933 წლიდან ფიქსირდება თურქეთში მიგრირებული საქართველოს მაჰმადიანრების უკან დაბრუნების პროცესიც. როგორც დადასტურდა, თურქეთის მთავრობას საქართველოდან ჩასული მოსახლეობა გადაჰყავდა ქურთების აჯანყების შედეგად გამოთავისუფლებულ სოფლებში, სადაც მათზე ხორციელდებოდა ძალადობა – თურქეთის ჟანდარმერია მათ მკაცრად ეპყრობოდა: სცემდა ემიგრანტებს, იყო ქალების გაუპატიურების ფაქტებიც და ა. შ. [8, 20].

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სოფლებში ჩასახლებულ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს ძალიან ხშირად ჰქონდათ გაუმართლებელი პრეტენზიები ხელისუფლებასთან – ისინი მოითხოვდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას მშობლიურ ენაზე იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათი წარმომადგენლობა საქართველოში უმნიშვნელო იყო. ისტორიას შემორჩა ლაზი აქტი-

ვისტის ციტაშის წერილები, გაგზავნილი ფ. მახარაძესთან, ლ. ბერიასთან, გ. დიმიტროვთან, ი. სტალინთან. თავის წერილებში ციტაში ხატავდა საქართველოში, კერძოდ აფხაზეთის რაიმდენიმე სოფელში მცხოვრები ლაზების გაუსაძლის ცხოვრებას, რაც მათ თურქეთში გადასახლებისაკენ უბიძგებდა. მისი მტკიცებით, მარტო 1921-1928 წლებში აფხაზეთიდან თურქეთში გამგზავრებულა 4500 ლაზი. სქართველოში დარჩა 6000-მდე ლაზი. როგორც დასტურდება, ლაზების 75 პროცენტი აფხაზი და მეგრელი კულაკების მოჯამაგირეები იყვნენ. კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციამ ეს ადამიანები საქმის გარეშე დატოვა და საჭირო იყო მათთვის შრომის პირობების შექმნა, მათი ჩაბმა კუსტარულ წარმოებაში, თევზსაჭერ არტელებში. ციტაში მოითხოვდა პარტიული და საბჭოთა საქმიანობის რეალიზებას ლაზებისათვის გასაგებ – ლაზურ ენაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში თურქეთში მასობრივი მიგრაციით იმუქრებოდა.

ციტაშის წერილებმა ისეთი რეზონანსი გამოიწვია, რომ შეიქმნა სპეციალური კომისია საქართველოში მცხოვრები ლაზების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მდგომარეობის გასარკვევად და ქმედითი ზომების მისაღებად. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალუმა კომიტეტმა კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის საფუძველზე მიიღო დადგენილება „აფხაზეთისა და აჭარისტანის ლაზური მოსახლეობის სამეურნეო, კულტურულ-საგანმანათლებლო და პარტიულ-მასობრივი მდგომარეობის შესახებ“, რომელშიც გაჟღერდა უამრავი დაპირება, მხოლოდ იმისთვის, რომ ლაზებს არ დაეტოვებინათ საქართველო [9, 28].

30-იან წლებში შესამჩნევი გახდა ყვარლის რაიონის ლეკი მოსახლეობის წარმომადგენლებში დაღესტანში გადასახლების ტენდენციაც. ეს ადამიანები საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტში უჩიოდნენ ყვარლის რაიონის პარტიულ ხელმძღვანელობას, რომ ისინი მათ არ ეხმარებოდნენ საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებაში, მათ კულტურულ ინტერესებს ნაკლებად ითვალისწინებდნენ, ხელს არ უწყობდნენ დაღესტანში გადასახლების პროცესში და ა. შ. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც გაარკვია, რომ ყვარლის რაიონში სულ 587 ლეკი ოჯახი ცხოვრობდა. კომისიამ ვერ აღმოაჩინა საქართველოში მცხოვრები ლეკი დევნა-შევიწროების არც ერთი ფაქტი, პირიქით დადასტურდა, რომ სოფელ ხაშალხუტში აშენდა ახალი

სკოლა, სოფელ ტივ-ტობელჯაბში – ორსართულიანი სკოლა, იყო ქოხ-სამკითხველო და ა. შ. თუმცა დაფიქსირდა პრობლემებიც – სასმელი წყლის დეფიციტი, რაიონის ცენტრთან სისტემატური სატელეფონო კავშირის არარსებობა, სარწყავი არხის აუცილებლობა და ა. შ. [9, 42].

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კპ(ბ) ხელმძღვანელობა პერიოდულად სწავლობდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ცხოვრების პირობებს, იღებდა დადგენილებებს, რომლებშიც დასახული იყო, მაგალითად, ქვემო ქართლში მცხოვრები გერმანელების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და კულტურული ცხოვრების საკითხები. თუმცა მათ შორის არ იყო დაფიქსირებული გერმანიაში რეპატრიაციის ტენდენცია. სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა ბაშკიჩეთის მაჰმადიანური მოსახლეობის ყოფითი და კულტურული განვითარების საკითხები. ჩვენი აზრით, იმჟამად საქართველოში მაქსიმალურად ცდილობნენ ეროვნული უმცირესობებისათვის შეექმნათ ცხოვრების ასატანი პირობები, რა თქმა უნდა, შეძლების ფარგლებში. ამას მოითხოვდა არა მარტო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გაბატონებული იდეოლოგია, არამედ ქართული ტრადიციული ტოლერანტობაც.

მაგრამ, ხაზგასმით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის – ქართველების ეროვნული უფლებები არ იყო ყოველთვის დაცული თუ გათვალისწინებული, ქართული ენის, როგორც კონსტიტუციის აღიარებული სახელმწიფო ენის სტატუსიც ძალიან ხშირად ირღვეოდა რუსული ენის სასარგებლოდ და მისი უფლებების დამცველი არავინ ჩანდა.

30-იანი წლების შუა ხანებიდან საქართველოდან საზღვარგარეთ მიგრაციის ფაქტებმა საგრძნობლად იკლო – გარკვეულწილად ეს უნდა აიხსნას საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგებით, საბჭოთა სისტემის გარკვეული სტაბილიზაციით, საბჭოთა სისტემასთან მოსახლეობის ადაპტაციით და ა. შ.

მაგრამ II მსოფლიო ომის მოახლოებასთან ერთად საქართველოში შესამჩნევი გახდა საბჭოთა სახელწიფოს მხრიდან შიდამიგრაციული პროცესების განსაკუთრებული გააქტიურება. როგორც შემორჩენილი ოფიციალური დოკუმენტური მასალა ადასტურებს, დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში მოსახლეობის ორგანიზებული, სახელმწიფოს აქტიური ჩარევით, შიდა მიგრაციის საკითხი

დადგა უკვე 1937 წელს. ამაზე მიუთითებს საარქივო დოკუმენტები – საქ. კპ (ბ) ცეკას ანგარიშები, საქართველოს სოფლის მეურნეობის სახალხო კომისარიატის არქივში შემორჩენილი დადგენილებები და საქმიანი ქაღალდები, სადაც ხაზგასმულია, რომ დასავლეთ საქართველოში მოსახლეობის ორგანიზაციული გადასახლება დაიწყო 1937 წელს [10, 1; 11, 6-13].

რა იყო ამის მიზეზი?

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მითითებულია: „დასავლეთ საქართველოს მიწისძვრით დაზარალებული რაიონებიდან უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ორგანიზებული ჩასახლება აფხაზეთში...“ თუმცა ამ მოსაზრების ავტორი არ უთითიებს, თუ სად და როდის მოხდა ეს ბუნებრივი კატასტროფა და რამდენი ოჯახი მოიცვა ამან [12, 331].

სამაგიეროდ სამთავრობო დოკუმენტები ერთხმად მიუთითებენ ოფიციალურად აღიარებულ მიზეზებზე: „კოლმეურნეების გადასახლება მცირემიწიან და მცირეშემოსავლიან მთიანი კოლმეურნეობებიდან, მრავალმიწიან რაიონებში მიმოქცევაში შესული ახლად ამოშრობილი მიწების ასათვისებლად ჩაის ახალი პლანტაციების, სუბტროპიკული და მარცვლეული კულტურების ასათვისებლად“ [13, 1].

იგივე მიზეზია დასახელებული საქართველოს კომპარტიის მაშინდელი ხელმძღვანელების საანგარიშო მოხსენებებსა და რელაციებშიც, რაც მიუთითებს, რომ ეს „მიზეზი“ ოფიციალურად დადგენილი და საყოველთაოდ გაზიარებული უნდა ყოფილიყო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ამბებიდან მრავალი წლის შემდეგ კ. ჩარკვიანი (ძირითადად სწორედ მისი მმართველობის პერიოდში განხორციელდა გადასახლება-ჩასახლება დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში) თავის ვაჟთან საუბრისას განაცხადებს შემდეგს: „აფხაზეთში იყო შედარებით მეტი თავისუფალი მიწა, ამ მიწას ათვისება უნდოდა, ამისათვის საჭირო იყო იქ მოსახლეობა ყოფილიყო. თვითონ აფხაზი მოსახლეობა მიწის ათვისების გარანტიას ვერ იძლეოდა თავისი მცირერიცხოვნობის გამო, თან ისინი უფრო მთებში იყვნენ ჩასახლებულნი, საუკეთესო მიწები კი იყო ქვევით“ [14, 48].

საინტერესო ახსნა მოუძებნა აფხაზეთში მოსახლეობის ჩასახლების პროცესს ქართულმა ოფიციოზმა, გაზეთმა „კომუნისტმა“: „ის ადგილები, სადაც ამჟამად გაშენებულია ახალი საკოლმეურნეო სოფლები, წინათ წარმოადგენდნენ ეკლიან ტყეებს, გაუვალ ადგილებს. დამკვრელური მუშაობით ეს ადგილები სწრაფად გაწმინდეს.

ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩატარდა ოჩამჩირის რაიონის სოფ. კინდღაში. ახლად დასახლებულ კოლმეურნეებისათვის აშენებულია 597 სახლი. ადგილზე მათ დახვდათ სამოთახიანი აგურის სახლები, განმენდილი საკარმიდამო, ტრაქტორები და მექანიზაცია. აფხაზეთმა გულთბილად მიიღეს ახალი მეზობლები" [15, 2].

რა თქმა უნდა, იმჟამად საჯაროდ არავის უთქვამს, რომ აფხაზეთის მოსახლეობის, განსაკუთრებით ინტელიგენციის, გარკვეული ჯგუფი ამ ფაქტს მტრულად შეხვდა, თუმცა ამას ჯერ არ ავლენდა. ეს უკმაყოფილება მან გვიან, განსაკუთრებით ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ გამოხატა.

მიგვაჩნია, რომ ზემოთ არაერთხელ გაჟღერებული მიზეზი აფხაზეთში განხორციელებული შიდამიგრაციისა – ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური ვერსია, რომელიც, როგორც ჩანს, კ. ჩარკვიანმა არ შეცვალა მრავალი ათეული წლის შემდეგაც. თუმცა ვფიქრობთ, რომ მიზეზი უფრო ღრმა უნდა იყოს და პირველ რიგში, ჩვენი აზრით, ის დაკავშირებული შეიძლება იყოს II მსოფლიო ომის მოახლოებასთან, ომის წინა წლებში გერმანი-თურქეთის მაჭიდრო ეკონომიკურ და სამხედრო ალიანსთან. ასეთი თვალსაზრისის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს არა მარტიო იმ პერიოდის საერთაშორისო პოლიტიკური და სამხედრო ვითარების ანალიზი, არამედ ლ. ბერიას მიერ მოსკოვში, ი. სტალინის სახელზე გაგზავნილი ერთი საიდუმლო წერილის შინაარსიც. ამ წერილში ქართველი კომუნისტების ლიდერი პარტიის ხელმძღვანელს აცნობებდა საქართველოს თურქეთის საზღვრებთან არსებულ ვითარებას და ადგილობრივი თურქოფილების პროთურქულ საქმიანობას. წერილში საქმე ეხება ანტისაბჭოთა საქმინობისათვის დაკავებულ 445 კაცს, რომლებიც ამ მიზეზით სასაზღვრო სოფლებიდან გასახლებულნიც იყვნენ, მაგრამ უკვე დაბრუნდნენ ძველ ნაფუძვარზე. ლ. ბერია სტალინს ატყობინებს, რომ „უდიდესი უმრავლესობა პატიოსან შრომას ეწევა. 198 კაცი განაგრძობს ანტისაბჭოთა განწყობილებაზე ყოფნას. ეს არის კარგი საფუძველი ანტისაბჭოთა გამოსვლებისათვის, დივერსიებისათვის, უცხო ქვეყნების აგენტებისათვის. ამიტომ მათი მარტო გასახლებას აზრი არა აქვს. ოჯახებიც ანტისაბჭოთა განწყობილებით გამოირჩევიან. ამიტომ გთხოვთ ნებართვას ოჯახებით გასახლების უფლება მოგვცეთ" [16, 3-4].

ამრიგად, ლ. ბერია სამხრეთ საქართველოს სასაზღვრო რეგიონში თურქეთის არსებული და შესაძლო აგენტურის საქმიანობაზე

ი. სტალინის ყურადღებას ამახვილებდა უკვე 1937 წელს.

და განა მარტო თურქეთის საზღვრის გასწვრივ იყო XX საუკუნის 20-30-იან წლებში ძლიერი პროთურქული ტენდენციები და სიმპატიები? განა არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსკოვის დიპლომატიურ თუ სამხედრო წრეებს, პოლიტიკოსებს იმჟამად კიდევ ახსოვდათ აფხაზი მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების პროთურქული სიმპატიები და განწყობილობები XIX საუკუნის რუსეთ-თურქეთის ომების დროს („ხალხის მახრდამჭერი ყიჟინის შემდეგ მოლამ ყურანი გამოიტანა და შეკრებილები სულთანის ერთგულებაზე დააფიცა. თვითმხილველების აღწერით, აფხაზები გულსაკიდ ჯვრებს იხსნიდნენ, ხეებზე კიდებდნენ და ყურანს ემთხვეოდნენ“ [17, 17]. ასევე, 1931 წელს, გუდაუთის ანტისაბჭოთა ამბოხების დროს, როგორც სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს აგენტურა საქართველოს კპ(ბ) ცეკას ატყობინებდა, ამბოხებულები „მოითხოვდნენ თურქეთისაკენ გაჭრას, თურქეთში გადასახლებისათვის გზების გახსნას“, ისმოდა პროთურქული ლოზუნგები [18, 7].

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, II მსოფლიო ომის კვირაძალზე მოითხოვდა გარკვეულ პრევენციას სახელისუფლებო სტრუქტურებისაგან, რომ შენიღბულ პროთურქულ ტენდენციებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში და კიდევ სხვაგანაც, არ შეექმნათ დამატებითი სიძნელეები მოსკოვის ცენტრალური მთავრობისათვის. ამიტომაც გაჩნდა, ალბათ, მოსაზრება – სადაც ეს შესაძლებელი იყო, მომხდარიყო არასანდო ეთნოსის „გაჯერება“ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი მოსახლეობით – ძირითადად ქართველებით. ამისათვის ლეგალური საფუძველიც ადვილად გამოინახა – XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში განხორციელებული მრავალწლიანი, მიზანმიმართული საქმიანობა ძირითადად დასრულდა და დაიწყო დასავლეთ საქართველოს: აფხაზეთის, სამეგრელოს დაჭაობებული ტერიტორიების ამოშრობის შედეგად მიღებული ტერიტორიების ათვისების პროცესი.

აფხაზეთში მოსახლეობის ჩასახლების პირველმა ტალღამ მოიცვა 1937-1941 წლები. ამ ეტაპის მთავარი მახასიათებელი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს შემდეგი: **II მსოფლიო ომის წინ საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში პროთურქული განწყობილებებისა და მომავალში შესაძლო ქმედებების წინააღმდეგ მიმართული პრევენცია რეგიონში ლოიალური ქართული მოსახლეობის ჩასახლებით, ხოლო ეს ამოცანა ოფიციალურად აფიშირებული იყო ლოზუნგით – „მცირემი-**

**წიან და დაბალშემოსავლიანი მიწებიდან მოსახლეობის გარკვეული კონტინგენტის ჩასახლება სახელმწიფოს მიერ თავისი ხარჯებით ამოშრობილი და ექსპლოატაციაში ჩართულ ახალ ტერიტორიებზე როგორც აფხაზეთის, ისე სამეგრელოს რაიონებში". ამასთან, ხაზგასმით უნდა ისიც აღვნიშნოთ, რომ ეს პროცესი განხორციელდა არა ადგილობრივი აფხაზი თუ არა აფხაზი მოსახლეობის გასახლების, ან უფლებების შელახვის საფუძველზე, არამედ მათ გვერდით, მათ დასახმარებლად „ჩაის მრეწველობის შემდგომი განვითარების, ციტრუსული კულტურების, ვენახისა და ხარისხიანი მეღვინეობის შემდგომი ამაღლების", ახალი ტერიტორიების სწრაფად ათვისების მიზნით.**

ეს პროცესი კი საკმაოდ რთული ორგანიზაციული, სოციალური და მორალურ-ფსიქოლოგიური ღონისძიება აღმოჩნდა. იგი მოითხოვდა გარკვეულ კაპიტალდაბანდებებს, საკავშირო მთავრობის მხარდაჭერას, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანიზაციების, ტრანსპორტის, სპეციალური ინფრასტრუქტურის გამართულ, ორგანიზებულ მუშაობას. როგორც დოკუმენტები ადასტურებენ, ეს პროცესი ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდებოდა და საკმაოდ შრომატევადი და წლებში გაწელილი აღმოჩნდა.

პირველ ეტაპზე ყველაფერი კეთდებოდა არსებული ტექნიკური და ადამიანური რესურსების გამოყენებით, შედარებით მოკრძალებულად. 1939 წლის 22 აგვისტოს, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აფხაზეთში გადასახლების საკითხი სპეციალურად შეისწავლა, იქ მხოლოდ 580 სახლი იყო აშენებული და ჩასახლდა 588 კომლი. აქედან გაგრის რაიონის სტალინის სახ. კოლმეურნეობაში დამკვიდრდა 200 ოჯახი. სოფელ ოტრადნოეში აშენდა 50 სახლი და ჩასახლდა 63 კომლი. ახალმობინადრეები ჩაასახლეს გუდაუთის რაიონის სოფ. აკიტ-აციცში (100 ოჯახი), ოჩამჩირის რაიონის სოფ. კინდღში ახლადაშენებელ სახლებში დაბინავდა 230 გადმოსახლებული ოჯახი [19, 17].

პარალელურად მიმდინარეობდა ახალი სახლების მშენებლობა სოფ. ადიუბჟაში. საქართველოს კპ (ბ) ცეკამ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობას შენიშვნა მისცა ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების მიმართ „სათანადო ყურადღების ნაკლებობის გამო", რაც ახალმშენებლობების გაჭიანურებაშიც აისახა.

საყურადღებოდ გვეჩვენება ისიც, რომ დადგენილებაში, რომელიც აფხაზეთში გადასახლებულ კონტინგენტის საყოფაცხოვრებო პირობებს ეხება, არის ინფორმაცია დასავლეთ საქართველოს სხვა,

ახლადათვისებულ ტერიტორიებზეც: ჩხოროწყუში, აბაშაში, წალენ-ჯიხაში ახლადათვისებულ ტერიტორიებზე შექმნილ კოლმეურნეო-ბებში ჩასახლებულთა სოციალურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრე-ბო პირობების მონესრიგების საკითხებზეც. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ გარეგნულად აშკარად ცდილობდნენ გადასახლების პროცესე-ბი მთლიანად დაეკავშირებინათ დაჭაობებული ტერიტორიების ათ-ვისების პროცესებთან, რაც იმჟამად უკვე წარმატებით დაგვირ-გვინდა არა მარტო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, არა-მედ დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებზეც.

დადგენილებაში იყო საუბარი ინფრასტრუქტურაზეც, ევკალიპ-ტებისა და ციტრუსების მიმართ ახალმოსახლეების უგულისყურო დამოკიდებულებაზეც (მოუვლელობის გამო გახმა 10 080 ძირი ევ-კალიპტი, ახლად დარგული ციტრუსების პლანტაციები წალეკა სა-რეველამ და ა. შ. და ა. შ.). უკვე შესამჩნევი გახდა გადასახლება-ჩასახლების „აქილევსის ქუსლიც" – მოახალშენების ცალკეული წარმომადგენლები უკან, თავის ძველ საცხოვრებელ ადგილებს უბ-რუნდებოდნენ და ამას აკეთებდნენ ხშირ შემთხვევაში უნებართვოდ – უკვე 1939 წლის აგვისტოს ბოლოს დაახლოებით 48 კაცი დაბ-რუნდა უკან [20, 22].

მიღებული ვრცელი დადგენილება ითვალისწინებდა გადასახლე-ბა-ჩასახლების პროცესის გააქტიურებას, ავალებდა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, პირველ რიგში აფხაზეთის საოლქო კომიტე-ტის ხელმძღვანელობას, რომ მათ მაქსიმალურად უზრუნველეყოთ ახალმოსახლეები ცხოვრების ნორმალური პირობებით და ბოლომდე შეენარჩუნებინათ ადგილებზე ჩასახლებული კონტინგენტი.

1940 წლის მაისში საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტე-ტის ბიურომ კვლავ განიხილა აფხაზეთსა და კოლხიდაში ახალმო-სახლეთა გადასახლება-ჩასახლების საკითხი და დააფიქსირა პრო-ცესში სერიოზული ნაკლი – ამის მიზეზად დასახელდა საცხოვრებე-ლი ბინების მშენებლობის პროცესში არსებული შეფერხებები, ადგი-ლობრივი ხელმძღვანელობის უყურადღებობა და ა. შ., რის გამოც გეგმით გათვალისწინებული 686 ოჯახიდან, გამოყოფილ ახალ ფარ-თობებზე, ჩასახლდა მხოლოდ 535 კომლი. სერიოზულად პასიურობ-დნენ თვითონ მოახალშენეებიც – წალენჯიხის რაიონიდან გეგმით უნდა გადასახლებულიყო ახლადათვისებულ ტერიტორიებზე 90 ოჯახი, გადასახლდა მხოლოდ 39; გეგეჭკორის რაიონიდან იგეგმე-ბოდა 130 ოჯახის ჩასახლება, გადასახლდა მხოლოდ 58 და ა. შ.

ოფიციალური დოკუმენტები იმასაც მიუთითებენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ვარაუდობდა გადასახლება-ჩასახლების ტემპების ზრდას მომავალ წლებშიც – მარტო 1940 წლის მეორე ნახევარში იგეგმებოდა აფხაზეთსა და სამეგრელოში დაახლოებით 800 ოჯახის ჩასახლება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ევროპაში II მსოფლიო ომი უკვე მიმდინარეობდა, ხოლო საბჭოთა მთავრობა უდიდეს თანხებს ხარჯავდა წითელი არმიის შეიარაღებისა და ხელახალი აღჭურვისათვის, გასაგები გახდება თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოსკოვი აფხაზეთსა და საქართველოს ზღვისპირა რეგიონებში ლოიალური მოსახლეობის კონტინგენტის სწრაფად გაზრდას, და იმ ეთნოსების განეიტრალებას, რომლებმაც სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ანტირუსული (ანტისაბჭოთა) მიზნები და შეხედულებები გამოავლინეს.

ამრიგად, შესწავილი დოკუმენტური მასალა და სპეციალური ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე აშკარაა, რომ გარე და შიდა მიგრაცია XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში დადასტურებული ფაქტია; გარე მიგრაცია უფრო დამახასიათებელი იყო 20-იან წლებში საქართველოს საზღვრისპირა მაჰმადიანი მოსახლეობისათვის, რომლებიც უნებართვოდ ცდილობდნენ თურქეეში გადასახლებას. ამის მიზეზი იყო „საბჭოთა ხელისუფლების მიერ რელიგიური დევნა, კოლმეურნეობების ძალმორეობითი კულტივირება, ფართო მოხმარების საგნების მწვავე დეფიციტი". პარალელურდ ფიქსირდება როგორც თურქეთის სახელმწიფოს ემისრების აქტივობა, ისე მაჰმადიანი მოლებისა და ხოჯების პროპაგანდისტული ზეგავლენაც.

შიდა მიგრაციული პროცესები საქართველოში უფრო შესამჩნევი გახდა XX ს. 30-იანი წლების დასასრულს, როცა აფხაზეთში, სამეგრელოში და სხვა კუთხეებში „კოლმეურნეების გადასახლება მცირემიწიან და მცირეშემოსავლიან მთიანი კოლმეურნეობებიდან, მრავალმიწიან რაიონებში მიმოქცევაში შესული ახლად ამოშრობილი მიწების ასათვისებლად ჩაის ახალი პლანტაციების, სუბტროპიკული და მარცვლეული კულტურების ასათვისებლად". ამ ოფიციალური თვალსაზრისის პარალელურად ჩვენ გამოვქთამთ ვარაუდს და მოტანილია არგუმენტაცია, რომ ეს ჩასახლება გამოწვეული შეიძლება იყო II მსოფლიო ომის მოახლოებით და საბჭოთა მთავრობის სურვილით: ფარული თურქოფილური ტენდენციების გასანეტრალებლად საზღვრისპირა რეგიონებში საბჭოთა სისტემის მიმართ ლოიალური ეთნოსები ჩაესახლებინა.

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**


1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 3, საქ. 143.
2. Гасударственный архив социально-политической истории РФ, ф.85, оп. 25, д. 60.
3. ა. დაუშვილი, ქედის ინცინდენტი, კრ. აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 2009.
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღწ. 3, საქ. 43.
5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღწ. 6 საქ. 40.
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღწ. 6, საქ. 40.
7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღწ. 8, საქ. 10.
8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღწ. 8, საქ. 23.
9. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღწ. 9, საქ. 210.
10. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 288, აღწ. 1, საქ. 5929; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღწ. 15, საქ. 242.
12. დ ჯოჯუა, აფხაზეთი საბჭოთა სოციალიზმის ეპოქაში, კრ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი, თბილისი, 2007.
13. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 288, საქ. 5929.
14. გ. ჩარკვიანი, ინტერვიუ მამასთან, თბილისი, 2013, გვ. 48.
15. გაზ. „კომუნისტი“, 1939 წ.
16. სშსსა, II განყოფილება, ფ. 14, აღწ. 11, საქ. 152.
17. გ. ანჩაბაძე, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები, თბილისი, 2011, 4.
18. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღწ. 6, საქ. 2676.
19. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, აღწ. 14, საქ. 136.

20. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 14, აღწ. 13, საქ. 122.

**Alexander Daushvili**
*Doctor of Historical Sciences, Ivane Javakishvili Tbilisi State University, Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology*

## Some Issues of Migration of Rural Population in Georgia in the 20s-30s of the 20th Century

Based on the analysis of the studied documentary material and special literature, it is clear that external and internal migration in Georgia in the 20s-30s of the 20th century is a confirmed fact. External migration was more characteristic for the Muslim population from the border regions of Georgia in the 20s. They tried to migrate to Turkevi without permission. The reason for this was „religious persecution by the Soviet authorities, forced cultivation of collective farms and acute shortage of consumer goods". Parallelly, the activity of the emissaries of Turkey, as well as the propagandistic influence of Muslim mullahs and Khojas were strengthened.

Internal migration processes in Georgia became more noticeable at the end of 1930-ies. When from small-land and low-income mountain collective farms population started migration to multi-land areas to take up newly drained lands for new tea plantations, subtropical and grain crops. Along with this official point of view, we make the assumption and bring the argumentation that this settlement might have been caused by the approach of World War II and the desire of the Soviet government to settle in the border regions the ethnos loyal to the Soviet system in order to neutralize hidden Turkophile tendencies

**Giorgi Leon Kavtaradze**
*Doctor of Historical Sciences, Ivane Javakishvili Tbilisi State University, Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology, Chief Scientist-researcher of the Department of Ancient History*

## The "Caucasian Gate" – a Determining Factor for the Emergence and Existence of the State System in Central Transcaucasia

The great mountain range of the Caucasus, one of the most important watershed systems in the world, separates not only Transcaucasia and Cisaucasia, but also the remote and vast areas of the Middle East and Central Eurasia, representing since ancient times an insurmountable barrier, which separated the nomads of Eurasia from the civilized societies of the Middle East and the Mediterranean. Apparently, in the conflicting interdependence between the inhabitants of Ciscaucasia and Transcaucasia (in the broadest sense of these terms), the first had the function of the aggressor. The main cause of this controversy should have been the property and economic situation of the societies located in these areas; it can be said that 'wealthy' sedentary residents were attacked by nomadic 'dispossesseds'. In these different or opposite parts of the world from antiquity were, on the one hand, *Terra Incognita*, 'unknown, unconscious land' or 'the realm of barbarians' and, on the other hand, *Oikumene (οἰκουμένη)*, the old civilized world of common interests – "the realm of reasonable men".

Consequently, the need for control of the "Caucasian Gate", or Dariali passage, would inevitably be on the agenda for the security of *Oikumene*. Central Transcaucasia, which was immediately south of the "Caucasian Gate", would not be left outside the attention of the creators of the new political order. This explains the interrelationship between the fall of the Achaemenian state and the emergence in Central Transcaucasia of the East Georgian (Iberian) statehood. The Kingdom of Iberia is, in its essence, the real product of the Hellenistic world and therefore one of the most

important links of the extensive chain of states of the one and same world of the *Pax Macedonica*.

"The Caucasian Gate" is frequently called the *Pillars*, *Stronghold*, or *Iron Gate* of Alexander the Great by the Classical (Greco-Roman) authors [1, 66; 2, 8]. The connection of Alexander's name of the legend with the emergence of the Iberian statehood, known from the old Armenian and Georgian chronicles, indicates the *raison d'être* of this state, namely to be the outpost of the civilized world in its struggle with the tribes of *Gog and Magog*, who live in the *Realm of Darkness* beyond the *Caucasian Gate* [3; 4, 171-175]. Thus, the concept of Alexander's *Iron Gate* [5, 15-19] was the reflection of the concrete political function of the Georgian State – the control of one of the most important strategic passes of the world. It is in this context, the words of the old Georgian chronicles ought to be considered into account, that Alexander gave the Georgians a king or a ruler and gave an ideological basis – an essential component of all states: "*And ordered Alexander Azon to honor the sun and the moon and the five stars and to serve the God invisible, creator of the universe*" [6, 18]. In Kartli, in the region of Armazi-Mtskheta, assumptions about the earlier existence of the royal power are contradicted by the data of the ancient Georgian chronicles: "*...and this Aso was the first king of Mtskheta, a son of the king of Arian-Georgians*" [7, 320], or "*...this Pharnavaz was the first king in Kartli, One of the relatives of Kartlos*" [6, 26].

This function of the state seems to have been one of the main decisive factors that challenged the emergence of the Georgian State in the central part of Transcaucasia in the Early Hellenistic period. The location of Georgia, south of the Great Caucasian Range, in the contact zone of the Eurasian nomads and ancient civilized societies of the Middle East, had predetermined the constant external pressure from the north, a *Challenge*, which for its part caused a *Response* – the creation of a state (*i.e.* the Iberian kingdom) in Central Transcaucasia. The *raison d'être* not only of Iberia but also of other new states of the Classical period, Albania and Lazica (the successive state of Colchis), was to become strongholds of the civilized world (Greek *oikoumene* or Roman *Orbis Terrarum*) in its struggle with the barbarian North. However, there was undoubtedly a difference between the Western political orientation (the Greek states, Roman and Byzantine empires) of Iberia and also to a certain degree of Lazica, on the one hand,

and the Eastern orientation (Persia, Parthia) of Albania (together with Armenia), on the other [8, 177-237].

The control of the Caucasian passes could create the most favorable opportunity for the preservation of *Pax Romana* in the Middle East. The Iberians (eastern Georgians) were the most important allies of the Romans in the region, having supremacy over the *Caucasian Gate* [9, 99-100]. The close collaboration between the Romans and the Iberians, based on their joint strategic interests as parts of the same *Orbis Terrarum* was the *leitmotif* of their interrelations. At the same time, the rulers of the Iberian Kingdom successfully used the favorable strategic location of their country to balance the pressure of the powers coming from all sides of the world, often changing the direction of their orientation. Already Tacitus noted that the Iberians were "*masters of various positions*" and could suddenly *pour* mercenaries from across the Caucasus against their southern enemies [10, 212-213].

The long-term aspiration of the medieval Georgian monarchy, which presumably is going back to the times of the Roman empire, to bring under its sovereignty not only the *Caucasian Gate* but all existing Caucasian passes from the Black to the Caspian Sea, is expressed in the Georgian chronicle of the eleventh century, "The Life of the Georgian Kings", by the formula of its territorial integrity: "*from Nikopsia to Daruband*" [11, 96][1], *i.e.* from the north-eastern Black Sea littoral to the *Derbent Gate* (the second important pass of the Caucasus), on the western shore of the Caspian Sea. This formula, especially emphasizing the northern borderline along the Great Caucasus, enables us to interpret the main function of that kingdom in a more general context.

Faced with the necessity of effective control of the Caucasian passes, which barred the way of the northern invaders, the rulers of the states of the Eastern Mediterranean-Middle Eastern area were always eager to have in Central Transcaucasia – in Iberia – a political organization with sufficient strength to fulfill such a defensive function. The concept of the *Caucasian Gate* predetermined the fate of the Georgian State from the Early Hellenistic time until the beginning of the nineteenth century when the annexation of Georgia by Russia meant the loss of this important function of this state. I

[1] I. e., from ca Tuapse to Derbent.

think this function was the reason why, as pointed out by C. Toumanoff, Georgia is the only country of Christendom where the socio-political and cultural development from the Classical period to the beginning of the nineteenth century passed continuously [12, 142, 150., 443; 13, 1-3].

This overwhelming interest of the Near Eastern-Mediterranean societies in Georgia was not only caused by the abstract defensive function of this country, but mainly by its concrete location at the edge of civilized and barbarian worlds. Although Georgia and Transcaucasia were open to the influences of these two opposite models of historical development, the factor of the Great Caucasian Range determined its destination to be the stronghold of the highly developed and prosperous Middle Eastern-Mediterranean *oikoumene* against the vast area of the Eurasian steppes – an embodiment of the powerful and aggressive forces with their slow rate of social, political, economic and cultural development; or in other words, to be the stronghold of the civilized South and West against the barbarian North and East [14, 134-140]. On the other hand, the northern nomads required a bridgehead for their raids toward the Middle East. The territories of Georgia and Transcaucasia represented the best opportunities for this task. The constant opposition between the barbarian and civilized peoples, aggressors and producers, brigands and creators, were two firestones with the help of which the "fire of statehood" south of the central part of the Great Caucasian Range, in Central Transcaucasia, was kindled.

The current dangerous political situation in Georgia, the violation of its territorial integrity by a hostile force, is mainly due to the desire to destroy the favorable geopolitical position of the country, thus preventing the restoration of the natural, since ancient times, border that separated the above-mentioned two Worlds. This situation can for a long time deprive Georgia of the opportunity to revive its primary state function, the "meaning of its existence". It is especially important today when the new "fault lines" between the democratic and non-democratic worlds are more visible and deep.

**Verified sources and literature:**


1. Cl. Ptol., V, IX, Ptolemaei, *Geographiae.*
2. Eusebii Hieronymi, *Epistolae,* LXXVII.
3. Cary, G. The Medieval Alexander, Cambridge: University Press, 1956.
4. Preud'homme, N. J. Ambazoukes and the Gatekeepers of the Darial Pass during Late Antiquity, *International Scientific Conference: The Caucasian Gates* – Northern Outpost of Georgia 25-27 June, 2021, Materials, Tbilisi, 2021.
5. Anderson, A. R. Alexander's Gate, Gog and Magog, and the Inclosed Nations. The Medieval Academy of America. Cambridge, Massachusetts, 1932.
6. Leonti Mroveli, Live of Georgian Kings, In: Life of Kartli, vol. I. The text is prepared taking into account all the main manuscripts by S. Qaukhchisvili, Tbilisi, 1955 (in Georgian), I.
7. The Conversion of Kartli, Text prepared for publication by B. Gigineishvili & V. Giunashvili, Tbilisi, 1979 (in Georgian).
8. Kavtaradze, G. L. Georgian Chronicles and the raison d'ètre of the Iberian Kingdom (Caucasica II), – *Orbis Terrarum*, Journal of Historical Geography, Stuttgart, 2001.
9. Syvänne, I. Military History of Late Rome 284-361, Pen and Sword, Sep 9, 2015.99-100
10. Tacitus, *Annals,* VI, 33.
11. D. Rayfield, *Edge of Empires: A History of Georgia*. London: Reaktion Books, 2012.
12. Toumanoff, C. Medieval Georgian Historical Literature (VIIth – XVth Centuries). – Traditio, I. Studies in Ancient and Medieval History, Thought and Religion. New York, 1943.
13. Gugushvili, A. The Chronological-Genealogical Table of the Kings of Georgia, – Georgica, 1936.
14. Kavtaradze, G. L. Caucasian Georgia A Bridgehead or a Stronghold of the Modern Geopolitical Games. A Look from the Historical Perspective, – *Amirani, Journal of the International Caucasological Research Institute*, vol. XIV-XV, Montréal _ Tbilisi, 2006.

**გიორგი ქავთარაძე**
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი*

# „კავკასიის კარიბჭე" – ცენტრალურ ამიერკავკასიაში სახელმწიფო სისტემის აღმოცენებისა და არსებობის განმსაზღვრელი ფაქტორი

## რეზიუმე

კავკასიონის მთავარი მთაგრეხილი, მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყალგამყოფი სისტემა, ერთმანეთისგან მკვეთრად განყოფს არა მხოლოდ ამიერკავკასიასა და იმიერკავკასიას, არამედ მათ გადაღმა მდებარე ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური ევრაზიის შორეულ სივრცეებს. იგი უძველესი ხანებიდანვე წარმოადგენდა მომხვდურთათვის გადაულახავ ბარიერს, რომელიც ევრაზიის ნომადებს ახლო აღმოსავლეთ-ხმელთაშუაზღვისპირეთის ცივილიზებული მხარეებისაგან აშორებდა.

ბერძნულ-რომაული, სომხური და ქართული წერილობითი წყაროების მონაცემთა შეჯერება საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ცენტრალური ამიერკავკასიის ყველაზე ადრეული სახელმწიფოს, იბერიის (ქართლის) სამეფოს აღმოცენება-ჩამოყალიბების გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, სწორედ კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალურ ნაწილში მდებარე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე დარიალის კარიბჭის კონტროლის საჭიროება უნდა ყოფილიყო. ხომ ცხადია, რომ ცივილიზებული სამყაროს ყველა დროის მესვეურთათვის, მომთაბარეთათვის გზის გადამკეტი კავკასიის კარიბჭის ეფექტური კონტროლის დიდი საჭიროების გამო, სასურველი იყო შუაგულ ამიერკავკასიაში, იბერიაში, მსგავსი ფუნქციის შესრულებისათვის საკმაო ძალის მქონე სახელმწიფოებრივი ორგანიზმის არსებობა.

საქართველოს დღევანდელი რთული პოლიტიკური მდგომარეობა, გარეშე, მტრული ძალის მიერ მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, მნიშვნელოვანწილად, ჩვენი ქვეყნის ხელსაყრელი გეო-

პოლიტიკური მდებარეობის გაბათილების სურვილით უნდა იყოს განპირობებული. ამ მიზნით ჩანს კავკასიონის ქედის გადმოღმა ე. წ. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბება, რომელთა ძირითად დანიშნულებას კავკასიონის მთავარი ქედის გაყოლებაზე იმ საზღვრის აღდგენისთვის ხელის შეშლა უნდა წარმოადგენდეს, რომელიც ძველთაგანვე ცივილიზებულ სამყაროს მომთაბარე ბარბაროსთა შემოსევებისგან იცავდა. აღნიშნული გარემოება, ჩვენს ქვეყანას მისი ოდინდელი „არსებობის არსის", ანუ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებული ძირითადი სახელმწიფოებრივი ფუნქციის, დღეს ისევ ხელახლა წარმოქმნილი განახლების შესაძლებლობას დააკარგვინებდა, – დღეს, როდესაც სულ უფრო და უფრო ღრმავდება ახალი „რღვევის ხაზები" დემოკრატიულ და არადემოკრატიულ სამყაროთა შორის.

კვლევა PHDF-22-7145 განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით

**შორენა მურუსიძე**
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი*

# „საბჭოთა კავშირის ხალხთა განმათავისუფლებელი ლიგა“
## („პარიზის ბლოკი“)

„ცივი ომის“ დროს ბიპოლარული მსოფლიოს ზესახელმწიფოები – ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი – ერთმანეთს იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ომის მეთოდით ებრძოდნენ. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო სტრატეგია ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების პოლიტიკურ ემიგრაციასთან ურთიერთობის დამყარებას და მათი საქმიანობის მხარდაჭერას. 1951 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, მაუწყებლობა დაიწყო რადიო „ამრიკის ხმის“ ქართულმა რედაქციამ. ამ დღეს ეთერში გადაიცა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, დევიდ აჩესონის მიმართვა. მან ქართველ ხალხს მოუწოდა, გათავისუფლებულიყვნენ კომუნიზმისაგან: „თქვენ ხშირად ყოფილხართ დამარცხებული, მაგრამ არასოდეს – დამონებული... თქვენ შესძელით საუკუნეთა განმავლობაში შეგენარჩუნებინათ თქვენი ეროვნული ერთობა“ [4, 2]. იმავე წლის 4 ივლისს, აშშ-ის დამოუკიდებლობის დღეს, ქვეყნის პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი თავის გამოსვლაში აღნიშნავდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის უფლებების დაცვაზე, ხელს შეუწყობს ამ პრინციპის დაცვასა და განხორციელებას დედამიწის ნებისმიერ წერტილში, რადგან არსებობენ სახელმწიფო-

ები, სადაც „თვითოეულს ამ უფლებით სარგებლობისათვის ემუქრება ტირანიის ახალი და საშინელი ფორმები“ [2, 1].

სსრკ-ის და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბლოკის ქვეყნების ემიგრაციასთან ურთიერთობის მიზნით XX ს-ის 50-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში შეიქმნა კომიტეტები და საზოგადოებრივი გაერთიანებები. 1951 წლის 8 თებერვალს დააარსდა „ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული კომიტეტი“. ის ოფიციალურად ცნობილი იყო, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, თუმცა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ ბოლო წლებში გასაჯაროვებული საიდუმლო გრიფის მქონე დოკუმენტების შესწავლით დასტურდება, რომ „ამერიკული კომიტეტი“ იყო აშშ-ის სადაზვერვო სააგენტოს მიერ ფსიქოლოგიური ომის ფარგლებში (პროექტი QKACTIVE) შექმნილი ორგანიზაცია, რომლის საქმიანობას მთლიანად სადაზვერვო სააგენტო წარმართავდა. „კომიტეტის“ მიზანი იყო: ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ემიგრანტების მატერიალური და მორალური დახმარება, ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთების გამოცემის დაფინანსება, მათი ინტელექტუალური რესურსების გამოყენება, მათგან საჭოთა კავშირზე და მის ხალხზე ინფორმაციის მოპოვება; საბჭოთა კავშირში შემავალი ერების ემიგრანტული ორგანიზაციების გაერთიანების გზით ერთიანი ანტიბოლშევიკური ერთობის ჩამოყალიბება და საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალურ, მშობლიურ ენაზე მაუწყებელი რადიოსადგურების დაარსება [29]. „კომიტეტი“ თანამშრომლობდა სსრკ-ის ერთა ემიგრაციასთან, ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა. აშშ-ი ლიეტუვას, ლატვიასა და ესტონეთს სსრკ-ის მიერ ოკუპირებულად აღიარებდა, ამიტომ მათ მიმართ განსხვავებული პოლიტიკა და დამოკიდებულება ჰქონდათ.

ბიპოლარულ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით აკვირდებოდნენ ქართველი ემიგრანტები. ემიგრანტულ პრესაში იბეჭდებოდა ანალიტიკური სტატიები საერთაშორისო ურთოერთობების შესახებ. ქართველი პოლიტიკური ემიგრანტები ცდილობდნენ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში „ქართული საკითხის“ (საქართველოს დეოკუპაციისა და სუვერენიტეტისთვის ბრძოლა) ადგილი განესაზღვრათ და მოცემულობის გათვალისწინებით მათი საქმიანობის სტარტეგია ჩამოეყალიბებინათ. ამის შესახებ წერდნენ პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრები ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, კონსტანტინე კანდელაკი, რაჟდენ არსენიძე, ნოე ცინცაძე და

სხვ. მათი შეფასებით: „მსოფლიო ორ ნაწილად არის გაყოფილი, ერთი მოდის ვითომ ახალი აზრით, ცხოვრების ახალი შინაარსით და ფორმებით – მაგრამ მოდის გაყინული გულით და შეუბრალებელი სისასტიკით; ადამიანის პიროვნების გაქელვით და დამონებით, დიქტატურითა და ტერორით. ყოველივე ამას ის სოციალურ რევოლუციას ეძახის და ცდილობს ყველაფერი ეს მარქსიზმად გაასაღოს. მეორე მაგრად სდგას თავის ნორმალურ ევოლუციის გზაზედ და ჰუმანიზმის სახელით მომავლისაკენ გზას იკაფავს და, თუ გნებავთ, სოციალურ რევოლუციისაკენ უფრო კულტურული ზომებით და საღი გონიერებით მიექანება. ამ ორი ბლოკის ერთად ხანგრძლივი არსებობა, ან როგორც ამბობენ, თანამშრომლობა იგივეა, რაც ცეცხლისა და წყლის ერთად მოთავსება... ჩვენ უნდა ვცდილობდეთ საერთო ძალით ამ მოზღვავებულ მოვლენათა ცვალებადობის რთული კვანძის გარკვევას, იქ ჩვენი მიზნების შესაფერი პოზიციის გამონახვას, მეგობრების და მოკავშირეების შეძენას“ [6, 12]. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცის 32 წლის შემდეგ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მიზანი კვლავ უცვლელი რჩებოდა. პირველი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის სიტყვებით: „ჩვენი ამოცანაა, ტოტალიტარულ საბჭოთა დიქტატურის წინააღმდეგ ფსიქოლოგიური ომის საწარმოებლად, მებრძოლი აპარატის შექმნა ყველა მოქმედი ძალების მონაწილეობით. ემიგრაციის ყველა ანტიბოლშევიკური და დემოკრატიული ძალების მობილიზაცია და ორგანიზაცია, ბოლშევიკური დიქტატურის დასამხობად, წარმოადგენს ჩვენს მიერ დასახულ მიზნის მისაღწევ აუცილებელ პირობას...“ [7, 22-23].

როგორც ზევით აღვნიშნეთ, „ამერიკული კომიტეტის“ მიზანი იყო ერთიანი ანტობოლშევიკური გაერთიანების შექმნა. მის განსახორციელებლად 1951 წლის ნოემბრის დასაწყისში ვისბადენში საბჭოთა კავშირის ხალხთა ემიგრანტული ორგანიზაციების მონაწილეობით ჩაატარეს პირველი კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა ხუთი რუსული და ექვსი არარუსი ემიგრანტული ორგანიზაცია. რუსული ემიგრაციიდან: 1. ხალხთა განთავისუფლებისთვის მებრძოლი ლიგა (ხელმძღვანელი რუსეთის დროებითი მთავრობის ყოფილი თამჯდომარე ალექსანდრე კერენსკი); **2.** ნაციონალურ-შრომითი კავშირი; 3. რუსეთის სახალხო მოძრაობა; 4. რუსეთის ხალხთა განთავისუფლებისთვის მებრძოლთა კავშირი (ხელმძღვანელი ისტორიკოსისა და პოლიტიკოსი ბორის ნიკოლაევსკი); **5.** რუსეთის თავისუფლე-

ბისათვის მებრძოლთა კავშირი (ხელმძღვანელი ისტორიკოსი, პუბლიცისტი და რედაქტორ-გამომცემელი სერგეი მელგუნოვი). არარუსული ემიგრანტული ორგანიზაციებიდან: 1. ქართული ეროვნული საბჭო; 2. ბელორუსიის სახალხო რადა; 3. თავისუფლებისთვის მებრძოლ სომეხთა გაერთიანება; 4. ეროვნული ერთობის აზერბაიჯანული საბჭო; 5. ჩრდილო-კავკასიური ანტიბოლშევიკური ეროვნული გაერთიანება; 6. თურქესტანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი კომიტეტი.

ვისბადენის კონფერენცია იყო პირველი შემთხვევა, როცა რუსი და არარუსი ემიგრანტული გაერთიანებები სათათბიროდ შეიკრიბნენ, აქ მიღებული დეკლარაცია კი – პირველი პოლიტიკური აქტი რუსისა და სხვა ერთა წარმომადგენლების მიერ დადებული ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ [28, 75].

ვისბადენის თათბირში მონაწილე ორგანიზაციებმა 1952 წელს 16 ოქტომბერს მიუნხენში შექმნეს „ანტიბოლშევიკური საკოორდინაციო ცენტრი", რომლის საქმიანობაც გაერთიანების შექმნით უნდა დასრულებულიყო [3, 12]. თუმცა „ცენტრის" მუშაობა თავიდანვე წინააღმდეგობებით დაიწყო. რუსული და არარუსული ემიგრაცია ვერ თანხმდებოდა ეროვნულ საკითხზე. კერძოდ, რუსული ემიგრაციის არცერთი ორგანიზაცია და ჯგუფი არ აღიარებდა რუსეთის იმპერიის საზღვრების ცვლილებას და ე. წ. „ეძინაია რასიას" („ერთიანი რუსეთის") იდეას იცავდა. „ცენტრში" შემავალი არარუსული ორგანიზაციები მოითხოვდნენ ბოლშევიკური რეჟიმის დამარცხების შემდეგ სსრკ-ის ერებს მისცემოდათ უფლება აღედგინათ ან გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი „ამერიკული კომიტეტის" თავმჯდომარისთვის გაგზავნილ მემორანდუმში რუსული ემიგრაციის შესახებ წერდა: „როდესაც ბოლშევიზმის დამხობის საქმე თითოეულ ემიგრაციის გაგებაში მთლიანად იფარება თავისი ხალხის განთავისუფლებით, – რუსული ემიგრაციისათვის, ის ფსიქოლოგიური განუყრელობით, დაკავშირებულია ძველი რუსეთის თუ დღევანდელი საბჭოთა იმპერიის მთლიანობის, ამა თუ იმ სახით, შენახვის მიდრეკილებასთან" [7, 23]. ეროვნულ საკითხში თავისი ინტერესის განხორციელებისთვის რუსული ემიგრაცია, კერენსკისა და მელგუნოვის ხელმძღვანელობით, ცდილობდა „საკოორდინაციო ცენტრში" უმრავლესობა მოეპოვებინათ. ისინი ხელს უშლიდნენ „ცენტრში" საბჭოთა კავშირის ხალხთა იმ ემიგრანტული

ორგანიზაციების გაწევრიანებას, რომლებიც ეროვნულ საკითხში რუსულ პოლიტიკურ ემიგრაციას პრინციპულ წინააღმდეგობას უწევდნენ და არა მარტო ბოლშევიკური რეჟიმის ცვილების, არამედ სუვერენიტეტის აღდგენისთვის იბრძოდნენ. რუსული ორგანიზაციები განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდნენ „საკოორდინაციო ცენტრში" ემიგრაციაში მყოფი უკრაინული რადის გაწევრიანებას. პარალელურად ცდილობდნენ გაერთიანებაში შეეყვანათ მათი მომხრე არარუსი ემიგრანტული ჯგუფები, ასეთები იყვნენ მაგ. უკრაინელი ფედერალისტები და სომხური ჯგუფი საარუნის ხელმძღვანელობით. ასევე ხელოვნურად ქმნიდნენ ეროვნულ გაერთიანებებს (მაგ. სომხების, ჩრდილო კავკასიელების და ა.შ.), რომლებიც შემდეგ „საკოორდინაციო ცენტრში" გაწევრიანდებოდნენ. ასეთ „ეროვნულ ჯგუფებს" მოწინააღმდეგეები რუსული ემიგრაციის „სატელიტებს" უწოდებდნენ [1, 14].

„საკოორდინაციო ცენტრში" შემავალი რუსული ორგანიზაციების მცდელობას შეექმნათ ხელოვნური უმრავლესობა, წინააღმდეგობა გაუწიეს „ქართული ეროვნული საბჭოს" წევრებმა ნოე ცინცაძის ხელმძღვანელობით [1, 14]. მათ სცადეს ცენტრის შემადგენლობაში შეეყვანათ ბელარუსიისა და უკრაინის ეროვნული ჯგუფები. ამ მიზნით 1953 წლის 14-15 თებერვალს გერმანიის ქ. კარლსრუეში მოიწვიეს ბელარუსიის სახალხო რესპუბლიკის, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის რადის და „ქართული ეროვნული საბჭოს" წარმომადგენელთა კონფერენცია, სადაც შეთანხმდნენ ერთობლივად ემოქმედათ და ეთანამშრომლათ „ამერიკულ კომიტეტთან". კარლსრუეს კონფერენციაზე შეკრებილმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს საერთო პრინციპები, რომელსაც უნდა დაფუძნებოდა სსრკ-ის ემიგრანტული ანტიბოლშევიკური გაერთიანება. პრიორიტეტად ითვლებოდა ეროვნული საკითხი. კერძოდ, გაერთიანების ყველა წევრს პატივი უნდა ეცა სხვა ერების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისთვის, ლოიალურად მოკიდებოდა სსრკ-ის ერების მისწრაფებას აღედგინათ ან შეექმნათ დამოუკიდებელი სახელმწიფო; გადაწყვეტილებები უნდა მიეღოთ შეთანხმებით და არა უმრავლესობის პრინციპით; ეროვნული ჯგუფები წარმოდგენილი იქნებოდნენ პარიტეტის საფუძველზე; მასში გაწევრიანდებოდნენ რეალურად მოქმედი ეროვნული ორგანიზაციების წარმომადგენლები და არა ხელოვნურად შექმნილი ჯგუფები. თუ ეს პრინციპები ვერ განხორციელდებოდა, მაშინ „ამერიკულ კომიტეტს" სთავაზობნენ განეხილა ორ ცენ-

ტრთან თანამშრომლობა: ერთი მხოლოდ რუსული ორგანიზაციების, მეორე კი არარუსული. ამ მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში „ქართული ეროვნული საბჭო“ დატოვებდა „საკოორდინაციო ცენტრს“ [14, 19-20].

„ამერიკული კომიტეტის“ თავმჯდომარე და წარმომადგენლები ცდილობდნენ სსრკ-ის ემიგრანტულ ჯგუფებს შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობების აღმოფხვრას. კომიტეტის თავმჯდომარე ადმირალი ლესლი სტივენსი 1953 წლის მარტის შუა რიცხვებში შეხვდა კარლსრუეში შეკრებილ საქართველოს, უკრაინის და ბელორუსიის ემიგრანტულ ორგანიზაციებს, ამჯერად მათ სომხური ემიგრაციის წარმომადგენელიც შეუართდა. შეხვედრაზე სტივენსმა მათ სთხოვა თავისი მოსაზრებებისთვის მემორანდუმის ფორმა მიეცათ და წერილობითი სახით გადეცათ მისთვის [1, 14].

„ამერიკული კომიტეტისთვის“ წარსადგენი მემორანდუმის შესამუშავებლად 1953 წლის 25-26 მარტს, ამჯერად უკვე, პარიზში შეიკრიბნენ საქართველოს, უკრაინის, ბელარუსიის, სომხეთის, ჩრდილო კავკასიის და აზერბაიჯანის ემიგრანტული ორგანიზაციები. კარლსრუესა და პარიზის შეხვედებმა საფუძველი ჩაუყარა ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის – „პარიზის ბლოკის“ – შექმნას. პარიზის შეკრების მონაწილეებმა 28 მარტს ოფიციალური მემორანდუმის სახით ჩამოაყალიბეს მანამდე კარლსრუეში მიღებული გადაწყვეტილება და „ამერიკული კომიტეტის“ თავმჯდომარეს გააცნეს [15, 1-11]. მემორანდუმში ჩამოყალიბებულ ძირითად პრინციპებს წინ უძღოდა ვრცელი ისტორიული მიმოხილვა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის მიერ ხალხთა დაპყრობისა და დამორჩილების შესახებ, რამაც რუსული ემიგრაციის მძაფრი კრიტიკა გამოიწვია. ამ მემორანდუმს პარიზში გამომავალმა რუსულმა გაზეთმა „რუსკაია მისლ“-მა „სიძულვილის მემორანდუმი“ უწოდა და მისი ავტორები „რუსის ხალხის“ ცილისწამებაში დაადანაშაულა [6, 25].

„პარიზის ბლოკის“ მიერ წარდგენილ მემორანდუმს „ამერიკული კომიტეტის“ თავმჯდომარემ ადმირალმა ლესლი სტივენსმა წერილობით უპასუხა. ეროვნული საკითხის შესახებ სტივენსის პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების იმდრიონდელი პოზიციის დეკლარირება იყო. იგი განმარტავდა, რომ: „თანახმად ამერიკული მთავრობის პოლიტიკისა და ამერიკული ტრადიციებისა, კომიტეტის გარკვეული პოზიციაა, რომ სხვადასხვა ხალხებით დასახლებულ საბჭოთა ტერიტორიის პოლიტიკური ორგანიზაცია და მათ შორის

პოლიტიკური ურთიერთობების საკითხის გადაწყვეტა ეკუთვნის მხოლოდ ამ ხალხებს, ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების შემდეგ, და, არავითარ შემთხვევაში, ამერიკულ კომიტეტს არ შეუძლია ამ საქმეში ჩაერიოს. ამერიკული კომიტეტი სავსებით პატივს სცემს ეროვნულ იდეალებს თუ მოთხოვნილებებს საბჭოთა კავშირის ემიგრანტებისა, ვისაც მათი სამშობლოს დამოუკიდებლობა სურს. მაგრამ, რადგან შეერთებული შტატების მთავრობას არასოდეს არ უცვნია არც ერთი იმ ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელთა წარმომადგენლები ხელს აწერენ აღნიშნულ მემორანდუმს, ამერიკულ კომიტეტს არ შეუძლია გამოაცხადოს თუ იცნოს ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობა; ის ვერ გაიზიარებს და ვერც ხელს შეუწყობს იმ მოძრაობას, რომელიც ამა თუ იმ ტერიტორიის წინასწარ – გადაწყვეტილი დამოუკიდებლობისკენ არის მიმართული“ [8, 19-20]. ამერიკული კომიტეტის თავმჯდომარე ლესლი სტივენსი არ დათანხმდა „პარიზის ბლოკის“ მემორანდუმით შეთავაზებულ მოდელს შექმნილიყო ორი ცენტრი რუსების და არარუსული ემიგრაციის შემადგენლობით. სტივენსი აღნიშნავდა, რომ „კომიტეტისთვის“ მიუღებელი იყო ორი ცენტრის არსებოდა, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა მათ ძირითად მიზანს შეექმნათ „საბჭოთა კავშირის ხალხების საერთო ფრონტი“, ასევე – „გააღრმავებდა ბრძოლაში მონაწილეთა განსხვავებებს; გაახანგრძლივებდა და უეჭველად, გაამწვავებდა არსებულ უთანხმოებას და შეაფერხებდა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ნამდვილ ბრძოლას“ [8, 19].

„ამერიკული კომიტეტის“ ინიციატივით და ორგანიზებით იმავე 1953 წლის 1 ივნისს გერმანიის ქალაქ ტეგერნსეში გაიმართა ოთხი რუსული და პარიზში შეკრებილი (საქართველოს, უკრაინის, ბელარუსიის, სომხეთის, ჩრდილო კავკასიის და აზერბაიჯანის) ემიგრანტული ორგანიზაციების ყრილობა, რომელზეც აირჩიეს კომისია ევგენი გეგეჭკორის თავმჯდომარეობით. ბელარუსიის, უკრაინის და სომხეთის წარმომადგენლები ცდილობდნენ დათმომებზე წასულიყვნენ რუსულ ემიგრაციასთან, მიუხედავად ამისა, რუსულმა ემიგრაციამ კერენსკისა და მელგუნოვის ხელმძღვანელობით დატოვეს კომისია, დარჩა მხოლოდ ორი რუსული ორგანიზაცია „ხალხთა განთავისუფლებისთვის მებრძოლი ლიგა“ და „რუსეთის ხალხთა განთავისუფლების მებრძოლთა კავშირი“ (ე. წ. სბორნი). კომისიამ მუშაობა დაასრულა მომავალი „საკოორდინაციო ანტიბოლშევიკური ცენტრის“ წესდების პროექტის შემუშავებით [1, 16-17]. „ამერიკულმა კომიტეტმა“ ახალი გაერთიანე-

ბის პროექტი არ მიიღო, რადგან მასში არ შედიოდნენ რუსული ემიგრაციის ყველაზე წარმომადგენლობითი ორგანიზაციები. ამერიკული მხარის დარწმუნება სცადა ევგენი გეგეჭკორმა. მან ევროპაში „ამერიკული კომიტეტის“ წარმომადგენლებს კელისს და კუნიჰოლმს 1953 წლის 30 ივნისს საგანგებო მიმართვა გაუგზავნა. ევგენი გეგეჭკორი აქტიურად იყო ჩართული მიმდინარე პროცესებში, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც ემიგრაციაში წასვლის შემდეგ საქართველოს დეოკუპაციისთვის მებრძოლი ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურა იყო. იგი „კომიტეტისთვის“ გაგზავნილ მემორანდუმში ცდილობდა დაერწმუნებინა ამრიკული მხარე დათანხმებულიყვნენ ისეთი „საკოორდინაციო ანტიბოლშევიკური ცენტრის“ შექმნას, სადაც წარმოდგენილი იქნებოდნენ სსრკ-ის არარუსი ემიგრაცია და რუსული ემიგრაციის ე. წ. დემოკრატიული ნაწილი [7, 22-25]. თუმცა „ამერიკული კომიტეტი“ არ დათანხმდა ისეთი ანტიბოლშევიკური ემიგრანტული გაერთიანების შექმნას, რომელშიც რუსული ემიგრაციის ძირითადი ნაწილი არ მიიღებდა მონაწილეობას. შედეგად, „ამერიკული კომიტეტის“ მიზანი გაერთიანებული ანტიბოლშევიკური ფრონტი შეექმნა, ეროვნული საკითხის შესახებ რუსული ემიგრაციის შეუვალი პოზიციის გამო, ვერ განხორციელდა.

საქმიანობა გააგრძელა „პარიზის ბლოკმა“, რომელსაც 1955 წლიდან „საბჭოთა კავშირის ხალხთა განმათავისუფლებელი ლიგა“ ეწოდა [11, 15]. 1953 წელს „პარიზის ბლოკის“ შექმნისას მის შემადგენლობაში შედიოდნენ „ქართული ეროვნული საბჭოს“ (1953-1954 წლებში ნოე ციცაძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, გიორგი კერესელიძე; 1955 წლიდან – ნოე ციცაძე და რაჟდენ არსენიძე), სომხეთის რესპუბლიკის (1953 წლიდან კ. ბალაიანი, ნ. სამულიანი, ვ. ტერ-ტოვმასიანი; 1955 წლიდან გენერალი დრო და ს. ტერ-ტოვმასიანი), აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის ეროვნული კომიტეტის (1953-1954 წლებში შეიხ ულ ისლამი, ჯენგინ ბეი გაჯიბეილი; 1955 წელიდან მირზა ბალი), ჩრდილო-კავკასიის ეროვნული კომიტეტის (1953-1954 წლებში ემირ სეიდ ბეი შამილი, 1955 წლიდან ალი კანტემირი) ბელორუსიის სახალხო რესპუბლიკის რადის (ნიკოლაი აბრამჩიკი, ალექსეი არეშკა), უკრაინის სახალხო რადის (1953-1954 წლებში ს. სოზონტივი, ანდრიევსკი, 1955 წლიდან ს. დოვგალი) და „იდელ-ურალის ეროვნული ცენტრის“ (1953-1954 წლებში უფლებამოსილი პირი ემირ სეიდ ბეი შამილი, 1955 წლიდან გარიფ სულტანი) წარმომადგენლები. ორგანიზაციის თავმჯდომარე

იყო ბელორუსიის წარმომადგენელი ნიკოლაი აბრამჩიკი[1], ხოლო მდივანი ს. ტერ-ტოვმასიანი [16, 16; 30]. 1955 წლიდან „პარიზის ბლოკის" წევრი გახდა თურქესტანის ორგანიზაცია „თურქელი" (ამან ბერდიმურატი) [16, 16], ყირიმის ეროვნული ცენტრი (ე. კირიმალი) და კაზაკები (პ. პოლიაკოვი) [20, 2]. გაერთიანების წევრები ვალდებული იყვნენ, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ერთმანეთში გაეცვალათ ინფორმაცია მათი პოზიციისა და მოქმედებების შესახებ, არ გაწევრიანებულიყვნენ ისეთ საერთაშრისო ორგანიზაციაში, რომელიც „პარიზის ბლოკის" მიზნებს ეწინააღმდეგებოდა [16, 12]. ლიგის წევრი შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი ეროვნული ცენტრი, რომელიც მათ იდეებს იზიარებდა [26, 27].

„პარიზის ბლოკის" მიზანი წესდებით ასე იყო დეკლარირებული: „ერთობლივი მოქმედებების გზით საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე მხარი დაეჭირათ ხალხთა ეროვნული განთავისუფლების და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისკენ მისწრაფებისთვის" [16, 12]. „მოეხდინათ თავისი ხალხის ძალისხმევის კოორდინაცია კრემლის კომუნისტური დიქტატურის წინააღმდეგ უფრო წარმატებული ბრძოლისთვის, რათა მიეღწიათ ეროვნული მისწრაფებების სრული რეალიზაციის და საბჭოთა კავშირის მსხვერპლ ხალხთა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის" [17, 2].

„პარიზის ბლოკის" ორგანოები იყო კონფერენცია და კომიტეტი. ყველა საკითხს განიხილავდა და გადაწყვეტილებებს იღებდა კონფერენცია, რომელსაც წელიწადში ერთხელ ან საჭიროების მიხედვით იწვევდნენ. მასზე განიხილავდნენ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საბჭოთა კავშირის ხელისუფლების პოლიტიკას, რომლის შესახებაც ვრცელ მოხსენებებს კითხულობდნენ ორგანიზაციის წევრები. მოსმენილი მოხსენებების საფუძველზე „ლიგა" იღებდა რეზოლუციებს „მსოფლიოს ზოგადი პოლიტიკის შესახებ", რომელშიც თავის პოზიციებს აფიქსირებდა მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით [21, 4-5; 18, 3-5].

1955 წლის 7-12 ოქტომბერს გამართულ „პარიზის ბლოკის" კონფერენციაზე „ქართული ეროვნული საბჭოს" წარმომადგენელმა ნოე ცინცაძემ წაიკითხა მოხსენება „საერთო მდგომარეობა მსოფლიოში და ჩვენი მიზნები". იგი თავის მოხსენებას იწყებდა აქტუა-

---

[1] აშშ-ის სადაზვერვო სააგენტოში მისი კრიპტონიმი იყო AECAMBISTA-4, CAMBISTA-4 (https://www.archives.gov/files/iwg/ declassified-records/rg-263-cia-records/second-release-lexicon.pdf)

ლური საკითხების დასმით: „როგორ და რით სუნთქავს და სულ-დგმულობს კაცობრიობა დღეს? რა ვიცით ჩვენ ამაზე? როგორია ჩვენი რეაქცია და როგორი უნდა იყოს ჩვენი ამოცანები?..“ [10, 16]. საბჭოთა კავშირის ემიგრაციის როლი თანამედროვე მოცემულობა-ში ნოე ცინცაძეს ასე ჰქონდა გააზრებული: „მან უნდა შექმნას მძლავრი საერთაშორისო ფორუმი, სადაც თავს მოიყრიან საბჭოთა იმპერიის ტყვეობაში მყოფ ერთა ემიგრაციის კვალიფიციური წარ-მომადგენელნი (დაჩაგრული ნაციონალურად და სოციალურად) და აქედან მეთოდურათ და განუწყვეტლივ უნდა გაისმოდეს მოწოდება თავისუფალი ქვეყნების სინდისისადმი, რათა მათი ყურადღება მიპ-ყრობილ იქნას საბჭოთა იმპერიის ერებისადმი და კანონიერ ასპირა-ციებისადმი“ [10, 22]. „პარიზის ბლოკის“ კონფერენციებზე განხი-ლული საკითხებიდან ჩანს, რომ ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ სსრკ-ის არა მარტო საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკაზეც. მათ მიერ მიღებულ დადგენილებებში საუბარია საბჭოთა კავშირში დაწ-ყებულ ეკონომიკურ პრობლემებზე, კერძოდ ფასების მატებაზე, ე. წ. ხუთწლედების არაეფექტურობაზე [22, 1]. კონფერენციები ტარ-დებოდა ქ. მიუნხენში. აქ იყო განთავსებული „ამერიკული კომიტე-ტის“ და სსრკ-ის ხალხთა ემიგრანტული ორგანიზაციების თანამ-შრომლობით შექმნილი რადიო „თავისუფლება“, რომელსაც 1976 წლამდე აშშ-ის სადაზვერვო სააგენტო აფინანსებდა. ასევე – მიუნ-ხენში ტარდებოდა შეხვედრები „ამერიკული კომიტეტის“ წარმომად-გენლებთან. „პარიზის ბლოკის“ კონფერენციები მთავრდებოდა მე-მორანდუმის ან მიმართვის მიღებით. „ბლოკის“ აღმასრულებელი ორგანო იყო ერთი წლის ვადით არჩეული კომიტეტი და მისი პრე-ზიდიუმი, რომელიც კონფერენციის გადაწყვეტილებებს ახორციე-ლებდა. ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს „ლიგის“ წევრები ფარავდნენ [24, 5].

იმის გათვალისწინებით, რომ „ამერიკული კომიტეტის“ ურყევი პოზიცია იყო რუსულ ემიგრაციასთან შეთანხმება, „ბლოკის“ წევრები არ აღრმავებდნენ დაპირისპირებას და ცდილობდნენ რუსული ემიგ-რაციის დარწმუნებას ერთად ებრძოლათ ბოლშევიკური რეჟიმის წი-ნააღმდეგ [17, 13-14]: „პარიზის ბლოკი“ „მიმართავს მოწოდებით რუსის მთელ დემოკრატიულ საზოგადოებას, მიიღონ მონაწილეობა მათთან ერთად საბჭოთა ერების განსათავისუფლებლად კომუნის-ტური დესპოტიის ბრჭყალებიდან. რუსის ხალხის ერთმა საუკეთესო შვილთაგანმა – გერცენმა, თვის დროზე გადმოისროლა თავის კე-

თილშობილი ლოზუნგი „ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის“. დარწმუნებული ვართ, რომ დღესაც რუსი ემიგრაციის რიგებში არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც შეძლებენ გაერთიანებას ჩვენთან ამ გადამწყვეტ ბრძოლაში „ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის“. გამოვდივართ რა დემოკრატიული პრინციპებიდან, რომელიც სცნობს ყველა ერზე უფლებას თვით განაგოს თავისი ბედი, ღრმა პასუხისმგებლობის შეგნებით ჩვენ ერების წინაშე, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ ერთ მებრძოლ მჭიდრო და მტკიცე ფრონტში... სწორად გაგებული რუსის ერის ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვს მისი წარმომადგენლებისაგნ აღმოჩნდნენ ისტორიული მომენტის მოთხოვნილების სიმაღლეზე და არ ჩასთვალონ თავის მტრად ცალკე ერების წარმომადგენლები, რომლებიც იბრძვიან თავისი ნაციონალური თავისუფლებისათვის და დემოკრატიული სახელმწიფოებრიობისათვის. მთელი დემოკრატიული საზოგადეობის წინაშე ვაცხადებთ, რომ ჩვენ არც რუსი ხალხის მტრები ვართ და არც მისი კანონიერი ინტერესების. ჩვენ ვიბრძვით კომუნისტური იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელმაც სისხლითა და რკინით მოსპო ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა“ [26, 26-27]. მიუხედავად არაერთი მოწოდებისა, რუსულ ემიგრაციასთან თანამშრომლობა და ერთობლივი მოქმედება შეუძლებელი აღმოჩნდა.

„საბჭოთა კავშირის ხალხთა განმათავისუფლებელი ლიგის“ წევრებს დასახული მიზნის განხორციელების გზად ესახებოდათ „ამერიკულ კომიტეტთან“ თანამშრომლობა და მათი დახმარებით საინფორმაციო ბროშურებისა და პერიოდული ორგანოს გამოცემა სახვადასხა ენაზე [24]. 1958-1967 წლებში ამერიკული კომიტეტის დაფინანსებით გამოსცემდნენ ჟურნალს „სსრკ-ის ხალხთა პრობლემები“, რომელშიც იბეჭდებოდა სტატიები სსრკ-ს ისტორიის შესახებ, ქვეყნდებოდა მოხსენებები და ანალიზი მიმდინარე მოვლენების, ასევე კომუნიზმისა და ნაციონალიზმის ურთიერთქმედების თაობაზე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ეროვნულ ურთიერთობას საბჭოთა კავშირში [31]. გამოცემის მიზანი იყო დასავლეთის, განსაკუთრებით ამერიკის საზოგადოების, კეთილგანწყობის და მხარდაჭერის მოპოვება. ჟურნალში „გურულის“ ფსევდონიმით სტატიებს აქვეყნებდა ნოე ცინცაძე (სტატიის სათაური „საბჭოთა კოლონიალიზმი“) [13, 37].

„ამერიკული კომიტეტი“ „პარიზის ბლოკის“ მხოლოდ ერთეულ ინიციატივებს აფინანსებდა და არ ფარავდა ორგანიზაციის საქმია-

ნობისთვის საჭირო ყველა ხარჯს. „კომიტეტი“ თავის ერთ-ერთ საპასუხო მიმართვაში წერდა, რომ „ამერიკული კომიტეტი“ მაღალ შეფასებას აძლევდა „ლიგასთან“ მათ პარტნიორულ ურთიერთობებს და თანახმა იყო მიეღო მათი შემოთავაზებები. „ბლოკის“ მიერ შეთავაზებულ ინიციატივებს განიხილავდა „ამერიკული კომიტეტის“ ნიუ-იორკის ოფისი და მისი ხელმძღვანელობა [21, 1].

1953 წელს „ამერიკული კომიტეტისა“ და სსრკ-ის ემიგრაციის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად დაფუძნდა რადიო „თავისუფლება“. ქართული რედაქციის მთავარი რედაქტორი რაჟდენ არსენიძე, როგორც პოლიტიკური ემიგრანტი, იყო „პარიზის ბლოკის“ წარმომადგენელი მიუნხენში. „ბლოკის“ აქტიური წევრი ნოე ცინცაძე რადიოსთან დაკავშირებულ საკითხებზე „ქართული ეროვნული საბჭოს“ სახელით თანამშრომლობდა „ამრიკულ კომიტეტთან“. „პარიზის ბლოკის“ წევრები ითხოვდნენ ორგანიზაციის მოქმედებების შესახებ ინფორმაცია გადაეცა რადიო „თავისუფლებას“. „ამერიკული კომიტეტის“ თავმჯდომარის მოადგილემ და წარმომადგენელმა ევროპაში რობერტ კელიმ „პარიზის ბლოკის“ თავმჯდომარეს ნიკოლაი აბრამჩიკს 1958 წლის 18 დეკემბერს ვრცელი საპასუხო წერილი გაუგზავნა, რომელშიც ჩამოაყალიბა „კომიტეტის“ პოზიცია „ბლოკის“ მოთხოვნებზე. „კომიტეტი“ წინააღმდეგი იყო რადიო „თავისუფლების“ ეთერში გადაეცათ ინფორმაცია „საბჭოთა კავშირის ხალხთა განმათავისუფლებელი ლიგის“ შესახებ, რადგან ეს სცდებოდა რადიოს მიზნებს და დანიშნულებას [19, 1]. 1971 წელს იგეგმებოდა რადიო „თავისუფლების“ რეორგანიზაცია. „პარიზის ბლოკის“ სახელით ნოე ცინცაძემ და ნიკოლაი ლივიცკიმ მიმართეს „კომიტეტის“ პირველ თავმჯდომარეს ევგენი ლაიონს თხოვნით – რადიოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით შედგენილი „პარიზის ბლოკის“ მიმართვა გადაეცა აშშ-ის პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონისთვის [23, 4].

1950-1972 წლებში „ამერიკული კომიტეტის“ ხელშეწყობით და დაფინანსებით მიუნხენში ფუნქციონირებდა „სსრკ-ის კულტურისა და ისტორიის კვლევა-ძიების ინსტიტუტი“, რომლიც 4 წლის განმავლობაში რუსული ემიგრაციის მიერ იმართებოდა და მისი კვლევითი საქმიანობა არარუს ერთა საკითხების შესწავლას არ ითვალისწინებდა. 1954 წელს „პარიზის ბლოკის“ წამომადგენლების მოთხოვნით ინსტიტუტის მმართველობის რეორგანიზაცია განხორციელდა, აირჩიეს ახალი სამეცნიერო საბჭო და დირექცია, რომელშიც რუსი

და არარუსი ერების წარმომადგენლები თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი [27, 174]. ინსტიტუტის მიზანი იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფოსა და საზოგადოების სხვადასხვა ასპექტების, განსაკუთრებით ეროვნული საკითხების კვლევა. ინსტიტუტი გამოსცემდა მონოგრაფიებს, კონფერენციის კრებულებს, ქონდათ პერიოდული ორგანო [30]. 1958 წელს „პარიზის ბლოკის" წარმომადგენლებმა მიმართეს „ამერიკულ კომიტეტს" ინსტიტუტის მმართველობაში და საქმიანობაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ინსტიტუტის ნაყოფიერი მუშაობისთვის სასურვილი იყო თანამშრომლების 60% არარუსული ემიგრაციიდან ყოფილიყო, ასევე უფრო მეტად გამახვილებულიყო ყურადღება სსრკ-ის ეროვნული საკითხის კვლევაზე. „კომიტეტის" თავმჯდომარის მოადგილე ევროპაში რობერტ კელი „პარიზის ბლოკის" ხელმძღვანელს ნიკოლაი აბრამჩიკს პასუხად წერდა, რომ „სსრკ-ის კულტურისა და ისტორიის კვლევა-ძიების ინსტიტუტი" „ამერიკული კომიტეტის" დახმარებით ყოველთვის ყველაზე დიდ მნიშვნელობას სსრკ-ის ეროვნულ საკითხს ანიჭებდა, ამის დასტური იყო გამოცემული კვლევები და კრებულები, მაგ.: „კავკასიური კრებული", „უკრაინული კრებული", „ბელორუსიის კრებული", „აღმოსავლეთ-თურქული კრებული", ასევე სხვა გამოცემებში იბეჭდება სტატიები ეროვნულ საკითხზე, შესაბამისად რობერტ კელი მიიჩნევდა, რომ „ბლოკის" ინიციატივა – მეტი ყურადღება დათმობოდა ეროვნულ საკითხს – არარელევანტური იყო; ხოლო ინსტიტუტის შემადგენლობის გაზრდა არარუსი ემიგრაციის წარმმომადგენლებით უფრო გაართულებდა ინსტიტუტის მუშაობას [19, 1-3].

„პარიზის ბლოკმა" ორჯერ 1959 წლის 9 სექტემბერს და 1960 წელს 15 სექტემბერს საგანგებო მიმართვით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. პირველი შეეხებოდა გაეროს გენერალურ ანსამბლეაში დაგეგმილ ხრუშჩოვის გამოსვლას [9, 38], მეორე კი „საბჭოთა კავშირის დეკოლონიზაციას", რომელსაც თან ერთვოდა წიგნი, რომელშიც შესული იყო სსრკ-ის თვითეულ ერზე მოკლე ისტორიულ-პოლიტიკური მიმოხილვა, თანდართული რუკით და დროშები [20, 11-12].

1959 წლის 17 ივლისს აშშ-ის პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა ხელი მოაწერა კანონს „დაპყრობილ ერთა კვირეულის" დაწესების შესახებ: „ვინაიდან მიზანშეწონილია და სასურველი გამოეცხადოს თანაგრძნობა ამერიკის შეერთებული შტატების ხალხისა და

მთავრობის მხრივ ტყვეობაში მყოფ ერებს მათ სამართლიან მისწრაფებაში თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის... მე მოვუწოდებ ამერიკის შეერთებული შტატების მცხოვრებლებს, რათა ეს კვირა ჩაატარონ შესატყვისი მანიფესტაციებით; მე ვთხოვ მათ გაეცნონ საბჭოთა ხელისუფლების ქვეშ მყოფ ერთა მდგომარეობას და დაიცვან მათი სამართლიანი მისწრაფებები" [32]. აშშ-ში 1959 წლიდან ყოველი წლის ივლისის მესამე კვირას ტარდებოდა მანიფესტაციები და სხვადასხვა ღონისძიებები დაპყრობილი ერების განთავისუფლების მხარდასაჭერად. კვირეული მიმართული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ[1]. პრეზიდენტ ეიზენჰაუერის დადგენილებას „დაპყრობილ ერთა კვირეულის" დაწესების შესახებ „პარიზის ბლოკი" თავის დეკლარაციაში „იმედის ქარტიას" უწოდებს. მათი შეფასებით ეს იყო „მორალური გამხნევება და თავისუფალი ქვეყნების თანაგრძნობა, საბჭოთა კავშირის ტყვე ერების მიმართ" [5, 37]. მომდევნო 1960 წელს 17-24 ივნისს „დაპყრობილ ერთა კვირეულის" ფარგლებში აშშ-ის დიდ ქალაქებში ჩატარდა მიტინგები, სადაც სიტყვით გამოვიდნენ პოლიტიკოსები, რომლებიც აკრიტიკებდნენ საბჭოთა პოლიტიკას და დახმარებას პირდებოდნენ თავისუფლებისთვის მებრძოლ ერებს, კვირეულში მონაწილეობდნენ აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების და სსრკ-ის ერთა ემიგრანტული გაერთიანებები [12, 22].

1971 წლის 28 ივლისს „პარიზის ბლოკის" ხელმძღვანელმა ნიკოლაი ლივიცკიმ (1967-1989 წლებში უკრაინის სახალხო რესპუბლიკის ემიგრირებული მთავრობის მეთაური) მიმართა აშშ-ის პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის მრჩეველს, დიპლომატ ჰენრი კისინჯერს. იგი „ლიგის" სახელით მხარდაჭერას გამოხატავდა ჩინელი ხალხის მიმართ განხორციელებული ამერიკის პოლიტიკისადმი და სთხოვდა პრეზიდენტისთვის გადაეცა, რომ ერები, რომელსაც „პარიზის ბლოკი" წარმოადგენს, ისწრაფვიან დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოების აღდგენისაკენ. ლივიცკი თავის მიმართვაში აღნიშნავს, რომ მსოფლიო მშვიდობა ვერ გამყარდება სანამ სსრკ-ის და ე. წ. „სატელიტი ქვეყნების" (სოციალისტური ბლოკის სახელმწიფოები) ხალხები დამონებული იქნებიან [23, 3].

---

[1] სსრკ-ის დაშლის შემდეგ „დაპყრობილ ერთა კვირეული" არ გაუქმებულა, ის დღემდე ტარდება და მიმართულია ისეთი სახელმწიფოების წინააღმდეგ, როგორიცაა ბელარუსია, ბირმა, კუბა, ირანი, ჩრდ. კორეა, სუდანი, სირია, ზიმბაბვე.

„პარიზის ბლოკმა“ ფუნქციონირება შეწყვიტა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ „საბჭოთა კავშირის ხალხთა განმათავისუფლებელი ლიგის“ საქმიანობა ძირითადად დაფუძნებული იყო „ამერიკული კომიტეტის“ მხარდაჭერაზე. 1964 წელს „კომიტეტმა“, რომელიც რადიო „თავისუფლების“ მუშაობას კოორდინირებას უწევდა, სახელწოდება შეიცვალა და „რადიო თავისუფლების კომიტეტი" ეწოდა. სახელწოდების ცვლილების მიუხედავად, ის კვლავ აგრძელებდა ანტიბოლშევიკური ორგანიზაციებისა და ემიგრანტების მხარდაჭერას [25, 1], თუმცა დახმარების ინტენსივობა შემცირდა. 1967 წლიდან შეწყდა „სსრკ-ის ხალხთა პრობლემების“ გამოცემა. ამას დაერთო „ბლოკის“აქტიური წევრების ხანდაზმულობა ან გარდაცვალება.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ „საბჭოთა კავშირის ხალხთა განმათავისუფლებელი ლიგა“ („პარიზის ბლოკი“) დაარსდა ცივი ომის დროს ამერიკის სადაზვერვო სააგენტოს მიერ შექმნილი „ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული კომიტეტის“ საქმიანობის შედეგად. რუსულ და არარუსულ ემიგრაციას შორის ეროვნულ საკითხზე წარმოქმნილი შეუთანხმებლობის გამო „კომიტეტის“ მიზანი – შეექმნა ანტიბოლშევიკური გაერთიანება, არ განხორციელდა, თუმცა შეიქმნა სსრკ-ის არარუსი (ბალტიისპირეთის გარდა) ემიგრანტული ორგანიზაციების გაერთიანება „პარიზის ბლოკი“, რომელიც საბჭოთა კავშირის დაპყრობილი ერების უფლებებს იცავდა და ცდილობდა მსოფლიო საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვებას. „ლიგის“ საქმიანობის შესწავლა მნიშვნელოვანია სსრკ-ის ემიგრაციის ისტორიის და ცივი ომის დროს მათი როლის კვლევის თვალსაზრისით.

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**


1. აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობიდან (ფაქტები და დოკუმენტები), ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, 1953, №16.
1. გაზეთი „საქართველო“, 1951, №4.
2. გრიგოლი ურატაძე, საკოორდინაციო ცენტრი, ჟურნალი „ჩვენი დროშა“, 1953, №14.
3. დევიდ აჩესონი, გაზეთი „საქართველო“, 1951, №4.
4. დეკლარაცია მიღებული „საბჭოთა კავშირის ერთა განთავისუფ-

ლების ლიგის“ მიერ წლიურ კონფერენციაზე, ჟურნალი „ჩვენი დროშა“, 1959, №31.
5. დღევანდელი მდგომარეობა და ჩვენი საკითხი, ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, 1952, №2.
6. ევგენი გეგეჭკორი, მემორანდუმი ამერიკული კომიტეტის რწმუნებულ ბ. ბ. კელლის და კუნიჰოლმს, ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, 1953, №16.
7. ლესლი სტივენსი, ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული კომიტეტი (პასუხი „პარიზის ბლოკის“ მემორანდუმზე), ჟუნალი „მებრძოლი საქართველო“, 1953, №16.
8. მიმართვა „საბჭოთა კავშირის ერთა განმათავისუფლებელი ლიგა“-სი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციას“, ჟურნალი „ჩვენი დროშა“, 1959, №31.
9. ნოე ცინცაძე, საერთო მდგომარეობა მსოფლიოში და ჩვენი მიზნები, ჟურნალი „ჩვენი დროშა“, 1955, №21.
10. პარიზის ბლოკის კონფერენცია, ჟურნალი „ჩვენი დროშა“, 1955 №21.
11. რუსეთის დაპყრობილ ერთა კვირა ამერიკაში, ჟურნალი „ჩვენი დროშა“, 1960, №34.
12. „საბჭოთა კავშირის ერთა განმათავისუფლებელი ლიგა“-ს ორგანო ინგლისურ ენაზე, ჟურნალი „ჩვენი დროშა“, 1959, №30.
13. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდი 2128, აღწერა 1, საქმე 6.
14. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდი 2128, აღწერა 1, საქმე 14.
15. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდი 2128, აღწერა 1, საქმე 19.
16. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდი 2128, აღწერა 1, საქმე 23.
17. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდი 2128, აღწერა 1, საქმე 25.
18. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდი 2128, აღწერა 1, საქმე 26.
19. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდი 2128, აღწერა 1, საქმე 28.
20. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური

არქივის ფონდი 2128, აღწერა 1, საქმე 29.
21. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდი 2128, აღწერა 1, საქმე 30.
22. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდი 2128, აღწერა 1, საქმე 36.
23. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდი 2128, აღწერა 1, საქმე 70.
24. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივის ფონდი 2128, აღწერა 1, საქმე 79.
25. სტატუტი „საბჭოთა კავშირის ერების განმათავისუფლებელი ლიგა"-სი (პარიზის ბლოკი), ჟურნალი „ჩვენი დროშა", 1955, №21.
26. შორენა მურუსიძე, ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული კომიტეტი, კრებ.: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", 2(8), 2010.
27. შორენა მურუსიძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მონაწილეობა ვისბადენისა და შტარნბერგის კონფერენციებში (1951-1952 წწ.), კრებ.: „ქართული წყაროთმცოდნეობა", XVII-XVIII, 2015/2016.
28. American Committee For Liberation From Bolshevism (Mission and Objectives), http://digitalarchive.wilsoncenter.org/document/114480. ბოლოს ნანახია: 09.10.2023).
29. Institute for the Study of the USSR, https://www.encyclopediaofukraine.com/display.asp?linkpath=pages%5CI%5CN%5CInstituteforthe StudyoftheUSSR.htm. ბოლოს ნანახია 16.10.2023.
30. Problems of the Peoples of the USSR, https://www.encyclopediaofukraine.com/display.asp?linkpath=pages%5CP%5CR%5CProblemsofthePeoplesoftheUSSRIT.htm. ბოლოს ნანახია 16.10.2023.
31. Public Law 86-90 Captive Nations Week Resolution; https://www.congress.gov/86/statute/STATUTE-73/STATUTE-73-Pg212.pdf. ბოლოს ნანახია 16.10.2023.

This research PHDF-22-7145 has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

**Shorena Murusidze**
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History*

## League for the Liberation of the Peoples of the USSR (The Paris Bloc)

### Summary

During the Cold War, the United States of America and the Soviet Union fought each other using psychological warfare. The United States of America's foreign strategy considered establishing ties with the political emigration of the peoples of the Soviet Union and assisting. On February 8, 1951, US intelligence, to communicate with the emigration from the USSR (except for the Baltic countries), founded the American Committee against Bolshevism, the main goal of which was the formation of a unified anti-Bolshevik unity, by bringing together emigrant organizations of the peoples that were part of the Soviet Union; however, the goal was failed to be realized due to the unyielding position of Russian emigration. None of the organizations and groups of the Russian emigration recognized the changes of the borders of the Russian Empire. They stood for the so-called „Yedinaia Rossia" (United Russia) idea. The non-Russian emigration, which was unable to come to an agreement with the Russian emigration on the national issue, founded a separate organization, „the League for the Liberation of the Peoples of the USSR (Paris Bloc)". It united representatives of the Georgian National Council, of the Republic of Armenia, of the Republic of Azerbaijan and the National Committee of Azerbaijan, of the National Committee of the North Caucasus, of the Rada of the People's Republic of Belarus, of the People's Rada of Ukraine, of the National Center

Idel-Ural, of Turkestan Organization "Turkeli", of the Crimean National Center and of Cossacks. They collaborated with the „American Committee". „Problems of the Peoples of the USSR" Magazine was published in English with their funding from 1958 to 1967. „The Paris Bloc" made an emergency address to the UN twice: on September 9, 1959 and on September 15, 1960. The first was about Khrushchev's planned speech at the UN General Assembly, and the second – was about the „decolonization of the Soviet Union." The organization ceased to exist in the 70s of the 20th century. Studying the activities of the People's Liberation Union of the Soviet Union (Paris Bloc) is essential from the point of view of researching the history of emigration of the USSR. It is also important in the context of studying the role of the emigration of the people of the USSR during the Cold War.

**ავთანდილ სონღულაშვილი**
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე*

## ესპანეთის ეროვნული უმცირესობა

XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს 99 სახელმწიფოში ცხოვრობდა 291 განსხვავებული ეროვნების უმცირესობა, რაც 340 მილიონ ადამიანს შეადგენდა. აქედან 80 მილიონი ენობრივი უმცირესობის წარმომადგენელი იყო. ამასთან, ეთნიკური და ნაციონალური იდენტობის პრობლემამ შრომითი მიგრანტებისა და ლტოლვილთა რიცხვის კვალდაკვალ ახალი დატვირთვა შეიძინა, რაც ახალ, პერმანენტულად ეთნიკურ უმცირესობებს აყალიბებს [1, 40].

ეროვნული სახელმწიფოები მოიცავენ უამრავ რელიგიურ, ენობრივ და რეგიონალურ დაჯგუფებებს, რომელთაგანაც რომელიმე მაინც გამოთქვამს პრეტენზიას „ერის“ სტატუსზე. ყოფილი იუგოსლავია, რომელიც თავის დროზე ვერსალელმა მშვიდობისმყოფელებმა განსაზღვრეს, ჩათვალეს, როგორც „სლავთა ქვეყანა“. სინამდვილეში ის ყოველთვის დასახლებული იყო სხვადასხვა რელიგიურ-ეთნიკური ერთობებით, რომელთაც გააჩნდათ საკუთარი ენა და ისტორია. ამას მოჰყვა ეთნიკური წმენდის საშიშროება და ეს მოხდა კიდეც ბოსნიელი სერბების მხრიდან [2, 94-95].

ეროვნული უმცირესობის საკითხი ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა. ცნობილია, რომ არსებობს ეთნიკური საზღვრები და არსებობს სახელმწიფოებრივი პოლიტიკური საზღვრები. ეს ორი ცნება ერთმანეთს რომ ემთხვეოდეს, მაშინ სრულ ჰარმონიასთან გვექნებოდა საქმე. მაგრამ ცხოვრებაში ასე არ ხდება. ეს საზღვრები ყოველთვის დაშორებულია. ამიტომ პოლიტიკური საზღვრები ერთ მთლიან სახელმწიფოს გამოხატავს და მასში მოხვედრილი ადამიანები

უკვე ერთი უზარმაზარი სოციუმის ანუ სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან. ეროვნული უმცირესობები, რომლებიც, დომინანტ, ავტოქტონური ერის გვერდით ცხოვრობენ ერთ სახელმწიფოში, უკვე პოლიტიკურად დომინირებული ერის „საკუთრება ხდება". სწორედ ეს პრინციპი აქვს აღებული დასავლეთ და, თუ გნებავთ აღმოსავლეთ ქვეყნებსაც, სადაც, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, ყველა მოსახლე, ეროვნების მიუხედავად, ითვლება იმ სახელმწიფოს კუთვნილებად, მის შემადგენელ ნაწილად, რომელიც ავტოქტონური ერის სახელს ატარებს [1, 43-44].

ამ ფონზე აუცილებელია განვასხვავოთ მონოეთნიკური და პოლიეთნიკური სახელმწიფოები; აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური თვალსაზრისით აბსოლუტურად ერთგვაროვანი სახელმწიფო წარმონაქმნი რეალურად არ არსებობს. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ პირობითად მონოეთნიკურ სახელმწიფოდ ჩაეთვალათ ის ქვეყნები, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (უკიდურეს შემთხვევაში 95%) მიეკუთვნება ერთ ეთნოსს. ასეთებია, მაგალითად, ბანგლადეში, ბრაზილია, იორდანია, იტალია, მადაგასკარი, ნორვეგია, პორტუგალია, გერმანია, იაპონია, არაბული ქვეყნების უმარვლესობა [3, 300-301].

თუ მიმდინარე საერთაშორისო საზოგადოება ძირითადად ეროვნულ უმცირესობათა საერთაშორისო დაცვით იყო დაინტერესებული (პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში), მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე გაერო-ს წესდებაში შეტანილ იქნა მოწოდება დაცულიყო ადამიანის ღირსება და ძირითადი უფლებები [4, 475-476, სქოლიო 27].

ეუთო-ში შემავალი ინსტიტუტებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა წინასწარი გაფართხილებისა და კონფლიქტების თავიდან აცილების სფეროში ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის (ოფისი მდებარეობს ჰააგაში, ნიდერლანდები) საქმიანობა. უმაღლესი კომისარი, აფასებს და ცდილობს მოაგვაროს შეძლებისდაგვარად ადრინდელ საფეხურზე სიტუაციები, რომლებიც შეიცავენ ეროვნულ უმცირესობათა საკითხებს. რჩევისა და რეკომენდაციების გზით, იგი ხელს უწყობს მხარეებს არაკონფრონტაციული პოლიტიკის განხორციელებაში [4, 149].

ფაქტია, რომ XXI საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიოს სუვერენული სახელმწიფოების სამ მეოთხედზე მეტს ჰყავდა ეროვნული

უმცირესობების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც შეადგენენ დედამიწის მოსახლეობის ერთ მეექვსედს [5, 149].

ერთ-ერთი კვლევის მონაცემთა მიხედვით, მსოფლიოში დაახლოებით 8000-მდე დამოუკიდებელი კულტურაა, მაგრამ მხოლოდ 200-მდე სახელმწიფოა [6, 164].

როგორც ევროპის არაერთი სახელმწიფო, ესპანეთიც მრავალეროვანი ქვეყანაა და ჰყავს თავისი ეროვნული უმცირესობა. აქ საუკუნეების მანძილზე ცხოვრობენ კასტილიის, კატალონიის, ბასკების, გალისელების და სხვა ეთნიკური ჯგუფები თავისი ენით, განსაკუთრებული ადმინისტრაციული ს ტ ა ტ უ ს ი თ, ფინანსური და სამართლებრივი პრივილეგიებით ( ე. წ. „ფ უ ე რ ო ს ი თ“) [7, 65].

ქვეყანა არის აფრიკის კონტინენტთან ყველაზე ახლოს მდებარე დასავლური სახელმწიფო, რომლის კულტურაზე და ეროვნულ იდენტობაზე დიდი გავლენა იქონია საუკუნეობრივმა მაჰმადიანურმა ოკუპაციამ (არაბების ბატონობა რვა საუკუნე გაგრძელდა, 711 წლიდან 1492 წლამდე) [8, 127].

ქვეყნის სახელი ე ს პ ა ნ ე თ ი სავარაუდოდ სემიტური წარმოშობისაა და ითარგმნება, როგორც „დამალული“. სხვა ვერსიით იგი ფინიკიურიდან წარმოდგება და ნიშნავს „კურდღლების სანაპიროს“.

ანტიკურ პერიოდში პირენეის ნახევარკუნძულს ჰქონდა სხვა სახელწოდებაც. ჩვ. წ. აღ.-მდე VI საუკუნეში ბერძენი გეოგრაფები ნახევარკუნძულს ი ბ ე რ ი ა ს უწოდებდნენ. ყოველ შემთხვევაში, სანაპიროს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, სადაც ცხოვრობდნენ მრავალრიცხოვანი ტომები და, რომლებსაც ბერძნები ერთობლიობაში იბერებს უწოდებდნენ, გამოირჩეოდნენ საოცარი მებრძოლი სულით...

პირენეის ნახევარკუნძულს იბერია პირველად უწოდა ბერძენმა ლოგოგრაფოსმა ჰ ე კ ა ტ ე ო ს  მ ი ლ ე თ ე ლ მ ა, რომელიც ცხოვრობდა VI ს-ის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში.

ერთი ვერსიის თანახმად, ეს იბერები აფრიკული ბერბერების შთამომავლები არიან, ან ბასკების ახლო ნათესავები. მეორე ვერსიით – ებრაელების შთამომავლები, რომლებიც ვიდრე დაეუფლებოდნენ ივრითს, ლაპარაკობდნენ ფინიკიურის რომელიღაც კილოზე. აი, მესამე ვერსიისათვის კი – დიდი მადლობა ბერძნებს. განსაკუთრებით გეოგრაფოს მ ე გ ა ს თ ე ნ ე ს, რომელიც ცხოვრობდა IV-III საუკუნეებში ჩვენს ერამდე. მეგასთენე წერდა, რომ დიდმა მეფემ ნ ა ბ უ ქ ო დ ო ნ ო ს ო რ მ ა დაიპყრო პირინეის ნახევარკუნძუ-

ლი და ტყვედ წაიყვანა იქაური მოსახლეობა, რომლებიც დაასახლა შავი ზღვის სანაპიროზე. მეორე ავტორი დ ი ო ნ ი ს ე აზუსტებს: „შავსა და კასპიის ზღვას შორის“.

გარდა ამისა, საქართველოს ბერძნები უწოდებდნენ ასევე იბერიას. გამოვიდა, რომ არსებობს ორი იბერია – დასავლეთში და აღმოსავლეთში. ზოგიერთები დიდი ხანია მწვავედ კამათობენ, საიდან და როდის გადასხლდნენ იბერები – დასავლეთიდან აღმოსავლეთში თუ აღმოსავლეთიდან დასავლეთში. კამათი გაგრძელდა ქრისტიანობის ეპოქაშიც. XI საუკუნეში ივერიის მონასტრის დამაარსებელი იოანე გაემგზავრა ესპანეთში, რათა შეხვედროდა „ესპანელ ქართველებს“. თუმცა მოგზაურობა სხვადასხვა მიზეზის გამო ბოლომდე ვერ განხორციელდა.

ესპანეთი მდებარეობს ევროპის სამხრეთ-დასავლეთით პირენეის ნახევარკუნძულზე. ჩრდილოეთით აკრავს ბისკაის ყურე, ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით – ატლანტის ოკეანე. სამხრეთით და აღმოსავლეთით – ხმელთაშუა ზღვა. ჩრდილო-აღმოსავლეთით პირენეის მთები ქმნიან 677 კმ. სიგრძის ბუნებრივ საზღვარს საფრანგეთსა და ანდორასთან. დასავლეთით ესაზღვრება პორტუგალია, სამხრეთით – გიბრალტარი. ფლობს პიციუზისა და ბალვარის კუნძულებს ატლანტის ოკეანეში [9, 65-66]. ქვეყნის კლიმატი ხასიათდება მკვეთრი ცვალებადობით. ცენტრალურ ნაწილში ზაფხული იმდენად მშრალია, რომ ყველა პატარა მდინარე შრება. სევილიაში ზაფხულის ტემპერატურა 49 გრადუსს აღწევს, ყველაზე რბილი კლიმატი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზეა. აქ იანვრის საშუალო ტემპერატურა 14 გრადუსია [9, 69-70].

სახელმწიფოს ფართობი 508. 800 კმ$^2$-ია. 2006 წლის მონაცემებით აქ ცხოვრობდა 40 მილიონ 270 ათასი ადამიანი. მოსახლეობის 75% ესპანელია, 5, 3 მილიონი – კატალონიელი, 2, 6 მილიონი გალისელი, 800 ათასი ბასკი. არიან ბოშები და პორტუგგალიელები. ქვეყნის გარეთ 2, 7 მილიონი ესპანელი ცხოვრობს [10, 32-33].

ესპანეთის ისტორია რამდენიმე ათეულ საუკუნეს მოითვლის. რომაელები სიტყვა ესპანეთს მრავლობით რიცხვში იყენებდნენ და ამ ტერმინში მთელ პირენეის ნახევარკუნძულს გულისხმობდნენ. ვარაუდობენ, რომ ადამიანი პირენეის ნახევარკუნძულზე 35 ათასი წლის წინათ დასახლდა.

ძვ. წ. აღ.-ის I ათასწლეულის დასაწყისში ესპანეთის ამჟამინდელ ტერიტორაზე უძველესი სახელმწიფო ტ ა რ ტ ე ს ო ს ი არ-

სებობდა. ძვ. წ. აღ.-ის III-II საუკუნეებში ეს ტერიტორია ჯერ კარ-თაგენმა, შემდეგ რომაელებმა დაიკავეს, ხოლო ახ. წ. აღ-ის V საუ-კუნეში ვესტგოთებმა დაიპყრეს.

VIII-XV საუკუნეებში აქ არაბები და ბერძნები ბატონობდნენ. მიუხედავად ამისა ესპანეთის ცალკეული პროვინციები თავგანწირ-ვით იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის [9, 67-68].

ესპანეთის დედაქალაქი მადრიდი გაშენებულია პირინეის ნახე-ვარკუნძულის ცენტრში, მ ე ს ე ტ ი ს პლატოზე, მდინარე მ ა ნ ს ა ნ ა რ ე ს ი ს ორივე ნაპირზე. ქალაქი წარმოიშვა მ ა ვ რ ე ბ ი ს ციხე-სიმაგრე მ ა ჯ ა რ ი ტ ი ს გარშემო. წყაროებში პირველად ნახსენებია 932 წელს. 1083 წელს გაათავისუფლეს არაბებისაგან. რ ე კ ო ნ კ ი ს ტ ა შ ი (ომით, ბრძოლით დაბრუნება) მისი მოსახლე-ობის აქტიური მონაწილეობისათვის მიიღო ქალაქის პრივილეგიები. XIV-XV საუკუნეებში იყო კასტილიის მეფეების სატახტო ქალაქი და კორტესის სხდომების ადგილი. 1561 წელს ფილიპე II-მ მადრიდი დედაქალაქად აქცია [9, 70-71].

ზოგადად, XV ასწლეული მნიშვნელოვან მოვლენად იქცა პირე-ნეის ნახევარკუნძულის სახელმწიფოებისადმი. ამ პერიოდში აღნიშ-ნულ ტერიტორიაზე არსებობდა ხუთი სახელმწიფო: ყველაზე ვრცე-ლი სამფლობელო გააჩნდა კასტილიას. ტერიტორიის სიდიდით შემ-დეგი იყო ა რ ა გ ო ნ ი ს, ნ ა ვ ა რ ა ს სამეფოები და გ რ ა ნ ა დ ი ს ემირატი, რომელიც იმ დროს არაბი-მუსულმანების ხელისუფ-ლებას ემორჩილებოდა. ცალკე იყო პ ო რ ტ უ გ ა ლ ი ი ს პოლი-ტიკური ერთეული. ესპანელებს მოუწიათ განეხორციელებინათ რე-კონკისტა და ამგვარად შექმნილიყო გაერთიანებული, ძლიერი სა-ხელმწიფო. ფერდინანდ არაგონელსა და იზაბელა კასტილიელს ეს-პანეთში დღემდე წმინდანებად მიიჩნევენ. თვლიან, რომ მათი მმარ-თველობის დროს ქვეყანამ არნახულ აყვავებას მიაღწია. მაგრამ, მხოლოდ ამით არ გაუთქვამს სახელი აღნიშნულ წყვილს: ფერდი-ნანდისა და იზაბელას ქორწინება ისტორიაში შევიდა, როგორც ბედნიერი და სიყვარულით შექმნილი კავშირი [11, 30].

როდესაც 1474 წელს იზაბელა გახდა კასტილიის დედოფალი, ხოლო ფერდინანდი არაგონის მეფე (1479 წელს) – ფაქტიურად შე-იქმნა ერთიანი ესპანეთის სამეფო. მაგრამ ერთია „შექმნა“ ერთიანი სახელმწიფო ქაღალდზე – საჭიროა ქვეყნის რეალური გაერთიანე-ბა. სწორედ ამ მიზნით, იზაბელამ 1483 წელს კასტილიისა და არა-გონის დიდი ინკვიზიტორის თანამდებობაზე დანიშნა თავისი სული-

ერი მოძღვარი ტ ო მ ა ზ ო დ ე ტ ო რ კ ვ ე მ ა დ ა. ამ შემთხვევაში ეს იყო არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ პოლიტიკური თანამდებობა.

ამ ადამიანის სახელი საზოგადოების მახსოვრობაში საშინელ მოგონებებთან არის დაკავშირებული; ადამიანების კოცონზე დაწვა, ინკვიზიციის დღეებში ადამიანების წამება, ბნელეთის მოციქულთა და ფანატიზმის ზეიმი. ამავე დროს თანამედროვენი მას უწოდებდნენ „ერეტიკოსების ურος", „ესპანეთის სინათლეს", „თავისი ქვეყნის გადამრჩენს" და ა. შ. [12, 16].

1470-იან წლებში ესპანეთის მეფეებს არ ჰქონდათ ძირითადი რეზიდენცია. ამიტომ იზაბელა და ფერდინანდი მუდმივად მოგზაურობდნენ ქვეყნის მასშტაბით. სამეფო წყვილმა ევროპაში პირველად დააფუძნა პოლიციური უწყება, რომელიც სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსდებოდა და ფართო უფლებები გააჩნდა. ამის შემდეგ მნიშვნელოვნად იკლო დანაშაულის რიცხვმა. მოსახლეობა მადლიერებას გამოხატავდა მმართველი წყვილის მიმართ. სწორედ ამ დროს დაიწყო მეფე-დედოფალმა ტერიტორიების გაერთიანება და გარკვეულწილად მიაღწია კიდეც რომის პაპისგან დამოუკიდებლობას. იზაბელა და ფერდინანდი ცდილობდნენ სასულიერო ხელისუფლების კონცენტრაციას საკუთარ ხელში.

1492 წლის იანვარში გრანადის ემირატმა კაპიტულაცია გამოაცხადა. ეს იყო არაბების მიერ ოკუპირებული ტერიტორია პირენეის ნახევარკუნძულზე.

ესპანეთში, ისევე, როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში ცხოვრობდნენ ეთნიკური უმცირესობები. რას ნიშნავდა „ყოფილიყავი ებრაელი" შუა საუკუნეებში საერთოდ, და კერძოდ ესპანეთში? მათი მდგომარეობა იყო საშინელი. ებრაელებისათვის ერთდერთი საშუალება თავი დაეღწიათ დამცირებისა და შევიწროებისაგან, სიკვდილით დასჯაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასვლა იყო (ასეთ მონათლულ ებრაელებს ესპანეთში უწოდებდნენ მ ა რ ა ნ ე ბ ს) [12, 16].

1492 წლის 31 მარტს იზაბელამ და ფერდინანდმა ხელი მოაწერეს ედიქტს, რის გამოც დედოფალს ყველაზე მეტად კიცხავდნენ შთამომავლები. ეს იყო ბრძანება ორივე სამეფოდან – კასტილია და არაგონი – გაეძევებინათ ებრაელები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ ესპანეთის ტერიტორიაზე. მათ უფლება მიეცათ წაეღოთ, რასაც ხელში დაიკავებდნენ, ხოლო ოქრო და ვერ-

ცხლი მთლიანად ჩამოართვეს. ნათელია, რომ ესპანეთმა დაკარგა განათლებული და საქმიანი ხალხი, რომელთა ყოფნა ქვეყანაში კეთილად მოქმედებდა მის განვითარებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარჩენა შეეძლოთ მხოლოდ იმ ებრაელებს, რომლებიც ქრისტიანად მოინათლებოდნენ. ახლად „რჯულმოქცეულებს" თვალყურს ადევნებდა ინკვიზიცია – საიდუმლოდ ხომ არ ატარებდნენ იუდაიზმის რიტუალებს? ასეთ შემთხვევაში მათ სასტიკი სასჯელი ელოდათ [11, 31].

ლეგენდის თანახმად ებრაელებმა შესთავაზეს ხელისუფლებას გამოსასყიდი (30 ათასი დუკატი) – რათა არ გაეძევებინათ ქვეყნიდან. ამასთან დაკავშირებით ტორკვემადამ შემდეგი განმარტება მისცა მეფე-დედოფალს: „იუდამ ქრისტე 30 ვერცხლად გაყიდა და თქვენ გსურთ ის გაყიდოთ 30 ათასად?!" ასეთი არგუმენტის შემდეგ იზაბელამ და ფერდინანდმა დეკრეტს ხელი მოაწერეს [12, 17].

მუსულმანებს თავიდან რბილად ექცეოდნენ, მაგრამ თანდათან მათ აუკრძალეს აღმსარებლობა და სიმდიდრის ქონა. ცოტა ხანში ისინიც ებრაელების გზას გაუყენეს; ქვეყანამ დაკარგა მრავალი უნარიანი და შრომისმოყვარე გლეხი და ვაჭარი. თუმცა, შემდგომი ორი ასწლეულის განმავლობაში მათი რაოდენობა კვლავ გაიზარდა.

XV საუკუნის ბოლოს ესპანეთი ჩაერთო „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების" პროცესში. ამავე დროს გააფართოვა თავისი ტერიტორიები და შექმნა კოლონიური იმპერია. 1519 წელს ესპანეთის მეფე კარლოს I „საღვთო რომის იმპერიის" იმპერატორი გახდა.

XVII საუკუნის ბოლოს ესპანეთში მცხოვრები არაბებისადმი, უარყოფითი დამოკიდებულება კვლავ გაიზარდა. ესპანელები, და საერთოდ ევროპელები მავრებს უწოდებდნენ, ვინც ოდესღაც ქვეყანა დაიპყრეს და რვა საუკუნე ბატონობდნენ. უმრავლესობა მაჰმადიანი იყო. არაბები იბრძოდნენ უფლებების მოსაპოვებლად, რადგან ესპანეთში მათ მონებივით ექცეოდნენ. ისინი აქტიურობით გამოირჩეოდნენ განსაკუთრებით გრანადასა და ვალენსიაში, რის გამოც ხელისუფლებამ განაიარაღა. ხელისუფლება შიშობდა, რომ „მავრები" ქვეყნის შუაგულში ომს გააჩაღებდნენ. რეალური საფრთხისაგან თავის დასაცავად გადაწყდა არაბების ესპანეთიდან განდევნა. მათ ნება მისცეს, ერთი თვის განმავლობაში გაეყიდათ თავიანთი ავლა-დიდება, მიღებული თანხით შეეძინათ ის საგნები, რისი გატანაც ქვეყნიდან დასაშვები იყო [13, 44-45].

ესპანეთში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები (ბასკური, კასტილი-

ური, კატალონიური, გალისური და სხვ.) თავიანთი ენითა და განსაკუთრებული ადმინისტრაციული წესებით, ფინანსური და სამართლებრივი პრივილეგიებით, თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე სარგებლობდნენ. მოგვიანებით კატალონიელებს, ბასკებს და გალისელებს ყველა უფლება ჩამოერთვათ და ისინი ცენტრალურ ხელისუფლებას დაექვემდებარნენ. შემდეგში ქვეყანაში ოთხი ეროვნული ჯგუფიდან აღიარება მხოლოდ ერთმა – კასტილიურმა მიიღო. ასე წარმოიშვა ნაციონალური პრობლემა ესპანეთში [14, 96].

1923-1930 წლებში ესპანეთში დამყარდა სამხედრო-მონარქიული დიქტატურა. 1931 წელს დამხობილ იქნა მონარქია, ხოლო 1936 წელს გაიმარჯვა სახალხო ფრონტმა. ამავე წლის ივლისში დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც ფ რ ა ნ კ ო ს დიქტატურის დამყარებით დასრულდა 1939 წელს.

ფრანკოს მიერ ეროვნული უმცირესობების მიმართ გატარებულმა უგუნურმა პოლიტიკამ კატასტროფული შედეგები გამოიღო და ზიანი მიაყენა ქვეყანას. ყოველივე ამან გამოიწვია ტერორისტული დაჯგუფებების წარმოშობა, რომლებიც რეგიონალური დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ [8, 49].

ომის პერიოდში ფრანკომ ქვეყნიდან გააძევა ყველა რადიკალური ელემენტი: ესპანელი ფაშისტებისა და ფალანგისტებისაგან შექმნა „ცისფერი დივიზია“ და ჰიტლერელებთან ერთად გაუშვა აღმოსავლეთის ფრონტზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ როდესაც ნაცისტების მხრიდან კულმინაციას მიაღწია ანტისემიტიზმმა და მრავალი ებრაელი თავის გადასარჩენად ესპანეთში აღმოჩნდა კ ა უ დ ი ლ ი ო მ უარი განაცხადა ებარელთა დევნაზე [15, 17].

მეორე რესპუბლიკის პერიოდში (1931-1939 წ.წ.) კატალონიამ და ბასკების ქვეყანამ მიიღო ავტონომია, თავისი მთავრობითა და პარლამენტით, რაც შეიცვალა ფრანკოს დიქტატურის პერიოდში. მთელი 36 წლის განმავლობაში კატალონიელების, ბასკების, გალისელების მიერ ეროვნული გრძნობის ნებისმიერი გამოვლინება განიხილებოდა, როგორც დანაშაული და მკაცრად ისჯებოდა. ოფიციალური საქმის წარმოება და სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მხოლოდ კასტილიურ (ესპანურ) ენაზე. ხელისუფლებამ აკრძალა გამოეფინათ კატალონური (ს ე ნ ე რ ა) და ბასკური (ი კ უ რ ი ნ ი ა) დროშები, ეცეკვათ ნაციონალური ცეკვები. ეროვნული პრობლემა გამოცხადდა არარსებულად [7, 65-66].

ამავე დროს ფრანკომ გამოსცა დეკრეტი, რომელსაც საფუძვლად დაედო მუსოლინის მიერ შემოღებული კანონი ენის დაცვის შესახებ. დეკრეტის მიხედვით იკრძალებოდა „ეროვნულ უმცირესობათა დიალექტი“ (ბასკური, გალისიური, კატალონიური) და „უცხოური ნასესხობანი“. ადამიანთა სახელები, დასახლებათა, რაიონების, ოტულების და სხვათა სახელწოდებანი უნდა „გაესპანურებულიყო“. მიცვალებულებიც კი არ მოასვენეს. საფლავის ქვები, ბასკურ ენაზე წარწერებით, უნუგეშოდ დარჩენილ ოჯახის წევრებს უნდა გამოეცვალათ. აკრძალეს კომიქსები რეგიონალურ დიალექტებზე, განსაკუთრებით მკაცრი ცენზურის ქვეშ მოექცა საბავშვო ლიტერატურა. „წითელქუდა“ გადაიქცა „ცისფერქუდად“, რუსულ სალდათს დაერქვა „იმპერიული“, ან „ნაციონალური“ [16, 230].

სეპარატიზმთან ბრძოლის მიზნით ფრანსისკო ფრანკომ, საფეხბურთო კლუბებს არაესპანურენოვანი სახელწოდებებისა და სიმბოლიკის გამოყენება აუკრძალა. მისი ძალისხმევით, „ბარსელონას“ გერბიდან გაქრა კატალონიის დროშა, ხოლო „ატლეტიკო კლაბ დე მადრიდ“ გახდა „ატლეტიკო ავიასიონ დე მადრიდ“.

იმავდროულად ფრანკო ფეხბურთელთა ნატურალიზაციის წინააღმდეგი არ ყოფილა. მან წარმოშობით არგენტინელ დ ი ს ტ ე ფ ა ნ ო ს თა ნ, პარაგვაელ მ ა რ ტ ი ნ ე ს ს ა და ურუგვაელ ს ა ნ ტ ა მ ა რ ი ა ს თ ა ნ ერთად, „გააესპანელა“ ლეგენდარული უნგრელი ფეხბურთელი ფ ე რ ე ნ ც პ უ შ კ ა შ ი, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა ესპანურ კულტურასთან [17, 68].

საინტერესოა, რომ 1960 წლის მაისის დამლევს შიშის გარკვეული სინდრომიდან გამომდინარე, პოლიტიკური მოტივით ფრანკომ აკრძალა გასვლითი და საშინაო მეოთხედფინალური მათჩები ფეხბურთში ევროპის თასის პირველ გათამაშებაში ესპანეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდებს შორის, რამდენადაც კომუნისტთა მხარდამჭერ დემონსტრაციებს უფრთხოდა. ეს პირწმინდად პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიუღებული იყო იმ დროს, როცა მადრიდის „რეალი“ და ესპანეთის ეროვნული ნაკრები თავიანთი დიდების ზენიტში იმყოფებოდნენ. ესპანელ გულშემატკივრებს, ცხადია, არ მოეწონათ.

ფრანკო იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ „სპორტული ემოციების გაკონტროლება ძნელია“ და შემდგომში ფეხბურთს იყენებდა, რათა ხალხის ყურადღება პოლიტიკური და სოციალური პრობლემებიდან სპორტზე გადაეტანა [16, 329].

მოგვიანებით, მოტეხილი და სიბერეში შესული ფრანკო უფრო ლმობიერი გახდა, რაც თვალნათლივ გამოვლინდა 1964 წელს, როდესაც ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალში, რომელიც მადრიდში უნდა ჩატარებულიყო, ესპანეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდები ერთმანეთს ხვდებოდნენ. ფრანკომ არათუ აკრძალა მატჩი, არამედ გადაწყვიტა, რომ თამაშს თვითონაც დასწრებოდა. მინისტრები ამ იდეას თავშეკავებით შხვდნენ იმის შიშით, რომ თუკი საბჭოთა კავშირის ნაკრები გაიმარჯვებდა, კაუდილიო თასის გადაცემაზე უარს იტყოდა. აი, ასოცი ათასი გულშემატკივარი კი სტადიონზე მას აღფრთოვანებით მიესალმა, ერთხმად გაჰყვიროდნენ: „ფრანკო! ფრანკო! ფრანკო!“ ესპანეთმა რეჟიმის საბედნიეროდ, გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. სიამაყით აღვსილმა მწვრთნელმა ეს გამარჯვება მიუძღვნა „გენერალისიმუს ფრანკოს, რომელმაც თავისი დასწრებით პატივი დასდო და ჩვენს ფეხბურთელებს გამარჯვება შთააგონა“ [17, 336].

XX საუკუნის მეორე ნახევარში ესპანეთი გახდა ეთნიკურად ყველაზე დაპირისპირებული ქვეყანა დასავლეთ ევროპაში. ბასკები, რომლებიც იბრძოდნენ ეროვნული თვითგამორკვევისათვის, სახელმწიფო სტრუქტურებს ნამდვილი ომი გამოუცხადეს. ხელისუფლების პასუხი აღმოჩნდა მოულოდნელი, არაკანონიერი, მაგრამ გადამწყვეტი.

უაღრესად შევიწროებული ეროვნული უმცირესობიდან ფრანკოს რეჟიმის დროს, ზოგადად, ყველაზე მეტად პროტესტის გრძნობას ბასკები გამოხატავდნენ. ამიტომ, სანიმუშოდ მათზე გავამახვილებთ ყურადღებას.

1958 წელს სამას ოცდაცხრამეტმა ბასკმა მღვდელმა წერილი გაუგზავნა ესპანელ ეპისკოპოსებს, რომელშიც გაკრიტიკებული იყო „აზრის თავისუფლებისა და ასოციაციების არარსებობა, პოლიციის მიერ გამოყენებული მეთოდები, სახელმწიფო კონტროლი, ბელადის უცოდველობის დოქტრინა, ბრმა კონფორმიზმი და ოფიციალური პროფკავშირების სისტემა“ [17, 325].

ბასკი ხალხის შედარებით რადიკალურმა წარმომადგენლებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ ესპანეთის ჩრდილოეთსა და საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, 1959 წელს შექმნეს მემარცხენე-რადიკალური ორგანიზაცია „Euskadi ta Askatasuna“ („ეტა“) „ბასკების ქვეყანა და თავისუფლება“.

ბრძოლის ტაქტიკა, რომელიც „ეტა“-მ აირჩია შორს იდგა მშვი-

დობიანი ქმედებისაგან – ტერორი პოლიტიკოსების, სამხედროების, პოლიციელების, სპეცსამსახურების წინააღმდეგ. ბოევიკების პირველი წარმატებული თავდასხმა განხორციელდა საიდუმლო პოლიციის კომისარზე – მ ე ლ ი ტ ო ნ მ ა ნ ს ა ნ ა ს გ ო ნ ს ა ლ ე ს ზ ე. ის იყო წარმოშობით ბასკი, მაგრამ „სეპარატიზმის" აშკარა მონინააღმდეგე. მისი მკვლელობა გახდა საჩვენებელი – ბოევიკები გონსალესს დარაჯობდნენ სახლის სიახლოვეს და დაცხრილეს შვიდი ტყვიით.

აღნიშნულმა თავდასხმამ გამოიწვია საპასუხო ნაბიჯები – ხელისუფლებამ 1968 წელს მიიღო ახალი ანტიტერორისტული კანონი და ჩაატარეს მთელი ესპანეთის მასშტაბით ანტიტერორისტული კამპანია, რომლის შედეგად დააპატიმრეს 1963 კაცი. იმავე წლის დეკემბერში ჩატარდა სასამართლო პროცესი, რომელზეც გაასამართლეს „ე ტ ა"-ს 19 ბოევიკი. ექვსს მიუსაჯეს დახვრეტა, რაც ბოლოს პატიმრობით შეუცვალეს. მოგვიანებით გაასამართლეს „ეტა"-ს რამდენიმე ლიდერი. ტერორისტებმა ტაიმ-აუტი აიღეს... [18, 18]. თუმცა რეპრესიები გრძელდებოდა.

ესპანურ პრესასა და სამეცნიერო ლიტერატურაში ბასკების გამოსვლები და მანიფესტაციები ექსტრემისტულ, ტერორისტულ და სეპარატისტულ გამოხდომებად არის კვალიფიცირებული. როგორც ცნობილია ისტორიული კატაკლიზმების შედეგად XVI საუკუნეში ბასკების განსახლების ჩრდილოეთი რაიონები საფრანგეთის შემადგენლობაში შევიდა, სამხრეთი რაიონები კი XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე – ერთიანი ესპანეთის სახელმწიფოს გაერთიანებაში. ამდენად, არსებული ვითარების გამო ბასკეთი ორად გაიხლიჩა და თითოეული მათგანი სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებში აღმოჩნდა. ბასკების მოთხოვნები ავტონომიისათვის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებებისათვის საერთაშორისო სამართალს არ ეწინააღმდეგებოდა.

ბასკები შეეხნენ განსაკუთრებით მგრძნობიარე ნევროტულ სიმს კაუდილიოს სულში. მისი შეუბრალებელი დამოკიდებულება ბასკი კათოლიკეებისადმი უკვე გამოვლინდა გ ე რ ნ ი კ ა შ ი. და კიდევ ერთხელ იქნა დემონსტრირებული 1970 წლის 18 სექტემბერს, „ბასკურ პელოტაში", სკვოშის ესპანურ ვარიანტში მსოფლიო ჩემპიონატის დროს. საერთაშორისო პრესის თავზარდასაცემად, კაუდილიო აუღელვებლად უყურებდა იმას, რომ იმ კაცმა, რომელიც ერთადერთ სამხედრო ნაწილს მეთაურობდა გერნიკაში სწორედ იმ დღეს, როდე-

საც ქალაქი უმოწყალოდ დაბომბეს, პირდაპირ მის თვალწინ შეძახილით „გაუმარჯოს ბასკონიას!“ თავი დაიწვა. ამის შედეგად, მემარჯვენე ექსტრემისტებს არმიიდან დიდად აღარ გასჭირვებიათ დაერწმუნებინათ ფრანკო, რომ უაღრესად უდროო და მავნე სასამართლო პროცესი წამოიწყო თექვსმეტი ბასკი პატიმრის წინააღმდეგ, რომელთა შორის ორი მღვდელი იყო. სწორედ ამ დროს ესპანეთს ეწვივნენ მაღალი რანგის სტუმრები: პრეზიდენტი ნიქსონი და ჰენრი კისინჯერი, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ მათ არანაკლებ ბრწყინვალედ დახვდებოდნენ, ვიდრე 1959 წელს ეიზენჰაუერს. ისინი ჩავიდნენ ესპანეთში ამერიკული ბაზების ბედის განსახილველად. შეხვედრის ცერემონიაზე პრეზიდენტი მასპინძლებს ვერაფერს დაუწუნებდა, მაგრამ მოლაპარაკების დროს ხანდაზმულ ფრანკოს და გადაქანცულ კისინჯერს ჩაეძინათ, ნიქსონი კი ლოპეს ბრავოს შეატოვეს.

ამერიკულმა ვიზიტმა მაინცდამაინც ვერ შეუწყო ხელი უთანხმოების შენელებას ესპანეთის შიგნით ანდა კაუდილიოს შურისმაძიებლობის შერბილებას. როგორც კი ბურგოსში, დეკემბრის თვეში „ეტა“-ს ბოევიკთა პროცესი დაიწყო, საერთაშორისო პრესა და ზომიერი მინისტრები ემუდარებოდნენ ფრანკოს, თავშეკავება გამოეჩინა. მისი ძმა ნიკოლასიც კი გაცხარებული არწმუნებდა, სასიკვდილო განაჩენზე ხელი არ მოეწერა. „ეს შენს ინტერესებში არ არის. ამას იმიტომ გეუბნები, რომ მიყვარხარ. შენ – კეთილი ქრისტიანი ხარ და შემდგომში, უსათუოდ ინანებ ჩადენილს“. მთელი მსოფლიო შეძრწუნებული ადევნებდა თვალს სასამართლო პროცესს, სადაც საჯაროდ გახდა ცნობილი დატუსაღებული ბასკების წამების ფაქტები. მემარცხენეები აღშფოთებული იყვნენ თავად სასამართლო დევნით, ხოლო მემარჯვენეები – იმით, რომ დიდი ხანია, სამაგალითოდ არავინ დასჯილა. სასამართლომ „ეტა“-ს სამი ბოევიკიდან თითოეულს ცალ-ცალკე ორ-ორი სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. გეგონებოდა, რომ ესპანეთი, რაღაც მეოთხედი საათის განმავლობაში, ოცდაათი წლით უკან დაბრუნდაო [16, 345-346].

ბასკმა ტერორისტებმა „ტაიმ-აუტი“ დაარღვიეს 1973 წლის 20 დეკემბერს. ამ დღეს დანიშნული იყო საჩვენებელი პროცესი იატაქვეშა პროფკავშირების, ე. წ. „მუშათა კომისიების“ ათ ლიდერზე. დილის ათის ნახევარზე, სასამართლოს დაწყებამდე, „ეტა“-ს ბოევიკთა გუნდმა ფრანკოს შემცვლელი პრემიერ-მინისტრის, ადმირალ ლ უ ი ს კ ა რ ე რ ო ბ ლ ა ნ კ ო ს ბრონირებული ავტომობილი მადრიდის ცენტრში ააფეთქა. მანქანა ჰაერში ავარდა. მთავრობის

თავმჯდომარე სახლს „გადააფრინდა“ და მონასტრის სიახლოვეს აივანზე „ჩამოვარდა“. ბლანკოს ყველა თანამგზავრი და ასევე დაცვის მანქანაში მყოფი თანამშრომლები დაიღუპნენ. აქტი განხორციელდა „ეტა“-ს ბოევიკთა ლიდერის ხ ო ს ე  მ ი გ ე ლ  ბ ე ნ ი ა რ ა ნ ი ს მეტსახელად (ა რ გ ა ლ ა) ხელმძღვანელობით [18, 18].

1975 წლის ზაფხულში „ეტას“ წევრობაში ეჭვმიტანილი სამი ადამიანის სასიკვდილო განაჩენის გამოტანამ ბასკთა ქვეყნის უკიდურესი პოლიტიზირება მოახდინა. მიუხედავად რეპრესიებისა, 1975 წლის 11 ივნისს სოლიდარობის მასობრივი დემონსტრაცია გაიმართა. საყოველთაო გაფიცვებმა აგვისტოსა და სექტემბერში რეგიონის პარალიზება გამოიწვია. აგვისტოში ახალი დრაკონული კანონი ტერორიზმის წინააღმდეგ მთელ ქვეყანაში გავრცელდა. 12 სექტემბერს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს სამ ტერორისტს „ფრაპი“-დან, ხოლო ექვსი დღის შემდეგ – ამ ორგანიზაციის კიდევ ექვს აქტივისტს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის პარლამენტი, გაერო, რომის პაპი, დონ ხუანი და თავად ესპანეთში მრავალი ეპისკოპოსი შეწყალებას ითხოვდნენ, და მასობრივი გაფიცვები და უზარმაზარი დემონსტრაციები იმართებოდა, „ეტას“ სამი ტერორისტი და „ფრაპის“ ორი წევრი 27 სექტემბერს დახვრიტეს. ცამეტმა ქვეყანამ ესპანეთიდან ელჩები გაიწვია, ხოლო ესპანეთის ოთხ საელჩოს ცეცხლი წაუკიდეს. ძნელია, იპოვო უფრო თვალსაჩინო სიმპტომი რეგრესიული რეჟიმის დასასრულისა [16, 356-357].

1975 წლის ნოემბერში ფრანკოს სიკვდილის შემდეგ მეფედ გამოცხადდა ხ უ ა ნ  კ ა რ ლ ო ს ი. დაიწყო დემოკრატიული გარდაქმნები. 1976 წელს შემოიღეს საპარლამენტო სისტემა. ლეგალიზებული გახდა პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები. 1977 წელს დაიშალა მმართველი პარტია – ესპანური ფალანგა [9, 67-68].

„ეტა“, რომელსაც დიქტატორის გარდაცვალების შემდეგ იარაღი არ დაუყრია, შეუდგა ნაციონალისტური პოლიტიკის დამუშავებას, რომლის მიზნები ესპანეთის დანარჩენი ნაწილის დემოკრატიულ მისწრაფებებზე გაცილებით შორს მიდიოდა. ბასკების ამგვარი საბრძოლო სულისკვეთება მაინცდამაინც არ უწყობდა ხელს რადიკალურ ფრანკისტთა შერიგებას პოლიტიკურ ცვლილებებთან [16, 362]. 1976 წელს ა დ ო ლ ფ ო  ს უ ა რ ე ს ი ს მთავრობა ფაშიზმის დემონტაჟის ჩარჩოებში და დემოკრატიული გარდაქმნების ფონზე ცდილობდა მოლაპარაკებას ეტა-სთან, თუმცა უშედეგოდ [18, 19]. ფრანკოს მემკვიდრეობა – მუდმივად მზარდი ინფლაცია,

უმუშევრობა, ტერორიზმი და სამხედრო გადატრიალების საფრთხე – მოულონიერებელ დემოკრატიას ტანჯავდა მთელი ხუთი წლის განმავლობაში, ვიდრე სუარესი პრემიერ-მინისტრის პოსტზე იმყოფებოდა. კატალონიის და ბასკთა ავტონომიაზე ლაპარაკიც კი ცოფს ჰგვრიდა გენერლებს, მემარჯვენე ფრთას რომ მიეკუთვნებოდნენ. ისინი დაუფარავად ამჟღავნებდნენ თავიანთ მზადყოფნას საომარი მოქმედებისათვის, რომელიც ცენტრალიზებული სახელმწიფოს დასუსტების ნებისმიერი მცდელობის მოსპობისაკენ იქნებოდა მიმართული [16, 363].

1978 წელს დაფუძნდა „ეტა"-ს ლეგალური ფრთა (ე რ ი ბ ა ტ ა ს უ ნ ა – „სახალხო ერთობა"). ხელისუფლებას ბასკი ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დამხმარე ძალად მოევლინა ნაცისტი დივერსანტი ო ტ ო  ს კ ო რ ც ე ნ ი, რომელმაც ჩამოაყალიბა ორგანიზაცია „პალადინი". გერმანელების გარდა ორგანიზაციაში შევიდნენ ფრანგები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. „ესპანელ ბასკებს მხარს უჭერდნენ „ფრანგი ბასკები" (გასკონელები). ამ დაპირისპირების შედეგად მსხვერპლი კიდევ უფრო იზრდებოდა... [18, 19].

ქვეყანაში დაძაბულობის მიუხედავად, სუარესის მთავრობამ კურსი აიღო დემოკრატიული წესრიგის დამყარებაზე. აღიარეს ეროვნულ უმცირესობათა უფლებები. 1977 წელს შეიქმნა რეგიონების საქმეთა სპეციალური სამინისტრო, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა – ტერიტორიული ადმინისტრაციის სამინისტრო.

ფორმულა – „ეროვნებები და რეგიონები", საზოგადოების მიერ მიღებულ იქნა, როგორც ფრანკისტული კონცეფციის – ერთიანი და ერთადერთი ესპანელი ერის – უარყოფა. ესპანეთის ისტორიაში 1978 წლის კონსტიტუციამ აღიარა, რომ ესპანეთი შედგება ეროვნებებისა და რეგიონებისაგან [7, 66].

ტერმინი „ეროვნებები", კონსტიტუციაში შეიტანეს მწვავე დაპირისპირების შემდეგ; ხელისუფლება ამ ფორმულირების წინააღმდეგი გამოდიოდა. ოპოზიცია კი საპირისპიროს აიძულებდა. 1978 წლის თებერვალში მიღწეული იქნა შეთანხმება: კატალონიელების, ბასკებისა და გალისიელებისთვის მიეღოთ ტერმინი „ეროვნებები" და მიეცათ მათთვის ფართო ავტონომია [7, 66, სქოლიო 2]. ამავე წლის დეკემბერში ბასკების წმინდა ქალაქ გ ე რ ნ ი კ ა შ ი გამოქვეყნდა ბასკეთის ავტონომიის საბოლოო პროექტის სტატუსი. პროექტი განიხილავდა კასტილიური და ბასკური ენების თანასწორობას. სტატუსი ხელმოწერილ იქნა მეფე ხ უ ა ნ  კ ა რ ლ ო ს ი ს

მიერ 1979 წლის 1 მაისს [7, 77].

ამ აქტის შემდეგ მთელი ქვეყანა „ავტონომიზაციის ციებ-ცხელებამ" მოიცვა. ავტონომიას მოითხოვდნენ არა მხოლოდ განსხვავებული ენისა და კულტურის მქონე ხალხები, არამედ ასევე იმ რეგიონის მცხოვრებლებიც, რომელთა ესპანურობაში ეჭვი არავის არასოდეს შეუტანია. ის ფაქტი, რომ დეცენტრალიზაციის შედეგად ავტონომია მოიპოვა არა მხოლოდ კატალონიამ, ბასკების ქვეყანამ [8, 50], გალისიამ, ასევე, (მართალია მცირე დოზით) ისეთმა მხარეებმა, როგორიც იყვნენ ანდალუზია, ესტრამადურა, კანარისა და ბალეარის კუნძულები. ამავე დროს მსგავს პრეტენზიას აცხადებდა ესპანეთის ბირთვი – კასტილია, რომელიც არის მკაცრი ცენტრალისტური ტენდენციების მატარებელი.

ჩვეულებრივ, ინდუსტრიულად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ეროვნული უცირესობებით დასახლებული რეგიონები, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით განეკუთვნება შედარებით ჩამორჩენილ მხარეებს და წარმოადგენს შიდა კოლონიზაციის ობიექტებს. ესპანეთში ჩამოყალიბდა განსხვავებული ვითარება: სამი ნაციონალური რაიონიდან ორი – კატალონია და ბასკეთი – წარმოადგენენ ქვეყნის შედარებით განვითარებულ მხარეებს. სწრაფი ეკონომიკური განვითარება შეიმჩნეოდა ფრანკოს რეჟიმის დროსაც. მხოლოდ გალისია რჩებოდა ტრადიციულად ჩამორჩენილ ტერიტორიად [7, 67].

1978 წლის ესპანეთის ახალი კონსტიტუციის თანახმად ქვეყანაში შეიქმნა 17 ავტონომიური გაერთიანება. შეიძლება ითქვას, რომ ესპანეთი ერთ-ერთი რეკორდსმენია კონსტიტუციების მიღების რაოდენობით. კერძოდ, XIX-XX საუკუნეებში კონსტიტუცია მიღებულ იქნა: 1812, 1834, 1837, 1845, 1869, 1876, 1931, 1978 წლებში [7, 41].

ეროვნულ უმცირესობათა ნაწილს ავტონომიური მმართველობა აღარ აკმაყოფილებს და სრული დამოუკიდებლობისათის იბრძვის, მაგალითად, 2006 წელს კატალონიამ ფინანსური დამოუკიდებლობა გაიფართოვა, მაგრამ ეს მათთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. კატალონია სუვერენიტეტის მოპოვებას ენობრივი, კულტურული და ეკონომიკური მიზეზებით ცდილობს. აქ ქვეყნის მოსახლეობის 16% ცხოვრობს, მაგრამ საერთო შიდა პროდუქტის 23%-ს სწორედ კატალონია აწარმოებს და კატალონიელებიც ლოგიკურად ასკვნიან, რომ მშვენივრად იცხოვრბდნენ, თუ მათ მიერ გამომუშავებული ფული

ესპანეთის სხვა პროვინციების შესანახად არ დაიხარჯებოდა. ამიტომ, ლოზუნგი „გვეყოფა, ეპანეთის გამოკვება“, მათთვის ძირითადი ლოზუნგია. 2012 წელს რეგიონული არჩევნების შედეგების მიხედვით, პარლამენტში სადეპუტატო მანდატების დიდი უმრავლესობა კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეებმა მოიპოვეს და ესპანეთიდან კატალონიის გამოყოფის დეკლარაცია გამოაქვეყნეს. 2014 წლის იანვარში კატალონიის პარლამენტმა მხარი დაუჭირა რეფერენდუმის ჩატარებას დამოუკიდებლობის საკითხზე. თუმცა ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ პლებისციტი უკანონოდ მიიჩნია.

ესპანეთის სოციორელიგიური კვლევების ცენტრის მონაცემებით, კატალონიის დამოუკიდებლობას ამ 7 – მილიონიანი ავტონომიური ოლქის მოსახლეობის 55% უჭერს მხარს.

კატალონიის მაგალითით შეგულიანებულმა ბასკებმა 2014 წელს სრული დამოუკიდებლობის შესახებ გააკეთეს განაცხადი. მათი პროგრამის მიხედვით, ის უნდა შედგებოდეს სამი პროვინციისაგან, რომლებიც ესპანური ბასკების ქვეყანას ქმნიან და ასევე – ეთნიკური ბასკებით დასახლებული ესპანური პროვინცია ნავარასა და სამხრეთ საფრანგეთის დეპარტამენტებისაგან.

რაც შეეხება ანდალუზიურ ნაციონალიზმს. ის ფრანკოს მმართველობის შემდეგ გაჩნდა, როდესაც ესპანელი დიქტატორის გარდაცვალების შემდეგ მიღებულმა კონსტიტუციამ ყველა რეგიონს საშუალება მისცა, მიეღო თვითმმართველობა, მაგრამ ანდალუზიელებს ეს არ აკმაყოფილებს, მათ სურთ, კანონმდებლობით გაიმყარონ ნაციის სტატუსი.

გალისია მიისწრაფვის დიდი ავტონომიისაკენ, „გალისიონისტების“ რადიკალური ნაწილი კი საერთოდ დამოუკიდებლობას ითხოვს. ეგრეთწოდებული ვალენსიონალიზმი გახლეჩილია ორ ნაწილად ვალენსიელთა ნაციონალურ იდენტობასთან დაკავშირებული შეხედულების გამო. ერთი ნაწილი თავს კატალონიელად მიიჩნევს და მხარს უჭერს კატალონიის დამოუკიდებლობას, მეორე კი კატალონიელებს მეხუთე კოლონად მიიჩნევს და ვალენსიის განვითარებისკენ მიისწრაფვის.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. ა. სონღულაშვილი, საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა, თბილისი, 2018
1. ი. კვესელავა, ვ. შუბითიძე, მ. პაპაშვილი, ნ. ღუდუშაური, პოლიტოლოგია, თბილისი, 2010
2. Ю. Бромлей, Р. Подольный, Челавечество – Это народы, М., 1990
3. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2006
4. ქ. ჯიჯეიშვილი, მსოფლიო პოლიტიკა, თბილისი, 2010
5. ჯეიმს მაიალი, ნაციონალიზმი და საერთაშორისო წესრიგი, კრ. „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია", თბილისი, 2004
6. Современная Испания, М., 1983
7. ვ. მოდებაძე, ესპანეთის საგარეო პოლიტიკა (1939-2011), თბილისი, 2012
8. თ. გრიგოლია, მ. ამირგულაშვილი, ევროკავშირის სახელმწიფოთა ისტორიულ-პოლიტიკური და ეკონომიკური რუკა, თბილისი, 2012
9. ა. მექვაბიშვილი, მსოფლიო დღეს, თბილისი, 2006
10. О. Соколовская, Влюбленные правители, Журн. „Загадки истории", 2022, №52
11. Д. Орлов, Великий инквизитор, Журн. „Загадки истории", 2022, №35
12. არმან ჟან დიუპლესი დე რიშელიე, მემუარები, ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. ჯაოშვილმა, თბილისი, 2011
13. დ. ხაჩიძე, ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციაში, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები", 2008, №15
14. Е. Филимонова, Фашист с Пиренеев, Журн. „Загадки истории", 2023, №3
15. გაბრიელა ეშფორდ ჰოჯესი, ფრანკო, ინგლისურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო თ. ნატროშვილმა, თბილისი, 2011

16. გ. ურუშაძე, დიქტატორების კლუბი, ჟურნ. „ისტორიანი“, 2012, №14
17. О. Тарасов, Террор против террористов, Журн. „Загадки истории“, 2021, №

**Avtandil Songulashvili**
*Doctor of historical sciences, Professor, Ivane Javakishvili Tbilisi state university, Ivane Javakishvili Institute of history and ethnology, The Head of the department of the Modern and Contemporary history*

## Spanish national minority

### Summary

Spain is a multinational country. Franco's reckless policy towards national minorities had disastrous results and harmed the state. All this led to the emergence of terrorist groups that fought for regional independence.

After Franco's death, Spain was gripped by the fever of autonomization. According to the new Spanish constitution of 1978, 17 autonomous associations were created in the country. Part of the national minorities is no longer satisfied with the autonomous government and is fighting for complete independence.

**სოფიო გარდავა**
*საქართველოს ტენიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი*

# რუსეთ-უკრაინის ომი და ეკონომიკური სანქციები ომის პირობებში

იმისთვის, რომ გავიაზროთ და გამოვიკვლიოთ რუსეთის წინააღმდეგ დაკისრებული სანქციების ლოგიკა, ეფექტი და პერსპექტივები, აუცილებელია ისტორიულ მოვლენათა მსვლელობას გავყვეთ და მოკლედ მიმოვიხილოთ პირველი სერიოზული სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ.

2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიას და აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტული რეგიონების მხარდაჭერას მოჰყვა დასავლეთის მხრიდან პირველი სანქციები. რუსეთს პირველი სანქციები დაუწესეს: აშშ-მ, კანადამ, ასევე ევროკავშირმა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა. აგრეთვე უნდა ვახსენოთ, რომ ბელორუსიასაც დაეკისრა სანქციები რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან თანამშრომლობისა და დახმარებისთვის. სანქციები შეეხო რუს და უკრაინელ კერძო პირებს, ბიზნეს სექტორს და ოფიციალურ პირებს. რუსეთმა 2014 წლის პირველ სანქციებს უპასუხა ავსტრალიის, კანადის, ნორვეგიის, იაპონიის, აშშ-ის, ევროკავშირის და დიდი ბრიტანეთიდან სურსათის იმპორტის სრული აკრძალვით.

2014 წლის პირველმა სანქციებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია როგორც რუსეთის, ისე დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკებზე. ასე, მაგალითად, ევროკავშირმა განიცადა ეკონომიკური ზიანი: 2015 წლის მონაცემებით გაერთიანებამ 100 მილიარდი ევროს სავარაუდო ზარალი მიიღო. ხოლო რუსეთის ფინანსთა მინისტრმა 2014 წელს განაცხადა, რომ სანქციები ქვეყანას $40 მილიარდი დაუჯდა და დამატებით კიდევ 100 მილიარდი დოლარის ზარალი ნავთობის ფასების შემცირების გამო [1]. გარდა ამისა, 2018 წლის აგვისტოში დაწესებული სანქციებით, რუსეთის ეკონომიკურმა ზარალმა შეადგინა დაახლოებით ქვეყნის 0,5-1,5% მშპ-ს ოდენობით.

სანქციების დაწესების მხრივ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა სასარგებლო წიაღისეული. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დაადანაშაულა ვაშინგტონი და საუდის არაბეთი შეთ-

ქმულებაში ნავთობის ფასის ხელოვნურად შემცირების გამო, რასაც რუსეთის ეკონომიკის განზრახ შესუსტება ჰქონდა მიზნად. 2016 წლის პირველ ნახევარში, რუსეთმა ფინანსური სანქციების გამო დაკარგა დაახლოებით 170 მილიარდი დოლარი შემოსავალი, ხოლო დამატებით 400 მილიარდი დოლარი დაკარგა ნავთობისა და გაზის ფასების დაცემის გამო. უკრაინის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ სანქციებმა აიძულა რუსეთი შეეცვალა მიდგომა უკრაინის მიმართ და შეაჩერა რუსეთის სამხედრო წინსვლა რეგიონში. სანქციების დამწესებელი ქვეყნების ოფიციალური პოზიცია იყო, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს მხოლოდ მას შემდეგ გააუქმებენ, როცა კი მოსკოვი შეასრულებს მინსკის შეთანხმებებს [2].

2023 წლის ივნისის მდგომარეობით ევროკავშირი და აშშ აგრძელებენ 2014 წლიდან დაწესებული სანქციების შესრულებას. 2022 წლის თებერვალში, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა, ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა შემოიღეს ან მნიშვნელოვნად გააფართოვეს სანქციები ვლადიმერ პუტინისა და მთავრობის სხვა პირების წინააღმდეგ. მათ ასევე ბევრ მსხვილ რუსულ ბანკს შეუწყვიტეს წვდომა SWIFT-ზე. 2022 წელს რუსეთისა და ბელორუსის ეკონომიკურმა ბოიკოტმა გამოიწვია 2022 წლის რუსული ფინანსური კრიზისი.

რუსეთის წინააღმდეგ პირველი სერიოზული სანქციების დაწესება ყირიმის კრიზისთან და დონბასში მიმდინარე ომთანაა დაკავშირებული. მაგრამ, ამ კონფლიქტებამდე რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის უკვე არსებობდა დაძაბულობა ადამიანის უფლებების საკითხთან მიმართებაში. ასე, მაგალითად 2012 წლის დეკემბერში შეერთებულმა შტატებმა მიიღო მაგნიტსკის აქტი, რომელიც მიზნად ისახავდა 2009 წელს მოსკოვის ციხეში რუსი ბუღალტერის სერგეი მაგნიტსკის გარდაცვალებაზე პასუხისმგებელი რუსი ოფიციალური პირების დასჯას. აღნიშნულის საფუძველზე 2016 წლის დეკემბერში კონგრესმა მიიღო მაგნიტსკის აქტის გლობალური ვერსია, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ადამიანის უფლებათა დარღვევებში მხილებული ნებისმიერი სახელმწიფო მოხელის სანქცირების შესაძლებლობას იძლევა. დასავლეთის სხვა ქვეყნებმაც მიიღეს მსგავსი ტიპის კანონები, რომლის საფუძველზეც დღეს შეუძლიათ ადამიანის უფლებების დარღვევაში დამნაშავე ნებისმიერი უცხოელი პირი არ შემოუშვან საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე.

ყირიმის ანექსიისა და უკრაინაში რუსეთის შეჭრის საპასუხოდ,

სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ვაშინგტონისა და ბრიუსელის მეთაურობით, სანქციები დააწესეს რუს ფიზიკურ პირებსა და ბიზნესებზე. როდესაც კონფლიქტი გაფართოვდა აღმოსავლეთ უკრაინის სხვა რეგიონებში და გადაიზარდა დონბასის ომში, აღნიშნული სანქციები გახდა საფუძველი შემდგომი აქტებისთვის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ, მთლიანობაში, დაწესდა სამი სახის სანქცია: აიკრძალა ნავთობისა და გაზის საძიებო და გადამამუშავებელი ტექნოლოგიების მიწოდება, რუსეთის ნავთობკომპანიების და სახელმწიფო ბანკების კრედიტაციის აკრძალვა და ყირიმის ანექსიაში მონაწილე გავლენიანი რუსი პირების გადაადგილების შეზღუდვა.

სანქციები რუსი და უკრაინელი პირების, კომპანიებისა და ოფიციალური პირების წინააღმდეგ შეგვიძლია დავყოთ ორ ეტაპად (2014-2021 წწ. და 2022-2023 წწ.).

**პირველი ეტაპი – პირველი ტური: 2014 წლის მარტი/აპრილი**

2014 წლის 6 მარტს, აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელმაც გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში და ინსტიტუტებს დაევალა სანქციების მომზადება. 2014 წლის 17 მარტს შეერთებულმა შტატებმა, ევროკავშირმა და კანადამ შემოიღეს პირველი „პერსონალური და მიზანმიმართული სანქციები". 2014 წლის 17 მარტის სანქციები იყო ყველაზე მასშტაბური, რომლებიც გამოყენებულ იქნა რუსეთის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. იაპონიამ ასევე გამოაცხადა სანქციები რუსეთის წინააღმდეგ.

**მეორე ტური: 2014 წლის აპრილი**

10 აპრილს ევროპის საბჭომ რუსეთის დელეგაციას ხმის უფლება შეუჩერა. 28 აპრილს შეერთებულმა შტატებმა დაუწესა აკრძალვა თავის ტერიტორიაზე ფინანსურ ტრანზაქციებზე შვიდ რუს ოფიციალურ პირსა და 17 რუსულ კომპანიას, მათ შორის როსნეფტსა და გაზპრომბანკს.

**მესამე ტური: 2014-2021 წწ.**

დონბასში ომის ესკალაციის საპასუხოდ, 2014 წლის 17 ივლისს, შეერთებულმა შტატებმა აუკრძალა ფინანსური ტრანზაქციები ორ მსხვილ რუსულ ენერგეტიკულ ფირმას – როსნეფტსა და ნოვატექს და აგრეთვე ორ ბანკს – გაზპრომბანკსა და ვნეშეკონომბანკს. 25 ივლისს ევროკავშირმა ოფიციალურად გააფართოვა სანქციები, რომლებიც დამატებით ეხეობდა 15 ფიზიკურ პირსა და 18 კომპანი-

ას, აღნიშნულს მოჰყვა კიდევ რვა ფიზიკური და სამი ორგანიზაციის დასანქცირება 30 ივლისს. 31 ივლისს ევროკავშირმა დაამტკიცა სანქციების მესამე რაუნდი, მათ შორის დააწესა ემბარგო იარაღზე და მასთან დაკავშირებულ მასალაზე, გაამკაცრა სამხედრო გამოყენების ტექნოლოგიების ექსპორტის კონტროლი და ნავთობის მრეწველობის აღჭურვილობის გადაცემა შეზღუდა. 2014 წლის სექტემბერში შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადა, რომ შეუერთდება ევროკავშირის მიერ დაწესებულ რუსეთის წინააღმდეგ ფინანსურ, ენერგეტიკულ და თავდაცვის სექტორებზე უფრო მკაცრ სანქციებს. 2015 წლის თებერვალში ევროკავშირმა გაზარდა სანქციების სია 151 ფიზიკური პირისა და 37 კომპანიის მიმართ. აგრეთვე კანადამ სანქციების სიაში დაამატა ახალი პირები, მათ შორის როსნეფტი და თავდაცვის მინისტრის მოადგილე. უკრაინამ ასევე დააწესა სანქციები ასობით ფიზიკურ პირზე, კომპანიასა და ორგანიზაციებზე, რომლებიც მონაწილეობდნენ რუსეთის „კრიმინალურ ქმედებებში და უკრაინის წინააღმდეგ აგრესიაში". 2016 წლის დეკემბერში შეერთებულმა შტატებმა გააძევა რუსი დიპლომატები, ჩაკეტა რუსული დიპლომატიური შენობები და გააფართოვა სანქციები რუსეთის წინააღმდეგ 2016 წლის შეერთებული შტატების არჩევნებში ჩარევის გამო.

2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ მოხდა სანქციების მნიშვნელოვანი გაფართოება. ბევრმა ქვეყანამ მიიღო ზომები რუსეთის ეკონომიკის დასასუსტებლად და უკრაინაში მისი სამხედრო შესაძლებლობების შესამცირებლად. შეერთებულმა შტატებმა დააწესა დამატებითი სანქციები, რომელიც ეხებოდა ნავთობს, რაც, საბოლოოდ, აშშ-სა და ევროკავშირში რუსული ნავთობის იმპორტის აკრძალვით დასრულდა. 2023 წლის ივნისიდან ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მე-11 რაუნდი ჩაატარა. G7 ქვეყნების ჯგუფი 2022 წლის სექტემბერში შეთანხმდა რუსეთის ნავთობის ფასის შეზღუდვაზე, რათა კიდევ უფრო შემცირებულიყო რუსეთის პოტენციალი, დაეფინანსებინა თავისი საომარი მოქმედებები.

აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში სანქციებმა მნიშვნელოვანი ეკონომიკური გავლენა მოახდინა როგორც რუსეთზე, ასევე დასავლეთის ქვეყნებზე. რუსეთმა განიცადა თავისი ვალუტის მძაფრი და უკონტროლო დევალვაცია, აგრეთვე განიცადა ეკონომიკური ზარალი და ფინანსური კრიზისი, ამავდროულად, სანქციებმა ეკო-

ნომიკური ზიანი მიაყენა ევროკავშირს და სანქციებში მონაწილე სხვა ქვეყნებს.

დასავლეთის სანქციების პოლიტიკაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ამ პროცესებისადმი წინააღმდეგობის გაწევა. ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანამ გამოთქვა სკეპტიციზმი და მოითხოვა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გადახედვა. სანქციების მიმართ ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი სახელმწიფოები არიან იტალია, უნგრეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, კვიპროსი და სლოვაკეთი. უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა გააკრიტიკა სანქციები და განაცხადა, რომ ევროპამ „საკუთარ ფეხში ისროლა“ მათი შემოღებით. ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა ბოიკო ბორისოვმა ასევე ხაზი გაუსვა ბულგარეთში სანქციების უარყოფით გავლენას. ჩეხეთის პრეზიდენტმა მილოშ ზემანმა და სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრმა რობერტ ფიკომ სანქციების გაუქმებისკენ მოუწოდეს [4].

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა ალექსის ციპრასმა გამოთქვა წინააღმდეგობა 2015 წელს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებზე და განაცხადა, რომ საბერძნეთი მიზნად ისახავს რუსეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების გამოსწორებას ევროპული ინსტიტუტების მეშვეობით. ციპრასმა გააფრთხილა, რომ სანქციები კიდევ ერთ ცივ ომში გადაიზრდებოდა [5].

ზოგიერთმა ბიზნესმენმა საფრანგეთსა და გერმანიაში ასევე გამოთქვა წინააღმდეგობა სანქციების პოლიტიკის მიმართ. გერმანიის ეკონომიკის მინისტრი ზიგმარ გაბრიელი მხარს უჭერდა უკრაინის კრიზისის მოგვარებას დიალოგის გზით და არა ეკონომიკური დაპირისპირებით. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი პაოლო ჯენტილონი ამტკიცებდა, რომ სანქციები არ არის კონფლიქტიდან გამოსავალი [6].

სანქციების მოხსნის მცდელობებს სხვადასხვა ქვეყნები და ორგანიზაციები ცდილობდნენ. 2016 წელს საფრანგეთის სენატმა მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას, რომ ეტაპობრივად და ნაწილობრივ გააუქმოს ევროკავშირის სანქციები რუსეთზე, თუმცა კენჭისყრა არ ჩატარებულა. იტალიის პრემიერ-მინისტრმა ჯუზეპე კონტემ 2019 წელს განაცხადა, რომ იტალია მუშაობს სანქციების მოხსნაზე [7].

რუსეთის მოქალაქეებს შეექმნათ ისეთი გამოწვევები, როგორიცაა მზარდი ინფლაცია, უმუშევრობა, კრედიტების გაძვირება, კაპი-

ტალის კონტროლის შესუსტება, შეზღუდული მგზავრობა და საქონლის დეფიციტი.

1918 წლიდან რუსეთი პირველად იყო საგარეო ვალის (ევროფონდების) დაფარვის გამოტოვების ზღვარზე. ქვეყანამ გამოტოვა ვალის გადახდა რუსული ბანკების სანქციების გამო. თუმცა, რუსეთის ფინანსთა მინისტრმა სილუანოვმა უარყო დეფოლტის შესაძლებლობა და განაცხადა, რომ რუსეთს აქვს საკმარისი სახსრები ვალის დასაფარად. 2022 წლის ივლისის ბოლოს, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გააუმჯობესა რუსეთის მშპ-ის ზრდის შეფასება 2,5%-ით. თუმცა, ზოგიერთი ეკონომისტი რუსეთის ეკონომიკისთვის გრძელვადიან პრობლემებს ხედავს და მის ამჟამინდელ მდგრადობას ენერგიის ფასების მოკლევადიან ზრდას მიაწერს.

რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები შეფასდა მხოლოდ, როგორც 30%-40%-ით ეფექტური, რადგან ქვეყანამ იპოვა შეზღუდვების დაძლევის გზები. თუმცა, სანქციების გამო რუსეთის ეკონომიკის 4%-ით შემცირება 2022 წელს მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩავთვალოთ.

ფინანსურმა სანქციებმა ასევე იმოქმედა რუსეთის VTB ბანკზე, რომელიც 22 წლის ბოლოს ითხოვდა „გადარჩენას" ცენტრალური ბანკისგან.

რუსული ავტომობილების წარმოება 2022 წლიდან 2023 წლამდე 67%-ით დაეცა, განსაკუთრებით მკვეთრი კლება მოხდა 2022 წლის მაისში, როდესაც ავტომობილების წარმოება 97%-ით შემცირდა. თუმცა, გარკვეული კორექტირების შემდეგ იყო უკუსვლა. იმავე პერიოდში ავტომობილების გაყიდვებიც 63%-ით შემცირდა. რუსეთის ბიუჯეტის დეფიციტი ხუთი თვის განმავლობაში (2023 წლის მაისამდე) მნიშვნელოვნად აღემატა დაგეგმილი ბიუჯეტის დეფიციტს მთელი წლის განმავლობაში. გაზისა და ნავთობის შემოსავლები 49%-ით შემცირდა 2022 წელთან შედარებით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 26%-ით.

რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია როგორც შეერთებულ შტატებზე, ასევე ევროკავშირის ქვეყნებზე. შეინიშნება რამდენიმე ძირითადი გავლენა: სანქციების შედეგად ევროკავშირის ზარალი შეფასდა მინიმუმ 100 მილიარდ ევროდ 2014-2015 წლებში. სანქციებმა ასიმეტრიული გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე, რომ-

ლებსაც უფრო მჭიდრო ეკონომიკური კავშირები ჰქონდა რუსეთთან, განსაკუთრებით ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, წარმოების და ფინანსურ სექტორში.

რუსმა ოლიგარქებმა თავიანთი სიმდიდრე გადაიტანეს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა არაბთა გაერთიანებული საამიროები, რომლებიც არ უერთდებიან დასავლეთის სანქციებს. აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ იყო ბრალდებები, რომ რუსეთი ერეოდა უკრაინიდან ხორბლის ექსპორტში, ხოლო რუსეთი ამტკიცებდა, რომ დასავლეთის სანქციები აფერხებდა მის მარცვლეულის ექსპორტს. ევროკავშირის მიერ SWIFT-დან მრავალი რუსული ბანკის გარიცხვამ გაჩინა შეშფოთება აფრიკის ქვეყნებში, რომ ისინი ველარ შეძლებენ რუსეთიდან იმპორტირებული საკვებისა და სასუქების გადასახადის გადახდას. უკრაინაში შეჭრის გამო რუსეთიდან სასუქის მიწოდების შეზღუდვამ და შემდგომმა სანქციებმა გამოწვევები შეუქმნა გლობალურ სოფლის მეურნეობას. რუსეთმა დასავლეთის კონტრსანქციებით უპასუხა. რუსეთის ემბარგოს შედეგად დაზარალებული ქვეყნები იყვნენ შეერთებული შტატები, ევროკავშირი, ნორვეგია, კანადა და ავსტრალია. რუსეთმა დროებით აკრძალა ლატვიური და ესტონური თევზის დაკონსერვებული პროდუქტები მათ ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების გამო. აკრძალვა შეეხო ამ ქვეყნების ექსპორტის წილის ნახევარს.

კონტრსანქციების შედეგები რომ შევაჯამოთ: რუსეთის კონტრსანქციებმა და სახელმწიფოს მხრიდან შიდა სოფლის მეურნეობის მხარდაჭერამ გამოიწვია მარცვლეულის, ქათმის, ღორის, ყველის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდა.

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**


1. Smith G., Finance Minister: oil slump, sanctions cost Russia $140 billion a year _ https://fortune.com/2014/11/24/finance-minister-oil-slump-sanctions-cost-russia-140-billion-a-year/ [12.07.2023].
2. PRESIDENT OF UKRAINE PETRO POROSHENKO Official website: President: Sanctions and heroism of our warriors are the key elements of deterring the Russian aggression – https://web.archive.org/web/20160113123128/http://www.president.gov.ua/en/news/sankciyi-ta-geroyizm-nashih-voyiniv-ye-klyuchovimi-elementam-35906 [12.07.2023].

3. The Federal Council The portal of the Swiss government: Situation in Ukraine: Federal Council decides on further measures to prevent the circumvention of international sanctions – https://www.admin.ch/gov/en/start/dokumentation/medienmitteilungen.msg-id-54221.html [12.07.2023].
4. CNBC: Sanctions on Russia don't work, says Hungary's foreign minister – https://www.cnbc.com/2017/10/04/russian-sanctions-dont-work-says-hungary.html [12.07.2023].
5. The Guardian: Greece's Tsipras meets Putin in Moscow – as it happened – https://www.theguardian.com/business/live/2015/apr/08/shell-makes-47bn-move-for-bg-group-live-updates [12.07.2023].
6. DW: Europe-US energy row – https://www.dw.com/en/us-bill-on-russia-sanctions-prompts-german-austrian-outcry/a-39270624 [12.07.2023].
7. RadioFreeEurope: French Senate Urges Government To Lift Sanctions On Russia – https://www.rferl.org/a/french-senate-urges-government-lift-european-union-sanctions-russia/27787635.html [12.07.2023].

**Sophio Gardava**
*Doctoral student at the faculty of Law and International Relations of Technical University of Georgia*

## Russia-Ukraine war and economic sanctions in the conditions of war

### Summary

In February 2022, the world political situation has changed dramatically due to the war situation between Russia and Ukraine. The situation has engulfed the whole world and every country is involved in this situation. As you know, the specific attitude and policy of Russia towards the rest of the world does not originate now. This problem is much older than the beginning of the Russia-Ukraine war. We can count the beginning from the annexation of Crimea, although the beginnings still come from the collapse of the Soviet Union and the formation of

the independent state of Russia. This article will present the economic sanctions imposed on Russia because of the Russia-Ukraine war. It will be discussed which country has taken what effective steps and whether the imposed sanctions have caused any disruption to the Russian economy. The articƏle also reviews the sanctions imposed on specific officials and businessmen. We will talk about the political consequences caused by the sanctions and the counter-sanctions imposed by Russia on the world. Also what effect did the sanctions have on the EU and the USA.

**დავით მერკვილაძე**
*ისტორიის დოქტორი*

# პეტრე გუტკოვი ფათალი ხანის მიერ რუსული სავაჭრო გემის გაძარცვისა და დერბენდიდან რუსული გარნიზონის გასვლის შესახებ

## თავი 74

როდესაც გენერალ-მაიორ დე მედემის მიერ დატოვებული რუსული ჯარი დერბენდში იმყოფებოდა, ყიზლარიდან იქითკენ გამგზავრება სახიფათო იყო, რადგან ენდერის[1] მფლობელთა ხელქვეითი ჩერკეელები[2] და სხვები ჩამოსულებს ძარცვავდნენ და ხოცავდნენ, მფლობელები კი ამას სულაც არ უკრძალავდნენ და ამისკენ თავადაც აქეზებდნენ. ასეთი შემთხვევებისას, ეტყობა, ენდერელ და კოსტეკელ[3] მფლობელთა ხალხთაგან ზოგიერთი [თავდასხმებისას] რუსების თავდაცვის დროს დაიღუპა.

მედემი საჭიროდ მიიჩნევდა ყუმუხი მფლობელების დასჯას და ამის თაობაზე [იმპერტორის] კარს მოახსენებდა; მაგრამ 1775 წლის 3 ოქტომბერს მას ებრძანა, რომ, რა თქმა უნდა, ეს მფლობელები დამნაშავენი ჩანან, მაგრამ თუ მათ დავსჯით, ეს მათთვის მეტის ზღვევინებას ნიშნავს, ვიდრე ისინი თავისი ცხოვრებისა და ძალაუფლების წესით ამის შესრულებას იყვნენ ჩვეულნი. თავისი ხელქვეითების მიერ უდაბნოში[4] ჩადენილი საძაგლობებისთვის მათ არ შეუძლიათ პასუხი აგონ; ამისათვის (მათი დასჯისათვის – მთარგმნ.)

---

[1] ფეოდალური სამფლობელო ჩრდილოეთ დაღესტანში, რომელსაც მართავდნენ ადგილობრივი ყუმუხი მთავრები. აღნიშნულ ხანაში მათ რუსეთის ქვეშევრდომობა ჰქონდათ მიღებული, თუმცა საშინაო საქმეებში სრული ავტონომიით სარგებლობდნენ (მთარგმნ.).

[2] აული ჩერკეი, ანუ ჩირკეი მდებარეობდა შუა დაღესტანში მდ. სულაკის პირას. 1974 წელს ამ ადგილას წყალსაცავის მშენებლობის გამო ეს სოფელი აყარეს და გადაასახლეს (მთარგმნ.).

[3] კოსტეკი – ყუმუხების სოფელი შუა დაღესტანში, მდინარე ყოისუს მარცხენა სანაპიროზე. იმ დროს კოსტეკი ცალკე თემს წარმოადგენდა (მთარგმნ.).

[4] იგულისხმება დაუსახლებელი ადგილი (მთარგმნ.).

კი საჭიროა არა მხოლოდ ჭორები, არამედ პირდაპირი მტკიცებულებები, რომ ისინი თავის ხელქვეითებს ამისკენ (ძარცვისა და ხოცვისაკენ – მთარგმნ.) უბიძგებენ.

სრულიად სხვა საქმე იქნებოდა, მედემის მიერ დერბენდში გაგზავნილებს, უშენ ადგილებში გავლისას, ჩვენი ქვეშევრდომი მთიელი მფლობელებისგან რომ ჰყოლოდათ გამყოლები მიჩენილი, როგორც ეს უწინ ყოველთვის ხდებოდა ხოლმე; მაშინ კი მათი უსაფრთხოება, თვით ამ ხალხთა ჩვეულების თანახმად, გარკვეულწილად უკვე ამ მფლობელებს ექნებოდათ თავის თავზე აღებული.

ამასთან, 1775 წლის 28 ივლისის რესკრიპტით მედემს ასევე ეცნობა, რომ ყუმუხები, თუმცა ძველითგან რუსეთის სკიპტრის ქვეშევრდომებად იწოდებიან, ხშირად ურჩობასა და ავაზაკობას სჩადიან ხოლმე; ჩვენ კი მაშინ გვეკედლებიან და ჩვენთან მორბიან, როცა თავისთვის რაიმე სარგებელს ეძებენ ან თავიანთ წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღების განზრახვას შენიშნავენ.

## თავი 75

ფათალი ხანის ამ კავშირების[1] განმტკიცებაში მონაწილეობდა დე მედემი და, რასაკვირველია, ამას ბევრად შეუწყო ხელი დერბენდში რუსეთის ჯარის დგომის განგრძობამ, რომელიც იქ 1776 წლის გაზაფხულამდე იმყოფებოდა.

მაგრამ ამასობაში ფათალი ხანმა თავისი ქცევით დაამტკიცა, მისი გული რაოდენ ნაკლებად გრძნობდა მადლიერებას რუსეთის მხრიდან მისთვის გაწეული სიკეთის გამო.

1775 წლის შემოდგომაზე ასტრახანელი ვაჭრის, სკვორცოვის სავაჭრო გემი ენზელიდან ასტრახანისაკენ ნაოსნობისას მეჩეჩზე შეჯდა და დაზიანდა დერბენდისა და ყუბის მფლობელი ფათალი ხანის კუთვნილ სანაპიროსთან. გემზე სხვადასხვა ასტრახანელი ვაჭ-

---

[1] სავარაუდოდ იგულისხმება ფათალი ხანის დინასტიური ქორწინების შედაგად დამყარებული კავშირები ყაზიყუმუხისა და შემახის ხანებთან, ნახსენები 73-ე თავში, რაც მან პოლიტიკური გავლენების განსამტკიცებლად გამოიყენა (იხ. პეტრე ბუტკოვი 1774-1775 წლებში აღმოსავლეთ კავკასიაში არსებული ვითარებისა და გენ. მედემის სამხრეთ დაღესტანში ლაშქრობის შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (26), თბილისი, 2022, გვ. 210 (მთარგმნ.).

რებისა და საქართველოს მეფის, ერეკლეს[1] ქვეშევრდომების კუთვნილი, დიდი ფასის, კერძოდ კი 700 ათასი რუბლის საქონელი იყო. ამ უბედურების მიზეზი ნაწილობრივ იყო გემზე მყოფი აღმასრულებლის[2] მოუთოკავი თვითნებობა და ანგარებითი სიხარბე, რადგან გემი ბევრი სხვადასხვა მეპატრონისგან შეკრებილი უზომო ტვირთით იყო დამძიმებული.[3] ფათალი ხანმა ეს ტვირთი დაიტაცა და, აშკარა სამხილების წინასწარ გასანადგურებლად, დაღუპვას გადარჩენილი ხალხის დახოცვაც კი ბრძანა.

როგორც კი გენერალ-პორუჩიკმა მედემმა ამ შემთხვევის შესახებ შეიტყო, მოტაცებული საქონლის მოსათხოვნად ფათალი ხანთან მაიორები, მირზა-ბეგ ვაჰანოვი (Ваганов) და ფრომჰოლტი (sic. – Фромгольд) გაგზავნა. ხანი აიმედებდა, რომ ყველაფერს დააბრუნებდა და, მართლაც, რაღაც ნაწილი კიდეც დააბრუნა; მაგრამ დანარჩენზე, რაც მეტად დიდი ფასისა იყო (დაახლოებით ნახევარი მილიონის), თქვა, რომ მას და მის ხელქვეითების ხელთ მეტი აღარაფერი დარჩენილიყო, რადგანაც სხვა ნივთები, შესაძლოა, გაფანტულიყო და გამორიყულიყო სხვა ნაპირებზე, რომლებიც მას არ ეკუთვნოდა; თუმცა სარწმუნოდ იყო ცნობილი, რომ ეს ნივთები უმეტესად ფათალი ხანს ერგო. შემდეგ მან საუფროსო ხრიკი (приказная ухватка) გამოიყენა და მიუთითა პეტრე დიდის მიერ მისი წინაპრებისთვის მიცემულ პრივილეგიაზე, რომ სპარსეთის ნაპირებთან ჩაძირული გემებიდან გადარჩენილი ყველა ნივთი დერბენდის მფლობელთა სარგებლობაში რჩებოდა. და ბოლოს, საბუთად მოჰყავდა, თითქოს მთელი მსოფლიოს ადათობრივი უფლება, რომ სანაპიროს მაცხოვ-

---

[1] იგულისხმება ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (მთარგმნ.).

[2] იგულისხმება ტვირთის მეპატრონეთა მიერ დაქირავებული პირი, რომელსაც ტვირთის დანიშნულების ადგილზე ჩატანა უნდა უზრუნველეყო (მთარგმნ.).

[3] ამ მიზეზით საადმირალო კოლეგიამ, უმაღლესი ბრძანებულების თანახმად, 1776 წლის 13 ივლისს დაადგინა, რომ ასტრახანში საზღვაო უფროსობას, ენზელიში კი კონსულს თვალ-ყური ედევნებინათ, რათა გემები მათზე ჩვეულებრივ აღნიშნულ საწყალოსნო ხაზზე უფრო ღრმად არ დატვირთულიყო; ხოლო ამ წესის დამრღვევთათვის საურავად ყველა დატვირთული საქონლის ორმაგი ბაჟი გადაეხდევინებინათ. ამას გარდა, დადგინდა, რომ საქონლით დატვირთული სავაჭრო გემებისთვის არ მიეცათ გასვლის ნებართვა ენზელიდან 5 ოქტომბრის შემდეგ, ასტრახანიდან კი – 15 სექტემბერზე გვიან (გამომც.).

რებლებს მათ სიახლოვეს ხომალდების დაღუპვით სარგებლობა და ხელის მოთბობა შეუძლიათ.[1]

თუმცა ოდისმე ასეთი პრივილეგიის გაცემა შეუძლებელი იყო, მედემი პეტრე დიდისგან ასეთი პრივილეგიის არსებობაზე ხანს თვითონაც მაშინვე წერილობით დაეთანხმა, რაც მას [იმპერატორის] კარისგან ბრალად წაეყენა. მაგრამ ამ მიტაცების უფლებაში მას მაშინ ყველაზე მეტად უდასტურებდა დერბენდში ჯარით მყოფი მაიორი კრიდნერი, სხვათა შორის, მამაცი ოფიცერი, რომელსაც დე მედემი სრულად ენდობოდა. მან მედემს უყოყმანოდ უთხრა, თითქოს ასეთი წესი მთელ მსოფლიოში ყოფილიყო; შემდეგ კი, 1777 წელს, ის გამოძიებისა და სასამართლოს მიერ მხილებული იქნა ხანისგან საჩუქრების მიღებაში ჩაძირული გემიდან.[2]

ის კი მართალია, – სწერდა იმპერატრიცა ეკატერინე მედემს, – რომ ეს უფლება ადრე ყველგან დიდად გამოიყენებოდა, მაგრამ შემდეგ ყველა განათლებულ ხალხში ან გაუქმებულია, ან შერბილებული.

ამგვარად, ფათალი ხანმა ჯიუტობა განაგრძო და იმედოვნებდა, მიტაცებული სიმდიდრით ჯარი დაექირავებინა ან თავისი მტრებისგან უსაფრთხოება ეყიდა. მის მიერ მიტაცებული საქონლის ფასი შეადგენდა 396 ათას 375 რუბლსა და 9 კაპიკს, ბევრიც კიდევ ისეთი იყო, რომელთა პატრონები 1782 წლამდე არ გამოჩენილან.

ამ ამბების დროს პეტერბურგიდან დერბენდის გასაღებით ბრუნდებოდა ფათალი ხანის დესპანი მირზა-ბეგი;[3] ხოლო მეორე, ჰაჯი-

---

[1] უცხოელის სიკვდილისა თუ ხომალდის დაღუპვის შემდეგ მათი ქონების მითვისება, რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, ბარბაროსების მიერ ევროპაში შემოღებული ძველი სამართალია. ხალხი ფიქრობდა, რომ, ვინაიდან უცხოელებთან რაიმე სამოქალაქო სამართლით არ იყვნენ დაკავშირებულნი, ისინი მათ მიმართ ვალდებულნიც არ იყვნენ ერთის მხრივ, რაიმე მართლმსაჯულებით, მეორე მხრივ კი – რაიმე თანაგრძნობის გამო (Монтескье, О существе законов, Кн. XXI, гл. XVII, გამომც.).

[2] როგორც ჩანს, ამის გამო იყო, რომ პრემიერ-მაიორი კრიდნერი ნახევარი წლით რიგით ჯარისკაცად ჩამოაქვეითეს (იხ. მედემის 1777 წლის 8 აპრილის წერილი ნ. პანინისადმი, Акты Кавказской археографической комиссии, под редакцией А. П. Берже, Т. 1, Тифлис, 1866, გვ. 90) (მთარგმნ.).

[3] იგივე მურზა-ბეგი, დერბენდის ნაიბი, რომელსაც ფათალი ხანმა იმპერატრიცასთან გაატანა დერბენდის გასაღები მადლიერებისა და მორჩილების წერილთან ერთად (იხ. პეტრე ბუტკოვი 1774-1775 წლებში აღმოსავლეთ კავკასიაში არსებული ვითარებისა და გენ. მედემის სამხრეთ დაღესტანში ლაშქრობის შესახებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (26), თბილისი, 2022, გვ. 204 (მთარგმნ.).

ბეგი[1] ფათალი ხანმა საქმეებზე გამოგზავნა გენერალ-პორუჩიკ მედემთან. მედემმა ორივე ყიზლარის ხაზზე შეაყოვნა, იმ ვარაუდით, რომ იქნებ ამით ხანს ნივთების დაბრუნება მოეფიქრებინა, მაგრამ ამაოდ.

ამ ჯავრის გარდა ფათალი ხანი დამტვრეული გემის საქმის გამო მედემის სასტიკი, დამამცირებელი და ფიცხი გამოხმაურებების გამოც იყო ნაწყენი. თუმცაღა, სამართლიანობისთვის, ხანი ამას იმსახურებდა, მაგრამ მედემს ამის გამო კარისგან შენიშვნა მიეცა და ებრძანა, რომ საზღვარგარეთელ მეთაურებთან მიმოწერაში ამიერიდან საკადრისი ზომიერება დაეცვა; არ კი დაეფარა მათგან სიმართლე, მაგრამ პირადული ყვედრება და ზიზღი არ გამოეჩინა, რადგან, სპარსული ჩვეულებისამებრ, ისინი ზრდილობიან მუქარებს არიან მიჩვეულნი.

ასეთ ვითარებაში ფათალი ხანი დერბენდში რუსული ჯარის ყოფნით უკვე დიდად უკმაყოფილო იყო, რთულად იტანდა და ცდილობდა მის იქიდან გაძევებას მავნებლობით, სხვადასხვა საიდუმლო ხლართებითა და სხვა სპარსელი ხანებისა თუ მთიელი მფლობელებისგან შეწევნის ძიებით. ეს გარნიზონი თავისი მცირერიცხოვნობის გამო ხანს ასეთი მტრული და მხდალი მცდელობებისგან ვერ აკავებდა, თუმცა მედემი მას იქ სწორედ ამ მიზნით აჩერებდა. საზრუნავს ისიც კი აჩენდა, რომ ხანს ზამთარში მისთვის ზიანის მიყენება ვერ მოესწრო ან ის დერბენდიდან მანამდე არ გამოეგდო, სანამ საზღვრებში მისი დაბრუნება შეიძლებოდა მომხდარიყო დროისა და გარემოებების მიხედვით.[2]

მედემი ნაძარცვის დაბრუნების სხვა საშუალებას ვერ ხედავდა, თუ არა საამისოდ ფათალი ხანის იარაღის ძალით იძულებას. მაგრამ იმპერატრიცამ ამისგან თავის შეკავება უბრძანა, რათა სპარსეთის კუთვნილ, სხვა სახელმწიფოზე დამოკიდებულ და საკუთარი

---

[1] დერბენდელი დიდგვაროვანი, რომლის მეთაურობითაც 1774 წლის ზაფხულში დერბენდის ჯარმა ქალაქის დასაუფლებლად წამოსული უცუმის ჯარი უკუაგდო. ბუტკოვის მიხედვით, ჰაჯი-ბეგის ვაჟი ხიდირ-ბეგი 1796 წელს დერბენდის ნაიბად დაინიშნა (პეტრე ბუტკოვი 1774-1775 წლებში აღმოსავლეთ კავკასიაში არსებული ვითარებისა და გენ. მედემის სამხრეთ დაღესტანში ლაშქრობის შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (26), თბილისი, 2022, გვ. 201 (მთარგმნ.).

[2] ამ ვითარებაში შამხალმა მურთაზალიმ ჩვენი ჯარისთვის გაწეული მრავალი შემწეობით დაამტკიცა რუსეთისადმი თავისი გულწრფელი ერთგულება (გამომც.).

მმართველობისათვის შეუფერებელ ადგილებში არ ემოქმედა, – ახლა, როდესაც პორტასთან მშვიდობა ეს-ესაა აღდგენილია და მასთან ბევრი საქმე ჯერ ისევ დაუსრულებელი რჩება. ამასთან, მედემს ამ ექსპედიციისთვის საკმარისი ჯარიც არ ჰყავს და ეს დიდ ხარჯებსაც მოითხოვს. ამიტომ ხანისთვის სამაგიეროს მიზღვა გადაიდოს სამომავალოდ უფრო ხელსაყრელ შემთხვევამდე; მედემის მიერ შეკავებული ხანის ორი ბეგი გაუშვან; დერბენდის რაზმი სასწრაფოდ დააბრუნონ; ხანს იმპერატრიცას სახელით აცნობონ, რომ ასეთი უსინდისო ანგარების გამო მონარქინია მას უწყვეტს თავის წყალობასა და დაცვას, რასაც მან საკუთარი გამდიდრებისათვის სიხარბე ამჯობინა; ამიერიდან მართლაც აღარ მიიღოთ მონაწილეობა უცუმთან და ყადისთან ფათალი ხანის შერიგების საქმეში, როგორც მედემი ამას აქამდე აკეთებდა.

ამგვარად, 1776 წლის გაზაფხულზე გარნიზონი გამოიყვანეს და ის ხაზზე დაბრუნდა.

1777 წლის 21 მაისის რესკრიპტით გენერალ-პორუჩიკ დე მედემს ებრძანა, მეთაურობა გენერალ-მაიორ იაკობისთვის[1] ჩაებარებინა, თვითონ კი სამხედრო კოლეგიაში გამოცხადებულიყო.

**Davit Merkviladze**
*Doctor of Histor*

## Peter Butkov about the Robbery of a Russian Merchant Ship by Fatali Khan and the Russian Garrison Leaving Derbent

### Summary

We continue publishing the Georgian translation of Peter Butkov's work "Materials for the History of the Caucasus". This work written by the Russian scientist P. Butkov in the first half of the 19th century was published after his death in 1869. In the previous edition of the "Studies in Modern and Contemporary History" (2022, XXVI), we published

[1] ივან ბართოლომეის ძე იაკობი (1726-1803), გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა რუსეთ-ოსმალეთის ომში თავის გამოჩენიის შემდეგ. 1776 წლიდან იგი დაინიშნა ასტრახანის გუბერნატორად (მთარგმნ.).

Peter Butkov's writings about the situation in the Eastern Caucasus and General Medem's campaign in southern Dagestan.

The present article is a continuation of Butkov's above-mentioned narrative. The named story is chronologically placed in 1775-1777 and represents chapters 74-75 of Butkov's mentioned work. It tells about the illegal actions of one of the Dagestan communities subject to Russia and the robbery of a damaged Russian merchant ship off the coast of his domain by Khan Fatali of Quba and Derbent, which resulted in the displeasure of the Russian authorities. Finally, the small garrison of the Russian army left by General Medem in Derbent was withdrawn from the city.

The Georgian translation was done by Davit Merkviladze and Erekle Khutsishvili.

**ედიშერ გვენეტაძე**
*ისტორიის დოქტორი, საქართველოს ტექ-
ნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

# გარდაქმნა („პერესტროიკა“) საბჭოთა კავშირში და გერმანიის გაერთიანების ზოგიერთი საკითხი

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში მ. გორბაჩოვი მოვიდა და დაიწყო ე. წ. „გარდაქნის“ პროცესი, 1989 წლის 7-8 ივლისს ბუქარესტში ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებმა საბოლოოდ დაასამარეს „ბრეჟნევის დოქტრინა“, რომელიც ოფიციალურად არც არასოდეს ფუნქციონირებდა. თავად „ბრეჟნევის დოქტრინა“ კი გულისხმობდა სამხედრო ჩარევას და ინტერვენციას ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებში, როგორც ეს 1968 წელს განხორციელდა ჩეხოსლოვაკიაში.

მიხეილ გორბაჩოვი და მისი თანამოაზრეები გარდაქმნის და ახალი აზროვნების ინიცირებას ახდენდნენ არ ამარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. რასაც არაერთგვაროვნად ხვდებოდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პარტიული ხელმძღვანელები. მისი ძირითადი მოწინააღმდეგენი იყვნენ გდრ-ის მეთაური ერიხ ჰონეკერი და რუმინეთის ხელმძღვანელი ნიკოლაე ჩაუშესკუ. განსაკუთრებული დაპირისპირება იყო სკკპ გენერალურ მდივანსა და ჰონეკერს შორის. ამას ადასტურებს თავად გორბაჩოვი: „ჰონეკერს სურდა ბრეჟნევის შემდეგ სოციალისტურ სამყაროში გამხდარიყო ძირითადი პოლიტიკური ფიგურა... როდესაც დაიწყო გარდაქმნის პროცესი, ის ამით გახდა უკმაყოფილო. მისი და საერთოდ გდრ-ის ხელმძღვანელობის პოზიცია საკმაოდ კრიტიკული იყო... მათ მიიღეს მთელი რიგი წინასწარი ზომები რათა ეს პროცესი ეპიდემიასავით არ გავრცელებულიყო მათთან. ამ მიზნით ზოგიერთი გაზეთი აკრძალეს“ [1, 194]. ჩვენს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ატარებდნენ რეფორმატორულ ხასიათს საერთოდ დუმდნენ. ეს ეხებოდა 1987 წლის იანვრის ცკ-ს პლენუმს, სადაც წარმოჩენილი იქნა ღრმა ანალიზი ჩვენი საკუთარი ისტორიისა, და შეცდომები გატარდა მკაცრი კრიტიკის ქვეშ. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა კავშირში მივიღეთ ისეთი მოდელის

სახელმწიფო, რომელმაც მიგვიყვანა ტოტალიტარიზმამდე და მაშასადამე დემოკრატიის მთლიანად უარყოფამდე. გარდა ამისა გდრ-ში დაფუძნდა შტაბი, რომლის მთავარ ამოცანასაც წარმოადგენდა შეემოწმებინათ და გაეტარებინათ ცენზურის ქვეშ გორბაჩოვის პრესაში გამონათქვამები და სტატიები [2].

ამის საპასუხოდ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოში შეიქმნა ჰონეკერის ფარული ოპოზიცია, რომელსაც 1988 წლამდე არ ჰქონდა განზრახული გენერალური მდივნის ჩამოგდება. პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი გ. შიურერი წერს: იმის გამო, რომ 1989 წლის თებერვალში ჰონეკერი არანაირად არ რეაგირებდა მოახლოებული შესაძლო ეკონომიკური კატასტროფის გამო, მან გადაწყვიტა მოეძებნა ჰონეკერის შემცვლელის კანდიდატურა. ერთი წლით ადრე ის ფიქრობდა, ეს პიროვნება ყოფილიყო პოლიტბიუროს წევრი ვ. ფელფე, მაგრამ ის 1988 წელს გარდაიცვალა. ამიტომაც მისი ყურადღება გადართული იქნა ე. კრენცზე. „ჩვენ 1989 წელს დირხაგენში შევხვდით და უმალ გავუგეთ ერთმანეთს. საუბრიდან გაირკვა, რომ კრენციც დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდა ამ საკითხზე. მე ვიყავი დაუყოვნებლივი და რისკიანი სახელმწიფო გადატრიალების მომხრე. რაც გამოიხატებოდა იმით, რომ უნდა შეგვეთავაზებინა პოლიტბიუროსთვის შეგვეცვალა ჰონეკერი, მითააგიუ და ჰერმანი, ხოლო ე. კრენცი აგვერჩია გენმდივნის თანამდებობაზე. ე. კრენცი გამოტყდა, რომ ჯერ კიდევ 1980-იანი წლების შუა ხანებში შტოფთან, ტისემთან, ლორენცთან, ფელფესა და მილკესთან ერთად განიხილავდა ამ საკითხს“ [1, 191.

გარემოებამ უჩვენა, რომ უნდა მომზადებულიყვნენ და ფრთხილად მოეძიათ ახალი მოკავშირეები. ამიტომაც ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიტანეს უფრო შესაბამისი დროისათვის.

გდრ-ის 40 წლის იუბილესთვის ყველაფერი თითქოსდა ნორმალურად იყო. ჰონეკერმა გაუგზავნა მოსაწვევი მ. გორბაჩოვს. მოსკოვი გაბრაზებული იმით, რომ ბერლინი იგნორირებას უწევდა გორბაჩოვის ახალი აზროვნების კურსს, ეჭვს ქვეშ აყენებდა მაღალი დონის დელეგაციის ბერლინში გამგზავრების საკითხს. ყოველივე უნდა გადაეწყვიტა ორ მომენტს. ფალინის თქმით, თუ გორბაჩოვი ბერლინში არ გაფრინდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ გდრ-ის 40 წლისთავის აღნიშვნამდე ჰონეკერს ჩამოაგდებდნენ, ვინაიდან ფაქტობრივად მხოლოდ მოსკოვი იყო გდრ-ის პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მხარდამჭერი. შემდეგ აგრძელებს ფალინი – ჩვენ მივაპყარით გორ-

ბაჩოვის ყურადღება იმას, რომ გორბაჩოვსა და ჰონეკერს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ერთი-ერთზე. რაც უცნობი იყო გდრ-ის დანარჩენი ხელმძღვანელებისათვის. ამიტომ მისი ვიზიტი უნდა ყოფილიყო ამ მხრივაც მნიშვნელოვანი, რათა შეხვედროდა და გაეცნო ნამდვილი ვითარება რესპუბლიკის მეთაურებისათვის [3].

ბერლინში გენერალური მდივნის ვიზიტამდე გააქტიურდა ოპოზიცია. გდრ-ში გაიმართა ჰონეკერის საწინააღმდეგო დემონსტრაციები, სადაც გაჰყვიროდნენ გორბაჩოვის მხარდასაჭერ ლოზუნგებს: „გორბი, გორბი". ყველაფერი ეს ცნობილი იყო ჰონეკერისა და ერთიანი გერმანიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელებისათვის. შედეგი კი ის იყო, რაც მოხდა გორბაჩოვის ჩასვლისას აეროპორტის გზაზე, სადაც იდგა მხოლოდ ერთი დემონსტრანტი ტრანსპარანტით: „ასე იდექი ერიჰ" [4, 1137-1158]. ხოლო ყველა დანარჩენი კი სკანდირებდა: „გორბი, გორბი" [5, 440].

როგორც წყაროები მოწმობენ ერიხ ჰონეკერი ამ ამბებით ძალიან შეწუხებული და დეპრესიაში იყო ჩავარდნილი. მეორე მხრივ მართალია გორბაჩოვი იყო გახარებული, მაგრამ მისთვის უხერხულობას წარმოადგენდა ის, რომ მან არ იცოდა, როგორ დაეწყო შეხვედრა ჰონეკერთან. უნტერ დენ ლინდენზე ჩირაღდნებით მსვლელობის დროს, რომელშიც მონაწილეობდა 70 ათასი სპეციალურად შერჩეული თავისუფალი გერმანელი, ახალგაზრდობის კავშირის წევრი, მოხდა მოულოდნელი რამ. ახალგაზრდული ელიტის რიგებიდან, რომელთა შორის იმყოფებოდნენ შტაზის[1] ხალხი გაისმა შეძახილები „გორბი, გორბი"! უეჭველია დასავლეთის სპეცსამსახურებს კარგად ჰქონდათ გორბაჩოვის პიროვნება შესწავლილი და მისი ამბიციური ხასიათი გათვალისწინებული. მისი პერსონის წინ წამოწევით ისინი სპეციალური გათვლილი პროგრამით ასიამოვნებდნენ მსოფლიო პოლიტიკის გარდაქმნაზე პრეტენზიის მქონე ყოყლოჩინა და უტვინო სკკპ გენმდივანს.

მ. გორბაჩოვი იგონებს: ამაღელვებელი იყო ლოზუნგები და სკანდირება: „გორბაჩოვ დაგვეხმარე". როდესაც თორმეტს აკლდა ხუთი წუთი" [6, 412] გორბაჩოვთან ტრიბუნაზე მივიდა აღელვებული მ. რაკოვსკი და უთხრა – მიხეილ სერგის ძევ თქვენ გესმით რა ლოზუნგებია და რას ყვირის თავად პარტაქტივიც კი. და უთარგმნა: „გორბაჩოვ გვიხსენი ჩვენ, ამჯერადაც". ეს უკვე დასასრულისკენ

[1] გდრ-ს სახელმწიფო უშიშროების სამსახური

მომავალი ნაბიჯები იყო. ჰონეკერმა მალე დატოვა იქაურობა. გორბაჩოვი აგრძელებს: „მოგვიანებით ჰონეკერი აყვედრიდა კრენცს, რომ ეს დემონსტრაცია სპეციალურად მოუწყვეს მას“ [6, 411-412].

ვალენტინ ფალინი აღწერს თუ როგორ გაისეირნა მრჩევლებთან ერთად გორბაჩოვმა ნიდერშეუხუზენის პარკის ჭიშკართან და იქ მყოფებს კითხა: „რა გავაკეთოთ? ჩვენს ძალებს ზევით მდგომი ადამიანები სდუმან. ჰონეკერი ზღვარზეა. თუ ის ასე ხელმძღვანელობს საკუთარ აქტივს, რთული არაა გამოიცნო მასების განწყობა“ [5, 442]. სწორედ ასეთ ვითარებაში მოხდა გორბაჩოვის და ჰონეკერის შეხვედრა ჯერ ერთი-ერთზე, ხოლო შემდეგ პოლიტბიუროს წევრებთან. საუბარი იყო უაღრესად ცივი. გორბაჩოვი ფრთხილად აკრიტიკებდა ჰონეკერის პოლიტიკას. საბჭოთა გენერალური მდივნის აზრით ძეხვსა და პურზე მეტად ხალხს სჭირდებოდა ახალი ატმოსფერო და მეტი ჟანგბადი. ჰონეკერი ამ საუბრის დროს გამოხატავდა თავის აზრს და ამბობდა, საბჭოთა კავშირის ხელისუფლება ფრთხილად მოპყრობოდა ამერიკის ადმინისტრაციის გავლენას, რომელიც ცდილობდა სსრკ ლიდერები წაეხალისებინა სოციალისტური ღირებულებების უარსაყოფად.

ვ. ფალინის გადმოცემით გაბრაზებულმა ჰონეკერმა თქვა – ცოტა ხნის წინ მე ვიყავი მაგნიტოგორსკში. ქალაქის ხელმძღვანელებმა შემომთავაზეს მცირე ექსკურსია ქალაქში, რათა მენახა როგორ ცხოვრობენ ადამიანები. მე თავი შევიკავე ამ ექსკურსიისაგან, მაგრამ ჩემი თანმხლები ამხანაგები წავიდნენ. დაბრუნებულებმა მითხრეს, რომ მაღაზიებში მარილი და ასანთიც კი არ არის. და ეს ადამიანები, რომლებმაც აქამდე მიიყვანეს საკუთარი ქვეყანა, აქ მოგვევლინენ ჩვენ, როგორც მასწავლებელები [5, 442].

პოლიტბიუროზე აშკარა იყო აზრთა სხვადასხვაობა გორბაჩოვსა და ჰონეკერს შორის. გორბაჩოვი აღტაცებული იყო იმ დახვედრით, რომელიც მას მოუწყვეს, ხოლო ჰონეკერი გაბრაზებული სკკპ გენმდივნის თავდაჯერებულობით და მედიდურობით. პოლიტბიუროზე გორბაჩოვმა წარმოთქვა გერმანული ანდაზის მსგავსი ფრაზა: „ვინც აგვიანებს პოლიტიკაში, მას ცხოვრება მკაცრად სჯის“ [5, 412].

მიხეილ გორბაჩოვის ვიზიტი ჰონეკერის ოპონენტებისათვის პოლიტბიუროში იყო ნიშანის მიმცემი. გორბაჩოვთან გამომშვიდობების შემდეგ კრენცმა, შაბოვსკიმ და ტიშმა გადაწყვიტეს ემოქმედათ გაბედულად. არ დაეცადათ საბჭოთა ხელმძღვანელობის მხარდაჭერისათვის და თავად გაეკეთებინათ გასაკეთებელი. ფალინს კრენ-

ცმა უთხრა: „თქვენმა თქვა ის, რაც უნდა ეთქვა. ჩვენმა ვერაფერი ვერ გაიგო“ [5, 442]. ფალინმა თავის მხრივ უპასუხა. საბჭოთა სტუმარმა გააკეთა და თქვა იმაზე მეტი ვიდრე მოსალოდნელი იყო სტუმრისაგან. ახლა ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული [5, 443].

1989 წლის 16 ოქტომბერს შედგა შეთქმულების ხელმძღვანელების: ე. კრენცის, გ. შაბოვსკის და პროფკავშირების მეთაურის კონსპირაციული შეხვედრა ამ უკანასკნელის სახლში ბანდლიტცეში [7, 260]. სადაც შემუშავდა ხელისუფლებიდან ჰონეკერის ჩამოშორების გეგმა. მთავარი იყო არსებულის შესახებ ეცნობებინათ გორბაჩოვისათვის. ეს საქმე გააკეთა მოსკოვში ჩასულმა ტიშმა. თავის მხრივ გორბაჩოვმა კმაყოფილებით მიიღო ინფორმაცია. მან წარმატებები უსურვა კრენცს და მის მეგობრებს.

ჰონეკერის გადაყენების გეგმას გარკვეულ დროში საფრთხე დაემუქრა. ის შეიძლებოდა ჩაშლილიყო, ვინაიდან ბერლინის გაზეთ „ბილდ-ცაიტუნგში“ 13 ოქტომბერს გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „ოთხშაბათი ჰონეკერის ბოლო სამუშაო დღეა“. სავარაუდოდ, ვიღაცამ გდრ-ის ხელმძღვანელობიდან შეატყობინა გაზეთს, რომ ხუთი დღის შემდეგ ჰონეკერი ჩამოცილებული იქნებოდა ხელისუფლებას. ეტყობა ეს ინფორმაცია ვერ შეაფასა ჰონეკერმა. ამიტომაც ყველაფერი გადაწყდა ბერლინში 1989 წლის 17 ოქტომბერს პოლიტბიუროს სხდომაზე. სხდომას ესწრებოდა პოლიტბიუროს 25 წევრი და წევრობის კანდიდატი. მასზე არ იყო თავდაცვის მინისტრი კესლერი, ვინაიდან ის ჯერ კიდევ არ იყო დაბრუნებული ცენტრალური ამერიკიდან. ჰონეკერმა სხდომა გახსნა კითხვით: სურდა თუ არა ვინმეს დღის წესრიგზე საკითხის დამატება? მაშინ სიტყვა ითხოვა მაღალი თანამდებობის და ავტორიტეტის მქონე ვ. შტოფმა, რომელმაც წამოაყენა წინადადება გაეთავისუფლებინათ ამხანაგი ჰონეკერი გენერალური მდივნის თანამდებობისაგან [8, 30]. ერთი მეორის მიყოლებით გამოდიოდნენ პოლიტბიუროს წევრები და არსებული კატასტროფული ვითარების გამო ადანაშაულებდნენ ჰონეკერს და მოითხოვდნენ მის გადადგომას. შაბოვსკიმ მოითხოვა გადაეყენებინათ ჰონეკერი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარისა და ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეობისაგან. გ. მითაგმა აგრეთვე მოითხოვა მას დაეტოვებინა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის თანამდებობა. მითაგის სიტყვამ გამოიწვია მძაფრი რეაქცია, ვინაიდან იგი იყო ჰონეკერის მოწინააღმდეგეებისათვის ცნობილი, როგორც ძველი არარეალისტური პოლიტიკის

გამტარებელი. დამსწრეთა მოწმობით ეს ამბავი ჰონეკერმა მიიღო წყნარად, ემოციების გარეშე. მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების მეთაური მილკე დაემუქრა ჰონეკერს, გაურკვეველი ხასიათის მასალების გამოქვეყნებით. საქმე ეხებოდა მილკეს სეიფში შენახულ წითელ ხელჩანთას საიდუმლო დოკუმენტებით, მათ შორის ინახებოდა ნაციონალ-სოციალიზმის დროინდელი, სახელდობრ, ჰონეკერის წამების დროინდელი ჩვენებები სხვა დაპატიმრებულ ამხანაგებისადმი... როგორც ჩანს მილკე ამ მასალებს ინახავდა ყოველი შემთხვევისათვის [8]. როგორც ე. კრენცი ახდენს ციტირებას. ჰონეკერს უთქვამს: „ჩემი გადადგომა აჩვენებს, რომ ჩვენ გვაშანტაჟებენ“ [9, 118].

მეორე დღეს 1989 წლის 18 ოქტომბერს ჰონეკერის ადგილზე აირჩიეს ე. კრენცი. უნდა ვიფიქროთ, რომ დიდი ალბათობით ამ პროცესებში ჩარეული იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, თუმცა ამის შესახებ მასალები ჯერჯერობით არ მოიპოვება.

სხდომის დამთავრებისთანავე გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ გდრ-ში საბჭოთა ელჩის კოჩმასოვის ხელით მიიღო გორბაჩოვის მისასალმებელი დეპეშა. შემდეგში სწორედ ამ ელჩის მეშვეობით გადასცა გორბაჩოვმა წერილები დასავლეთის ქვეყნების ლიდერებს, მათ შორის ჰ. კოლს. მასში საბჭოთა ლიდერი აღნიშნავდა, რომ ის შორს იყო განეხორციელებინა ჩარევა რომელიმე ქვეყნის საქმეებში, და იქვე დაამატა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპასა და საკუთრივ გდრ-ში [9, 66].

სხდომაზე დამსწრეთა მოწმობით პოლიტბიუროზე თავისი გამოსვლა ასე დაასრულა ე. კრენცმა: საბჭოთა კავშირის გარეშე არ იქნება გდრ. ოპოზიციისათვის ეს ცვლილება იყო უიმედო ნაბიჯი. კრენცი და პოლიტბიუროს სხვა წევრები ცდილობდნენ მოეპოვებინათ გავლენა საზოგადოებაში, მაგრამ მათი უკვე აღარ სჯეროდათ. შაბოვსკი მოგვიანებით იხსენებდა: „ჩვენ ვთვლიდით, რომ გვაქვს დრო და უნდა გაგვეკეთებინა ყველაფერი-მაგრამ ეს იყო ჩვენი დიდი ილუზია“. კრენცი ამატებს: „გამოსაცდელი დრო ჩვენ არ მოგვცეს, არც დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებმა და არც საკუთარმა მოსახლეობამ. მე ვიყავი, როგორც მორბენალი ცხენი. დილას გვქონდა ერთი აზრი, საღამოს სხვა“ [9, 68].

ჰონეკერის ფაქტობრივი ჩამოგდების შემდეგ მოვლენები განვითარდა ელვისებურად. ლაიფციგში დემონსტრანტთა რაოდენობამ 23 ოქტომბერს შეადგინა 300 ათასი ადამიანი. ყოველ საათში გენე-

რალური მდივანი იღებდა კატასტროფულ ცნობებს. პარტიიდან გასვლაზე თხოვნებს, განცხადებებს, კრიტიკას. უდავო იყო რომ გდრ-ს ახალ ხელმძღვანელობას ეძირებოდა გემი. უკვე გაჩნდა პარტიის რღვევის ნიშნები, რომელიც ამ დრომდე ჩანდა მონოლითური. სიგნალები მოდიოდა სხვადასხვა პარტიული ორგანიზაციების და ცალკეული პარტიის წევრების შესახებ. მაგრამ ნამდვილი კატასტროფა წინ იყო.

ე. კრენცს ესმოდა არსებული რეალობა, ამიტომაც თავის დასკვნით სიტყვაში პოლიტბიუროზე ამბობდა: „საბჭოთა კავშირის გარეშე არ არსებობს გდრ. ჩვენ თუ დაუყოვნებლივ არ დავიწყეთ ცვლილებები პარტიაში საქმე შეიძლება მივიდეს სამოქალაქო ომამდე". ის ასევე მიუთითებდა ქვეყნის დემოკრატიზაციაზე, ეკონომიკურ რეფორმებზე და მჭიდრო კავშირზე გფრ-თან.

უდავოა გორბაჩოვის დაწყებულმა „პერესტროიკამ" უდიდესი გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყნის განვითარებაზე. მოსახლეობამ დაიწყო რეფორმების მოთხოვნა. გდრ-ის ხელმძღვანელობამ შეცდომით მიიჩნია, რომ მათ ქვეყანას ისინი არ სჭირდებოდა. ამასობაში გამწვავდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, რამაც გამოიწვია 1989 წლის 18 ოქტომბერს არა მარტო ე. ჰონეკერის, არამედ იმავე წლის 9 ნოემბერს – ბერლინის კედლის დაცემა. ეს ნიშნავდა ორ გერმანიას შორის საზღვრის რეალურ გახსნას. ამ მომენტიდან წამოიჭრა საკითხი ორი გერმანიის გაერთიანების შესახებ.

28 ნოემბერს გერმანიის კანცლერმა ჰ. კოლმა ბუნდესტაგში უკვე ისაუბრა სამთავრობო პროგრამის სახელწოდებული „კოლის 10 პუნქტით", რომელიც ასახავდა ორივე გერმანიის გარკვეული პერიოდის განმავლობაში კონფედერაციული სახელმწიფოს ეტაპობრივი შექმნის გეგმას [9, 117, 11, 254-263].

„კოლის 10 პუნქტი" მსოფლიო საზოგადოებისთვის, უპირველეს ყოვლისა კი საკუთარი ქვეყნისთვის და გდრ-სთვის ნიშნავდა სიგნალს იმისა, რომ გფრ მზად იყო ეხელმძღვანელა და წარემართა გერმანიის გაერთიანების პროცესი.

ჰ. კოლის ქმედებებით უკმაყოფილო იყო არა მხოლოდ მოსკოვი, არამედ პარიზი, ლონდონი, რომი, პრაღა, ვარშავა, ბუდაპეშტი და ევროპის სხვა დედაქალაქები.

გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე გერმანიის გაერთიანებით დაინტერესებული იყო აშშ. თეთრი სახლი ხედავდა რა დრო-

ის მასშტაბში მერყევ, უნებისყოფო, მსოფლიო პოლიტიკის გარდაქმნაზე მეოცნებე ამბიციურ და რაც მთავარია იმავდროულად შეშინებულ, არათანმიმდევრულ საბჭოთა ხელმძღვანელს მყისიერად დიდ ყურადღებას უთმობდა „გერმანულ საკითხს". ასე იყო 1989 წლის 2-3 დეკემბერს აშშ-სა და სსრკ-ს ლიდერების მალტის შეხვედრაზე.

შეხვედრის წინ აშშ პრეზიდენტის შტაბის უფროსმა ჯონ სუნუნუმ, რომელიც განიხილავდა მოახლოებულ სამიტს ბუშს უთხრა: „ჩვენ ახლა შევწყვეტთ ერთხელ და სამუდამოდ მორცხვობას!" პრეზიდენტი დაეთანხმა მას: „მართალია! დავეცემით მათ, როგორც პოლიცია განგსტერებს!" – წერენ ტელბოტი და ბეშლოსი.

ამერიკის პრეზიდენტმა მალტის შეხვედრაზე დაადასტურა ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობა, როგორც ისტორიული ფაქტი და იქვე აღნიშნა, რომ თუმცა, „ჩვენ არ შეიძლება, რომ არ დავეთანხმოთ გერმანიის გაერთიანებას" [12, 264]. ჯორჯ ბუშმა (უფროსი) მკვეთრად გამოკვეთა შეერთებული შტატების პრინციპული პოზიცია ამ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით და მუდმივად იცავდა მას გდრ-ის დასავლეთთან შეერთებამდე. მარშალ ს. ახრომეევის აზრით, ჯორჯ ბუშისთვის მალტაში მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო სსრკ-ის დამოკიდებულების გამოვლენა ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანებისადმი. გორბაჩოვი მზად არ იყო ამ საკითხის სერიოზული განხილვისათვის, რადგან მას არ ჰქონდა კონკრეტული გრძელვადიანი გეგმა. შედეგად, ამერიკელებმა დაასკვნეს, რომ საბჭოთა კავშირის მხრიდან გერმანიის მოახლოებული გაერთიანების წინააღმდეგ მტკიცე წინააღმდეგობა არ იქნებოდა" [13, 253-254].

სხვა წინადადებებთან ერთად ბუშმა წამოაყენა 2004 წლის ოლიმპიადის ბერლინში ჩატარების იდეა. გორბაჩოვი მაშინვე მიხვდა, რომ ბუში ამით უბიძგებდა მას ირიბად დათანხმებულიყო, რომ იმ დროისთვის ბერლინი გახდებოდა ერთიანი გერმანიის დედაქალაქი.

გორბაჩოვმა ბუშს უპასუხა:

ჩვენ ისტორიიდან მემკვიდრეობით მივიღეთ ორი გერმანია. ისტორიამ შექმნა ეს პრობლემა, ისტორია მოაგვარებს. – და ბუშის საყვარელი სიტყვა დაამატა: – სადაც საქმე გერმანიას ეხება, მე წინდახედულ და ფრთხილ პოლიტიკას ვატარებ...

გორბაჩოვმა შეჩივლა ბუშს საბჭოთა კავშირის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა და აქედან გამომდინარე ბიუჯეტის დეფიციტის შესახებ.

ადრეც დიდი დეფიციტი გვქონდა და ახლაც არის ბედისწერის მიერ გამოწვეული დარტყმები. მან ისაუბრა ჩერნობილის ატომური კატასტროფისა და სომხეთში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ ზარალის აღდგენის კოლოსალურ ხარჯებზე. ყოველივე ამის გარდა ბუშს გულუბრყვილოდ მოახსენა, რომ ნავთობის დაბალმა ფასებმა საზიანო გავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირის სავალუტო შემოსავლებზე. საბჭოთა ლიდერი ფიქრობდა, რომ თითქოსდა ამით ძალიან შეწუხდებოდა აშშ პრეზიდენტი.

ირკვევა, რომ დაგეგმილი შეხვედრა ამერიკულმა მხარემ მოიფიქრა ძალიან სერიოზული სცენარით, რომლის მიხედვითაც ამერიკელები მხოლოდ დაპირდებოდნენ, ხოლო გორბაჩოვი, მათი გათვლებით, არა მხოლოდ დაპირდებოდა არამედ ასევე შეეცდებოდა პრაქტიკაში განხორციელებას. მართლაც, კისინჯერის თქმით უთხრეს, რომ „არ გამოიყენებდნენ აღმოსავლეთ ევროპას, სსრკ-ს წინააღმდეგ სადაზვერვო ოპერაციების ჩასატარებლად", „უარს ამბობენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ვარშავის ხელშეკრულებიდან გამოყვანის მცდელობებზე". ეს დაპირებები დაირღვა მალტის სამიტის შემდეგ მალევე, 1990-1991 წლებში. შემდგომ პერიოდზე აღარ არის საჭირო საუბარი.

ბრეჟნევის დოქტრინა შეცვალა „სინატრის დოქტრინამ"[1].

მალე მოსკოვში მოლაპარაკებებზე ჩამოვიდა ჰენრი კისინჯერი. ცნობილმა საბჭოთა დაზვერვის ოფიცერმა ლეონიდ შებარშინმა მა-

---

[1] ეს სახუმარო-სახალისო-სახელი, ყველაზე პოპულარულია შეერთებულ შტატებში. ის სათავეს იღებს 1989 წლის 25 ოქტომბერს პოპულარულ ამერიკულ სატელევიზიო გადაცემაში „Good Morning America" სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის გენადი გერასიმოვის გამოსვლით. საბჭოთა დიპლომატმა ისაუბრა ორი დღით ადრე გაკეთებულ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლაზე, რომელშიც სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა საბჭოთა კავშირის განზრახვა ამიერიდან არ ჩარეულიყო სხვა სახელმწიფოების, მათ შორის ვარშავის პაქტის სახელმწიფოების საშინაო საქმეებში. თავის კომენტარში გერასიმოვმა მას ხუმრობით უწოდა ფრენკ სინატრას დოქტრინა, რაც გულისხმობდა სინატრას ცნობილ სიმღერას „I did it in my way". ასე რომ, შევარდნაძის განცხადებით სხვა ქვეყნები თითოეული დამოუკიდებლად და მშვიდობიანად იცხოვრებდნენ. საბჭოთა საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებამ და გერასიმოვის კომენტარმა, რომელიც გაკეთდა აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური მთავრობების თანმიმდევრული დაცემის დასაწყისში, მთელი მსოფლიოსთვის გახდა მტკიცებულება იმისა, რომ სსრკ ნებისმიერ ფასად უარს ამბობდა ამ ქვეყნების გავლენის სფეროებად განხილვაზე.

შინ თქვა: „კისინჯერი ჩამოფრინდა დედაქალაქში. „პერესტროიკის არქიტექტორებთან“ იაკოვლევთან და ქართველ შევარდნაძესთან, რათა ერთად გადააგორონ დიქტატურის უზარმაზარი ლოდი. ყველა პოლიტიკოსი არ არის კორუმპირებული, ზოგი თავს აქირავებს!“ [14].

კისინჯერმა ბრწყინვალედ წარმართა მოლაპარაკებები. 1989 წლის შემოდგომაზე, თეთრ სახლში, ამერიკის პრეზიდენტის კაბინეტის სხდომაზე ის გორბაჩოვს უმაღლესი სტანდარტების კომპლიმენტებით აფასებდა: „თქვენ, ბატონო ბუშ, საბჭოთა კავშირის განადგურება რომ გნდომოდათ, ამას იმაზე უკეთ ვერ გააკეთებდით, ვიდრე ეს გორბაჩოვმა გააკეთა?“ [14].

მალტის შეხვედრაზე გორბაჩოვის პოზიციის გამო გაღიზიანებული, გდრ-ის მთავრობის მეთაური ჰ. მოდროვი წერს: „გორბაჩოვი არ აკეთებდა გდრ-ის ჩართვას კონსულტაციებში, თითქოს საბჭოთა „Terra Humana“ კავშირის თამაშებში ვიმყოფებოდით, როგორც მსოფლიო ძალა როგორც მხოლოდ დაგეგმვის ერთეული, განწირული დუმილისა და მორჩილებისთვის [15, 345].

მალტის შემდეგ გორბაჩოვი ცდილობდა მკაცრი პოზიციის დემონსტრირებას გერმანულ საკითხთან დაკავშირებით. 5 დეკემბერს მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ.-დ. გენშერი, რომელსაც გორბაჩოვმა „კოლის 10 პუნქტისთვის“ სიტყვასიტყვით მოუწყო სკანდალი... მთავარი საყვედური იყო გდრ-ის სუვერენიტეტის ხელყოფა, მის შიდა საქმეებში ჩარევა, ფაქტობრივად, კურსი კონფედერაციისკენ“ [16, 31]. აღშფოთებულმა გორბაჩოვმა თქვა: „პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს ულტიმატუმის მოთხოვნები წამოყენებულია დამოუკიდებელი და სუვერენული გერმანიის სახელმწიფოსთან დაკავშირებით. მართალია, ჩვენ ვსაუბრობთ გდრ-ზე, მაგრამ ის, რაც კანცლერმა თქვა, ყველა ჩვენგანს ეხება... კანცლერის განცხადება – პოლიტიკური შეცდომაა. რასაც ჩვენ უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ... თუ ჩვენთან თანამშრომლობა გინდათ, მზად ვართ. თუ არა, პოლიტიკურ დასკვნებს გამოვიტანთ. გთხოვ, მთელი სერიოზულობით მიიღოთ ნათქვამი“ [11, 276, 279].

მომდევნო დღეებში მ. გორბაჩოვი აგრძელებდა თეზისის დაცვას, რომ ევროპის კონტინენტის სტაბილურობისთვის აუცილებელია ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობა. 1989 წლის 9 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისადმი მიწერილ მოხსენებაში მან განაცხადა: „ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმას, რომ არ დავუშვებთ გდრ-ს შეურაცხყოფას, ის არის ჩვენი სტრატეგიული მოკავ-

შირე და ვარშავის პაქტის წევრი. აუცილებელია იმ რეალობიდან გამოსვლა, რომელიც ომის შემდეგ განვითარდა – გერმანიის ორი სუვერენული სახელმწიფოს არსებობა, გაეროს წევრი. აქედან წასვლა ემუქრება ევროპის დესტაბილიზაციას". რუსი მკვლევარები ასკვნიან, რომ 1989 წლის ბოლომდე საბჭოთა ხელმძღვანელობას არ ჰქონდა მკაფიოდ შემუშავებული სამოქმედო გეგმა გერმანიის პრობლემასთან დაკავშირებით. ზოგიერთი მიდის დასკვნამდე, რომ როდესაც გერმანული საკითხი მისი პრაქტიკული გადაწყვეტის პლანზე დადგა, მაშინ „არც გორბაჩოვი, არც მმართველი პოლიტიკური ელიტა და არც საბჭოთა საზოგადოება არ იყვნენ მზად საქმის ასეთი შემობრუნებისთვის არც ფსიქოლოგიურად და არც კონცეპტუალურად" [17, 119].

საბჭოთა ხელმძღვანელობას, რომ გერმანულ საკითხში არ გააჩნდა კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმა ამაზე მიუთითებს ნ. რიჟკოვი, რომელიც იმ დროს საბჭოთა ხელისუფლების მეთაური იყო. „არ არსებობდა სტრატეგია... ყველას სჯეროდა, რომ სტატუს კვო ურყევი იყო და მაშასადამე, 1989/90 წლებამდე არავინ შეიმუშავა პერსპექტივა: როდის მოხდება ეს, ას, ორმოცდაათი თუ ოცი წლის შემდეგ? ან იქნებ სამ წელიწადში? ასეთი სტრატეგია არ ყოფილა და არც განიხილებოდა... ყველაფერი სპონტანურად მოხდა" [18].

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საბჭოთა ხელმძღვანელობამ გერმანულ კითხვასთან რადიკალური ცვლილებები შეიტანა. ეს მოხდა 1990 წლის 26 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტში გამართულ ვიწრო შეხვედრაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა მ. გორბაჩოვი [19, 579]. სადაც მან განაცხადა ამ ურთულესი პრობლემის ორი გერმანიის გაერთიანებით პრაქტიკული მოგვარების შესახებ.

გორბაჩოვის პოზიციის ამგვარმა შემობრუნებამ გდრ-ში მოღვაწე საბჭოთა დიპლომატებიც კი დააბნია. ი. მაქსიმიჩევი თავის დღიურში წერდა: „მიხეილ გორბაჩოვის განწყობის შემობრუნება სრულიად მოულოდნელი იყო, რადგან ბოლო დრომდე მას არც კი სურდა, გაეგო ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის რაიმე სხვა სახის თემის შესაძლებლობის შესახებ... და უცებ – ასეთი უეცარი შემობრუნება" [20, 126]. „საბოლოოდ, ჩვენ შევთანხმდით უახლოეს მომავალში ქცევის ხაზზე – წერს. გორბაჩოვი – შეხვედრებზე წარმოდგენილი იქნა ხუთი ძირითადი დასკვნა: გერმანიის გაერთიანება; კონფერენციის გასამართად უნდა მოიწვიონ სსრკ „ექვსი", ანუ ოთხი გამარჯვებული ძალა (სსრკ, აშშ, ინგლისი, საფრანგეთი) და ორი

გერმანული სახელმწიფო; გდრ-ის ხელმძღვანელობა უნდა შენარჩუნდეს; გერმანიის საკითხთან დაკავშირებით პოლიტიკა უფრო მჭიდროდ უნდა იყოს კოორდინირებული პარიზთან და ლონდონთან; მარშალ ახრომეევს დაევალა საფუძვლიანად შეემუშავებინა გდრ-დან ჯარების გაყვანის საკითხი" [6, 166].

შემთხვევითი არ იყო, რომ ჯერ კიდევ 1983 წლის ოქტომბერში „Jerusalem Post"-თან ინტერვიუში რეიგანმა ხაზგასმით აღნიშნა: „საბჭოთა კავშირის მომავალი განადგურება უნდა გახდეს გადამწყვეტი. საბოლოო შეხლა მსგავსი – ბიბლიაში აღწერილი არმაგედონის".

ამრიგად განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რომ გორბაჩოვი და მისი გუნდი აცდენილნი იყვნენ რეალობას. გორბაჩოვს სურდა, ახალი სიტყვა ეთქვა მსოფლიო პოლიტიკაში, მაგრამ ამისათვის მას არც გონება, არც ჭკუა და არც ნება არ გააჩნდა. გორბჩოვის და მისი გუნდის ქმედებები მომავალში უნდა გახდეს ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ არ უნდა იმოქმედოს ქვეყნის მეთაურმა და სახელმწიფოს დიპლომატიურმა კორპუსმა.

მალტის სამიტი იყო 1945 წელს ჩამოყალიბებული „იალტა-პოტსდამის სისტემის" უარყოფის პროლოგი, რომელმაც ნაცისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ განსაზღვრა მსოფლიოს პოლიტიკური კონფიგურაცია. იმავდროულად ეს იყო მეორე მსოფლიო ომში სსრკ-ს გეოპოლიტიკური მონაპოვრების უარყოფა.

ამ მოვლენების შემდეგ 1990 წლის აგვისტოში შეერთებული შტატები მოკავშირეებთან ერთად შევიდა ერაყში (ომი სპარსეთის ყურეში). ახლა უკვე აღარ იყო საჭირო ყოფილი გეოპოლიტიკური მტრის რეაქციის გადახედვა. ამერიკელებმა გამოიყენეს საბჭოთა კავშირში შექმნილი ურთულესი პრობლემები და მოსკოვთან მოლაპარაკებების დროს დაიწყეს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების „გაშვების" მოთხოვნა. სწორედ ამ დროიდან დაიწყო შეერთებული შტატების შეუზღუდავი ჰეგემონიის ერა, რომელიც საერთოდ არ იყო შეზღუდული რაიმე საპირწონეებით.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. Schurer G., Gewagt und verloren. Eine deutshe Biographie. 4. Auflage, Berlin, 1998.
2. გორბაჩოვის ინტერვიუ გერმანიის მეორე არხისადმი 1992.
3. ვ. ფალინის ინტერვიუ ჰანს-კრისტოფერ ბლუმბერგთან, 1999.
4. Maximytshew I. Hertle h. Die Maueroffung, 3 Teile, Deutshland Archiv, 1994, № 11.
5. Фалин В., Без скидок на обстоятельства, Москва, 1999.
6. Горбачев М. С., Жизн и реформы, Кн. 2, Москва, 1995.
7. Schabowski G., Der Abstruz.
8. Przybyski P., Tatort Politbiuro, Bd. 1: Die akte Honeker, Berlin, 1991.
9. Krenz E., Herbst 89.
10. Плато А-Ф., Обьединение Германии-борба за Европу, Москва, 2007.
11. Михаил Горбачев и германский вопрос, Сб. Документов, Москва, 2006.
12. Отвечая на вызов времени, Внешняя политика перестройки: документальные свидетельства, Москва, 2000.
13. Ахромеев С., Корниенко Г., Глазами маршала и дипломата, Москва, 1992.
14. https://history.wikireading.ru/304880.
15. Модров Х., Я хотел жить в новой Германии, Москва, 2000.
16. Черняев А. С., Объединение Германии, Политические механизмы и психологические стереотипы // Свободная мысль, 1997, № 8.
17. Дашичев В., Единая Германия в единой Европе //Свободная мысль, 1999, № 7.
18. Рыжков Н., «Коль пошел бы на нейтралитет» // Независимая газета, 2000, 23 марта.
19. В Политбюро ЦК КПСС... По записям А. Черняева, В. Медведева, Г. Шахназарова (1985–1991), Изд. 2-е., Москва, 2008.
20. Максимычев И. Ф., «Народ нам не простит...» Последние месяцы ГДР, Дневник советника посланника посольства СССР в Берлине, Москва, 2002.

**Edisher Gvenetadze**
*Doctor of History, Technical University of Georgia, Professor*

## Transformation ("perestroika") in the Soviet Union and some issues of German reunification

### Summary

The paper states that after M. Gorbachev came to the political leadership of the Soviet Union and initiated the so-called "transformation" process, on July 7-8, 1989, in Bucharest, the "Brezhnev Doctrine" was finally overthrown by Warsaw Pact participating countries, which implied the military intervention and intervention in the countries participating in the Warsaw Pact.

"Perestroika" initiated by Gorbachev had a significant influence on the development of all Eastern European countries. started to call for the reforms.

The leadership of the GDR erroneously believed that their country did not need them. In the meanwhile, the socioeconomic and political crises got worse, which led not only to E. Honecker, but also the fall of the Berlin Wall on November 9 of the same year.

The USA was interested in Germany's unification for geopolitical reasons.

The White House could observe how the unsteady, unwilling, aspirational, and, most crucially, and simultaneously frightened, inconsistent Soviet leader, dreaming of transforming world politics, instantly paid a lot of attention to the "German question". This was the case on December 2-3, 1989 at the conference of the leaders of the USA and the USSR in Malta.

The American president approved the existence of two German states close to Malta and noted there, as a historical fact, that " We cannot insist that we decline to support Germany's reunification". George W. Bush (Senior) clearly outlined the fundamental standpoint of the United States with respect to this important issue, and up until the GDR's reunification with the West, he steadfastly defended it.

The summit held in Malta was a prologue to the rejection of the

"Yalta-Potsdam system" established in 1945, which determined the political configuration of the world after the defeat of Nazi Germany. At the same time, it was a rejection of the geopolitical gains of the USSR in the Second World War.

After these events, in August 1990, the United States, along with its allies, entered Iraq (the Persian Gulf War). No longer was it necessary for one to consider how the old geopolitical enemy would respond. The Americans took advantage of the most difficult problems created in the Soviet Union and began to demand the "release" of the Baltic republics during negotiations with Moscow. At this point the era of unrestrained hegemony of the United States started, which had no limitations imposed by counterweights at all.

**სოფიო ჩანთაძე**
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი*

# კულტურა, როგორც რბილი ძალა ევროკავშირის პოლიტიკაში

კულტურა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ერთიან ევროპულ სივრცეში. თვითონ ევროპის სივრცის არსებობაც კი გულისხმობს კულტურის სფეროში მრავალჯერადი ხასიათის აქტივობებისა და ქვეყნებს შორის სხვადასხვა სახის გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას. ამასთან, გლობალურ ევროპულ გაერთიანებაში წევრ-სახელმწიფოებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება, რისი დასტურიც გახლავთ ევროკავშირის დევიზი „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“[1].

კულტურული მრავალფეროვნება არის ევროკავშირის ღირებულებების განუყოფელი ნაწილი. ევროკავშირი მოწოდებულია ხელი შეუწყოს გლობალური წესრიგის დამყარებას მშვიდობის, კანონის უზენაესობის, გამოხატვის თავისუფლების, ურთიერთგაგებისა და ფუნდამენტური უფლებების პატივისცემის საფუძველზე. შესაბამისად, საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების საშუალებით მრავალფეროვნების პოპულარიზაცია წარმოადგენს ევროკავშირის, როგორც გლობალური აქტორის მნიშვნელოვან ფუნქციას. ეს მოიცავს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს „საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების განვითარებას“, ევროკავშირის მიერ მეზობელი ქვეყნებისთვის დახმარების გაწევის გზით, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობასა და მრავალფეროვანი კულტურის პოპულარიზაციას, „კულტურული დიპლომატიის“ საშუალებით, რო-

---

[1] ევროკავშირის დევიზი – „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“, შეირჩა 2000 წელს ჩატარებული არაოფიციალური სასკოლო კონკურსის შედეგად და მიღებულ იქნა ნიკოლ ფონტენის მიერ, რომელიც იმ დროს ევროპის პარლამენტის პრეზიდენტი იყო. შემდგომში იგი ჩნდება ევროპის კონსტიტუციის ტექსტში და ევროკავშირის ვებ-საიტზე მოდიფიცირებული ფორმით: „მრავალფეროვნებით გაერთიანებულნი“.

მელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს, განვითარებასა და სამუშაო ადგილების ზრდას [1].

კულტურას ბევრი განზომილება აქვს. ლიტერატურა, ხელოვნება, განათლება – კულტურაა ელიტებისთვის. კულტურის ზოგიერთი ასპექტი უნივერსალურია, ზოგი ნაციონალური, ზოგიერთი კი სოციალური კლასების და მცირე ჯგუფების კუთვნილება [2, 84].

კულტურა, რომელიც ეფუძნება უნივერსალურ ღირებულებებს, ადვილად იქცევა რბილ ძალად. ჯოზეფ ნაის აზრით, ამგვარი უნივერსალური პოლიტიკური ღირებულებებია დემოკრატია, ადამიანის უფლებები, ინდივიდუალიზმი. სწორედ ეს ღირებულებები ხდის მიმზიდველს ევროკავშირს.

კულტურა ევროინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური სფეროა. უფრო მეტიც, ბოლო წლებში ევროპის საგარეო საქმეებში გაძლიერდა კულტურული დიპლომატიის როლი, როგორც ევროპული რბილი ძალის ძირითადი რესურსის. 2007 წელს ევროკომისიის მიერ მიღებული „ევროპული კულტურის დღის წესრიგით" მოხდა „კულტურის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სასიცოცხლო ელემენტის" აღიარება [3, 146-168].

ევროკავშირის ღონისძიებები კულტურის სფეროში ავსებს წევრი სახელმწიფოების კულტურულ პოლიტიკას სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა ევროპული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, სხვადასხვა ქვეყნის კულტურულ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობა და შემოქმედებით მუშაკთა მობილობის ხელშეწყობა [4].

ჰერმან ვან რომპეიმ,[1] 2009-2014 წწ. ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, 2011 წელს განაცხადა: „მაშინ როდესაც ჩვენი „ძლიერი ძალის" დიაპაზონი შეზღუდულია, ჩვენი „რბილი ძალა" უნდა შეფასდეს სათანადოდ. რბილი ძალის განხორციელება არის საკმაოდ რთული და საფრთხილო, რადგან რბილი ძალის ეფექტური გამოყენება მოითხოვს თანმიმდევრულ და ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელიც უნდა პასუხობდეს ჩვენს მიზნებს, საშუალებებს და მათი გამოყენების გზებს".

შესაბამისად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რბილი ძალის გამოყე-

---

[1] ჰერმან ვან რომპეი (ნიდერლ. Herman Van – ბელგიელი პოლიტიკური მოღვაწე, ბანკირი, მეცნიერებათა დოქტორი, ფედერალისტი. 2008 წლის დეკემბრიდან 2009 წლის ნოემბრამდე იყო ბელგიის პრემიერ-მინისტრი. 2009 წლიდან 2014 წლამდე ევროპული საბჭოს პრეზიდენტი. პარტია ქრისტიან-დემოკრატები და ფლამანდიელების ერთ-ერთი ლიდერი.

ნებამ საერთაშორისო ურთიერთობებში სულ უფრო მეტი როლი შეიძინა და სულ უფრო მეტი ადგილი უკავია სხვადასხვა ქვეყნების საგარეო ურთიერთობებში. ევროკავშირი კი ბოლო ათწლეულების განმავლობაში ხშირად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში რბილი ძალა წარმოადგენს მის ძირითად რესურსს [5].

უფრო მეტიც, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ევროკავშირი არის რბილი ძალის გამოყენების ყველაზე ნათელი მაგალითი, რომლის ფარგლებშიც ინტეგრაცია ეფუძნება ეფექტურ თანამშრომლობას და ეს თანამშრომლობა მოიცავს მნიშვნელოვან საერთო ღირებულებებს. როგორც ნაი მიიჩნევს, ეს დამოკიდებულება აისახება წევრ ქვეყნებს შორის საერთო კულტურულ, პოლიტიკურ ღირებულებებსა და საერთო საგარეო პოლიტიკაში, ასევე თითოეული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში.

ევროკავშირი არის საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაცია და მისი წარმატება განსაზღვრავს არაწევრი ქვეყნების სურვილს მონაწილეობა მიიღონ ევროინტეგრაციის პროექტში. ევროკავშირის რბილი ძალა განაპირობებს მის მიმზიდველობას არაწევრი ქვეყნებისათვის, ვინაიდან ინტეგრაციის შემთხვევაში ისინი დაიკავებენ ადგილს გადაწყვეტილებების მიღების მაგიდასთან" [6].

ევროკავშირის რბილი ძალის მეორე მაგალითად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის გაფართოების ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP), რომელიც წარმოდგენილ იქნა 2003 წელს და მას აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო შეუერთდა და ნებაყოფლობით აიღო რიგი ვალდებულებები, გააგრძელოს სახელმწიფო განვითარება ისე, როგორც ამას ევროკავშირი კარნახობს.

როგორც გალაროტი აღნიშნავს, რბილი ძალა მართავს დიპლომატიას და დაკავშირებულია პრაქტიკულად ყველა კონსტრუქციულ და პროგრესულ სტრატეგიასთან, რომელიც წარმართავს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას, არის პოზიტიური მისაბაძი მაგალითი და ამრიგად მოიპოვებს სხვა ერების ნდობას [7, 384].

ევროკავშირის შექმნის დღიდან რბილი ძალა რჩება წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობისა და გაერთიანების, გაფართოების პოლიტიკის არსებით მექანიზმად.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მიზანია, არსებითად უზრუნველყოს უსაფრთხოების, სტაბილურობის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების პატივისცემა არა მხოლოდ მის უშუალო სამეზობლოში (მაგ. ბალკანეთი), არამედ მსოფლიოს სხვა ცხელ წერ-

ტილებშიც, როგორიცაა აფრიკა, შუა აღმოსავლეთი და კავკასია. ამ პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტია „რბილი ძალა" (არასამხედრო მეთოდების გამოყენება), რაც გულისხმობს დახმარებას განვითარებაში [8, 48].

ევროკავშირის პოლიტიკა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სხვადასხვა ქვეყნების კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას და განვითარებას, როგორც რბილი ძალის ერთ-ერთ მძლავრ მექანიზმს [9].

90-იანი წლებიდან მოყოლებული ევროკავშირის რბილი ძალის გამოყენების მიზანი დემოკრატიის და ეკონომიკის განვითარება, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება, სტაბილურობის ხელშეწყობა და ქვეყნების საერთაშორისო საზოგადოებაში ინტეგრირება იყო, ჰუმანიტარული, ტექნიკური, ფინანსური დახმარების ერთიანი ინსტრუმენტებით. 1994 წლიდან თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებების (PCA) გაფორმება მოიცავდა პოლიტიკურ თანამშრომლობას, სავაჭრო ურთიერთობებს და გაძლიერებულ დარგობრივ თანამშრომლობას.

2003 წლიდან, ევროკავშირის გაფართოების დაჩქარების მიზნით, შემუშავდა ახალი – ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP). აღმოსავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფო (რუსეთის გარდა) ENP-ში გაერთიანდა და 2009 წელს ევროკავშირის ახალმა ინიციატივამ – აღმოსავლეთის პარტნიორობამ – ასოცირების შეთანხმებისთვის გაუხსნა კარი პოსტსაბჭოთა სივრცის ექვს სახელმწიფოს. 2014 წელს ამ ხელშეკრულებებს მხოლოდ სამმა ქვეყანამ მოაწერა ხელი – საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ.

ევროკავშირის „შეთავაზება" ითვალისწინებდა „სამეზობლო" ქვეყნების შიდა ტრანსფორმაციაში, მათი სახელმწიფოს მშენებლობაში, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში ხელშეწყობას და ევროკავშირთან თანდათანობით დაახლოებას [10].

ამრიგად მიგვაჩნია, რომ საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანია საფუძვლიანად გაანალიზდეს ევროპული, განვითარებული ქვეყნების განვლილი გზა, გამოცდილება და მათი შეფასების შემდეგ გადაიდგას სამომავლო ნაბიჯები სტრუქტურული, ერთიანი და ეფექტური პოლიტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრისათვის, ვინაიდან საქართველო, როგორც დემოკრატიული ღირებულებების ევროპული ოჯახის წევრი, ისტორიულად იზიარებს ევროპული კულტურის ღირებულებებს და ეს მისი ევროპისაკენ მიმავალი ხედვის არეალშიც უნდა იყოს გათვალისწინებული.

1992 წლის ევროპის კავშირის შესახებ მაასტრიხტის ხელშეკრულების[1] 128-ე მუხლში კულტურის პოლიტიკა მოხსენიებულ იქნა მხოლოდ ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის ჭრილში, ხოლო შემდგომ 1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულებაში[2] კულტურის პოლიტიკამ სრული სამართლებრივი ასახვა ჰპოვა. უფრო ზუსტად კი, ხელშეკრულებაში 151-ე მუხლი მთლიანად ეთმობა კულტურას. ამ მუხლში ზუსტადაა განსაზღვრული ევროპის კავშირის როლი კულტურის სფეროში და ჩამოთვლილია ის 4 ძირითადი მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება მთლიანად ხელშეკრულება:

1. ხელშეკრულების მიზანია ხელი შეუწყოს წევრი ქვეყნების კულტურის აყვავებას, მათი ნაციონალური თუ რეგიონული მრავალფეროვნების გათვალისწინებით და ამავდროულად მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის წინა პლანზე წამოწევას.

2. ხელშეკრულების მიზანია ხელი შეუწყოს თანამედროვე კულტურის განვითარებას.

3. ხელშეკრულების მიზანია უზრუნველყოს კულტურის საკითხების გათვალისწინება ქვეყნის ყველა სფეროში პოლიტიკის ფორმირებისას.

4. ხელშეკრულების მიზანია ხელი შეუწყოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობას მსოფლიოს მესამე ქვეყნებთან, აგრეთვე უშუალოდ მათ ურთიერთთანამშრომლობასა და თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

2007 წლის 13 დეკემბერს ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების მიერ დაიდო ლისაბონის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით ევროპის კავშირი ახალ სამართლებრივ ჩარჩოს ქმნის თანამედროვე გამოწვევების დაძლევისათვის და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კულტურას.

ხელშეკრულების პრეამბულა მიუთითებს „ევროპის კულტუ-

---

[1] 1991 წლის დეკემბერში, ევროპის გაერთიანების იმ დროისათვის თორმეტივე წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ევროპის კავშირის შესახებ მაასტრიხტის ხელშეკრულებას. 1993 წლის 1 ნოემბერს აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში შევიდა.

[2] 1997 წლის 2 ოქტომბერს ხელი მოეწერა ამსტერდამის ხელშეკრულებას, ხოლო 1999 წლის 1 მაისს ის ძალაში შევიდა.

რულ, რელიგიურ და ჰუმანურ მემკვიდრეობაზე", რომელთა შედეგადაც ჩამოყალიბდა თანამედროვე სამართლებრივი სისტემა და ადამიანის უფლებები, როგორიცაა: თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა და სამართლიანობა. ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, როგორც ეს განსაზღვრულია ხელშეკრულებაში, არის „პატივი სცეს მის მდიდარ კულტურულ და ენობრივ მრავალფეროვნებას და უზრუნველყოს ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და გაძლიერება" (TEU-ის მე-3 მუხლი).

ლისაბონის ხელშეკრულებით წევრი-ქვეყნებისთვის დადგინდა სავალდებულო ფულადი საწევრო გადასახადი, რომელიც ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოების კულტურათა განვითარებისა და მათი მრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობას ემსახურება.

ხელშეკრულების მიხედვით კულტურულ სფეროში თანამშრომლობა აუცილებელია როგორც მესამე ქვეყნებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის ევროსაბჭოსთან.

ლისაბონის ხელშეკრულებით დასახული მიზნების მისაღწევად ხდება:

- წევრი ქვეყნების შიდა სამართლისა და მმართველობის სფეროს ამ ხელშეკრულებასთან ჰარმონიზაცია;
- ამ საკითხებთან დაკავშირებით ევროპული საბჭოს მიერ რეკომენდაციების შემუშავება.

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) მე-6 მუხლი შესაბამისად ევროკავშირის კომპეტენციას კულტურის სფეროში წარმოადგენს: „აწარმოოს ქმედებები წევრი სახელმწიფოების ქმედებების მხარდასაჭერად, კოორდინაცია გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ".

TFEU-ს 167-ე მუხლი შეიცავს დამატებით დეტალებს ევროკავშირის მოქმედებების შესახებ კულტურის სფეროში: ევროკავშირმა უნდა შეიტანოს წვლილი წევრი სახელმწიფოების კულტურების აყვავებაში, მათი ეროვნული და რეგიონული მრავალფეროვნების პატივისცემით და საერთო კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენით. ევროკავშირის ქმედებებმა უნდა წაახალისოს წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა და მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს მათ ქმედებას ევროპელი ხალხების კულტურისა და ისტორიის ცოდნისა და გავრცელების გასაუმჯობესებლად; უზრუნველყოს ევროპული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია და დაცვა; და ხელი შეუწყოს არაკომერციულ კულტურულ გაც-

ვლებს და მხატვრულ და ლიტერატურულ შემოქმედებას, მათ შორის აუდიოვიზუალურ სექტორში. ევროკავშირმა და წევრმა სახელმწიფოებმა ასევე ხელი უნდა შეუწყონ თანამშრომლობას ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ევროპული კულტურების მრავალფეროვნების პატივისცემა და მისი ხელშეწყობა მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, ასევე, ხელშეკრულების სხვა დებულებებით გათვალისწინებული ზომების მიღებისას.

ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-13 მუხლი ადგენს, რომ „ხელოვნება და სამეცნიერო კვლევა თავისუფალი უნდა იყოს შეზღუდვებისგან". ხოლო, ამავე წესდების 22-ე მუხლი ადგენს მოთხოვნას, რომ „ევროკავშირმა პატივი სცეს კულტურულ, რელიგიურ და ენობრივ მრავალფეროვნებას".

როგორც აღინიშნა, ევროპის კავშირის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანია კულტურათაშორისი ურთიერთობების გაფართოების ხელშეწყობა. ევროკავშირის მხარდაჭერით მუდმივად ეწყობა ურთიერთთანამშრომლობის ხელშემწყობი აქტივობები სხვადასხვა ეგიდით:

- ევროპელი ხალხების კულტურისა და ისტორიის შესახებ ცოდნის ამაღლება;
- ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- არაკომერციული ხასიათის გაცვლითი პროგრამების ორგანიზება;
- ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარება აუდიოვიზუალური სფეროს ჩათვლით.

ამასთან ევროპის კავშირი კულტურის პოლიტიკის სფეროში სუბსიდიარობის პრინციპს ეყრდნობა [11].

მაშინ როდესაც ევროპული ქვეყნები პასუხისმგებლები არიან შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე კულტურის სფეროში საკუთარი პოლიტიკის განსაზღვრაზე, ევროკომისიის როლს წარმოადგენს კულტურის სფეროში საერთო ევროპული გამოწვევების საპასუხო ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება ისეთი მიმართულებებით, როგორიც არის: თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ზეგავლენა, კულტურის მართვის თანამედროვე მოდელები, ინოვაციური და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება და სხვა...

2007 წელს ევროკომისიის მიერ დამტკიცდა პირველი დღის წესრიგი კულტურის სფეროში და მისი შესაბამისი 2008-2010 წლე-

ბის სამოქმედო გეგმა [12], აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

1. ხელოვნებისა და კულტურის სფეროში მოღვაწე პირებისათვის მობილობის პირობების გაუმჯობესება

2. კულტურის ხელმისაწვდომობის ზრდა შემდეგი საშუალებებით:

3. კულტურის სექტორში სტატისტიკური მონაცემებისა და მეთოდების დახვეწა.

4. კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობის ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყნის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების მიზნით.

5. იუნესკოს კონვენციის მიღება ხელოვნების სხვადასხვაგვარი ფორმებით გამოხატვის თაობაზე და მისი გატარება კულტურის პოლიტიკაში.

2010 წელს დამტკიცდა 2011-2014 წლების სამოქმედო გეგმა. ახალი მიმართულებები, რომელიც დაემატა სამოქმედო გეგმას ეს არის იუნესკოს კონვენციიდან გამომდინარე და მისი აღსრულების ხელშეწყობის მიზნით. მრავალფეროვნების საკითხის წამოწევა, კულტურის მნიშვნელობის აღიარება საგარეო ურთიერთობებში და კულტურული მემკვიდრეობისა და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდის კომპონენტი, როგორც ერთიანი ევროპული მემკვიდრეობითი ღირებულება. სტატისტიკა კი ისევ რჩება ერთ-ერთ გამოწვევად. შემდეგ 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმაში [13] პრიორიტეტები თითქმის იგივე დარჩა, რაც მის წინამორბედში, თუმცა ახალი კომპონენტის ინკლუზიური კულტურის ნაწილის დამატებით, რაც კულტურის სფეროში ადამიანის უფლებების მნიშვნელობის გაზრდასთან არის დაკავშირებული და აქცენტი, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების უფლებრივ მდგომარეობასთან ერთად, ასევე საზოგადოების ყველა წევრის კულტურაში მონაწილეობის ხელშეწყობაზე კეთდება.

2007 წელს დამტკიცებული დღის წესრიგის შემდგომ, უკვე 2018 წელს დამტკიცდა ახალი დღის წესრიგი კულტურის სფეროში და ასევე, მისი შესაბამისი 2019-2022 წლების სამოქმედო გეგმა [14; 15] რომელიც ითვალისწინებს კულტურის სფეროს ევოლუციას და მისი განვითარების თანამედროვე გამოწვევებს.

ახალ დღის წესრიგში განსაკუთრებულად არის ხაზი გასმული კულტურის პოზიტიურ გავლენაზე, როგორც ზოგადად ევროპული

საზოგადოების განვითარებაზე, ასევე, ევროპული ქვეყნების ეკონომიკებსა და საერთაშორისო ურთიერთობებზე და ითვალისწინებს ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობას წევრ ქვეყნებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის.

კულტურის სფეროს ახალი დღის წესრიგი ითვალისწინებს ევროკავშირის დონეზე თანამშრომლობის სამომავლო ჩარჩოებს. წევრმა სახელმწიფოებმა შეიმუშავეს კულტურის სფეროში სამუშაო გეგმების ძირითადი საკითხები და თანამშრომლობის მექანიზმები.

დამტკიცდა ასევე 2019-2022 წლების ახალი სამუშაო გეგმა, რომლითაც კულტურის პოლიტიკის შემუშავებაში, ევროპული თანამშრომლობის ხუთი ძირითადი პრიორიტეტი განისაზღვრა:

1. კულტურული მემკვიდრეობის სფეროს მდგრადობა;
2. ერთობა და კეთილდღეობა;
3. ეკოსისტემა, რომელიც ხელს უწყობს მხატვრებს, კულტურისა და შემოქმედებითი სფეროს პროფესიონალებს და ევროპულ ფასეულობებს;
4. გენდერული თანასწორობა;
5. საერთაშორისო კულტურული ურთიერთობები.

ამ პრიორიტეტებს ავსებს 17 მიმართულების პროგრამა, მკაფიოდ განსაზღვრული სამუშაო მეთოდებით და მიზნობრივი შედეგებით. ეს პროგრამები აძლიერებს და ავითარებს უახლეს მიღწევებს ევროკავშირის დონეზე, მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თუ საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობებთან დაკავშირებით; ასევე კონკრეტული პროექტები მოიცავს ისეთ თემებს, როგორიც არის გენდერული თანასწორობა.

კულტურის სფერო სულ უფრო მეტ სამუშაო ადგილს ქმნის ბაზარზე, რაც ერთის მხრივ ევროკავშირს აძლიერებს და მეორეს მხრივ ევროკავშირის მოქალაქეების ცხოვრების ხარისხს აუმჯობესებს. კულტურის სფერო ასევე მნიშვნელოვანი მექანიზმია სოციალური ინკლუზიისა და კულტურული მრავალფეროვნების უზრუნველყოფისთვის.

ამრიგად, ახალი დღის წესრიგი ხელს უწყობს ევროკომისიის 2014-2019 წლების 10 პრიორიტეტის განხორციელებასა და ევროკავშირის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებში ნაკისრი ვალდებულებების აღსრულებას [16], მაგალითად, ისეთის როგორიც არის – 2005 წლის იუნესკოს კონვენცია „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ“ [17].

კულტურათაშორისი დიალოგი ევროკავშირის მუდმივი პრიორიტეტია. 2009 წელს ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლით ეს პრიორიტეტი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. კულტურის პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა მოიცავს ბოშების კულტურის მხარდაჭერას, ინტერკულტურული ქალაქებისა და ინტერკულტურული ევროპის პლატფორმებს, კულტურათაშორის დიალოგს, აუდიოვიზუალური სექტორის განვითარებას, მრავალენოვნების, ახალგაზრდობის, კვლევის, ინტეგრაციის და საგარეო ურთიერთობების მხარდაჭერას.

ამასთან აუცილებელია აღვნიშნოთ ევროპარლამენტის რეზოლუციები კულტურის სფეროში. ევროპარლამენტმა სხვადასხვა რეზოლუციებში ასახა თავისი დამოკიდებულება კულტურის სფეროს მიმართ, მისი გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით.

ევროპარლამენტმა გააძლიერა კულტურის სტრატეგიის როლი საგარეო ურთიერთობებში. 2013 და 2014 წლების ბიუჯეტებში ღონისძიების სახელწოდებით „კულტურა ევროკავშირის საგარეო ურთიერთობებში" ასახვით, მან ხაზი გაუსვა კულტურის მნიშვნელოვან პოტენციალს ევროკავშირის საგარეო ურთიერთობებში [18].

აღიარებს რა კულტურას, როგორც ხალხთა შორის ძლიერ დამაკავშირებელს, პარლამენტი თვლის, რომ ის უნდა გახდეს ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის განუყოფელი ნაწილი, ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან, რადგან მას შეუძლია დაეხმაროს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, კონფლიქტების თავიდან აცილებას და ევროკავშირის ღირებულებების პოპულარიზაციას [19].

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**


1. EUROPEAN COMMISSION, JOINT COMMUNICATION TO THE EUROPEAN PARLIAMENT AND THE COUNCIL Towards an EU strategy for international cultural relation, Brussels, 2016.
2. Nye J. S. Jr., The Future of Power. Public Affairs, New York, 2011.
3. Garner B., Towards a European strategy on culture and development Learning from the cariforum-eu economic partnership agreement (2017/2 (N° 56), Politique européenne Éditeur, 2017.
4. Katarzyna A. I., Fact Sheets on the European Union, European Parliament, 2022.

5. Nielsen K.L., EU Soft Power and the Capability-Expectations Gap, Journal of Contemporary European Research, 2013.
6. Wagner J. N. E., The effectiveness of soft & hard power in contemporary international relations, E-International Relations, 2014.
7. Gallarotti G. M., Esteem and influence: soft power in international politics, *Journal of Political Power*, 2022.
8. ფონტენი პ., როგორ მუშაობს ევროკავშირი 12 გაკვეთილი ევროპის შესახებ, ბრიუსელი, ბელგია, ევროკომისია, 2014.
9. The European Union promotes culture for a stronger Georgia, An official website of the European Union. https://www.eeas.europa.eu/node/44927–ka უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 07.06.2023
10. გოგოლაშვილი კ., ევროკავშირის რბილი ძალა და სომხეთის (რ)ევოლუცია, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2018.
11. Kauder V., Ramsauer, P., und Fraktion; Dr. Peter Struck und Fraktion; Berlin,.2008
12. EUROPEAN COMMISSION, RESOLUTION OF THE COUNCIL of 16 November 2007 on a European Agenda for Culture, Brussels, 2007.
13. THE COUNCIL OF THE EUROPEAN UNION, Conclusions of the Council and of the Representatives of the Governments of the Member States, meeting within the Council, on a Work Plan for Culture (2015-2018), Official Journal of the European Union, 2014.
14. COMMISSION OF THE EUROPEAN COMMUNITIES, COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN COUNCIL, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS, A New European Agenda for Culture, Brussels, 2007.
15. https://ec.europa.eu/culture/sites/culture/files/commission_communication_-_a_new_european_agenda_for_culture_2018.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 03.06.2023.
16. THE COUNCIL OF THE EUROPEAN UNION, Draft Council

conclusions on the Work Plan for Culture 2019-2022, Official Journal of the European Union, 2018, http://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-13948-2018-INIT/en/pdf№http://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-13948-2018-INIT/en/pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 03.06.2023.

17. Bassot É., Hiller, W., European Parliamentary Research Service, The Juncker Commission's ten priorities, 2019, https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2018/625176/EPRS–STU(2018)625176–EN.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწ-მებული – 03.06.2023.
18. UNESCO, Convention on the Protection and Promotion of the Diversity of Cultural Expressions, 2005, http://portal.unesco.org/en/ev.php-URL–ID=31038&URL–DO=DO–TOPIC&URL –SECTION=201.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 03.06.2023.
19. European Parliament, European Parliament resolution of 19 January 2016 on the role of intercultural dialogue, cultural diversity and education in promoting EU fundamental values (2015/2139(INI)), Official Journal of the European Union, 2016. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52016IP0005 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 03.06.2023.
20. European Parliament, European Parliament resolution of 5 July 2017 on Towards an EU strategy for international cultural relations (2016/2240(INI)) (2018/C 334/12), Official Journal of the European Union, 2018, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52017IP0303&rid=2 უკანასკნელად იქნა გადამოწმე-ბული – 03.06.2023.

**Sophio Chantadze**
*Doctoral student the Faculty of Law and International Relations Georgian Technical University of Georgia*

## Culture as soft power in EU politics

Summary

The article discusses the concept and role of culture in the development of the European Union. The paper considers the various trends and stages of the development of the EU culture policy and its capacity in international relations. EU mutually agreed unified approaches In the field of culture and independent supportive mechanisms at the country level, complement the EU's soft policy and strengthen it through diversity and unity.

In the article, we discuss the stages of the formation of the EU legal environment in the field of culture. The analysis of the political and legal acts of the European Union and the European Commission allows us to study in depth the common European values and the directions of gradual development and to see the development of values from a historical perspective. Moreover, major conventions, political documents, and action plans clearly define the topics and priorities of the common policy, set minimum standards for the development of European countries' cultures, and call on European countries to make additional efforts at an independent national level.

**ზურაბ კვეტენაძე**
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

# ევრაზიული ინტეგრაციის თავისებურებები და თანამედროვე გამოწვევები

ევრაზიული ინტეგრაციის მიმართ ბევრი საერთაშორისო პოლიტიკური მკვლევარი თუ ექსპერტი სკეპტიციზმით გამოირჩეოდა და მიაჩნდა, რომ მას არანაირი პერსპექტივა არ გააჩნდა. ამგვარი აზრი განსაკუთრებით პოპულარული იყო საქართველოში, სადაც ხშირად ზერელე დამოკიდებულებას ვაწყდებოდით აღნიშნული პრობლემისადმი. არადა ასეთი საკითხებისადმი არასეიოზულმა დამოკიდებულებამ შეიძლება დიდ გაუგებრობამდეც კი მიგვიყვანოს. ევრაზიულ ინტეგრაციას რომ ბუნებრივი და არა ხელოვნულრი ხასიათი გააჩნდა, ეს ისტორიამ დაადასტურა. სწორედ ევრაზიულმა ინტეგრაციულმა პროცესებმა განაპირობა ის, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ რუსული ეკონომიკა არ ჩამოიშალა, უფრო მეტიც, რუსეთი როგორც ჩანს დიდი ხნის მანძილზე გულმოდგინედ ემზადებოდა ამ ომისათვის და იგი მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, როცა დარწმუნდა, რომ დასავლური მკაცრი სანქციები მას დიდ ზიანს ვერ მიაყენებდა. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ინტეგრაციული პროცესები ევრაზიულ სივრცეში ობიექტურად განპირობებული კანონზომიერი მოვლენაა და არა ხელოვნური პროცესი. შევეცდებით დავასაბუთოთ ამგვარი მოსაზრება.

დღეისათვის ევრაზიულ სივრცეში ინტეგრაციული პროცესების მთავარ მამოძრავებელ ძალად ეკონომიკური ინტეგრაცია ითვლება. თუმცა, რუსეთისათვის მას უმთავრესი პოლიტიკური შემადგენელი გააჩნია. ეკონომიკური თვალსაზრისით და გარკვეულწილად პოლიტიკურითაც, ევრაზიულ ინტეგრაციას გააჩნია ბუნებრივი ხასიათი და იგი დამოკიდებულია ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციო-კულტურულ, ეთნო-ფსიქოლოგიურ, რელიგიურ და სხვა მრავალ ფაქტორზე.

ევრაზიულ სივრცეში ინტეგრაციის სოციალურ-კულტურულ წანამძღვრებად სწორედ ინტეგრირებადი ქვეყნების სოციალურ-კულტურული სიახლოვე შეიძლება მოვიაზროთ. მიუხედავად საბჭოთა კავშირისადმი სამეცნიერო წრეების ნეგატიური დამოკიდებულე-

ბისა, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ საბჭოთა პერიოდში ეს ქვეყნები და მისი ხალხი ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ამიტომაც, ამ ინტეგრაციით დაინტერესებული ქვეყნები და უპირველეს ყოვლისა რუსეთი, პერსპექტივაში ხანგრძლივი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის გზაზე, უპირატესობას სოციალურ-კულტურულ ინტეგრაციას ანიჭებს. ამასთანავე, ამგვარ ინტეგრაციას, განსხვავებით პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციისაგან, რომელიც დაკავშირებულია ოფიციალურ პოლიტიკურ-დიპლომატიურ პროცედურებთან, ოფიციალური დოკუმენტების გადამუშავებასა და მიღებასთან და ატარებს გარეგან ფორმალურ ხასიათს, არ ახასიათებს მკაცრი ინტეგრაციული პროცესის საზღვრების არსებობა. ეს არის გაცილებით რთული და ხანგრძლივი პროცესი, მაგრამ იმავდროულად, ეს არის სწორედ ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სოციალურ-კულტურულ ინტეგრაციას აქამდე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. გამოცდილებამ აჩვენა, რომ დსთ-ს ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის არგუმენტები არ გამოირჩეოდა მიმზიდველობითა და დამაჯერებლობით არც ამ სახელმწიფოების ნაციონალურ ელიტებში და არც სამეცნიერო წრეებში. ამიტომ, ყურადღება იქნა გადატანილი სოციალურ-კულტურულ ინტერესებზე. ამას პირველ ყოვლისა, რუსეთის პოლიტიკური ელიტა ითვალისწინებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სწავლობს საბჭოთა კავშირის შეცდომებზე [1, 49].

მიუხედავად იმისა, რომ ევრაზიაში ისტორიული გამოცდილებით ორი უდიდესი პროექტი ჩავარდა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის სახით, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ პროექტებს ფუნდამენტური შედეგები ჰქონდა. ევრაზიის უზარმაზარ სივრცეზე შეიქმნა ერთიანი ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული სისტემები. ეს სისტემები ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უზრუნველყოფდა სხვადასხვა ეთნოსების, ეროვნებების უსაფრთხო განვითარებას, რომელთაც განსხვავებული კულტურები, მათ შორის განსხვავებული ენები და სარწმუნოება გააჩნდათ. ამ სისტემების საფუძველში, ინტეგრაციულ ბირთვში, თუნდაც იმპერიალისტური გზით თავსმოხვეული იყო რუსული ენა და რუსული კულტურა, მაგრამ მხოლოდ ამ გზით უკავშირდებოდა სხვადასხვა ხალხი მსოფლიო კუტურებს, მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკას. როდესაც რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის ერთიანი ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემები ირღვე-

ოდა, ეს ბირთვი ასე თუ ისე მაინც რჩებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უზარმაზარი ევრაზიული სივრცის არაერთგვაროვანი ნაწილების გაერთიანების ამოცანა, XIX-XX საუკუნეების მანძილზე, მცირე თუ დიდი შესაბამისობის ფარგლებში რუსულ სლავიანოფილურ თუ ევრაზიულ იდეებთან მთლიანობაში გადაჭრილი იქნა [1, 41]. მიუხედავად იმისა, რომ როგორც მეფის რუსეთის იმპერია, ისე საბჭოთა კავშირი ძალისმიერ ფაქტორზე დაფუძნებული სახელმწიფოები იყვნენ, მათმა მემკვიდრეებმა რუსეთმა და დსთ-ს სხვა ქვეყნებმა სწორედ მემკვიდრეობით მიიღეს ინტეგრირებადი კულტურა, მათ შორის მრავალსაუკუნოვანი, მრავალეროვნული და მრავალკონფესიური სახელმწიფოების შექმნისა და ფუნქციონირების გამოცდილება. რა თქმა უნდა ყველას ეს ერთიანად არ ეხებოდა. ამიტომაც, მაგალითად საქართველო აღმოჩნდა ამ ინტეგრაციის ფარგლებს მიღმა (აღარაფერს ვამბობთ ბალტიისპირეთის სახელმწიფოებზე, რომლემბაც იმთავითვე დააღწიეს თავი რუსეთის გავლენას) და ევროატლანტიკური კურსი აირჩიეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, კულტურული თვალსაზრისით მათაც გარკვეული გავლენა ჰქონდა მიღებული რუსეთის იმპერიიდან, თუნდაც ურთიერთობების თვალსაზრისით. არა აქვს მნიშვნელობა მტერი იყო თუ არა, ისტორიული შეხება ყოველთვის წარმოშობს რაღაც საერთოს. ამაზე მეტყველებს მსოფლიო ისტორია, როგორც ძველი, ისე ახალი. ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს კი ყველაზე მოკლე ისტორიული შეხება ჰქონდათ საბჭოთა კავშირთან. ბელორუსს უაღრესად ღრმა ცივილიზაციური ერთობა აერთიანებდა რუსეთთან. შუა აზიის რესპუბლიკები დავალებულნი არიან ზოგადად საერო ხელისუფლების ფუნდამენტური განვითარებითა და თანამედროვე ინტეგრაციით ევრაზიულ გაერთიანებაში. მათ სწორედ რუსეთთან ურთიერთობით აიცილეს თავიდან ისლამური ფუნდამენტალიზმი. რაც შეეხება უკრაინას, ამ შემთხვევაში ვფიქრობთ საქმე გვაქვს არა მარტო რუსეთის ფედერაციის შეცდომებთან ამ სახელმწიფოსთან მიმართებით, არამედ მთელ რიგ კომპლექსურ ფაქტორებთან, მათ შორის საგარეო ფაქტორთა გავლენასთან უკრაინაზე [1, 51].

მიუხედავად ამგვარი წინააღმდეგობებისა და ცივილიზაციური განსხვავებებისა, ერთიანობის კულტურული შეგრძნება მაინც არსებობს, შენარჩუნდა და სავსებით შესაძლებელია, იგი იქცეს თანამედროვე ევრაზიული ინტეგრაციული პროცესების ფუნდამენტურ წანამძღვრებად.

რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის ერთიანი ინტეგრა-

ციული კულტურა არა მარტო შინაგანი განვითარების, მათი პირველადი ელემენტების ევოლუციის შედეგია, არამედ იმავდროულად ეს არის გარეგანი ურთიერთდაკავშირებული, ერთმანეთისაგან ნასესხები კულტურათა ჯამიც. კულტურული ელემენტების გენეზისისა და გადაცემის, მთლიანად კულტურული პროცესების პრობლემები, კულტუროლოგიის ერთერთი ძირითადი პრობლემაა, რომელიც ფუნდამენტურად შეისწავლის ხალხთა თვითიდენთიფიკაციის, მათი ისტორიული ფესვებისა და კულტურული განვითარების საფუძვლებს.

მსოფლიო ისტორიის კულტურული პროცესები, მათ შორის რუსეთისა და სხვა ევრაზიული სახელმწიფოების ისტორიაში ძირითადად წარმოდგენილია კულტურული განვითარების ორი ფორმის სინთეზით: ევოლუციისა და დიფუზიის. ეს აისახა კულტურული პროცესის ორი კონცეფციის შექმნაზე [2, 195]. ევოლუციონიზმი საწყისი კულტურის შინაგან და მოწესრიგებულ ზრდაზე მიუთითებდა (მინიმუმიდან მაქსიმუმისაკენ). XX საუკუნის დასაწყისში ევოლუციონიზმმა დაკარგა დომინირებული მდგომარეობა და დაიწყო დიფუზიონიზმის განვითარება, რომლის საფუძველშიც მოცემული იყო კულტურულ მოვლენათა იდეების გავრცელება ხალხთა მიგრაციის, ვაჭრობის, კოლონიზაციისა და დაპყრობის მეშვეობით.

დიფუზიონიზმის ფუძემდებელი იყო გერმანელი გეოპოლიტიკოსი ფრიდრიხ რატცელი. შემდეგში მისი იდეები განავითარეს „კულტურული მორფოლოგიის" კონცეფციაში ლ. ფრობენიუსმა და „კულტურულ წრეებში" ფ. გრიბნესმა. ასევე, „კულტურულ-ისტორიულ" კონცეფციებში ვ. შმიდტმა. ამგვარი პროცესები რა თქმა უნდა ობიექტური ისტორიული კანონზმიერებებით იყო განპირობებული [3, 345].

როგორც რუსეთის იმპერიის, ისე საბჭოთა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მოდელები იგებოდა ინტეგრაციულ სქემაზე „ცენტრი-პერიფერია". ცენტრის კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება ავტომატურად იწვევდა პერიფერიის განვითარებასაც. შესაბამისად, ცენტრის შესუსტება და დაცემა იწვევდა პერიფერიების დეზინტეგრაციას და შესუსტება-დაცემასაც. მით უფრო, რომ ამის მექანიზმები თავად იმპერიებს მრავლად ჰქონდათ ჩადებული პერიფერიებში, თუნდაც ავტონომიების სახით [4, 17].

ევრაზიის ინტეგრაციული პროცესების წარსულისა და თანა-

მედროვეობის კონტექსტში რუსეთის კულტურის ერთ-ერთ სისტემაწარმომქმნელ ელემენტს მართლმადიდებლობა წარმოადგენდა, რომელსაც თავის გარეგან ფორმებში ბიზანტიური წარმოშობა ჰქონდა დიდი სქიზმის შედეგად (1054 წელი). ეს იყო კულტურის მიღების ანუ დიფუზიის შედეგი. მიუხედავად ამისა, მართლმადიდებლობა იქცა იმ სოციალურ საფუძვლად, რომელშიც იქმნებოდა მოსკოვის რუსეთის, რუსეთის იმპერიისა და თვით საბჭოთა კავშირის კულტურულ-ცივილიზაციური საფუძვლები. მაინტეგრირებელ ფუნქციას მართლმადიდებლური ეკლესია დღეისთვისაც ასრულებს რუსული საზოგადოების და სახელმწიფოსათვის ისტორიული ფასეულობების გათვალისწინებით [5, 263].

ბიზანტიური კულტურა მნიშვნელოვანი იყო და არის არა მარტო რუსეთისათვის, არამედ მთელი მსოფლიო კულტურისა და ისტორიისათვის. ბოლო 160 წლის მანძილზე, დასავლეთში იყო მნიშვნელოვანი გამოკვლევები ბიზანტიის ისტორიისა და კულტურის მიმართულებით. რუსეთში მასზე წერდნენ ცნობილი ავტორები და მოაზროვნეები, რომელთაც შეიძლება „რუსული ბიზანტიური სკოლა“ ვუწოდოთ. ესენი იყვნენ: ნ. ბერდიაევი, ბ. ჩიჩერინი, კ, ლეონტიევი, ფ. უსპენსკი, დ. ობოლენსკი. საბჭოთა კავშირის არსებობის პირველ წლებში, აიკრძალა ამ მიმართულებით სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება. ბიზანტიოლოგიის მიმართულებით კვლევები განახლდა მხოლოდ 1943 წელს, როდესაც სტალინმა ომის წლებში ფართოდ გაიაზრა მართლმადიდებლობის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. 1967 წელს კი გამოიცა მონოგრაფია „ბიზანტიის ისტორია“, რომელშიც რევოლუციამდელი სულისკვეთებით იყო წარმოდგენილი ბიზანტიის ისტორიის კვლევა. ბიზანტიოლოგიის კვლევის საზღვრები მნიშვნელოვნად გააფართოვა ცნობილმა რუსმა ევრაზიანისტმა ლევ გუმილიოვმა კონცეფციაში „სტეპური ბიზანტიზმი“ [6, 181].

ბიზანტიური კულტურა უდიდეს გავლენას ახდენდა შუასაუკუნეობრივი ევროპის ბევრი ხალხის კულტურაზე, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხალხებზე. ბიზანტიური გავლენა შესამჩნევი იყო საზოგადოებრივ აზრზე, რელიგიასა და ფილოსოფიაზე, დამწერლობასა და განათლებაზე, პოლიტიკასა და სამართალზე. გერმანული და ფრანგული ფილოსოფიის, ინგლისური პოლიტიკური ეკონომიკის განვითარებას, კაპიტალიზმის გენეზისს, სამ სახელმწიფოში – საფრანგეთში, გერმანიასა და ინგლისში, წინ უსწრებდა აღორძინების ეპოქა, რომელიც გარკვეულწილად ბიზანტიის გავლენის შედეგიც

იყო [7, 408]. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო ევროპულ სივრცეში მოდერნისტულ გარღვევას, ხოლო ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ კი (1453 წელი) დასავლეთ ევროპული ცივილიზაციის განვითარებას. აქვე ვიტყვით იმასაც, რომ ზოგადად ევროპული ცივილზიაცია კათოლიკური ეკლესიის წიაღში იშვა და მის განვითარებაში გადამწყვეტი როლი რაციონალიზმმა ითამაშა. ბიზანტიური ცივილიზაციური ფაქტორი კი რუსეთისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა და შეიძლება ითქვას, რომ ისაა მისი უმსხვილესი მემკვიდრე რელიგიის, სახელმწიფოს, კულტურული და ეროვნული იდენტობის თვალსაზრისით [8, 246].

რუსების მოღვაწეობა ევრაზიულ სივრცეში შეეხო მატერიალური და სულიერი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს: პოლიტიკას, ეკონომიკას, იდეოლოგიას, თავდაცვას, ფილოსოფიას, ლიტერატურას, ხელოვნებას. მიუხედავად ამისა, რუსი ევრაზიანისტები უმთავრეს ყურადღებას ამახვილებენ მისიონერულ რელიგიურ ფაქტორზე ანუ მართლმადიდებლობაზე. ამგვარი მიმართულება შეიცავს დიფუზიას ანუ ბიზანტიისაგან მიღებულ მემკვიდრეობას, პირველ რიგში ქრისტიანობის სახით, მისი შემდგომი ევოლუციისა ევრაზიულ სივრცეში [9, 82].

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც, ეთნიკური და ნაციონალური საწყისების აღორძინება პოზიტიურ ხასიათს ატარებდა. მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში ეროვნული განვითარება უწყვეტადაა დაკავშირებული ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიღწევებთან, რაც თავის მხრივ ფეხს უნდა უწყობდეს პროგრესს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში. ხშირად ამის მიღწევა კი შესაძლებელი ხდება უფრო მაღალი დონის ქვეყნებთან ურთიერთობებით, რომლის ერთ-ერთი მთავარი კულტურული მახასიათებელია ენა. ამიტომაც, შემთხვევითი არ რის, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ხდება ინგლისური ენის კულტურული არეალის გაფართოება (იგი თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის საერთაშორისო ენად იქცა). ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია დასავლური ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტეგრაციის გზაზე და ეს მაშინ, როდესაც ბოლო ასწლეულის მანძილზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი მეტიც, პოსტსაბჭოთა სივრცეში ზოგჯერ მეტ როლს რუსული ენა ასრულებდა. მაგრამ განსხვავება კოლოსალური იყო. ინგლისური ენა არავის გაუვრცელებია ძალით, რასაც ვერ ვიტყვით რუსულ ენაზე [9, 57]. აღარა-

ფერს ვამბობთ ცარისტულ რუსეთზე, როცა რუსული ენის გავრცელება ცეცხლითა და მახვილით ხდებოდა. საბჭოთა პერიოდშიც კი იყო ძალისმიერი კულტურული გავლენის მცდელობები შოვინისტური რუსული წრეების მიერ, რომელთა ცნობილი ემისრები იყვნენ ნიკიტა ხრუშჩოვი და ცეკას მდივანი მიხეილ სუსლოვი. გავიხსენოთ თუნდაც საქართველოში განვითარებული მოვლენები 1978 წელს, როცა ქართველმა ახალგაზრდებმა ბრძოლის ფასად შეინარჩუნეს ქართული ენის სტატუსი კონსტიტუციაში.

მიუხედავად აღნიშნული მოვლენებისა, პოსტსაბჭოთა სივრცეში, რამდენადაც რუსული ენა კომუნიკაციის უმთავრესი საშუალება იყო, იგი დღესაც მნიშნელოვან როლს ასრულებს ევრაზიული ინტეგრაციის გზაზე. ამ სივრცის ბევრ ქვეყანაში რუსული ენა გამოიყენება საქმიან წრეებში, ფინანსურ და საბანკო სისტემებში. ამ ქვეყნების მოსახლეობის უმეტესობა, დაახლოებით 70%, ფლობს რუსულ ენას. ამათანავე, ეს ენა რჩება ერთ-ერთ მსოფლიო ენად და იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ოფიციალურ და სამუშაო ენას მსხვილ საერთაშორისო ორგანიზაციებში. მათ შორის გაეროსა და იუნესკოში. მიუხედავად ამისა, პოსტსაბჭოთა სივრციდან ხდება რუსული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის შეჩერება და გამოდევნა, ანაცვლებს რა მას სატიტულო, ძირეულ ერთა ენების სტატუსი. არ არის გამორიცხული სიტუაცია რუსეთისათვის კიდევ უფრო უარყოფითად შეიცვალოს ერთი თაობის შემდეგ [10, 67-70].

ამრიგად, ევრაზიული ინტეგრაციის გზაზე არის პრობლემები, ისევე როგორც ნებისმიერი ინტეგრაციის გზაზე, მაგრამ ჩვენ ამ მოვლენას უნდა შევხედოთ მეცნიერულად და არა კარგისა და ცუდის პერსპექტივით. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ტიპის ინტეგრაცია, ჩვენი აზრით, ხელს უწყობს უკონტროლო მიგრაციული ტალღების გაკონტროლებას, უკვე არსებული ინტეგრაციული კულტურის ფორმების შენარჩუნებას, სხვადასხვა კულტურების, ერთობების, რელიგიების მეტნაკლებად მშვიდობიან თანაარსებობას. რუსეთის ფედერაცია ევრაზიული ინტეგრაციით ფიქრობს დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებასაც, რომელიც დაბლოკავს რუსეთის გარედან მართვის შესაძლებლობას. რუსეთის პრეზიდენტი პუტინი ამასთან დაკავშირებით წერდა: „ჩვენს ტერიტორიაზე თავმოყრილია მსოფლიოს ბუნებრივი რესურსების 40%, ხოლო მოსახლეობა დედამიწის მხოლოდ 2%-ია. თუ არ განვახორციელებთ მასშტაბურ, დემოგრაფიული განვითარების გრძელვადიან პროექტს, ადამიანური

პოტენციალის ზრდას, საკუთარი ტერიტორიების ათვისებას, გლობალური აზრით, შეიძლება ვიქცეთ „ცარიელ სივრცედ", რომლის ბედიც ჩვენს მიერ არ გადაწყდება" [11]. აქედან გამომდინარე, რუსული პოლიტიკური ელიტა ცდილობს გაატაროს სპეციალური საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რუსული კულტურულ-საგანმანათლებლო პოტენციალის ზრდით, რის გამოც ევრაზიულ სივრცეში ინტეგრაციას იგი სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებს.

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**


1. ბახტაძე გ., რუსეთის ინტეგრაციული პოლიტიკა ევრაზიის სივრცეში, სადოქტორო დისერტაცია, სტუ, თბილისი, 2020.
2. Флиер А., Культурология для культурологов, Москва, 2000.
3. Лист Ф., Национальная система политической экономии, Москва, 2020.
4. Вундт В., Проблема психологии народов. Москва, 1912;
5. Лебон Г., Психология народов и масс. Москва, 1896.
6. Гумилев Л., География этноса в исторический период. Ленинград, 1990.
7. Гумилев Л., Этногенез и биосфера Земли, Москва, 2016.
8. Каждан А., Литаврин Г.Г. Очерки истории Византии и южных славян, Москва, 1998.
9. Лелеков Л., Искусство Древней Руси и Восток, Москва, 1960.
10. Пивовар Е., Постсоветское пространство: альтернативы интеграции, Москва, 2008.
11. Путин В., Россия и меняющийся мир, Московские новости, 27.02.2012.

**Zurab Kvetenadze**
*Docrot of Hystory Technical University of Georgia, Professor*

## Peculiarities of Eurasian Integration and Contemporary Challenges

### Summary

Many international political scientists and experts were skeptical about Eurasian integration and believed that it was perspectives. Such opinion was especially popular in Georgia, where we often faced a superficial attitude towards the mentioned problem. However, a frivolous attitude to such issues can even lead to great misunderstanding. From the historical point of view, we can claim that it is proved to be a natural phenomenon. It was exactly the Eurasian integration processes that preserved the Russian economy from collapse after the start of the Russian-Ukrainian war. Moreover, Russia seems to have been diligently preparing for this war for a long time, and it started only after it was convinced that severe Western sanctions would not harm it much. Due to this, we can claim that the integration processes in the Eurasian space are an objectively determined regular event and not an artificial process.

**ანი ბუკია**
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის დოქტორანტი*

# კოსოვო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა და მისი განვითარების პერსპექტივები

კოსოვოს დამოუკიდებლობიდან 15 წლის შემდეგ, კოსოვოში სახელმწიფო მმართველობა განაწილებულია ადგილობრივ ძალებს შორის. დროებითი ადმინისტრირების რეჟიმი, რომლის ფარგლებშიც კოსოვო წლების განმავლობაში გაეროს მიერ იმართებოდა ჩაანაცვლა არჩევნების შედეგად ლეგიტიმურად არჩეულმა ხელისუფლებამ.

კოსოვოს შემთხვევა დღემდე ინარჩუნებს აქტუალურობას და როგორც დასავლური ქვეყნების, ისე კოსოვოს დამოუკიდებლობის ოპონენტი ქვეყნების მეცნიერები თანხმდებიან, რომ სწორედ კოსოვოს პრეცედენტმა წაახალისა კრემლი განეხორციელებინა სამხედრო ინტერვენციები პოსტ-საბჭოთა სივრცეში და მხარი დაეჭირა სეპარატისტული ჯგუფების დამოუკიდებლობისთვის. სტატიაში მოყვანილია შედარებითი ანალიზი კოსოვოსა და სხვა ეთნო-სეპარატისტულ კონფლიქტებს შორის, რაც მიზნად ისახავს მათ შორის მსგავსება-განსხვავებების აღმოჩენას და კოსოვოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, განვითარების პერსპექტივის განსაზღვრას.

## *საზღვრების ურღვევობის პრინციპი და გამონაკლისები*

თვითგამორკვევის უფლების სეცესიის გზით რეალიზება არც თუ ისე იშვიათია უახლეს მსოფლიო ისტორიაში. თუმცა ცალმხრივად, ანუ „მშობელი სახელმწიფოს“ თანხმობის გარეშე, გამოყოფილი სუბიექტი ყოველთვის ვერ აღწევს სახელმწიფოებრიობის აღიარების ისეთ მაღალ მაჩვენებელს, როგორც ეს კოსოვოს შემთხვევაში გახდა შესაძლებელი.

1970 წლის 24 ოქტომბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 2625-ე რეზოლუციით მიღებულ იქნა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო სა-

მართლის პრინციპების შესახებ დეკლარაცია, რომელიც შეუქცევადად და ნათლად განსაზღვრავს თვითგამორკვევის უფლების განხორციელების რეჟიმებსა და ფორმებს. ესენია: „სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, თავისუფალი ასოციაცია ან ინტეგრაცია დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან ან ნებისმიერი სხვა, ხალხის მიერ თავისუფლად განსაზღვრული პოლიტიკური სტატუსით არსებობის გაგრძელება. ამასთან, ყველა სახელმწიფოს არა მხოლოდ არ აქვს უფლება ხელი შეუშალოს ამ პროცესს, არამედ, უფრო მეტიც, დეკლარაციის მიხედვით „მოვალეობა აქვთ ერთობლივი და ცალკეული ქმედებებით ხელი შეუწყონ ხალხთა თანაბარი უფლებებისა და თვითგამორკვევის პრინციპის რეალიზაციას, გაეროს წესდების დებულებების შესაბამისად, და დახმარება გაუწიონ გაეროს საკუთარი მოვალეობების შესრულებაში.

თუკი ადრე თვითგამორკვევის უფლება ძირითადად კოლონიალისტურ კონტექსტში გამოიყენებოდა, ცივი ომის პერიოდმა გზა გაუხსნა ვესტფალიური სისტემის ახალ ინტერპრეტაციებს. სახელმწიფო აქტორებმა დაიწყეს საერთაშორისო სამართლისთვის გვერდის ავლის გზით მარიონეტული ომების წარმოება. საერთაშორისო ურთიერთობებში ასეთი ახლად წარმოქმნილი არასახელმწიფო სუბიექტების გამოჩენა წინააღმდეგობაში მოდიოდა საერთაშორისო კანონმდებლობასთან, ასევე ვესტფალიის შეთანხმებით დაწესებულ სისტემასთან [1, 96]. მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა ძალაუფლების ცალკეულ სუბიექტებზე გადანაწილება. ამ პერიოდისთვის იმატა გლობალიზაციის დონემ, და გაჩნდა ახალი ტენდენცია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოები საკუთარი ნებით იზღუდავდნენ სუვერენიტეტს საერთაშორისო ორგანიზაციების სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე, თანამედროვე მკვლევარების აზრით, ვესტფალიის მიერ დამყარებული წესრიგი თანდათან ქრება [2, 50].

აკადემიურ ლიტერატურაში, ძირითადად, ვაწყდებით კოსოვოს შემთხვევის ისეთ კონფლიქტებთან შედარებას, როგორიცაა მთიანი ყარაბაღის, ტაივანის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები. 2014 წელს უკრაინის კრიზისის დაწყების შემდეგ კიდევ უფრო გახშირდა კოსოვოს პრეცედენტზე მითითებები რუსეთის მხრიდან უკრაინასთან მიმართებითაც. ქვევით მოყვანილი ანალიზი მიზნად ისახავს გლობალური თვალთახედვიდან კონფლიქტის წარმომშობი მიზეზების აღქმის და გადაწყვეტის შესაძლებლობებს. ამასთან, წარმოდგენილი ანალიზი ცხადყოფს, რომ თითოეული კონ-

ფლიქტი ინდივიდუალური შემთხვევაა, და ბლანკეტურად მასზე „კოსოვოს პრეცედენტის“ მორგების დასაბუთება არც თუ ისე მარტივი.

*მთიანი ყარაბაღი*

კოსოვოს მიერ 2008 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აზერბაიჯანმა კოსოვოს ტერიტორიიდან გამოიყვანა სამშვიდობო მისიის წარმომადგენლები, რაც მიუთითებდა იმაზე, რომ კოსოვოში მომხდარ ამ პრეცედენტული ძალის მქონე მოვლენას დადებითად არ აფასებდა აზერბაიჯანი მთიანი ყარაბაღის უკვე 20 წლიან კონფლიქტთან მიმართებით.

ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარის შეხედულებით, კოსოვოსა და მთიანი ყარაბაღის შემთხვევების შედარებითი ანალიზი ცალსახად ადასტურებს, რომ კოსოვოს საქმეს არ გააჩნია უნიკალური მახასიათებლები მთიანი ყარაბაღის შემთხვევასთან შედარებით [3, 13]. პირიქით, შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ ორ კონფლიქტს შორის განსხვავებები განპირობებულია არა კონფლიქტების ფაქტებით, არამედ შუამავალი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესებით, მათ მიერ გამოყენებული სტრატეგიებით და მოლაპარაკების პროცესით.

კოსოვოსა და ყარაბაღის შემთხვევებს შორის, მართლაც, არაერთი აშკარა მსგავსებაა. ორივე რეგიონი შედიოდა მრავალეთნიკური ფედერაციის შემადგენლობაში (შესაბამისად, იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირში), რომელთა დაშლის შემდეგაც ისინი ავტომატურად დარჩნენ ერთ-ერთი ფედერაციული ერთეულის საზღვრებში. თუმცა, თუ კოსოვოს შემთხვევაში დამოუკიდებლობა მოთხოვნილ იქნა სერბეთის იუგოსლავიიდან გამოყოფის შემდეგ, ყარაბაღის შემთხვევაში ამას ადგილი ჰქონდა აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. კიდევ ერთი მსგავსება ამ ორ რეგიონს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ორივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ეთნიკურ წმენდას მმართველი პარტიის მიერ. კოსოვოში ამას სათავეში ედგა მილოშევიჩი, ყარაბაღში მცხოვრები სომეხი მოსახლეობის მიმართ ეთნიკურ წმენდას ახორციელებდა აზერბაიჯანი (სუმგაითის ტრაგედია).

კოსოვოს შემთხვევისგან ყარაბაღს განასხვავებს ის ფაქტი, რომ მთიანი ყარაბაღის თავდაპირველ მოთხოვნას სომხეთთან რეუნიფიკაცია წარმოადგენდა. (საგულისხმოა, რომ სწორედ აღნიშნული მოთხოვნის დაყენებას მოჰყვა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური

სტატუსის გაუქმება აზარბაიჯანის მიერ.) ასევე, ყარაბაღი არასოდეს ყოფილა მართული საერთაშორისო მმართველობის რეჟიმის ქვეშ, განსხვავებით კოსოვოსგან, სადაც დროებითი ადმინისტრაციული მმართველობა საკუთარ თავზე აიღო გაეროს სპეციალური წარმომადგენლებით დაკომპლექტებულმა UNMIK-მა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კოსოვოს კონფლიქტი მიიჩნევა გაეროს კომპეტენციის სფეროდ იქიდან გამომდინარე, რომ ის წარმოადგენს კონფლიქტს ერთი სახელმწიფოს ტერიტორიის შიგნით. რაც შეეხება ყარაბაღის კონფლიქტს, მის გადაჭრაზე პასუხისმგებლობას იღებს ეუთო, ვინაიდან იგი მიმდინარეობს ორ სახელმწიფოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის [4, 38]. სომხეთის მიერ ყარაბაღის ტერიტორიაზე სომხური შეიარაღებული ძალების განთავსება არაერთხელ შეფასდა ოკუპაციად და გაკიცხულ იქნა ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის მიერ. 2010 წელს კონფლიქტში ოფიციალურად ჩაერია ევროპარლამენტი, მას შემდეგ რაც მიღებულ იქნა რეზოლუცია სახელწოდებით „სამხრეთ კავკასიაში ევროპული სტრატეგიის საჭიროება". 2020 წელს ომის კიდევ ერთხელ გაჩაღების შემდეგ, კონფლიქტში მედიატორის როლი ძირითადად შეითავსა რუსეთმა. მისი ინიციატივით სამ მხარეს შორის (რუსეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი) ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას და სომხეთის მიერ დაკავებული ტერიტორიები ყარაბაღში, კერძოდ აღდამის, ქალბაჯარისა და ლაჩინის რაიონები, აზერბაიჯანს გადაეცა (აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის, სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2020 წლის 10 ნოემბრის განცხადება).

ეუთოს მინსკის ჯგუფის თავმჯდომარე ბ. ფასიეს თქმით, კოსოვოსა და მთიანი-ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრის მცდელობებს შორის განსხვავება კი, მდგომარეობს, ერთი მხრივ, რუსეთისა და აშშ-ს განსხვავებულ გეოპოლიტიკურ ინტერესებში სამხრეთ კავკასიაში, მეორე მხრივ, თვითგამორკვევის მსურველი განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის არარსებობა მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში, რაც მას სომხეთ-აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის ფარგლებში ტოვებს.

*ყირიმი*

უკრაინაში ჯერ კიდევ ყირიმის კონფლიქტის განვითარებამ აჩვენა საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის სისუსტე და მისი უუნარობა, დაიცვას აგრესიის მსხვერპლი ქვეყნების სუვერენიტე-

ტი. კონფლიქტების გაჩაღებით და შემდეგ მანიპულირებით რუსეთი იძენს მნიშვნელოვან ბერკეტებს ამ ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, მმართველობის საკითხებზე. ყირიმის ანექსია მოწმობს რუსეთის მიერ უკრაინის სახელმწიფო სუვერენიტეტის დარღვევასა და მისი საზღვრების იძულებით შეცვლის მცდელობას, რითაც რუსეთი წინააღმდეგობაში მოდის არსებულ საერთაშორისო წესრიგთან, კერძოდ კი 1975 წლის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ ჰელსინკის საბოლოო აქტის ძირითად პრინციპებთან. გლობალური სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია რუსეთის დაბრუნება ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) რეგულირების სფეროში ეუთოს წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტთან მიმართებით რაიმე დათმობაზე წასვლის გარეშე [5, 204].

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას წინ უძღოდა ყირიმის ნახევარკუნძულზე რუსეთის შეიარაღებული ძალების ინტერვენცია და მნიშვნელოვანი სტრატეგიული ტერიტორიების ოკუპაცია. რუსეთი თუმცა თავიდან უარყოფდა რუსული სამხედრო ძალების ჩართულობის ფაქტს, შემდგომ განაცხადა, რომ იგი მხოლოდ „ზურგს უმაგრებდა" ყირიმის თავდაცვის ძალებს. ოკუპაციას მალევე მოჰყვა რეფერენდუმის ჩატარების გადაწყვეტილება ყირიმის უმაღლესი საბჭოს მიერ, რომლის თარიღმაც რამდენიმეჯერ გადმოიწია და, მიუხედავად იმისა, რომ იგი არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, საბოლოოდ 16 მარტს ჩატარდა. იქიდან გამომდინარე, რომ რეფერენდუმის ჩატარების გადაწყვეტილება არ იყო მიღებული სახელმწიფო დონეზე, მისი შედეგი არ ცნო გაეროს გენერალურმა ასამბლეამ. რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძული ანექსირებულ იქნა 2014 წლის 18 მარტს, რის შემდგომაც ყირიმის რესპუბლიკა და სევასტოპოლი რუსეთის ფედერალურ სუბიექტებად იქცნენ. აღიარების ლეგიტიმაციისთვის პუტინმა მიუთითა კოსოვოს პრეცედენტზე – „აბსოლუტურად ისეთივე სიტუაციაში, როგორიც ყირიმში იყო, დასავლეთმა სერბეთიდან კოსოვოს გამოყოფა ლეგიტიმურად ცნო, იმის მტკიცებით, რომ არ არის საჭირო ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების ნებართვა დამოუკიდებლობის ცალმხრივი გამოცხადებისთვის". არაერთი მკველვარის შეხედულებით, აშკარაა, რომ რუსეთი „მიმიკრიული" მეთოდებით, საკუთარი პოლიტიკური ინტერესების სასარ-

გებლოდ „იმეორებს“ დასავლურ ნარატივს პოსტ-საბჭოთა სივრცეში. რუსეთი გამიზნულად მიჰყვება ამ პარადოქსულ პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც, ერთი მხრივ, უარს ამბობს კოსოვოს აღიარებაზე, ვინაიდან ეს წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სამართლის ნორმებთან, მეორე მხრივ კი მიუთითებს კოსოვოს პრეცედენტზე საკუთარი სამხედრო ინტერვენციების დასასაბუთებლად [6, 11].

რუსეთის გადაწყვეტილება, ეღიარებინა ყირიმი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ეფუძნებოდა საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს 2010 წლის საკონსულტაციო დასკვნას, რომლის მიხედვითაც კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია წინააღმდეგობაში არ მოდიოდა საერთაშორისო სამართალთან. რუსეთმა საკუთარი პოზიცია გაამყარა ისტორიული არგუმენტით, რომლის მიხედვითაც ყირიმი საუკუნეების განმავლობაში ეკუთვნოდა რუსეთს, სანამ იგი არაკანონიერად არ გადაეცა უკრაინას 1950-იან წლებში. ყირიმის ანექსია სულ მალე რუსეთის 2022 წლის უკრაინის ომის მოსამზადებელ სცენად იქცა. უკრაინაში შეჭრამდე ერთი დღით ადრე, რუსეთმა დამოუკიდებლად ცნო დონბასის რეგიონში მდებარე დონეცკისა და ლუჰანსკის ოლქები, რაც, მისი დასაბუთებით, გარდაუვალი იყო ჰუმანიტარული მიზეზებიდან გამომდინარე, მშვიდობიანი მოსახლეობის, მათ შორის ეთნიკურად რუსი მოსახლეობის დასაცავად, რომელთაც ემუქრებოდათ ფიზიკური განადგურება უკრაინის ხელისუფლების მიერ. ამ შემთხვევაშიც, რუსეთმა მითითება გააკეთა გაეროს სასამართლოს 2010 წლის საკონსულტაციო დასკვნაზე და განაცხადა, რომ თვითგამორკვევის უფლების რეალიზების დროს არ არსებობს ვალდებულება (უკრაინის) ცენტრალური ხელისუფლებისგან ნებართვის მოპოვების, როგორც ამას არ ჰქონია ადგილი კოსოვო-სერბეთის შემთხვევაში.

საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერები თანხმდებიან, რომ კოსოვოს პრეცედენტი არარელევანტურია უკრაინის შემთხვევისთვის, რომლის ერთადერთი მიზანია რუსეთის ფედერაციას „შესძინოს“ უკრაინის ტერიტორიები. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ რუსეთი დასავლეთმა „გამოინვია“, რაც გამოიხატებოდა უკრაინის პრო-დასავლურ დემოკრატიად ქცევის მცდელობაში, მისი ნატოში გაწევრიანების რეალურ პერსპექტივის შეთავაზებით. ჯონ მიარშაიმერის შეხედულებით, პუტინის მიერ ომის გაჩაღების ამოცანა იყო უკრაინის ნატოში გაწევრიანების ძალისხმევის გაპროტესტება, რი-

თაც ღიად დაუპირისპირდა ნატოს გაფართოების იდეას რეგიონში.

*ტაივანი*

საინტერესოა, რომ ზემოთ განხილული რეგიონებისგან განსხვავებით, ტაივანის სტატუსი ყოველთვის ისეთი საკამათო არ ყოფილა, როგორც ეს დღესაა. ტაივანის სახელმწიფო, ოფიციალურად ჩინეთის რესპუბლიკა ("Republic of China") გაეროს ქარტიის ერთერთი პირველი ხელმომწერი იყო 1945 წელს. ჩინეთის სამოქალაქო ომის დასრულებისას, მას შემდეგ რაც კომუნისტებმა დააარსეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ჩინეთის ძირითად ტერიტორიაზე, ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა, გადასახლებულიყო ტაივანის კუნძულზე. ამასთან ორივე რესპუბლიკა განაგრძობდა როგორც ჩინეთის ძირითადი ტერიტორიის, ისე ტაივანის კუნძულის საკუთარ ტერიტორიად გამოცხადებას. ცივი ომის პერიოდმა კომუნისტური ჩინეთის საყოველთაო ცნობის საკითხი გააჭიანურა, თუმცა 1960-იანი წლებისთვის გაეროს წევრი სახელმწიფოების ნახევარმა ოფიციალურად მხარი დაუჭირა მაოს ხელისუფლებას, რასაც მოჰყვა ტაივანის სახელმწიფოს აღიარების გაუქმება. ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ტაივანი ოფიციალურად გარიცხული იქნა გაეროდან 1971 წელს, და გრძელდება მას შემდეგ.

ჩინეთი არ ცნობს კოსოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ჩინური ხელისუფლება ნატოს მიერ კოსოვოში განხორციელებულ ინტერვენციას მიიჩნევს აშშ-ს აგრესიის გამოხატულებად, რომელიც ემსახურებოდა, უპირატესად, ამერიკულ მიზნებს და რასაც შეუძლია აშშ წაახალისოს ჩინეთში ინტერვენციისკენ. გერმანული მედიის მიხედვით, კოსოვოს სტატუსის თაობაზე ჩინეთის პოზიციაზე გავლენას ახდენს როგორც ჩინეთის პრინციპული მოწოდება, არ ჩაერიოს მესამე სახელმწიფოთა საშინაო საკითხებში, ისე ჩინეთის ინტერესი, არ გაღვივდეს დაძაბულობა ტიბეტის, სინძიანგისა და ტაივანის სეპარატისტულ რეგიონებში [7, 10].

*საქართველო*

"კოსოვოს პრეცედენტი მოსკოვისთვის ერთგვარ უნიკალურ მოდელად იქცა ამა თუ იმ ტერიტორიაზე საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური ინტერვენციების შედეგად შექმნილი მარიონეტული რეჟიმების „ლეგიტიმური" არსებობის გასამართლებლად" – აღნიშნავს ისტორიის დოქტორი კახაბერ ყალიჩავა. თუმცა მისი შეხედულებით, მოსკოვის მოქმედებები მის სამეზობლოში მკვეთრად განსხვავდებო-

და დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური მოქმედებებისგან კოსოვოში. მიუხედავად ამისა, ყალიჩავა სკეპტიკურად აფასებს კოსოვოს აღიარებით ავტონომიური ერთეულის სეცესიის პრეცედენტის შექმნას, მაშინ, როცა დღევანდელ რეალობაში მსოფლიოს მასშტაბით შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტის საკმაოდ ბევრ შემთხვევას ვაწყდებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დასავლეთს არ გაუთვალისწინებია არც რუსეთის მხრიდან კოსოვოს პრეცედენტად აღქმის საფრთხე, რასაც მოჰყვა მისი სამომავლო პოლიტიკის აღნიშნული პრეცედენტის ჩარჩოზე მორგების არაერთი მცდელობა [8, 248].

ქართულ აკადემიურ სივრცეში არსებული მოსაზრებით, კოსოვოს კონფლიქტი, ისევე როგორც აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" საკითხი თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი ძალების პოლიტიკური ინტერესების სფეროში მოექცა, რის გამოც სხვადასხვანაირად ფასდება დასავლურ და რუსულ ისტორიოგრაფიაში [9, 4]. აღსანიშნავია, ქართულ სამეცნიერო და პოლიტიკურ სივრცეში გამოხატული პოზიციის ორგვარი ხასიათი – ერთი მხრივ, საქართველო არ ცნობს რუსეთის მიერ „კოსოვოს სცენარის" მიხედვით განხორციელებული მოქმედებების კანონიერებას საქართველოს ტერიტორიაზე, ანუ მიიჩნევს, რომ არ აქვს რაიმე საერთო კოსოვოს შემთხვევასთან, მეორე მხრივ, საქართველო უარს აცხადებს კოსოვოს როგორც ყოფილი ავტონომიური ერთეულის დამოუკიდებლობის აღიარებაზე (მაშინაც, როცა „კოსოვოსა და აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის შემთხვევებს ერთიმეორესთან კავშირი არ აქვს"). ასეთი მიდგომით, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველო, თავს იზღვევს იმ პრეცედენტის აღიარებისგან, რომელიც, რუსეთის დასაბუთებით, ერგება საქართველოს რეალობას.

თანამედროვე ქართველი მეცნიერები ბრალს დებენ დასავლურ სახელმწიფოებს, რომ მათ ვერ შეძლეს განეჭვრიტათ კრემლის საპასუხო რეაქცია და კოსოვოს საკითხის პრეცედენტად აღქმის საშიშროება, რაც სულ მალე რეალობად იქცა და გამოიხატა 2008 წელსვე რუსეთ-საქართველოს ომში, შემდგომ კი 2014 წლიდან უკრაინის კრიზისში. ანალოგიური პოზიცია აქვს EULEX-ის ფარგლებში მომსახურე საერთაშორისო მოსამართლე დინ პინელსს, რომელიც 2008 წელს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს პირდაპირ კოსოვოსთან შემხებლობაში განიხილავს და განმარტავს, რომ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლად გამოცხადებით ადგილი ჰქონდა რუსეთის მიერ პრეცედენტის სრულყოფილ იმპლემენტაციას.

## *კოსოვო-სერბეთის დიალოგი და კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივა*

ევროკავშირის ეგიდით გამართული დიალოგის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად მიიჩნევა 2013 წელს მიღწეული ბრიუსელის შეთანხმება, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა სამართლებრივი სისტემის ინტეგრაციას ჩრდილოეთ კოსოვოში [10, 7]. აღნიშნული გულისხმობს პირველ რიგში სერბული სასამართლოების ფუნქციონირების შეწყვეტას ჩრდილოეთ კოსოვოს ტერიტორიაზე, ასევე სამართალშეფარდების მხოლოდ კოსოვოს კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელებას. ინტეგრაცია გარდაუვალი იყო იმდენად, რამდენადაც სერბულ სასამართლო სისტემას უჭირდა კოსოვოს პოლიციასთან თანამშრომლობა, რაც შეუძლებელს ხდიდა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას. ჩრდილოეთ კოსოვოში არსებული კოსოვოს სასამართლო ანალოგიურ სირთულეებს აწყდებოდა, რის გამოც კოსოვოს სასამართლომ ადგილმდებარეობაც კი შეიცვალა – მოხდა მისი ჩრდილოთიდან სამხრეთით გადატანა, 60 000-მდე გაჭიანურებული, განსახილველი საქმით (კოსოვოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის ანგარიში, 2016). სერბეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებისა და ადგილობრივი უმცირესობების ლიდერების მხრიდან დადებითად შეფასდა ინტეგრირებული სასამართლო სისტემის ამოქმედება, გამომდინარე მისი ნეიტრალური ხასიათიდან. მოსამართლეთა კოლეგიები დაკომპლექტებულია ჩრდილოეთ კოსოვოს ეთნიკური შემადგენლობის პროპორციულად, რაც ნიშნავს: მოსამართლეთა უმრავლესობა ეთნიკურად სერბია.

კოსოვო-სერბეთს შორის დიალოგისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 2015 წელს კოსოვოს სასამართლო სისტემაში განხორციელებულ მორიგ რეფორმას – ამოქმედდა ორი მნიშვნელოვანი მექანიზმი – „სპეციალური სასამართლო პალატა“ და „სპეციალიზებული პროკურატურა“ კოსოვოს ტერიტორიის გარეთ. კერძოდ, კოსოვოს ახალი საკონსტიტუციო ცვლილებით შეიზღუდა პრიშტინის საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია და მისი კომპეტენციების ნაწილი გადაეცა ჰაგის საკონსტიტუციო პალატას. ეს სპეციალური სასამართლო ე. წ. „წარმოებული ძალაუფლების პროდუქტია“ (Derivative constituent power), რაც, თავის მხრივ, კოსოვოს სახელმწიფოს მშენებლობის საერთაშორისო დონეზე მართული პროექტის განუყოფელი ნაწილია.

ამ უნიკალურ სასამართლო ინსტიტუტს გამოარჩევს ორი მახასიათებელი – მისი საერთაშორისო ხასიათი და დამოუკიდებლობა. სპეციალური სასამართლო არაა აგებული ჰიბრიდული ტიპის სასამართლოს კლასიკური მოდელზე, თუმცა ის არც ტრადიციული გაგებითაა საერთაშორისო სასამართლო. ჰიბრიდული (სასამართლო) ტრიბუნალები კომპლექტდება როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი მოსამართლეებისგან, რომლებიც თანასწორი უფლებამოსილებით სარგებლობენ. ამ შემთხვევაში ასე არაა – კოსოვოს მოქალაქეს არ აქვს უფლება იმუშაოს სპეციალურ სასამართლოში არც მოსამართლის, პროკურორის ან რაიმე სხვა პოზიციაზე. ასევე საინტერესოა, რომ სასამართლო არ ფინანსდება კოსოვოს ხელისუფლების მხრიდან. კოსოვოს სპეციალური სასამართლო არ შეიძლება გავაიგივოთ არც საერთაშორისო სასამართლოსთან ვინაიდან იგი კოსოვოს იუსტიციის სისტემის ნაწილია. ამასთან, როგორც ჰიბრიდული, ისე საერთაშორისო სასამართლო ფუძნდება საერთაშორისო აქტის საფუძველზე – კოსოვოს სპეციალური სასამართლო კი დაფუძნდა კოსოვოს შიდა კანონმდებლობის საფუძველზე, კერძოდ 24-ე საკონსტიტუციო ცვლილებით (კონსტიტუციის 162-ე მუხლი). შესაბამისად სპეციალური სასამართლო ყველაზე მეტად „ინტერნაციონალიზებულ სასამართლოს" შეესაბამება და სწორედ ამ მახასიათებლის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას ექნება დადებითი ეფექტი სერბეთ-კოსოვოს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციაზე.

## დასკვნა

კვლევის ფარგლებში მიმოხილულ იქნა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ახალი სახელმწიფოს აღიარების სხვადასხვა შემთხვევა და ფორმა. თითოეული მოყვანილი შემთხვევის მცირე ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია და ეყრდნობა როგორც ისტორიულ, ისე გეოპოლიტიკურ ფაქტორებს. ასე მაგალითად, ევროკავშირი ნაკლებად ერევა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში, სადაც რეგიონალური მედიატორის როლს რუსეთი თამაშობს. აშშ-სა და ევროკავშირს ასევე არ სურთ არც ჩინეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაფუჭება, რის გამოც მათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლების პირველი მოთხოვნისთანავე გაეროს წევრი ქვეყნებიდან გარიცხეს ტაივანი.

უკანასკნელ ათწლეულში კოსოვო-სერბეთს შორის „შერიგების პოლიტიკის“ ფარგლებში ევროკავშირის მხარდაჭერით რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, აღნიშნული ცვლილებები კვლავ კოსოვოს სუვერენიტეტის შეზღუდვის ხარჯზე გახდა შესაძლებელი, საბოლოო ეფექტს დადებითი გავლენა უნდა ჰქონოდა კოსოვოს მიერ სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაზე. თუმცა, ვითარება კოსოვოში, განსაკუთრებით კი სერბებით დასახლებულ ჩრდილოეთ კოსოვოში კიდევ უფრო დაიძაბა, 2022 წლიდან კი იგი „კრიზისულად“ შეფასდა. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ კოსოვოს შემთხვევა განსაკუთრებულია არა მხოლოდ იმით, რომ მის სახელმწიფო სტატუსს სრულად არ აღიარებს საერთაშორისო თანამეგობრობა, არამედ იმითაც, რომ კოსოვოს სახელმწიფოებრიობა მის საზღვრებს შიგნითაც არაა სრულად აღიარებული. ევროკავშირის მხრიდან უკვე ადგილი ჰქონდა ე. წ. „მინის გაცვლის“ შეთავაზებას ორივე სახელმწიფოს მიმართ, რაც ითვალისწინებს ჩრდილოეთ კოსოვოს რეგიონის სერბეთისთვის დათმობას, სანაცვლოდ კი, სერბეთის საზღვრებში მდებარე ალბანელებით დასახლებული რეგიონის კოსოვოსთვის გადაცემას [11, 5]. თუმცა შეთავაზება შეთავაზებად რჩება და სერბეთი არ განიხილავს არანაირ დათმობაზე წასვლას. აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის დაძლევის ყოველ დისკუსიაში მონაწილეობენ დასავლური სახელმწიფოები, ბალკანეთის რეგიონში დაძაბულობის კიდევ ერთი ტალღის თავიდან არიდების განზრახვით, რომელსაც რეგიონალურ დონეზე სხვა კონფლიქტების გაჩაღებაც შეიძლება მოჰყვეს.

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**


1. Patton, S., The Peace of Westphalia and it Affects on International Relations, Diplomacy and Foreign Policy“, The Histories, Volume 10 Issues 1, 2019
2. Mathews, J.T., „Power Shift“, Foreign Affairs, 2008.
3. Torosyan, T., Perspectives of Rights and Challenges of Political Interests in Conflict Resolution: The Cases of Kosovo and Nagorno-Karabakh, 2012.
4. Arakelian M., Comparative analysis of the application of the principle of self - determination in the cases of Kosovo and Karabakh, 2010.

5. წერეთელი მ., Can Russia's Quest for the New International Order Succeed?", Orbis, Volume 62, Issue 2, 2018.
6. Ingimundarson, V., The 'Kosovo Precedent': Russia's justification of military interventions and territorial revisions in Georgia and Ukraine, 2022.
7. Jamar H., Vigness M. K., Applying Kosovo: Looking to Russia, China, Spain and Beyond After the International Court of Justice Opinion on Unilateral Declarations of Independence", Cambridge University Press, 2019.
8. ყალიჩავა კ., კოსოვო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი: თანამედროვე კონფლიქტების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, 2019.
9. ალექსიძე, ლ., დააკნინა თუ არა „კოსოვოს პრეცედენტმა" სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ერთგულება გაეროს წევრ-სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობისადმი საქართველოს ჩათვლით? 2010.
10. Semenov A., Legal and Political Contradictions in Kosovo: Limits of the Brussels Agreement", SAGE Open, 12(4), 2022.
11. Rossi M., A land swap between Kosovo and Serbia would be deeply problematic – and potentially dangerous", LSE European Politics and Policy (EUROPP), 2018.

**Ani Bukia**
*Doctoral student at the faculty of Law and International Relations, Georgian Technical University*

**Kosovo as an independent country and its development prospects**

**Summary**

The case of Kosovo remains relevant to this day, and scholars from both Western countries and those opposing Kosovo's independence agree that it was the Kosovo precedent that encouraged the Kremlin to make military interventions in the post-Soviet space and support separatist groups for independence. The article presents a comparative analysis between Kosovo and other ethno-separatist conflicts, aiming to find similarities and differences between them and to carry out an assessment of the development perspective of Kosovo as an independent state.

**ხარჩილავა ლილი**
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

# ნატო-რუსეთის ურთიერთობები: უახლესი წარსულის გამოცდილება და პერსპექტივები

დღეისათვის ალბათ ძნელია საერთაშორისო ურთიერთობებში იმაზე აქტუალური თემის მოძებნა, როგორიცაა ნატო-რუსეთის ურთიერთობები. რუსეთის ფედერაციის უკრაინაზე თავდასხმამ 2022 წლის 24 თებერვალს მსოფლიო შეცვალა და იგი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ცალსახად დაიჭირა უკრაინის მხარე და დღემდე იარაღს აწვდის მას. არავინ იცის ეს ომი როგორ დამთავრდება, მაგრამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პოლიტიკური საბჭოს უმაღლესი პირები ნატოს გენერალური მდივნის მეთაურობით თითქმის ყველა გამოსვლაში ცალსახად უსვამენ ხაზს, რომ რუსეთმა სტრატეგიული დამარცხება უნდა იწვნიოს ბრძოლის ველზე. თავის მხრივ რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ომის გაჩაღებაში დასავლეთს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ომი უკრაინაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოების შედეგი იყო. სიტუაცია უაღრესად რთულია. აქა-იქ გაისმის ბირთვული საფრთხის შესახებ მოსაზრებებიც. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ რუსეთსა და ნატოს შორის არ წყდება და არც შეიძლება იყოს გაწყვეტილი ყველა ძაფი. მათ შორის, ვფიქრობთ, არალეგალური შეხვედრებიც მიმდინარეობს. მათ კარგად ესმით ერთი შეცდომაც და შეიძლება კაცობრიობა დაიღუპოს. ამის თქმის საფუძველს კი გვაძლევს უახლესი წარსულის გამოცდილება.

ნატოს ბუნების გაგებაში პრინციპული ის თეზისია, რომ ნატო – ესაა არსებითი სამხედრო პოტენციალის მქონე პოლიტიკური ორგანიზაცია, და არა სამხედრო ორგანიზაცია პოლიტიკური ამბიციებით. ნატოს წევრ-სახელმწიფოთა პოლიტიკური მიზანმიმართულობა ერთიანი დემოკრატიული ფასეულობებითა და მათი ისტორიული ერთიანობის შეგნებითაა უზრუნველყოფილი. „კოლექტიური თავ-

დაცვის, მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით ერთობლივი ძალისხმევის გაერთიანების" მიზნით მისი შექმნის მომენტიდან გასული 60 წელზე მეტი ხნის განმავალობაში, როდესაც „ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში ნატოს ერთი ან რამდენიმე წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესია შეფასებული იქნება, როგორც აგრესია ყველას წინააღმდეგ" ალიანსმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა [1, 308].

უკანასკნელ პერიოდში ნატო სისტემატურ ძალისხმევას მიმართავდა ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით, რათა საერთაშორისო უსაფრთხოების ცვალებადი სფეროს პირობებისადმი ადეკვატური პოტენციალი ჩამოეყალიბებინა. ევროცენტრიზმი მის საქმიანობაში მეორე პლანზე გადავიდა და ახლო პერსპექტივაში ძნელი წარმოსადგენია, დაიკავოს კვლავ ცენტრალური ადგილი ალიანსის საქმიანობაში. დღესდღეობით ნატო სამხედრო და ორგანიზაციულ-პოლიტიკური ინსტრუმენტების უტილიტარულ ნაკრებს წარმოადგენს მის იმ წევრ სახელმწიფოთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რომლებიც მზად არიან და ძალუძთ თავისი ინტერესების დაცვა [2, 287-292].

„ცივი ომის" დასრულების შემდეგ ნატო თავისი პასუხისმგებლობის ტრადიციული ზონის ფარგლებს გასცდა და ოპერაციებს ახორციელებდა ავღანეთში, ლიბიასა და აფრიკის რქაზე [3, 215].

მიუხედავად უმეტესი ევროპული ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტების სეკვესტრირებისა და აშშ-ს რიგი ინოვაციური პროგრამების შემცირებისა, ნატო აგრძელებდა თავისი ძალების სტრატეგიული მობილობის ამაღლებას, აქცენტს აკეთებდა „გონიერი თავდაცვის" განვითარებაზე, კიბერიერიშებისგან დაცვაზე და მისი წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. ნატოს მიერ რეალიზებული პროგრამები ოპერატიული თავსებადობისა ან პარტნიორ ქვეყნებთან კომპონენტური ურთიერთკავშირის პოტენციალის გაზრდაზე იყო და არის ორიენტირებული. იმავდროულად ალიანსი ავითარებდა თანამშრომლობას პარტნიორ სახელმწიფოებთან, ხელს უწყობდა მათი შეიარაღებული ძალების მოდერნიზებას, მიწოდებისა და მომარაგების სტანდარტებისადმი ადაპტაციას. ორივე ასპექტი მნიშვნელოვანია სხვა სახელმწიფოთა ძალებსა და საშუალებებთან ნატოს ძალებისა და საშუალებების თავსებადობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ნატოსა და რუსეთის თანამშრომლობა „ცივი ომის" დასრულე-

ბისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მრავალმხრივ ხასიათს ატარებდა. მხარეებს კარგად ესმოდათ ის პასუხისმგებლობა, რომელიც მსოფლიოს უსაფრთხო ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული.

რუსეთის მდგრადი და კონსტრუქციული ურთიერთობები ნატოსთან შეიძლებოდა, წარმოქმნილიყო მხოლოდ მათი განვითარების პერსპექტივების პრინციპულად მკვეთრი გაგების ბაზაზე, ასევე იმ საქმიანობის საზღვრებისა და შესაძლებლობების გაგებაზე, რომელიც რუსეთსა და ნატოს, სავარაუდოდ, ერთობლივად შეეძლოთ განეხორციელებინათ [4, 190-196]. ის ფაქტი, რომ ნატო ყველაზე აქტიურ და სიცოცხლისუნარიან ორგანიზაციად რჩება, რომელიც დღესდღეობით ფლობს მსოფლიო სამხედრო პოტენციალის 60%-ზე მეტს, შეუძლია თავის ოპერაციებში ათობით პარტნიორული ქვეყნის ინტეგრირება და ლიდერი პოზიციის დაკავება სამხედრო ტრანსფორმაციის პროცესში და თანამედროვე ომის ტექნოლოგიების გამოყენებაში, არანაირად არ იძლევა მისი იგნორირების შესაძლებლობას [5, 161].

რუსეთისა და ნატოს თანამშრომლობის დღის წესრიგი ყოველთვის რთული იყო და რთულია დღესაც, ვინაიდან მოიცავს ბირთვულ თემატიკაზე სტრატეგიული დიალოგის საკითხებს და სამხედრო უსაფრთხოების საკითხებს, რაც განასხვავებს მას რუსეთისა და ევროკავშირის ურთიერთობებში არსებული დღის წესრიგისგან. რუსეთისა და ნატოს ურთიერთობებში უკვე დიდი ხანია „პოზიტიური თემების“ უკმარისობა იგრძნობოდა. ძირითადი პრობლემა, რომელსაც რუსეთი და ნატო აწყდებოდნენ თანამშრომლობის გზაზე, მდგომარეობდა იმაში, რომ რუსეთთან სრულფორმატიან პარტნიორობაში ალიანსის დაინტერესების შემთხვევაშიც კი ნატო არ იყო მზად შესთავაზოს რუსეთს ვეტოს უფლება თავისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რადგან ეს რუსეთს დამატებით ბერკეტს შესძენდა დასავლეთზე ზეწოლის გზაზე [6, 225-229]. თავდაპირველად ნატოს ქვეყნებს ეგონათ, რომ მათი განზრახვა პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე გაეფართოვებინათ „მშვიდობისა და უსაფრთხოების ზონა“ რუსეთის მიერ გაგებული და აღქმული იქნებოდა, როგორც საერთო სიკეთე, და არა როგორც მისი ეროვნული ინტერესების შელახვისადმი მისწრაფება. არადა რუსეთი, ემხრობოდა რა გავლენის სფეროების გაყოფის პრინციპს, ნატოს მსგავს ქმედებებს ყოველთვის განიხილავდა როგორც მხოლოდ მისი ინტერესების წინააღმდეგ მიმართულს.

რუსეთი ნატოს მიმდინარე ტრანსფორმაციაში უსაფრთხოების ევროპულ არქიტექტურაში არსებული დისბალანსის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს ხედავს და ალიანსის ევოლუციას განმარტავს როგორც აშშ-ს მანიპულაციების ერთ-ერთ ფორმას, რომელსაც ის თავის ჰეგემონისტურ ინტერესებში მიმართავს [7, 84]. ალიანსის მხრიდან დათმობები და, როგორც შედეგი, ურთიერთობებში ნდობის ამაღლება. მას ეფექტიანი თანამშრომლობის განვითარების წინასწარ აუცილებელ პირობად ესახება მაშინ, როდესაც ნატოსთვის ასეთი დათმობები შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ურთიერთობების გაღრმავებისა და ერთმანეთის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შედეგად [8, 265].

თანასწორუფლებიანი ურთიერთობები თანაბარ პარტნიორებს გულისხმობს. რუსეთი და ნატო კი თანამედროვე ეტაპზე თანაბარ პარტნიორებად ვერ იქცნენ.

რუსეთი ალიანსისთვის – უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, მაგრამ არა პარტნიორი, რომლის ინტერესებიც გათვალისწინებული ან კომპენსირებული იქნება. ამასთან ერთად, 2010 წ. ნატოს სტრატეგიული კონცეფციის მიღებასთან ერთად გაჩნდა რუსეთისა და ნატოს ურთიერთობების შეცვლის, ნდობის განმტკიცების საფუძველზე მათი დაახლოების, გადაწყვეტილებების ერთობლივი მიღების უფრო ეფექტიანი პროცესისა და ყველა დონეზე პრაქტიკული თანაშრომლობის სფეროების გაფართოების შესაძლებლობა.

ნატოს დაინტერესება რუსეთთან ურთიერთობების განმტკიცებაში თითქოს აშკარა იყო, რადგან რუსეთი მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო ავღანეთში ტრანზიტის, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობისა და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხთა გადაჭრაში. მეორე, რუსეთი გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მუდმივი წევრია, რომელიც საერთაშორისო სამხედრო ოპერაციების ლეგიტიმაციის ძირითად ინსტიტუტს წარმოადგენს [7, 96].

2010 წ. სამხედრო დოქტრინაში რუსეთმა მკაფიოდ განსაზღვრა ნატოსთან ურთიერთობის ძირითადი პრობლემები. პირველი პრობლემა იყო რუსეთისთვის „მის საზღვრებთან ალიანსის სამხედრო ინფრასტრუქტურის მიახლოების“ გეგმების მიუღებლობა. მეორე, რაც მოსკოვისთვის მიუღებელი იყო, ესაა „ალიანსისთვის გლობალური ფუნქციების მინიჭების მცდელობები, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებთან“. რუსეთი გამუდმებით ეჭვს გამოთქვამდა ნატოს მზადყოფნაში სამართლიანად

გაეთვალისწინებინა მისი ეროვნული ინტერესები, აკრიტიკებდა ალიანსის პოლიტიკას საერთაშორისო სამართლის პრინციპებისადმი ნატოს ძალოვანი პოტენციალის გამოყენების შეუსაბამობის გამო, ადანაშაულებდა მას, რომ ალიანსი ცდილობდა ცალმხრივად ემოქმედა საერთო რეგიონული პრობლემების გადაჭრაში და თავს არიდებდა ევროპული უსაფრთხოების ახალ არქიტექტურასთან დაკავშირებულ რუსეთის წინადადებების განხილვას. ასეთი იყო რუსული ხედვა.

არ არსებობდა რაიმე შეთანხმება ან განზრახვის დეკლარაციები, რომლებიც მოწმობდა იმას, რომ XXI საუკუნეში არ იქნებოდა წამოწყებული რაიმე მცდელობები ხელახლა განსაზღვრულიყო XIX-XX სს-ში დიდი სახელმწიფოების პოლიტიკისთვის დამახასიათებელი მადომინირებელი ინტერესების სფეროები. მართალია, ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში ნატოს ქმედებების გამოცდილება საკმაოდ შეზღუდულია, ერაყში, ავღანეთსა და ლიბიაში გამართული ოპერაციების შემდეგ შეგვეძლო გვევარაუდა, რომ აშშ და ნატოს ევროპული ქვეყნები გაზრდიდნენ პოლიტიკურ მონაწილეობას ამ რეგიონებში [8, 209], თუმცა დღეისათვის ვითარება შეიცვალა და როგორც აშშ-ს ისე ევროკავშირის გავლენა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში რამდენადმე შესუსტდა [7, 101].

რუსეთ-ნატოს თანამშრომლობა სამხედრო სფეროში საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. იგი სამხედრო ოპერაციების სფეროში მოიცავდა:

1. 2008 წლის გაზაფხულიდან რუსეთი მხარს უჭერდა უსაფრთხოების ხელშეწყობის საერთაშორისო ძალებისათვის არასამხედრო ტვირთების ტრანზიტს ავღანეთში თავისი ტერიტორიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა ტერიტორიის გავლით (2010 წ. მხარეები ავღანეთიდან არასამხედრო ტვირთების ტრანზიტზეც შეთანხმდნენ);
2. 2011 წლის მარტში შეიქმნა რუსეთ-ნატოს საბჭოს სავერტმფრენო მხარდაჭერის სარწმუნო ფონდი ავღანეთის შეიარაღებული ძალებისთვის სავერტმფრენო პარკის მხარდაჭერაში ხელშესაწყობად, მათ შორის სამხედრო მოსამსახურეთა მომზადებისთვის, ტექნიკის სარემონტოდ და სხვ. 2012 წ. ნოვოსიბირსკში საჰაერო საშუალებათა სარემონტო ქარხნის ბაზაზე ავღანელი მფრინავების პირველი წინასწარი წვრთნები ჩატარდა;
3. 2005 წლის დეკემრიდან რუსეთის, თურქეთისა და აშშ-ს ტერიტორიაზე განლაგებულ სპეცსტრუქტურებში რეალიზდებოდა

ნარკოტიკების არალეგალურ ბრუნვასთან ბრძოლის მიზნით ავღანეთის, პაკისტანისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების პერსონალის სწავლების პროექტი. 2012 წლის მდგომარეობით პროექტის ფარგლებში მომზადდა 2000-ზე მეტი ოფიცერი [9, 152].

4. 2012 წლის ნატოს შტაბ-ბინაში ჩატარდა პირველი სამხედრო-სამოქალაქო კონტრტერორისტული წვრთნები, რომლებსაც წინ უძღვოდა ინფორმაციის ხანგრძლივი გაცვლა და კონსულტაციები. ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობის ცალკეულ მიმართულებად იქცა რუსეთის საზღვაო სამხედრო ფლოტის გემთა მონაწილეობა ხმელთაშუა ზღვაში გამართულ ნატოს ოპერაციაში „აქტიური ძალისხმევა".
5. 2012 წლის ივნისში რეალური დროის რეჟიმში გამართული პირველი ცოცხალი სრულმასშტაბიანი კონტრტერორისტული წვრთნის ფარგლებში „ფხიზელი ცა 2011" (Vigilant skies) დემონსტრირებულ იქნა სრული „ოპერატიული ფუნქციონირება".
6. „რუსეთისა და ნატოს ქვეყნების შეიარაღებული ძალების ოპერატიული თავსებადობის ამაღლებასთან დაკავშირებით სამხედრო-პოლიტიკური სახელმძღვანელოს" თანახმად, რომელიც 2005 წ. ივნისში რუსეთ-ნატოს საბჭოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა მიერ იქნა დამტკიცებული. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ აღდგენის პროცესში მყოფმა სამხედრო თანამშორმლობის სეგმენტმა მოიცვა რიგი ერთობლივი წვრთნებისა ლოჯისტიკის, საძიებო-სამაშველო სამუშაოთა, ტერორიზმთან და მეკობრეობასთან ბრძოლის და სხვა არეებში.
7. XXI საუკუნეში რუსეთისა და ნატოს საერთო სამხედრო საფრთხეთა ერთობლივი მიმოხილვის შესაბამისად (რომელიც 2010 წ. სამიტზე იქნა დამტკიცებული), მეკობრეობასთან ბრძოლა და სამხედრო-საზღვაო ძალათა ხაზით თანამშრომლობა ურთიერთობის ერთ-ერთი საკვანძო სფერო გახდა რუსეთ-ნატოს საბჭოს 2012 წლის სამუშაო გეგმაში. 2006-2007 წწ. ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში პატრულირებაზე იმყოფებოდა სარაკეტო კრეისერი „მოსკოვი" (რომელიც 2022 წელს უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა შავ ზღვაში გაანადგურეს და იგი ჩაიძირა) და ორი საგუშაგო გემი (ამ ოპერაციაში რუსეთის მონაწილეობის უნიკალობა იმაში მდგომარეობდა, რომ ის ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის ფარგლებში ტარდებოდა), ხოლო 2008 წელს რუსეთი შეუერთდა ადენის ყურეში გამართულ ნა-

ტოს ოპერაციას მეკობრეობასთან ბრძოლის მიზნით – „ოკეანის ფარი“;

8. სამხედრო დოქტრინების განვითარებით ჰარმონიზაციისა და მხარეთა შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის პროცესისათვის, ასევე მათ შორის ნდობის განმტკიცებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა 2007 წელს რუსეთისა და ნატოს თავდაცვით-სამრეწველო, სამეცნიერო-კვლევითი და ტექნოლოგიური თანამშრომლობის ანალიზის დასრულებას, ხოლო 2011 წელს დასრულდა მუშაობა რუსეთსა და ნატოში გამოყენებული ტერმინების გლოსარიუმზე. ნატომ ასევე მნიშვნელოვანი პრაქტიკული ხელშეწყობა გაუწია თადარიგში გაშვებული 150 ათასზე მეტი რუსი ოფიცრისა და მათი ოჯახების წევრთა გადამზადებაში (პროგრამის დაფინანსება ერთობლივად რუსეთისა და ალიანსის ბიუჯეტებიდან ხორციელდებოდა);

9. თანამშრომლობის სხვა მიმართულებებია წყალქვეშა ნავების მოძიება და გადარჩენა, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის, შეიარაღებაზე კონტროლის, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის და ლოგისტიკის საკითხები.

როგორც ვხედავთ, ნატო – რუსეთს შორის ურთიერთობები საკმაოდ ღრმა და მრავლისმომცველი იყო. დასავლეთი იმედოვნებდა, რომ რუსეთი იდეალური დემოკრატია თუ არა, უბრალოდ ნორმალური სახელმწიფო მაინც გახდებოდა, მაგრამ რუსეთმა სრული „თანასწორობის“ პრინციპით მოქმედება არჩია. მან ჩათვალა, რომ თუ ის ცალსახად პროდასავლურ ორიენტაციას გაჰყვებოდა, იგი გახდებოდა დასავლეთის სატელიტი. ამ ყველაფრის სათავედ კი შეიძლება მივიჩნიოთ 2007 წლის 10 თებერვალს მიუნხენის კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის გამოსვლა სადაც მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ერთპოლარული მსოფლიოს არსებობა აშშ-ს დომინირებით. ბევრი პოლიტიკური ექსპერტი მაშინ პუტინის გამოსვლას ზერელედ მოეკიდა და მას „ორთქლის გამოშვება“ უწოდა, მაგრამ ერთ წელიწადში ამ სიტყვას საქმეც მოჰყვა და 2008 წლის აგვისტოში მივიღეთ რუსეთ-საქართველოს ომი, რასაც მოჰყვა აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარება. 2014 წელს კი მან მოახდინა ყირიმის ანექსია და შეიარაღებული კონფლიქტი გააჩაღა უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში, კერძოდ დონბასში. 2022 წლის 24 თებერვალს კი იგი უკრაინას თავს დაესხა რეგულარული არმიით და ომი გარდამავალი

უპირატესობით დღემდე მიმდინარეობს. უკრაინელი ჯარისკაცები ნატოს შეიარაღებით იბრძვიან. ნატო სრულ სამხედრო-პოლიტიკურ მხარდაჭერას უცხადებს უკრაინას და მიიჩნევს რომ უკრაინამ ბრძოლის ველზე უნდა გაიმარჯვოს. თავად კი ცოცხალი ძალით კონფლიქტში არ ერთვება, რადგან ეს მესამე მსოფლიო ომის დასაწყისი იქნება.

ნებისმიერ შემთხვევაში ვფიქრობთ უკრაინის ომის შემდგომ მივიღებთ ახალ მსოფლიო წესრიგს, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ნატო-რუსეთის მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Военная политика стран НАТО на Балканах и обеспечение безопасности России на рубеже XX-XXI вв. Москва, 2006.
2. კვეტენაძე ზ., რუსეთის საგარეო პოლიტიკა და ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება, ჟურნ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ №2(8), თბილისი, 2010.
3. ქარუმიძე ვ., საერთაშორისო ორგანიზაციები, თბილისი, 2003.
4. კვეტენაძე ზ. რუსეთის თანამედროვე „ევროპული კურსი“ (გმოწვევები და პერსპექტივები), ჟურნ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ №2(10), თბილისი, 2011.
5. მურვანიძე ლ., რუსეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკა პოსტ-საბჭოთა სივრცეში, თბილისი, 2015.
6. კვეტენაძე ზ., რუსეთის როლი და ადგილი გლობალურ გეოპოლიტიკაში, ჟურნ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ №2(6), თბილისი, 2009.
7. ბარბაქაძე ა., ევროკავშირის, აშშ-სა და რუსეთის სამხედრო პოლიტიკური ურთიერთობები (პრობლემები და პერსპექტივები), სადოქტორო დისერტაცია, სტუ, თბილისი, 2018.
8. Данилов Д. А., Реформирование Европейского Союза и его политические отношения с Россией, Москва,2009.
9. Бордачев Т. В. Новый договор Россия – ЕС: базовые критерии, На пути к Договору о стратегическом партнерстве между Россией и Европейским союзом, Москва, 2007.

**Lili Kharchilava**
*Associate Professor of GTU*

## NATO-Russia Relations: Recent Experience and Perspectives

### Summary

Nowadays, it seems quite difficult to find a more relevant topic in international relations than NATO-Russia relations. The Russian Federation's attack on Ukraine on February 24, 2022, changed the world and put it in front of new challenges. The North Atlantic Alliance unambiguously took the side of Ukraine and still supplies it with weapons. The results of the war are still vague, but the top officials of the political council of the North Atlantic Alliance, led by the Secretary General of NATO, in almost every speech unambiguously emphasize that Russia must have a strategic defeat on the battlefield. On the other hand, the Russian political leadership blames the West for starting the war and claims that the war in Ukraine was the result of the eastward expansion of the North Atlantic Alliance. Here we have to highlight that the situation is critical. There are certain opinions about the nuclear threat as well. Nevertheless, we believe that not all the ties can be broken off between Russia and NATO.

After the end of the Cold War and the collapse of the Soviet Union, Russia, and NATO experienced quite close military-political cooperation, which covered many areas. However, the situation was changed by Russia's imperialist ambitions. A vivid example of this is the war in Ukraine.

**ქეთევან ჯოჯიშვილი**
*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,*
*პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი*

# ახალი მულტიპოლარული სამყარო და ჰეგემონური ამბიციები

## შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა ახლებურად იქსელება და, შესაბამისად, პროცესები ჯერაც ფორმირების ფაზაშია. ახალი სამყაროს ფორმირების კომპლექსურობა იმითაც გამოირჩევა, რომ გადავდივართ უნიპოლარულიდან მულტიპოლარულისკენ. ნიშანდობლივია, რომ გლობალურ სურათში გამოკვეთილია მრავალპოლუსიანი მოდელის უპირატესობა, სადაც ერთი ძირითადი პოლიტიკური აქტორის ნაცვლად, მსოფლიო პოლიტიკას განსაზღვრავს რამდენიმე თანაბარი ძალის მქონე პოლიტიკური მოთამაშე, მათი ინტერესების ერთობა ყველგან მყარი და სისტემური როდია, ზოგან კონიუქტურულ და სიტუაციურ პარტნიორობას ეფუძნება [1, 3].

როდესაც მსოფლიო ისტორიული განვითარების ახალ მოსახვევში შედის, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების ძირეული გადაწყობა იწყება, ურთიერთობათა სისტემაზე პასუხისმგებელი ქვეყნების ვალდებულების ტვირთი იზრდება. ასე მაგალითად, წინა საუკუნეში ომისშემდგომი ევროპისათვის განსხვავებული წესების ათვლის წერტილი აშშ-ის პრეზიდენტ ტრუმენის დოქტრინამ მონიშნა, რის შედეგად ახალი წესრიგისა და უსაფრთხოების სისტემა დამკვიდრდა.

ტრუმენის დოქტრინა პრაქტიკული სახით მარშალის გეგმასა და ნატო-ს დაფუძნებაში გამოვლინდა. ამ ორი მეგაპროექტით დასავლური პოლიტიკური ცივილიზაცია ევროპის სიღრმეში კომუნიზმის გავრცელებას წინ აღუდგა, მნიშვნელოვნად განამტკიცა კომუნიზმის მსხვრევას მოყოლებული პოზიტიური შედეგები და მსოფლიოს ახალი ტალღის განვითარება შესთავაზა, სადაც ერთადერთ გლობალურ ძალად აშშ მოგვევლინა. თუმცა, დღევანდელი გადმოსახედიდან, აღნიშულ ე. წ. ზესახელმწიფოს აქვს ჰეგემონიის დაღმავალი ციკლი. ფაქტობრივად, დღეს გლობალურ არენაზე ჰეგემონია შეუძლებელია, რაც ძალთა ბალანსის პრიზმაში მრავალპოლუსიანი მოდელის დასაბამი ხდება [2, 2].

ცივი ომის დროს, საერთაშორისო სისტემა შეიცვალა და ბიპოლარული გახდა. მსოფლიოში ჩამოყალიბდა ძალის ორი ცენტრი – აშშ და სსრკ, ხოლო დანარჩენი სახელმწიფოები, როგორც წესი, მათდამი მიტმასნების პოლიტიკას ირჩევდნენ. „ცივი ომის" პერიოდი გამოირჩევა „რბილი ბიპოლარული" სისტემით. ბუნებრივია, ორივე ზემოხსენებული სახელმწიფო სისტემაში დომინირებას და ერთპიროვნული ჰეგემონიის დამყარებას ცდილობდა. ამერიკული თვალთახედვა იქიდან გამომდინარეობდა, რომ დომინოს პრინციპის მსგავსად, სსრკ-სთან ერთხელ დათმობაზე წასვლა სხვა არაერთი მარცხის საწინდარი იქნებოდა. შედეგად ჩამოყალიბდა შეკავების სტრატეგია, რომელიც გულისხმობდა საბჭოთა ექსპანსიონიზმის შეკავებას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, სადაც იგი შეეცდებოდა თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლას. შეკავების პოლიტიკის გაგრძელება აღმოჩნდა „ტრუმანის დოქტრინა", როდესაც აშშ-მ დიდძალი სამხედრო და ეკონომიკური დახმარება აღმოუჩინა საბერძნეთსა და თურქეთს და ეს ქვეყნები განწითლებას გადაარჩინა. ცივი ომის საწყის ეტაპზე, აშშ-მ საკუთარი სტრატეგია ორი უმნიშვნელოვანესი მიმართულებით განავითარა, დაარსა ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია და შეიმუშავა მარშალის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპის ეკონომიკურ აღდგენას და საბჭოთა კავშირზე დამოკიდებულების კიდევ უფრო შემცირებას [3, 12].

ცივი ომის დასრულებამ ახალ მსოფლიო წესრიგს დაუდო საფუძველი. აშშ მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში სხვა დიდ სახელმწიფოებთან შეუთანხმებლად, უნილატერალურად მოქმედებდა. თუმცა, დროთა განმავლობაში „დემოკრატიის ექსპორტის" პროექტმა ამერიკელ მოქალაქეებში უკმაყოფილების მუხტი დანერგა, აშშ-ს შეჭრამ ერაყსა და ლიბიაში მას გრკვეულნილად ევროპელი მოკავშირეების ნდობაც დააკარგვინა. 2008 წელს, ობამას იზოლაციონისტურმა კურსმა შეცვალა ჯორჯ ბუში უმცროსის ხისტი საგარეო პოლიტიკური კურსი. შედეგად, აშშ თავისი ინერტული პოლიტიკით, ვერ შეეწინააღმდეგა მოძლიერებული რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას და აღმოსავლეთ უკრაინაში წარმოებულ ომს. უფრო მეტიც, იგი არ ჩაერია სირიის სამოქალაქო ომში, რის გამოც, დატოვებული ძალაუფლების ვაკუუმი რევიზიონისტული ზრახვების მქონე რუსეთმა შეავსო.

ამას გარდა, ამერიკის დაღმავალი ჰეგემონიის ციკლი არის რეალობა, პრობლემა აქვს ეკონომიკის თვალსაზრისით. როგორც წესი, დასავლური პოლიტიკა ყოველთვის იყო პრაგმატული, ხოლო ეკონომიკა და პოლიტიკა იყო ურთიერთგადაბმული. თავის მხრივ, პრობლემა აქვს იმ ფინანსურ სისტემასაც, რაც ჩამოყალიბდა ბრეტონ ვუდსის შემდეგ, დოლარის სავალუტო ერთეულად აღიარება აღარ არის დამაკმაყოფილებელი და ამასაც გარკვეული ცვლილება სჭირდება. ამერიკის კონგრესში ბევრი მონინააღმდეგე ჰყავდა დოლარის მსოფლიო ვალუტის ერთეულად აღიარებას, რადგან მათ იცოდნენ, რომ ეს იქნებოდა დეინდუსტრიალიზაციის გამომწვევი ფინანსური ბუშტი, რომელიც როდის გასკდებოდა, კაცმა არ იცის. შემთხვევითი არ არის, რომ, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა პრაგმატული, სხვა პოლიტიკური კურსის წარმომადგენელი ტრამპი, ის სწორედ ამაზე აკეთებდა აქცენტს, მისთვის ნომერ პირველი იყო ამერიკის ხელმეორე ინდუსტრიალიზაცია, რაც ერთგვარი შესაძლებლობების ფანჯრად მიაჩნდა [4, 30].

ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია, მოვიყვანოთ კაპლანის თეორია, რომლის მიხედვით ჰეგემონი ქვეყნების დანახარჯები ძალიან დიდია. ამის გამო, დროთა განმავლობაში ჰეგემონი თანდათან სუსტდება და ჩნდება ჩელენჯერი, რომელიც კონკურენციის გაწევას იწყებს [5, 15]. თავდაპირველად, ასეთი ქვეყანა აღმოჩნდა ჩინეთი. აღსანიშნავია, რომ დღეს ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობები არ არის მარტივი, რაც შეიძლება პოლიტიკური ანტაგონიზმის საწინდარიც გახდეს (მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის დარგში მჭიდროდ თანამშრომლობენ და ამერიკული ქარხნებისა და ფაბრიკების დიდი ნაწილი ჩინეთშია განთავსებული). უფრო მეტიც, თავის დროზე, ჩინეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაერთიანებული ძალებით დაანგრიეს საბჭოთა კავშირი. იმ პერიოდში სამყარო ბიპოლარული იყო და ჩინეთი მოიაზრებოდა სოციალისტურ ბანაკში, თუმცა, 70-იან წლებში მაინც დაიწყო ეს პროცესი ე. წ. პინგ-პონგის დიპლომატიით, რომლის ინიციატორიც იყო კისინჯერი [6, 10]. აქედან იწყება ამერიკის შეერთებული შტატების და ჩინეთის დაახლოება [7, 19]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ბოროტების იმპერიის" ნგრევაში დიდი წვლილი შეიტანა აშშ-ს პრეზიდენტმა – რონალდ რეიგანმაც, რომელმაც სსრკ-ს მიმართ საკმაოდ ხისტი საგარეო პოლიტიკა გაატარა [8, 206]. რეიგანი ამომრჩეველთან უშუალო კონტაქტში შევიდა, რამაც განაპირობა ის, რომ ამერიკული საზოგადო-

ება დიდი წინააღმდეგობით არ შეხვდა სამხედრო ხარჯების გაზრდისა და ე. წ. „კოსმოსური ომების“ დაწყების ინიციატივას, რასაც სხვა შემთხვევაში ამერიკელი მოქალაქეები აუცილებლად მწვავედ გააპროტესტებდნენ. შედეგად, სამყარო გადაიქცა უნიპოლარულად. შესაბამისად, ჰეგემონი აღმოჩნდა ერთი სახელმწიფო – ამერიკის შეერთებული შტატები [9, 55]. გავიდა რამდენიმე ათეული წელი და სცენაზე გამოვიდა ჩინეთი, რომელიც დღესდღეობით ეკონომიკურად ძალიან ძლიერი ქვეყანაა. თუმცა, ის არ აფიქსირებს პოლიტიკურ ამბიციებს, ვინაიდან აქ თამაშობს დიდ როლს მისი მენტალიტეტი და კონფუციანური თავისებურებები. თუმცა, თავის მხრივ, იგი სულ უფრო და უფრო აქტიურად მუშაობს კონვენციური და ბირთვული იარაღის განვითარებაზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში ქმნის ხელოვნურ სამხედრო კუნძულებს და მასზე ლეგიტიმაციის გამყარებით რეგიონში აშშ-ს ჰეგემონიის შესუსტებას და საკუთარი ძალაუფლების გავრცელებას ცდილობს.

ერთმნიშვნელოვნად, XXI საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო აქტორი – ჩინეთი, რომლის სწრაფმა ეკონომიკურმა აღმავლობამ საფრთხე შეუქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი, რომელიც ჟოზეფ ნაის რბილი ძალის კონცეფციის პრაქტიკაში გატარების საუკეთესო მაგალითია, პრეტენზიას აცხადებს არა მარტო სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე დომინანტობისთვის, არამედ მიზნად ისახავს უძველესი „აბრეშუმის გზის“ აღდგენას, სახელწოდებით „ერთი გზა – ერთი სარტყელი“ [10, 5].

ამის შემდგომ **2007** წლის მიუნჰენის კონფერენციას უკავშირდება რუსეთის პოლიტიკის ცვლილება. ხაზგასმულია, რომ ელცინის რუსეთი იყო სულ სხვა სტრუქტურული გადანაწილების მქონე, რომელსაც ინტერესები არ უნდა ჰქონოდა თავის საზღვრებს გარეთ. ცხადია, რომ აშშ-ს არ სურდა რუსეთის გლობალურ სახელმწიფოდ გადაქცევა. მიუხედავად ამისა, რუსეთმა, როგორც არაერთხელ, ისტორიის განმავლობაში კუდი მოიქნია და მიუნჰენის კონფერენციაზე ღიად განაცხადა თავისი მიზნების შესახებ. ამ კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დააფიქსირა ქვეყნის გლობალური ინტერესები. შემდეგ იყო **2010** წელს ენერგოიმპერიის კონცეფცია. მოგეხსენებათ, რუსეთი დიდი რესურსების მქონე ქვეყანაა და მთელ მენდელეევის ტაბულას ფლობს – ალუმინიდან დაწყებული თუთიით დამთავრებული, რის გამოც გლობალური პოლიტიკის მნიშვნელოვან აქტორად მოიაზრება.

ბოლო მომენტში პუტინმა ოფიციალურად დააფიქსირა თავისი მოთხოვნები და წერილობითაც მოხდა ამ მოთხოვნების კოდიფიცირება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უკრაინაში ომის დაწყებამდე, მან გაილაშქრა ნატოს გაფართოების წინააღმდეგ, მაგრამ დასავლეთის მხრიდან არ მოხდა რეაგირება და არსებული ულტიმატუმის მხედველობაში მიღება. აქედან დაიწყო რუსეთ-უკრაინის ომი მისი ნატოში ჩართვის წინააღმდეგ, რომელიც დღესაც გრძელდება [11, 17].

## დასკვნა

ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება, როგორც რთული და ხანგრძლივი პროცესი, მსოფლიოს თანამედროვე დილემას წარმოადგენს. სირთულეს განაპირობებს საერთაშორისო სისტემის ცვლილება უნიპოლარულიდან მულტიპოლარულისკენ. ახალი სამყაროს ფორმირების კომპლექსურობა იმითაც გამოირჩევა, რომ პანდემიური და პოსტპანდემიური ფაქტორები ძველი „ძალის ცენტრების" ტრანსფორმაციას და ახლების წარმოშობას უწყობენ ხელს.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე გეოპოლიტიკური სურათი მნიშვნელოვნად შეიცვალა: რუსეთის ფედერაციას დაუყოვნებლივ შეექმნა ისეთი პრობლემები, როგორიცაა რელიგიური რენესანსი და ფუნდამენტალიზმი, ნაციონალიზმი, ტერიტორიული მთლიანობა და დავა მეზობლებს შორის; ეს დასაბამი გახდა ერთადერთი სუპერ სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების აღმასვლისა, რომელიც კონტროლს ამყარებდა სხვა სახელმწიფოებზე. თუმცა, ჰეგემონიის დაღმავალი ციკლი რეალობაა, რაც ნიშნავს, რომ დღეს მსოფლიო რუკაზე გამოჩნდნენ სახელმწიფოები, რომლებიც კონკურენციას უწევენ აშშ-ს, მათ შორის, ჩინეთი და რუსეთი, თავისი ჰეგემონური ამბიციებით და გეო-სტრატეგიული ინტერესებით.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. ყიფიანი ვ., „რეგიონალური ურთიერთკავშირები – დამატებითი შესაძლებლობა ქვეყნის მეტი უსაფრთხოებისა და უკეთესი ეკონომიკისათვის", „ინტერპრესნიუსი", თბილისი, 2020.
2. გორგილაძე ი., „ახალი მსოფლიო წესრიგი ამერიკულ გეოპოლიტიკაში. სოციალური მეცნიერების საკითხები, თბილისი, 2016.

3. აბაშიძე ზ., „ცივი ომი, წარსული თუ დღევანდელობა“, თბილისი, 2009.
4. არტი რ., ჯერვისი რ., „საერთაშორისო პოლიტიკა“, თბილისი, 2011.
5. Amin S., „Beyond US Hegemony? Assessing the prospects for a Multipolar World, Zed Books, 2006.
6. Kissinger H., „Diplomacy“, Simon & Schuster, Reprint edition, 1994.
7. Allison G., „Destined for war: Can America and China escape Thucydides's trap“?, Houghton Mifflin Harcourt, 2017.
8. ჯენტლესონი ბ., „ამერიკის საგარეო პოლიტიკა“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015.
9. Kaplan R., „Anarchy and Hegemony“. Global affairs with Robert D. Kaplan, Stratfor, 2013, იხ. https://worldview.stratfor.com/article/anarchy-and-hegemony უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2023.
10. ჯოხაძე გ., „დიპლომატიის მოკლე ისტორია“, თბილისი, 2021.
11. Keohane R. „After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy“, Princeton University Press, United Kingdom, 1984.

**Ketevan Jojishvili**
*Caucasus International University,*
*Doctor of Political Science*

**The new multipolar world and hegemonic ambitions**

**Summary**

Today, the world is in the process of forming a new order, which is characterized by a certain complexity. The reason is that we are moving from a monopolar world to a multipolar world. After the collapse of the Soviet Union, the only superpower that established order and offered its rules of the game to the rest of the world was the United States of America. However, based on today's reality, the so-called The superpower has a downward cycle of hegemony, the existence of which was preceded by certain geopolitical processes, as well as a kind of historical regularity.

**Irakli Benashvili**
*Georgian Technical University*

# THE IMPACT OF ARTIFICIAL INTELLIGENCE ON TERRORISM AND CYBERCRIME AS CHALLENGE IN INTERNATIONAL RELATIONSHIP

Key words:

ICT– Information and communications technology
AL-Artificial intelligence
LAWS– Lethal Autonomous Weapon Systems
CCW-Convention on certain Weapons

The work is mainly devoted to the problem of using artificial intellect in terrorism, cyber security and both together in daily life. We are living in the world where AI is sophisticated day by day. possession of AI in wrong hands may cause many problems in modern world and in international relationships, for instance countries may easily take decisions to begin wars, because if human recourse is not needed anymore it's much more easier to take decisions of killing. We have discussed in this article pros and cons of using AI. The impact of Artificial Intelligence (AI) on human rights is one of the most crucial factors that will define the period in which we live.

AI-driven technology is entering more aspects of every individual's life, from smart home appliances to social media applications, and it is increasingly being utilized by public authorities to evaluate people's personality or skills, allocate resources, and otherwise make decisions that can have real and serious consequences for the human rights of individuals. There is currently no agreed definition of „Artificial Intelligence".

Information and communications technology (ICT) is a rapidly growing and developing area of the fourth industrial revolution – digital transformation era. It plays a special role in the formation of the global agenda, global economic developments, societal development, public administration and governance. For the modern person, regardless of

their occupation, interests or work style, adaptation to the digital world and the acquisition and improvement of the corresponding skillset is vitally important.

Technological solutions that have the capacity to change our lives already exist today.

In the modern world, the interest towards artificial intelligence is growing rapidly. International news media pay a staggering amount of attention to artificial intelligence, while leading politicians and scientists bring up AI and its role in the future of humanity with increasing frequency in their debates. The topic of artificial intelligence also dominated the studies and political and judicial agreements of various international players on the topics of the future of the public sector and its digital transformation. In the last five years, scientists, researchers, activists and public policy makers are becoming increasingly interested in the potential of AI technology [1, 3].

**Meaning and concept**

Artificial intelligence is the achievement of digital transformation, the fourth industrial revolution. Artificial intelligence is a field in computer science – a special type of ICT that carries out intellectual actions that are generally only typical to humans. These include automatic decision-making processes/systems that imitate, anticipate and/or replace human activities. The European Council defines artificial intelligence as: „a set of sciences, theories and techniques whose purpose is to reproduce by a machine the cognitive abilities of a human being. Current developments aim, for instance, to be able to entrust a machine with complex tasks previously delegated to a human."

The humanlike skills characteristic of artificial intelligence include: perception, argumentation, reasoning/evaluation, activity with the elimination of or small interaction with the human factor.

Three concepts are noted when defining artificial intelligence: narrow, general, and artificial super intelligence. Examples of narrow artificial intelligence are the most widespread nowadays – these are meant for singular tasks and for providing technological solutions to

specific problems. At this time, the development and successful future of artificial intelligence without human effort and intervention is unthinkable.

When it comes to general artificial intelligence, the capacities of human and technology are equalized. Unmanned flight systems are an example of such. Artificial

super intelligence, meanwhile, is only a theoretical product, comprising the technologies where artificial intelligence exceeds human capabilities and becomes able to act/make decisions better and faster. Artificial intelligence should not become the rival of human intelligence. Instead, ideally, mankind should be able to use artificial intelligence to tackle difficult, complicated issues with maximum efficiency and precision, in addition to the ability to fully delegate simple tasks [2, 4].

**Advantages and Disadvantages of Artificial Intelligence**

First of all lets speak about advantages of AI

1. **Reduction in Human Error**-One of the biggest advantages of Artificial Intelligence is that it can significantly reduce errors and increase accuracy and precision.

2. **Zero Risks**-Another big advantage of AI is that humans can overcome many risks by letting AI robots do them for us. Whether it be defusing a bomb, going to space, exploring the deepest parts of oceans.

3. **24x7 Availability**-There are many studies that show humans are productive only about 3 to 4 hours in a day. Humans also need breaks and time offs to balance their work life and personal life. But AI can work endlessly without breaks.

4. **Digital Assistance**-Some of the most technologically advanced companies engage with users using digital assistants, which eliminates the need for human personnel.

5. **New Inventions**-In practically every field, AI is the driving force behind numerous innovations that will aid humans in resolving the majority of challenging issues.

**6. Unbiased Decisions**-Human beings are driven by emotions, whether we like it or not. AI on the other hand, is devoid of emotions and highly practical and rational in its approach.

**7. Perform Repetitive Jobs**-We will be doing a lot of repetitive tasks as part of our daily work, such as checking documents for flaws and mailing thank-you notes, among other things. We may use artificial intelligence to efficiently automate these menial chores and even eliminate "boring" tasks for people, allowing them to focus on being more creative..

**8. Daily Applications**-Today, our everyday lives are entirely dependent on mobile devices and the internet. We utilize a variety of apps, including Google Maps, Alexa, Siri and so on.

**9. AI in Risky Situations**-One of the main benefits of artificial intelligence is this. By creating an AI robot that can perform perilous tasks on our behalf, we can get beyond many of the dangerous restrictions that humans face. It can be utilized effectively in any type of natural or man-made calamity, whether it be going to Mars, defusing a bomb, exploring the deepest regions of the oceans, or mining for coal and oil.

**Disadvantages of Artificial Intelligence**

**1. High Costs**-The ability to create a machine that can simulate human intelligence is no small feat. It requires plenty of time and resources and can cost a huge deal of money. AI also needs to operate on the latest hardware and software to stay updated and meet the latest requirements, thus making it quite costly.

**2. No creativity**-A big disadvantage of AI is that it cannot learn to think outside the box. AI is capable of learning over time with pre-fed data and past experiences, but cannot be creative in its approach.

**3. Unemployment**– some claim that there is always a chance of unemployment as a result of chat bots and robots replacing humans.

**4. Make Humans Lazy**-AI applications [3, 16] automate the majority of tedious and repetitive tasks. Since we do not have to memorize things

or solve puzzles to get the job done, we tend to use our brains less and less. This addiction to AI can cause problems to future generations.

**5. No Ethics**-Ethics and morality are important human features that can be difficult to incorporate into an AI. The rapid progress of AI has raised a number of concerns that one day, AI will grow uncontrollably, and eventually wipe out humanity. This moment is referred to as the AI singularity.

**6. Emotionless**-Since early childhood, we have been taught that neither computers nor other machines have feelings. However, there is no denying that robots are superior to humans when functioning effectively, but it is also true that human connections, which form the basis of teams, cannot be replaced by computers.

7. No Improvement– **Machines can only complete tasks they have been developed or programmed for; if they are asked to complete anything else, they frequently fail or provide useless results, which can have significant negative effects. Thus, we are unable to make anything conventional [4, 66].**

**Safety and security risks**

AI applications that are in physical contact with humans or integrated into the human body could pose safety risks as they may be poorly designed, misused or hacked. Poorly regulated use of AI in weapons could lead to loss of human control over dangerous weapon

AI could severely affect the right to privacy and data protection. It can be for example used in face recognition equipment or for online tracking and profiling of individuals. In addition, AI enables merging pieces of information a person has given into new data, which can lead to results the person would not expect.

AI could also play a role in harming freedom of assembly and protest as it could track and profile individuals linked to certain beliefs or actions. Are artificial intelligence (AI) and super intelligent machines the best or worst thing that could ever happen to humankind? This has been a question in existence since the 1940s when computer scientist Alan Turing [5, 23 ]wondered and began to believe that there would be

a time when machines could have an unlimited impact on humanity through a process that mimicked evolution.

When Oxford University Professor Nick Bostrom's [6, 17] New York Times best-seller, Super intelligence : paths ,dangers ,strategies [7, 5] was first published in 2014, it struck a nerve at the heart of this debate with its focus on all the things that could go wrong. However, in my recent conversation with Bostrom, he also acknowledged there's an enormous upside to artificial intelligence technology.

Since the writing of Bostrom's book in 2014, progress has been very rapid in artificial intelligence and machine and deep learning. Artificial intelligence is in the public discourse, and most governments have some sort of strategy or road map to address AI. In his book, he talked about AI being a little bit like children playing with a bomb that could go off at any time.

Bostrom explained, „There's a mismatch between our level of maturity in terms of our wisdom, our ability to cooperate as a species on the one hand and on the other hand our instrumental ability to use technology to make big changes in the world. It seems like we've grown stronger faster than we've grown wiser".

**How is AI dangerous?**

If we focus on what's possible today with AI, here are some of the potential negative impacts of artificial intelligence [8, 12] that we should consider and plan for:

Change the jobs humans do/ job automation [9, 33]: AI will change the workplace and the jobs that humans do. Some jobs will be lost to AI technology, so humans will need to embrace the change and find new activities that will provide them the social and mental benefits their job provided.

AI-enabled terrorism: Artificial intelligence will change the way conflicts are fought from autonomous drones, robotic swarms, and remote and nano robot attacks. In addition to being concerned with a nuclear arms race, we'll need to monitor the global autonomous weapons race.

AI surveillance: AI's face recognition capabilities give us conveniences such as being able to unlock phones and gain access to a building without keys, but it also launched what many civil liberties groups believe is alarming surveillance of the public [10, 6]. In China and other countries, the police and government are invading public privacy by using face recognition technology. Bostrom explains that AI's ability to monitor the global information systems from surveillance data, cameras, and mining social network communication has great potential for good and for bad.

Deep fakes: AI technology makes it very easy to create „fake" videos of real people. These can be used without an individual's permission to spread fake news, create porn in a person's likeness who actually isn't acting in it, and more to not only damage an individual's reputation but livelihood. The technology is getting so good the possibility for people to be duped by it is high.

As Nick Bostrom explained, „The biggest threat is the longer-term problem introducing something radical that's super intelligent and failing to align it with human values and intentions. This is a big technical problem. We'd succeed at solving the capability problem before we succeed at solving the safety and alignment problem".

**5. AI Terrorism**

Similarly, there may be new AI-enabled form of terrorism to deal with: From the expansion of autonomous drones and the introduction of robotic swarms to remote attacks or the delivery of disease through nano robots. Our law enforcement and defense organizations will need to adjust to the potential threat these present.

It will take time and extensive human reasoning to determine the best way to prepare for a future with even more artificial intelligence applications to ensure that even though there is potential for adverse impacts with its further adoption, it is minimized as much as possible.

As is the case with any disruptive event, these aren't easy situations to solve, but as long as we still have humans involved in determining solutions, we will be able to take advantage of the many

benefits of artificial intelligence while reducing and mitigating the negative impacts.

**AI in Weapon Systems**

The United States has incorporated autonomy into certain weapon systems for decades [11, 86]. These technological improvements may allow for greater precision in the use of these weapon systems and safer, more humane military operations. Precision-guided munitions allow an operation to be completed with fewer weapons expended and with less collateral damage, and remotely-piloted vehicles can lessen the risk to military personnel by placing greater distance between them and danger.

Nonetheless, moving away from direct human control of weapon systems involves some risks and can raise legal and ethical questions. The key to further incorporating autonomous and semi-autonomous weapon systems into U.S. defense planning and force structure is to continue ensuring that all our weapon systems, including autonomous weapon systems, are being used in a manner consistent with international humanitarian law. In addition, the U.S. Government should continue taking appropriate steps to control proliferation, and working with partners and Allies to develop standards related to the development and use of such weapon systems.

Over the past several years, in particular, issues concerning the development of so-called „Lethal Autonomous Weapon Systems" (LAWS) have been raised by technical experts, ethicists, and others in the international community [12, 45 ]. The United States has actively participated in the ongoing international discussion on LAWS in the context of the Convention on Certain Conventional Weapons (CCW) [13, 18-26], and anticipates continued robust international discussion of these potential weapon systems going forward [14, 28-30].

some States have focused on artificial intelligence, robot armies, or whether „meaningful human control" – an undefined term – is exercised over life-and-death decisions [15, 2]. The U. S. priority has been to

reiterate that all weapon systems, autonomous or otherwise, must adhere to international humanitarian law, including the principles of distinction

(The principle of distinction requires parties to a conflict to distinguish between the civilian population and combatants and between civilian objects and military objectives, and to direct their operations only against military objectives) and proportionality [16,18].

For this reason, the United States has consistently noted the importance of the weapons review process in the development and adoption of new weapon systems. The CCW will decide on whether and how to conduct future meetings on LAWS and associated issues during its Review Conference in December 2016 [17, 33-44].

**Terrorists Will Be Interested in Acquiring Lethal Autonomous Weapons**

Terrorist groups will be interested in artificial intelligence and lethal autonomous weapons for three reasons – cost, traceability, and effectiveness.

Firstly, killer robots are likely to be extremely cheap [18, 35], while still maintaining lethality. Experts agree that lethal autonomous weapons, once fully developed, will provide a cost-effective alternative to terrorist groups looking to maximize damage, with Max Tegmark arguing that [19, 15] „small AI-powered killer drones are likely to cost little more than a smartphone". Artificial intelligence could make terrorist activity cheaper financially and in terms of human capital, lowering the organizational costs required to commit attacks.

Secondly, using autonomous weapons will reduce the trace left by terrorists. A large number of munitions could be launched – and a large amount of damage done – by a small number of people operating at considerable distance from the target, reducing the signature left behind. In tegramark's words for „a terrorist wanting to assassinate a politician ... all they need to do is upload their target's photo and address into the killer robot: it can then fly to the destination, identify and eliminate the

person, and self-destruct to ensure nobody knows who was responsible". With autonomous weapons technology, terrorist groups will be able to launch increasingly complex attacks, and, when they want to, escape without detection.

Finally, killer robots could reduce, if not eliminate, the physical costs and dangers of terrorism, rendering the operative „essentially invulnerable" [20, 73-75]. Raising the possibility of „fly and forget" missions, lethal autonomous weapons might simply be deployed toward a target, and engage that target without further human intervention. Additionally, lethal autonomous weapons could potentially reduce human aversion to killing, making terrorism even more palatable as a tactic for political groups. According to the aforementioned, February 2018 report [21, 2-4]. „AI systems can allow the actors who would otherwise be performing the tasks to retain their anonymity and experience a greater degree of psychological distance from the people they impact"; this would not only improve a terrorist's chances of escape, as mentioned, but reduce or even eliminate the moral or psychological barriers to murder [22; 23, 171-175].

**cybercrime as challenge in international relationship**

The marriage of the electronic programmable computer and widely available Internet over the last 20 to 25 years has changed the world as perhaps no other technology before. Worldwide use of Internet technologies is growing by leaps and bounds. More and more the internet is becoming integrated into modern life. The governments, the militaries, economy and the communications industry that helps human beings to stay in touch are also moving online. As a result, just about every industry, government and military is run by Internet-connected computers. This affords unprecedented efficiency, convenience and opportunity. The internet contributes to economic prosperity and growth, quality of life, access to information, social and political connection [23, 171-175].

Technological revolutions, have not only stimulated progress in the society but have also become a motivation for previously unknown negative processes and developments. Alike many other revolutionary technologies, computer technologies bear enormous potential for the progress, as well as misuse. Complex and large-scale use of modern information technologies helps to shift humanity onto a new level of development.

However, the rapid Internet growth also creates new vulnerabilities. Now, countries must deal with new, more efficient threats coming from cyber space. Cyber-attacks are becoming more frequent, more organized and the cost of damage that they inflict on government

administrations, businesses, economies and potentially also supply networks and other critical infrastructure is significant [24, 187-188; 25, 171-175].

In the 21st century, cyber-crimes become a central issue for the various countries. New technologies give origin to new crimes. Hence, with the invention of a computer, computer

crimes became widely spread [26, 1-13]. It is noteworthy that cybercrime has no borders. At the

international level, it is important to have a coordination with the different partners. In 2013,

one of the biggest cybercrime organization managed to steal 40 million USD from a bank. This case entails the breach of international law, company's internal policies and creates

vulnerabilities that can lead to future incidents. Therefore, this has brought with itself

technical, as well as legal problems. A harmful effect of computerization of society is a socalled „computer crimes", for instance, crimes committed through the internet and other

computerized networks5. Computer crimes, such as network information intrusion, computer

fraud, computer piracy, sabotage, electronic espionage, the spread of pornography and others

have become regular problems.

One of the main problems regarding fight against cybercrime is that most of the information

and communication networks is in property of private sector, when their safety is the

responsibility of the State. The participation of private sector in this issue makes more

difficulties to defend networks and protect of their security. Both groups, the government and

the private sector have different interests and goals, which reduces the effectiveness of the

protection of cyberspace [28, 320; 24, 187-188]. This process becomes much more difficult when the issues interface becomes global, and significant role in the solution of above mentioned issue has international norms [29, 189-191; 30, 309-314].

It may perform a catalytic role in the process, focus on harmonizing as national as

international legal base and its perfection, where it is meant cybercriminal prosecutions, data

storages protection, as well as providing network security and attacks against the principles of the security of network and operational response against cybercrime. However, there must be partnership between the public and private sector in the struggle against Cybercrime.

Nowadays, social and moral damaged caused by cybercrimes is countless [31, 215-147]. Moreover, high latency of such crimes, for instance, only about 10-15% of computer crimes are known as the companies affected try not to disclose about such crimes committed fearing that this could possible negatively affect their reputation and/or impulse repeated committing of computer crime against them.

**Conclusion**

Digital transformation is not an optional choice, but an inevitable way for modern developed countries to move forward and succeed. Modern technologies, including artificial intelligence, cannot have a

positive impact and become a prerequisite for public welfare unless the state guarantees the reforms for digital transformation in adherence to high ethical principles, by balancing conflicting interests, with the involvement of all stakeholders, while taking into account best practices and international regulatory standards, and implementing transparent procedures and governance systems. Artificially supported services can bring a lot of benefits to humanity. The widespread use of this technology in both the public and private sectors of Georgia will lead to a positive indicator in terms of effectiveness, efficiency, resource conservation, and success. Technological readiness alone will not suffice to this end. It is also critical to establish supportive frameworks and gain public trust, which can only be achieved through open, transparent, and accountable processes.

AI can be a major driver of economic growth and social progress, if industry, civil society, government, and the public work together to support development of the technology, with thoughtful attention to its potential and to managing its risks.

Government has several roles to play. It should convene conversations about important issues and help to set the agenda for public debate. It should monitor the safety and fairness of applications as they develop, and adapt regulatory frameworks to encourage innovation while protecting the public. It should support basic research and the application of AI to public goods, as well as the development of a skilled, diverse workforce. And government should use AI itself, to serve the public faster, more effectively, and at lower cost.

Developing and studying machine intelligence can help us better understand and appreciate our human intelligence. Used thoughtfully, AI can augment our intelligence, helping us chart a better and wiser path forward.

According to what I know and believe, AI will lead the next revolution in mankind history and this time is not like any other. This time, our 1st position on the food chain will be challenge, but that is

what might happen in 2050 or later. For now, in the next 5-10 years, there is one thing I know for sure, the rate of unemployment will increase, so the sooner we know, the better we can react.

In the other hand, there were some advices from experts on how to deal with the change. I am not sure it will benefit for you or not but for me, I will listen to what they said very carefully. Because whether you like it or not, AI are on the way and I can guarantee with you that it will not stop, at least not because of all mankind say so or want to do so. Mankind, throughout the history, had lots of chance working with Smart people like Albert Einstein or Stephen Hawking with IQ over 150. The table has turned, mankind very soon has to deal with a machine has an IQ level of 1000. Who have the right to talk? Guess what, not us, for sure.

## SOURCES


1. Artificial Inteligence: Meaning, International Standarts And Recommendations, Policy Paper, N. Goderdzishvili https://idfi.ge/public/upload/Article/1111Artificial-Intelligence-ENG–Web%20Version.pdf, 03/02/2023.
2. Artificial Intelligence: International Tendencies and Georgia – Legislation and Practice https://idfi.ge/en/artificial%20intelligence–international–tendencies–and–georgia, 02/02/2023.
3. AI Applications: Top 18 Artificial Intelligence Applications in 2023, https://www.simplilearn.com/tutorials/artificial-intelligence-tutorial/artificial-intelligence-applications, 01/02/2023
4. Artificial intelligence: threats and opportunities, https://www.europarl.europa.eu/news/en/headlines/society/20200918STO87404/artificial-intelligence-threats-and-opportunities, 27/01/2023
5. The British Library For research, inspiration and enjoyment, https://www.bl.uk/404-page-not-found.html, 15/12/2022
6. The Doomsday Invention, Will artificial intelligence bring us utopia

or destruction? By Raffi Khatchadourian, https://www.newyorker.com/magazine/2015/11/23/doomsday-invention-artificial-intelligence-nick-bostrom, 20/12/2022

7. Superintelligence Paths, Dangers, Strategies, N. Bostrom, https://dorshon.com/wp-content/uploads/2017/05/superintelligence-paths-dangers-strategies-by-nick-bostrom.pdf, 21/01/2023
8. What Are The Negative Impacts Of Artificial Intelligence (AI)? B. Marr, https://bernardmarr.com/what-are-the-negative-impacts-of-artificial-intelligence-ai/, 27/01/2023
9. 8 Risks And Dangers of Artficial Intelligence to Know, M.Thomas https://builtin.com/artificial-intelligence/risks-of-artificial-intelligence, 28/01/2023
10. Never mind killer robots – here are six real AI danger to watch out for in 2019, W. Knight & K.Hao, https://www.technologyreview.com/2019/01/07/137929/never-mind-killer-robotshere-are-six-real-ai-dangers-to-watch-out-for-in-2019/, 28/01/2023
11. Jeffrey L. Caton, „Autonomous Weapons Systems: A Brief Survey of Developmental, Operational, Legal, and Ethical Issues," Strategic Studies Institute, U.S. Army War College, December 2015, http://www.strategicstudiesinstitute.army.mil/pdffiles/PUB1309.pdf, 15/01/2023
12. DeepMind comment, Human Rights Watch comment to the OSTP Request for Information on Artificial Intelligence, 2017.
13. The Convention on Prohibitions on the Use of Certain Conventional Weapons Which May Be Deemed to Be Excessively Injurious or to Have Indiscriminate Effects (CCW) regulates certain weapons under its five Protocols. The States Parties to the CCW began informal discussions related to LAWS in 2014.
14. United States Standards Strategy Committee, "United States standards strategy," New York: American National Standards Institute (2015),

https://share.ansi.org/shared%20documents/Standards%20Activities/NSSC/USSS–Third–edition/ANSI–USSS–2015.pdf.
15. Stuart Russell and Peter Norvig, Artificial Intelligence: A Modern Approach (3rd Edition) (Essex, England: Pearson, 2009).
16. Charles Twardy, Robin Hanson, Kathryn Laskey, Tod S. Levitt, Brandon Goldfedder, Adam Siegel, Bruce D'Ambrosio, and Daniel Maxwell, „SciCast: Collective Forecasting of Innovation," Collective Intelligence, 2014.
17. PREPARING FOR THE FUTURE OF ARTIFICIAL INTELLIGENCE Executive Office of the President National Science and Technology Council Committee on Technology October 2016. file:///Users/mac/Downloads/preparing_for_the_future_of_ai.pdf

EXECUTIVE OFFICE OF THE PRESIDENT NATIONAL SCIENCE AND TECHNOLOGY COUNCIL WASHINGTON, D. C. 20502

18. Death by algorithm: the age of killer robots is closer than you think, K.Piper, https://www.vox.com/2019/6/21/18691459/killer-robots-lethal-autonomous-weapons-ai-war, 29/01/2023
19. Being Human in the Age of Artificial Intelligence-M.tegramark, R.shapiro.2017.
20. Inside the Chilling World of Artificially Intelligent Drones, M.Horton, https://www.theamericanconservative.com/inside-the-chilling-proliferation-of-artificially-intelligent-drones, 26/01/2023
21. The Robotics Revolution, P.W. Singer, https://www.brookings.edu/opinions/the-robotics-revolution/, 26/01/2023

https://img1.wsimg.com/blobby/go/3d82daa4-97fe-4096-9c6b-376b92c619de/downloads/1c6q2kc4v_50335.pdf

22. The Malicious Use of Artificial Intelligence: Forecasting, Prevention, and Mitigation, https://img1.wsimg.com/blobby/go/3d82daa4-97fe-4096-9c6b-376b92c619de/downloads/1c6q2kc4v–50335.pdf,27/01/2023
23. TERRORIST GROUPS, ARTIFICIAL INTELLIGENCE, AND KILLER DRONES J.WARE SEPTEMBER 24, 2019.

https://warontherocks.com/category/special-series/ai-and-national-security/
24. Oconnell, M. E. Cyber Security without Cyber War. _ Journal of conflict and security law, 2012.
25. Denning, E. Cyber Conflict as an Emerging Social Phenomenon. Hershey: IGI Global, 2010.
26. Friis. K., Ringsmose J. Conflict in Cyber Space: Theoretical, Strategic and Legal Perspectives. Lancaster University, 2016.
27. Randell, B. On Alan Turning and the Origins of Digital Computers. Edinburgh: Edinburgh University Press,1972.
28. Eichensehr, k.A. The Cyber-Law of Nations. _ Georgetown Law Journal, 2015.
29. Simpson, B., Murphy, M. Cyber-privacy or Cyber-surveillance? Legal responses to fear in Cyberspace. Jurnal Information & Communications Technology Law. London: University of New London, 2014.
30. Wild, Ch., Weinstein, S., MacEwan, N., Geach, N. Electronic and mobile commerce law: an analysis of trade, finance, media, and cybercrime in the digital age. Hertfordshire: University of Hertfordshire Press, 2011.
31. Jayakumar, Sh. State, Society and National Security: Challenges and Opportunities in the 21st Century. Singapore: World Scientific Publishing, 2016.

**ირაკლი ბენაშვილი**
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

## ხელოვნური ინტელექტის გავლენა ტერორიზმსა და კიბერდანაშაულზე, როგორც გამოწვევა საერთაშორისო ურთიერთობებში

### რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პრობლემატიკას ტერორიზმში, კიბერუსაფრთხოებაში და ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოში, სადაც ხელოვნური ინტელექტი დღითი დღე იხვეწება. მისმა არასწორ ხელში ჩავარდნამ კი შეიძლება მრავალი პრობლემა გამოიწვიოს, როგორც თანამედროვე სამყაროში ასევე საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგალითად, ქვეყნებმა შეიძლება ადვილად მიიღონ გადაწყვეტილებები საბრძოლო მოქმედებების დასაწყებად, რადგან თუ ადამიანური რესურსი აღარ იქნება საჭირო, გაცილებით მარტივია ლიკვიდაციის გადაწყვეტილების ბრძანების გაცემა. სტატიაში განვიხილავთ ხელოვური ინტელექტის დადებით და უარყოფით მხარეებს. ხელოვნური ინტელექტის (AI) გავლენა ადამიანის უფლებებზე არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურობაზე. ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ტექნოლოგია ყოველი ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება, ჭკვიანი ტექნიკიდან დაწყებული, სოციალური მედიის აპლიკაციებით დამთავრებული, ის უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება საჯარო ხელისუფლების მიერ პიროვნების და მისი უნარების შესაფასებლად, სხვადასხვა გადაწყვეტილებების მისაღებად და რთული ამოცანების შესასრულებლად, რასაც ადამიანის უფლებების ჭრილში შესაძლოა სერიოზული შედეგები მოჰყვეს, მიუხედავად ამისა, დღემდე არ არსებობს შეთანხმებული განმარტება თუ რას ნიშნავს ხელოვნური ინტელექტი.

**უჩა ბლუაშვილი**
*ისტორიის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

# ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების გზების ძიებაში

ქართველებსა და აფხაზებს ერთობლივი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება გაგვაჩნია. მართალია, გვიანი შუა საუკუნეების ფეოდალური დაქუცმაცებულობა ამ ურთიერთობებს თავის დაღს ასვამდა, მაგრამ საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლებში გამობრძმედილმა ჩვენმა მეგობრობამ დროის გამოცდას გაუძლო და მე-19 საუკუნემდე, ვიდრე ცარისტული რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობამდე, ღირსეულად მოაღწია. სამყაროსავით ძველი კანონის – „გათიშე და იბატონეს“ – მოხერხებული გამოყენებით რუსეთის იმპერიამ შეძლო ჩვენს მეგობრობაში ბზარის გაჩენა. საბჭოთა იმპერიის დაშლას ქართველთა და აფხაზთა შორის სისხლისმღვრელი ომი მოჰყვა. დაიღუპა 25 ათასამდე ადამიანი, მათ შორის 4 ათასი აფხაზი, 10 ათასამდე მშვიდობიანი მცხოვრები. იძულებით ადგილნაცვალ პირად იქცა 300 ათასამდე კაცი. საომარი მოქმედებების შედეგად აფხაზეთში დაინგრა 32 ხიდი, განადგურდა 500 კილომეტრი სირგძის ელექტროგადამცემი ხაზები, 40 ათასი შენობა, მთლიანად მოიშალა რკინიგზა და ა. შ. [1, 21-22].

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ეს ძმათამკვლელი ომი შავ ლაქად არის შესული. მისი სოციალურ-ეკონომიკური, განსაკუთრებით კი მორალურ-პოლიტიკური შედეგები 30 წლის შემდეგაც კი მწვავედ იგრძნობა როგორც აფხაზურ, ესე ქართულ საზოგადოებაში. ამის მიუხედავად, ორივე ხალხში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს იმის შეგნება, რომ საჭიროა ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენა. არც ქართველებს და არც აფხაზებს სხვა სამშობლო არ გაგვაჩნია. აქედან ვერსად წავალთ. ამიტომ **ჩვენ ერთმანეთთან ურთიერთობისთვის ვართ განწირულნი.** ჩვენ ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორიული წარსული

გვკარნახობს ურთიერთობების აღდგენას...

ეს ხანგრძლივი და რთული პროცესია. ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი, ურთიერთწყენა, მოვლენების არცოდნითა თუ განზრახ დამახინჯებით შექმნილი სტერეოტიპები ქმნიან გაუცხოების ატმოსფეროს, ხელს გვიშლიან საერთო ენის გამონახვაში. გაწყვეტილია თაობათა შორის დიალოგიც, ახალ თაობებს თანდათან უქრებათ ის ემოციური და კულტურული ბმა, რომელიც ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებობდა.

**რით დავიწყოთ შერიგების პროცესი?** აი კითხვა, რომელზეც გაცემული პასუხის მართებულობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს პროცესის წარმატებას!

ჩვენ აქცენტს აფხაზებთან მომავალ ურთიერთობებზე, საქართველოში დემოკრატიული და პროდასავლური პროგრესით მოტანილი სიკეთეების აფხაზებისთვის ხელმისაწვდომობაზე ვაკეთებთ, მაგრამ მომავალზე ფოკუსირება, წარსულის კრიტიკული და თვითკრიტიკული გააზრების გარეშე, შედეგს ვერ მოიტანს. **დიახ, ჩვენ სწორედ წარსულის კრიტიკული და თვითკრიტიკული გააზრებით უნდა დავიწყოთ.** ქართულ-აფხაზური კონფლიქტის (ისევე, როგორც ქართულ-ოსური დაპირისპირების) თვითკრიტიკული ანალიზი დაგვეხმარება არა მხოლოდ ჩვენი უახლესი წარსულის მართებულ გააზრებაში, არამედ მომავლის უკეთ დაგეგმვაშიც.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენის აუცილებელ წინაპირობას მხარეების მიერ კონფლიქტის ფორმებისა და შინაარსისადმი მიდგომის შეცვლა წარმოადგენს. ქართველები მეტისმეტად ვამარტივებთ პრობლემას, როდესაც ჩვენი კონფლიქტების მთავარ (თუ ერთადერთ არა) მიზეზად „მესამე ძალას“ მივიჩნევთ. რუსეთზე პასუხისმგებლობის გადატანა ზედმეტად კომფორტული გახდა ჩვენი საზოგადოებისთვის. სხვისკენ ხელის გაშვერა, ჩვენი წილი პასუხისმგებლობისთვის თავის არიდება, ავიწროებს პრობლემის კვლევის ჩარჩოებს, შეუძლებელს ხდის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების მიუკერძოებელ ანალიზს და, შესაბამისად, მათი დაძლევის გზების ძიებასაც. შერიგების პროცესი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი შეცდომების აღიარებას, სხვათა შეცდომების ობიექტურ გააზრებას, ურთიერთმიტევებას გულისხმობს. ეს კი, ხშირად, უფრო მეტ სულიერ სიმაღლეს, გამბედაობას და გამძლეობას მოითხოვს, ვიდრე იარაღის ხელში აღებაა.

კონფლიქტების დარეგულირების გზაზე ერთ-ერთი სერიოზუ-

ლი პრობლემა მეცნიერული ანალიზისა და პრაქტიკული პოლიტიკის ერთმანეთისგან მოწყვეტილი, განცალკევებული არსებობაა. პრაქტიკოსი პოლიტიკოსები თავს არ იწუხებენ პრობლემის ისტორიული, მისი დღემდე კვლავმწარმოებელი ფაქტორების შესწავლით და მასზე ზედაპირული წარმოდგენებით იკვებებიან. თავის მხრივ, პრაქტიკას მოწყვეტილ მეცნიერებაშიც ჭარბობს ცალმხრივობა, ფაქტოლოგიური მასალის სიმწირე, ზოგად-აბსტრაქტული მიდგომები, რაც სიღრმისეულობასა და აკადემიზმს აკარგვინებს მას.

მოვლენების სიღრმისეული, კრიტიკული გააზრების პრობლემაა სამოქალაქო საზოგადოებაშიც, რომელიც, პრაქტიკოსი პოლიტიკოსების მსგავსად, პრობლემის გარე, ზედაპირულ ფაქტორებზე მსჯელობით უფრო იქცევს თავს, ვიდრე ჩვენს პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებს შორის რეალურად არსებული განსხვავებულობების ანალიზით.

**ქართველებმა უნდა ვალიაროთ, რომ აფხაზურ სეპარატიზმს, სუბიექტური ფაქტორებისა და „მესამე ძალის" წამქეზებლური პოლიტიკის გარდა, რიგი ობიექტური ფაქტორებიც ასაზრდოებდა.** მათ შორის მთავარი საკუთარ მიწაზე აფხაზების პროცენტული წილის შემცირებაა. და, არა აქვს მნიშვნელობა, რომ აფხაზთა რიცხოვნობის კატასროფულ შემცირებაში ქართველებს ყველაზე ნაკლებად მიგვიძღვის ბრალი, რომ თავის დროზე აფხაზთა მუჰაჯირობის წინააღმდეგ სწორედ ქართველებმა აიმაღლეს ხმა. აფხაზებისთვის მნიშვნელოვანი ის იყო, რომ საგრძნობ უმრავლესობაში (43 პროცენტი 18-ის წინააღმდეგ) ქართველები აღმოვჩნდით. მნიშვნელობა არც იმას აქვს, რომ აფხაზებთან ერთად ქართველები ამ მიწის ოდინდელი მკვიდრნი ვართ. აფხაზებმა ეს ფაქტი (პროცენტული სიმცირე) თავიანთი ეროვნული იდენტობის საფრთხედ აღიქვეს და ქართველთა, ანუ უმრავლესობის მიმართ აგრესიულად განეწყვნენ. მით უმეტეს, რომ დემოგრაფიული ვითარების შეცვლაში აფხაზები ქართველებს, კერძოდ – სტალინსა და ბერიას ადანაშაულებენ. მათი მტკიცებით, მე-20 ს-ის 30-40-იან წლებში ბერიამ ბოროტად ისარგებლა ძალაუფლებით და განახორციელა ქართველების ხელოვნური მიგრაცია აფხაზეთში. ზემოხსენებულ პერიოდში მიგრაციულ პროცესებს მთელ საბჭოთა კავშირში ჰქონდა ადგილი. მრეწველობის დაჩქარებული განვითარების შედეგად მთელი ქვეყნის მასშტაბით სწრაფად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა. აფხაზეთი გამონაკლისი ვერ იქნებოდა. სოხუმისა და მისი შემოგარენის, აგრეთვე, გაგრა-ბიჭვინთის ტურისტული ზონის განვითარებამ გაცი-

ლებით მეტი საწარმოო და დემოგრაფიული რესურსი მოითხოვა, ვიდრე ეს აფხაზეთს გააჩნდა. აფხაზეთის აგრარულ სექტორში სამუშაო ძალის ექსტენსიური ზრდა ჯერ კიდევ ამოწურული არ იყო. შესაბამისად, ამ ძალის სოფლიდან ქალაქში გადინების შესაძლებლობა არ არსებობდა. ამდენად, სოციალურ-ეკონომიკური, ტურისტული და ურბანისტული ცენტრების ახალმა კონფიგურაციამ ბუნებრივად განაპირობა მიგრაციული პროცესები აფხაზეთში. საკუთარი რესურსებით აფხაზებს ამ პროცესის წარმართვა არ შეეძლოთ. საჭირო იყო „ურბანისტული დონორის" ავტონომიური რესპუბლიკის გარედან მოზიდვა. სწორედ ურბანიზაციის კანონზომიერი ფაქტორი და არა სტალინ-ბერიას „ანტიაფხაზური ავი ზრახვები"იყო ამ პროცესის მთავარი განმაპირობებელი მიზეზი. რატომ უნდა გამოყენებულიყო არაქართული მიგრაციული პოტენციალი მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოში სამუშაო ძალის საკმაოდ დიდი რესურსი არსებობდა? და, თუნდაც, ეს პროცესი რესპუბლიკის გარედან მოზიდული ძალით განხორციელებილყო, რას შეცვლიდა ეს აფხაზებისთვის? ისინი ხომ ნებისმიერ შემთხვევაში უმცირესობაში მოსახვედრად იყვნენ განწირულნი!

საბჭოთა კავშირში მიგრაციული პროცესები გრძელდებოდა 50-70-იან წლებშიც, რამაც თავისი ასახვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დემოგრაფიულ ვითარებაზეც ჰპოვა.

და მაინც, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საბჭოთა პერიოდში აფხაზეთის დემოგრაფიულ ვითარებაში ცვლილებები არა ქართველების, არამედ სომხებისა და რუსების სასარგებლოდ განვითარდა. 1926-1989 წლებში აფხაზეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში რუსების პროცენტული წილი გაიზარდა 8-ჯერ (1,8 პროცენტიდან 14,3 პროცენტამდე), სომხების – 9,1-ჯერ (1,64-დან 14,6 პროცენტამდე), ხოლო ქართველების – მხოლოდ 1,2-ჯერ (35,8-დან 42,96 პროცენტამდე). აფხაზების წილი კი 1,4-ჯერ შემცირდა (25,6 პროცენტიდან 17,8 პროცენტამდე) [2, 28];

**ეს საბჭოური (და არა ქართული) სტატისტიკა მუჰაჯირობის გათვალისწინებით ნათლად მოწმობს, თუ ვის უნდა „უმადლოდნენ" აფხაზები უმცირესობაში მოხვედრას.**

**თუმცა აფხაზებს დღეს სწამთ, რომ ამ საქმეში მთავარი „დამნაშევე" საქართველოა. ეს მოცემულობაა და ამას ვერსად ნავუვალთ!**

ანტიქართულ და პრორუსულ განწყობას აფხაზებს ეკონომიკური და ენობრივი ინტერესებიც კარნახობს. აბა, წარმოვიდგინოთ: საქართველოს შემადგენლობაში მყოფ აფხაზს თავისი ციტრუსების

რეალიზაცია საბაჟო გადასახადის გარეშე მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე შეეძლება, სადაც მას აჭარის ციტრუსების ძლიერი კონკურენციის დაძლევაც მოუწევს. რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, ან მასთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირის პირობებში კი მას შეუძლია ბაჟის გარეშე თავისი მანდარინი ჩუკოტკაზე ჩაიტანოს და ზღაპრულ ფასში გაყიდოს.

ჰოდა, განა დიდი ჭკუა სჭირდება ამ ალტერნატივიდან თავისთვის უკეთესის ამორჩევას?

რაც შეეხება ენობრივ სფეროს: საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის შემთხვევაში აფხაზისთვის, მშობლიური აფხაზურის გარდა, ქართული ენის შესწავლაც სავალდებულო იქნება. მერედა, სად გამოიყენებს ამ ენას აფხაზი? ზუგდიდიდან ლაგოდეხამდე არეალში. რუსული ენის გამოყენების არეალი განუსაზღვრელად ფართოა. უზარმაზარ რუსეთს რომ თავი დავანებოთ, ეს ენა გამოდგება მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში.

დავუმატოთ ახლა ამას საუკუნეების განმავლობაში ერთობლივი ცხოვრების მანძილზე ერთმანეთისთვის უნებლიეთ თუ განზრახ მიყენებული წყენა, ის მედიდური დამოკიდებულება, რომელსაც ყოფით დონეზე, ცალკეული დაბალი შეგნების ქართველების მხრივ აფხაზების მიმართ ჰქონდა ადგილი და ა. შ.

**მგონი, სეპარატისტული განწყობის გაღვივებისთვის ზემოჩამოთვლილი მიზეზები საკმარისზე მეტიც კია..**

ამრიგად: ცხადზე-ცხადია, რომ **აფხაზურ სეპარატიზმს ასაზრდოებდა „მესამე ძალის“ მიერ წახალისებული, მაგრამ საკუთარი, შინაგანი მოტივები.**

ქართულ-აფხაზური შეიარაღებული დაპირისპირების 30 წლის შემდეგაც აფხაზებში ანტიქართული განწყობა ჭარბობს. აფხაზეთის ახალგაზრდა თაობა, რომელმაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ მხოლოდ გადმოცემებით იცის, ქართველების მიმართ ხშირად **უკიდურესად მტრულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს.** რუსულმა და სეპარატისტულმა პროპაგანდამ წლების განმავლობაში ქართველისგან მტრის ხატი შექმნეს, რამაც ღრმა კვალი დაამჩნია აფხაზი ახალგაზრდების ფსიქიკას. ბევრი აფხაზი ახალგაზრდა თვლის, რომ ქართველებთან მეგობრული ურთიერთობები გამორიცხულია. **„საკმაოდ ბევრი დავკარგეთ ამ ომში, რომ ვაპატიოთ. ქართველები ჩვენთვის არასასიამოვნონი არიან“** – ამბობენ ისინი.

ამის მიუხედავად, დღეს სულ უფრო მეტი აფხაზი აცნობიერებს ქართველებთან შერიგების აუცილებლობას.

აფხაზეთის სამოქალაქო საზოგადოება ვერ ეგუება იმას, რომ თვითგამოცხადებული აფხაზეთის სახელმწიფო ვერ შედგა. განვითარების ნანატრი პერსპექტივა კვლავაც ბუნდოვანი და მიუღწეველია. მოსახლეობას არ მოსწონს კლანურ-მაფიოზური მმართველობა, კორუფციის ზრდა მმართველობის ყველა დონეზე, საკუთარი ეკონომიკის და სოციალური ინფრასტრუქტურის არარსებობა, მასობრივი უმუშევრობა, დემოგრაფიული კატასტროფის რეალური საფრთხე, დაძაბული სამართლებრივი და კრიმინალური ვითარება, ვენესუელის, ნიკარაგუას, სირიის, ნაურუს და ტუვალუს გარდა სხვა სახელმწიფოთა მიერ აფხაზეთის არაღიარება და აქედან მომდინარე პრობლემები, სოციალური დაძაბულობის ზრდა, შობადობის შემცირება, ნარკომანიის აღზევება, ჯანდაცვის სისტემის სრული მოშლა, ახალგაზრდობის მასობრივი გადინება რუსეთში და სხვ.

იმის მიუხედავად, რომ აფხაზეთის ბიუჯეტის 70 პროცენტი რუსეთიდან ივსება, აფხაზთა საკმაოდ დიდი ნაწილისთვის დღეს უკვე მიუღებელია რუსეთის მიმართ მონურად მორჩილი კურსის გატარება. ამ ნაწილში სულ უფრო მძლავრობს იმის განცდა, რომ მათი გაჭივებული ყოფის სათავე რუსეთის პოლიტიკაა.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტის, ალინას თქმით, თანატოლებისგან განსხვავებით მას არ აქვს სიძულვილი სხვა ერების მიმართ. **„მე მქონდა შანსი, შევხვედროდი ახალგაზრდებს საქართველოდან და იცით რა, როგორც სჩანს, ისინი არაჩვეულებრივი ადამიანები არიან და ძალიან შორს დგანან ამ კონფლიქტებისგან. ყოველ შემთხვევაში ისინი, ვისაც მე შევხვდი, ძალიან მეგობრულები იყვნენ. ჩვენ დღემდე ვკონტაქტობთ სოციალურ ქსელებში“** – ამბობს ის. მისი აზრით, ერთ დღეს საქართველოსა და აფხაზეთს შორის კონტაქტები აღდგება. ის თაობა, რომელსაც ომი ჯერ კიდევ ახსოვს, წავა და უკვე მოდის ახალი თაობა, რომელიც თავისუფალი იქნება მძიმე ფსიქოლოგიური ტვირთისგან [3].

აფხაზებში ნდობის აღდგენას ემსახურება ქართული სახელმწიფოს მიერ 2008 წლის ომის შემდეგ გაკეთებული განცხადება, რომ საქართველოს კონფლიქტების მოგვარება მხოლოდ არაძალადობრივი მეთოდებით უნდა მოხდეს.

„გამარჯვებულ“ აფხაზ ახალგაზრდობას არც პრესტიჟულ

უმაღლეს სასწავლებლებზე აქვს წვდომა და არც სხვა – ნორმალურ ახალგაზრდულ გარემოსთან შეხების შესაძლებლობა. რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ხშირად გაისმის საჯარო პროტესტი ამის გამო. თუმცა ჯერ-ჯერობით უმრავლესობა ამას მაინც მალულად აკეთებს, მხოლოდ ერთეულები ბედავენ ხმამაღლა თქმას – და მაშინვე იქცევიან დევნის ობიექტად. **„ომმა ჩემს ოჯახს დიდი უბედურება მოუტანა. იმ პერიოდს მშვიდად დღემდე ვერ ვიხსენებ. მაგრამ ყველაფერი ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, მაფიქრებინებს, რომ სჯობდა, მაშინ სრულად გავეწყვიტეთ, ვიდრე სამი ათწლეულის შემდეგაც როგორც ერს, განადგურების საფრთხე გვედგას. ... მიმოიხედეთ – თითქმის მთელი კავკასია რუსული წნეხის ქვეშაა და ჩვენ რითი ვართ ჩვენს ჩრდილოეთკავკასიელ ძმებზე ძლიერები?! ჩემს სამშობლოსა და ხალხს განადგურება ელის, თუ რუსები სრულად ჩაგვიგდებენ ხელში, ყველაფერი კი, როგორც ჩანს, აქეთ მიდის. არ მინდა, მოვესწრო იმ დღეს, როცა ჩემი აფხაზეთი რუსეთის ტერიტორიად იქცევა... ისევ ის სჯობს, საქართველოს შემადგენლობაში შევიდეთ, ვიდრე რუსეთის. ქართველები ჩვენს უძველეს ენას მაინც არ დაგვიკარგავენ და ჩვენს ეთნოსს გადაშენებისგან დაიცავენ. რუსეთი კი მხოლოდ დაგვამცირებს, მოსპობს ჩვენს ტრადიციებს, ადათ-წესებს და საკუთარ სამშობლოში კვლავ განკვეთილებად გვაქცევს“,** – ამბობს ალისა [4]. **„პირადად მე რუსეთის არ მჯერა. როგორ შეიძლება, დავუჯერო მას, ვისაც სურს, წაგართვას ყველაზე ძვირფასი – სამშობლო, მამული, ენა?! ჩვენ მათთვის არარაობანი ვართ, ანგარიშსაც კი არ გვიწევენ. მაგრამ არც მე, არც ჩემი მეგობრები ვაპირებთ, რუსეთს ასე ადვილად ჩავბარდებით. დიახ, მასთან ომი – ეს ვარიანტი არაა, ასე, რომ გვიჯობს მშვიდობა ქართველებთან, ვიდრე პირისაგან მიწისა აღგვა. ასე იმის შანსი მაინც მოგვეცემა, რომ გადავრჩეთ, როგორც ერი. მით უფრო, რომ თავად საქართველო, რეალურად, არაა განწყობილი, გვეომოს, ხოლო ვინც საწინააღმდეგოს გვაჯერებს, ისევ იმ რუსული პროპაგანდის მსახურია, რომლითაც მრავალი წელია, ჩვენს „დამუშავებას“ ცდილობენ“.** – ეს სიტყვები კი აფხაზ ახალგაზრდას – დემურის ეკუთვნის [5] ის იმედს არ კარგავს, რომ **აფხაზეთი კიდევ არაერთი საუკუნის განმავლობაში იარსებებს – და არა როგორც რუსული უკანა ეზო ან აპენდიქსი, არამედ როგორც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი თავისი პოლიტიკური ინსტიტუტებით.**

საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ყაბარდო-ბალყარეთში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ხასის“ ხელმძღვანელი იბ-

რაგიმ იაგანოვი. მისი აზრით, **საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება დამლუპველი იქნება აფხაზებისთვის. თუ საქართველო აღიარებს აფხაზეთს, მაშინ ასევე მოიქცევა დანარჩენი მსოფლიოც. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში მსოფლიო მოითხოვს აფხაზეთის კონსტიტუციის საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას. ანუ, აფხაზებმა კონსტიტუციიდან უნდა ამოიღონ მუხლი აფხაზეთის პრეზიდენტად მხოლოდ აფხაზის არჩევის შესახებ. ეს კი ნიშნავს, რომ აფხაზი ველარასოდეს გახდება აფხაზეთის პრეზიდენტი. ამიტომ საჭიროა, რომ აფხაზებმა მოილაპარაკონ ქართველებთან [6].**

**"ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველომ შექმნა ნამდვილად სამართლებრივი სახელმწიფო, სადაც მუშაობს კანონი, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით აფხაზეთზე" – აცხადებს იბრაგიმ იაგანოვი Palitravideo.ge-ს ჟურნალისტთან საუბარში [7].**

კონფლიქტი ყველაზე იდეალურად მოწყობილ საზოგადოებაშიც შეიძლება მოხდეს. მთავარი ის არის, რომ საზოგადოებამ ამ კონფლიქტის ტრანსფორმაცია ისწავლოს. ამერიკელი მკვლევარის, **ჯონ პოლ რედერახის აზრით, კონფლიქტის მოგვარება რთული, მრავალსაფეხურიანი პროცესია, რომლის ერთ-ერთ საწყის ეტაპს სწორედ ტრანსფორმაცია წარმოადგენს.** კონფლიქტის მოგვარება მთელ რიგ „წითელ ხაზებთან" არის დაკავშირებული. მხარეებს შორის დიალოგი, არცთუ იშვიათად, შედის ჩიხში. მაგალითად, აფხაზებისთვის კონფლიქტის მოგვარება დამოუკიდებლობის მოპოვება და მისი საერთაშორისო აღიარებაა. მაშინ, როცა ქართველებისთვის კონფლიქტის მოგვარება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე გადის. ეს პროცესი აუცილებლად საჭიროებს მესამე მხარეს, ანუ მედიატორს. ჩვენს სინამდვილეში ეს მესამე მხარე, აფხაზების აზრით, რუსეთი უნდა იყოს, ქართველები კი მივიჩნევთ, რომ რუსეთი, მიკერძოებულობის გამო, მედიატორად ვერ გამოდგება. აფხაზებისთვის კი მიკერძოებული მხარე ქართველებისთვის მისაღები დასავლეთია.

კონფლიქტის მოგვარებისგან განსხვავებით, ტრანსფორმაცია გაცილებით მოქნილი მიდგომაა. ჩვენი კონფლიქტების შემთხვევაში, ერთი შეხედვით, გამოუვალი მდგომარეობის ფონზეც კი შესაძლებელია საერთო ხედვების მონახვა. ტრანსფორმაცია ორიენტირებულია პროცესზე და არა შედეგზე. მის დროს ყურადღება მახვილდება კონფლიქტში მყოფ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენისთვის საჭირო გარემოებებზე. მიუღწეველ შეთანხმებას ტრანსფორ-

მაცია ტრაგედიად არ აღიქვამს, ის არ ეძებს „დამნაშავეებს“, პრეტენზიებს არ უყენებს ოპონენტს და ა. შ. შესაბამისად, კონფლიქტის ტრანსფორმაციის შემდეგ ურთიერთნდობა იმატებს და თანაცხოვრებაც მარტივდება.

დღეს მსოფლიოში პოსტკონფლიქტურ საზოაგადოებებს შორის ნდობის აღდგენის და თანაცხოვრების უზარმაზარი გამოცდილებაა დაგროვებული. ჯერ კიდევ ესპანეთის სამოქალაქო ომის შემდეგ შეიმუშავეს ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა ცხოვრებაში დანერგვამ უზრუნველყო ორად გახლეჩილი ესპანური საზოგადოების მაქსიმალურად მოკლე დროში გამთლიანება. (ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო ორივე მხრიდან დაღუპული მებრძოლების ერთ სასაფლაოზე დაკრძალვა, სასაფლაოს შესასვლელში კი წარწერა: „ისინი ესპანეთისთვის იბრძოდნენ).

ჩვენ უნდა ვეძებოთ ქართველებს და აფხაზებს შორის სახელმწიფოებრივი ურთიერთობების ახალი ფორმები. დღეს მსოფლიოში ამ მხრივ უზარმაზარი გამოცდილებაა დაგროვებული. უნდა შევისწავლოთ ეს გამოცდილება, მაგრამ ბრმად კი არ უნდა გადმოვიღოთ იგი, არამედ მოხერხებულად შევუხამოთ ადგილობრივ პირობებს და მოვარგოთ ჩვენს სპეციფიკას.

რაც მთავარია, ორივე მხარეს უნდა გვახსოვდეს: **პოლიტიკა კომპრომისების ხელოვნებაა!**

## დამოწმებული ლიტერატურა:


1. „აფხაზეთი, ისტორია და პოლიტიკა“ თბილისი, 2008,
2. „დემოგრაფიული პროცესები სსრკ-ში 20-30-იან წწ. თანამედროვე საზღვარგარეთის ისტორიოგრაფია“ მოსკოვი, 1991, რუს. ენაზე;
3. (https://oc-media.org/apkhazi-akhalgazrdebi-sakartvelostan-momavali-ar-gvakvs/)
5. FILEDUNDER: GEORGIANTAGGEDWITH: აფხაზეთი, ახალგაზრდები, სოხუმი
6. https://www.facebook.com/watch/?v=241364211179532 (16.08.2021).
7. https://www.facebook.com/watch/?v=412293650284689 (12.08. 2021).

**Ucha bluashvili**
*PhD in Science of History, Professor of Samtskhe-Javakheti State University*

## Georgian-Abkhazian conflict
## Looking for ways to adjust

### Summary

It gradually becomes more and more obvious that the sensation of inevitability of restoring the normal interrelations between the Georgian and Abkhasian societies clearly grows up. Georgians as well as Abkhasians have no other motherland. We cannot go away from our native countries; we, people of the both nations, want to live here and it is our destiny. Thus, it can be said that the time of restoring our peaceful relations comes nearer, no matter how hard it can seem and it is really very hard, but we ought to restore bridges.

What can be imagined as the beginning or as the first step of this inevitable process? We think that we should emphasize the western democratic values which can be useful for both of the nations in the sense of more democratic and peaceful societies. We should underline that all the kinds of the western world's progress will be available for both of our nations– Georgia and Abkhazia equally. But at the same time, it is clear that we cannot focus only on the future without critical talks and understanding of our nearest past; without such talks everything will turn to be useless. We should begin with understanding of our own mistakes, we should also be critical about the mistakes of the other side as well, because the process of returning to the good relations with our nearest neighbors must involve the critical and self-critical approaches. First of all, we should speak about the mistakes of the both sides and then after obtaining the mutual understanding, that is why it is important to remember that besides the separatism from the Abkhazian side and other mistakes, we should discuss our own mistakes which caused activation of the separatist movement which from its turn, was backed by the „third force" or the „third side." The talks about

reconciliation should be begun by talks about our own mistakes which also sped up some unwanted processes with the hard results. Mutual talks always should imply criticism not only towards the other side but to our own side as well. Our mistakes also contain the factor which has promoted the separatism movement. Only such honest and critical approaches from the both sides can give useful results in the process of reconciliation and mutual forgiveness. We should admit our mistakes too which became supporting factors for separatist movement.

One of the serious problems which became destructing factor on the way towards regulation work on the separatist problems is the lack of coordination between the scientific analysis and the practical political work. The practical policies which lack the scientific ground always is inflexible and rude and on the other side, political talks only, without coordination between the practical and scientific political approach remains only general and abstractive in its nature. The first step towards reconciliation of the conflict always should be such ways as transformation of the views in the process of looking for the mutual understanding.

In today's world, there is a great amount of the facts of reconciliation of the conflicts and it should be our goal to learn the experiences of the number of other countries in the world and to fit these experiences to our country's specifics.

**მერაბ კალანდაძე**
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

# სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში

წინამდებარე ნაშრომი, როგორც სათაურიდანაც კარგად ჩანს, ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს გამოარკვიოს ერთი კონკრეტული საკითხი: სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991). ფაქტობრივად ეს გახლავთ ქართული მედიევისტიკის ისტორიის ერთი საინტერესო სეგმენტი, რომელიც დღემდე სრულიად ხელუხლებელია, პროფ. ბორის პორშნევის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქალწულებრივ თემას" წარმოადგენს. მას ქართული კონტექსტი გააჩნია. ეს სიახლეა და ამ თემის დამუშავების პირველ მცდელობად გვევლინება. ის ჩვენ მიერ ჩაფიქრებული დიდი მონოგრაფიის „სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლა საქართველოში" ერთი შემადგენელი ნაწილია.

უნდა დავიწყოთ საბჭოთა ისტორიოგრაფიის შეფასებით. ეს საკმაოდ სენსიტიური თემაა და მისი გამორკვევა ადვილი არ იქნება. საკითხი არის პრინციპული. მის მეცნიერულ გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა გააჩნია და ხელს შეუწყობს ამ თემის კვლევის მეცნიერული გზით წარმართვას. დაგვეხმარება მისი ადეკვატური სურათი წარმოვაჩინოთ. ეს საკითხი საბჭოთა წლებში იყო ძალზე პოლიტიზებული და იდეოლოგიზებული. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ, გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და მისი განხილვა პოლიტიკური განსჯის სფეროდან აკადემიური მსჯელობის საგნად გვექცია.

როგორ შეიძლება შევაფასოთ საბჭოთა პერიოდის ქართული

ისტორიოგრაფია? ერთმნიშვნელოვნად დადებითად ან უარყოფითად შეფასება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკმარისი არ იქნებოდა. მან საინტერესო სახეცვლილება, ევოლუცია განიცადა, რომელიც აშკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული აქვს. ის პირობითად, ორ მონაკვეთად იყოფა, რომელთა შორის პრინციპული განსხვავება არსებობს. ცხადია, საუბარია საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდზე. ერთ შემთხვევაში ვარდისფერები ჭარბობს, მეორეში კი უფრო მუქი ფერები დომინირებს.

არსებითად, საქმე ეხება საკითხის პერიოდიზაციას. ამ თემის წინ წამოწევა და განხილვა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. საბჭოთა პერიოდში, ბუნებრივია, პრიორიტეტული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიის აპოლოგეტური შეფასება. ეს არცაა გასაკვირი. ამგვარი კონიუნქტურული დამოკიდებულება სავსებით შეესატყვისებოდა იმ ეპოქის სულისკვეთებას. დღეს, ცხადია, ამგვარი ტონი მოძველებულია, ისტორიის განვლილი ეტაპია. ეს იყო ერთი უკიდურესობა. არსებობს საშიშროება, რომ ერთი უკიდურესობიდან მეორეში შეიძლება ამოვყოთ თავი. საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი ხისტი დამოკიდებულება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ამუქებს საქმის ვითარებას. ხელს არ უწყობს ამ რთულ საკითხზე ადეკვატური წარმოდგენის ჩამოყალიბებას, „ნაბან წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ“. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. მაშინ, ბუნებრივია, ისმის კითხვა, სად არის გამოსავალი? გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. უნდა გამოვნახოთ ეს საშუალედო გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შევეცადოთ, შეძლებისდაგვარად ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები. ამის გაკეთება სულაც არ იქნება ისეთი ადვილი საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, მაგრამ თუ გვინდა, ობიექტურები ვიყოთ საბჭოთა ისტორიოგრაფიის შეფასებისას, სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს.

დავიწყოთ იმით, რომ ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის უგულებელყოფა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. სასწავლო-საცნობარო ლიტერატურაში თავმოყრილია საკმაოდ მდიდარი, მეცნიერული ინფორმაცია, საინტერესო ფაქტობრივი მასალა. ეს ცხადია, ძალიან კარგია. მას მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. ეს

ერთი პლუსია. მეორე დადებით მხარეს წარმოადგენს საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. ის კვლავ ძალაში რჩება. მაგრამ, საბჭოთა წლებში მან ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში იქნა მოქცეული. ფაქტი მისაღებია, მაგრამ მარქსისტული მიდგომა მიუღებელია, მოძველებულია. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. მოხდა ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია, უნიფიკაცია. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ საკითხისადმი ვიწროდოგმატური, მარქსისტულ-ლენინური, მიდგომა გამოცხადდა უკანასკნელ ჭეშმარიტებად. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო, უმალ ცხადდებოდა ცრუმეცნიერულად. იწყებოდა ხელების გადაგრეხის ესოდენ ნაცნობი სურათი. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს პროფ. უშანგი სიდამონიძის სადოქტორო დისერტაციის – „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917-1921 წწ.)“ [1] – ირგვლივ ამტყდარი არაჯანსაღი აჟიოტაჟი [2; 3], ამიტომ მოსაზრება, თითქოსდა საბჭოთა წლებში მეცნიერება არ განიცდიდა რაიმე ზეწოლას სახელმწიფოს მხრიდან, მეტად პრიმიტიულად, მიამიტურად გაისმის და არ შეესატყვისება რეალობას. ისტორიულ მეცნიერებას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები სწორედ აქ ძევს. ბოლოს და ბოლოს მან ლეტალური, ანუ სასიკვდილო, ხასიათი მიიღო [4].

მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დამკვიდრება სულაც არ ატარებდა ისეთ უმტკივნეულო ხასიათს, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიხატავდნენ. პირიქით, ადგილი აქვს სახელმწიფოს მხრივ უსასტიკეს რეპრესიებს, რომელსაც ისტორიაში ანალოგი ძნელად თუ მოეძებნება და ამაზე თვალის დახუჭვა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

აქვე უნდა შევეხოთ კიდევ ერთ აქტუალურ თემას, რომელიც დაგვეხმარება უფრო მეტი სიცხადე შევიტანოთ აღნიშნულ საკითხში. ჩვენ ბრალს ვდებთ არა რომელიმე ცალკეულ ისტორიკოსს, ეს სამართლიანი არ იქნებოდა, არამედ ტოტალიტარულ-ბოლშევიკურ რეჟიმს. ეს იყო სისტემური დანაშაული. სახელმწიფო, მბრძანებლური ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებით, აქტიურად ერევა მეცნიერის საქმიანობაში და ცდილობს, ძალით მოახვიოს თავს სახელმწიფოსთვის სასურველი იდეოლოგია. ფაქტობრივად, ართმევს

ან უკეთეს შემთხვევაში უზღუდავს მეცნიერს აზროვნების თავისუფლებას. ეს კი, ცხადია, დაუშვებელია. ამის უარყოფა საბჭოთა ისტორიგორაფიაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებს.

მარქსისტული სტერეოტიპების და შტამპების გამო ქართველი ისტორიკოსების შრომების მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული". ვფიქრობთ, ეს ყველაზე უფრო ადეკვატური შეფასებაა [4]. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გაუფერულება ამის ლოგიკური გაგრძელება იყო. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ჩრდილი მაინც დომინირებდა შუქზე. ეს იყო სწორი გზიდან გადახვევა, ჩავარდნა. ისინი ირჩევდნენ სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას და მას მარქსისტული პოზიციებიდან განიხილავდნენ. ამ გზით მაშინ ძალიან ბევრი მიდიოდა და ეს იმ ექსტრემალური ვითარებიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა. არჩევანი იყო ცუდსა და უარეს შორის. ქართულმა ისტორიოგრაფიამ ფსონი პირველზე დადო. ეს იყო სწორი ნაბიჯი, რომელმაც გადაარჩინა დარგი დაღუპვისაგან, რისი ალბათობაც არსებობდა. თუ ამ შრომებს მარქსისტულ გარესამოს ჩამოვაშორებთ, მასში ღირებული მაინც რჩება და სწორედ ეს ფასეული უნდა გახდეს მეცნიერული განსჯის საგანი. ემპირული, ფაქტობრივი, მასალა საინტერესოა. მისი მარქსისტული ინტერპრეტაცია მოძველებულია. გზა უკან მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიისაკენ არ არსებობს. ეს ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღეა. ჩვენ ეს თემა ასე გვესახება.

***

საბჭოთა პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლებისდაგვარად წაეწია წინ საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. ის, უმთავრესად, სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებდა და, ძირითადად, ასახვა პოვა სასწავლო-საცნობარო ლიტერატურაში, საშუალო სკოლისა და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებში. პოპულარიზაციის არეალი გაფართოვდა. ახლა მასში ჩართული აღმოჩნდა საუნივერსიტეტო სა-

ხელმძღვანელოები, რომლის შექმნა ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჰქონდათ ჩაფიქრებული, მაგრამ, ჩვენთვის კარგად ნაცნობი მიზეზის გამო, ამ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოასწრეს.

სწორი არ იქნებოდა წარმოგვედგინა, თითქოს საბჭოთა სახელმძღვანელოები ამ ჩანაფიქრის გაგრძელება იყო. სინამდვილე სულ სხვაგვარია. საბჭოთა წლებში ამ საშურმა საქმემ სულ სხვა მიმართულება შეიძინა, ვიდრე ეს ჰქონდათ ჩაფიქრებული დამოუკიდებელ საქართველოში. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ხოლო მეორე შემთხვევაში საკითხისადმი მიდგომა მეცნიერული, მაგრამ ძალზე პოლიტიზებული და იდეოლოგიზებული იყო. ქართული ისტორიოგრაფიის ამ ორ მონაკვეთს შორის ერთ-ერთი მთავარი განსხვავება, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. თავისუფალი აზროვნება, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა, პროგრესულ-ლიბერალური ღირებულებები ჩაანაცვლა ერთმა, ვიწროდოგმატურად გაგებულმა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატმა. პირველი მიდგომა გაცილებით უფრო მეცნიერული და პროგრესული იყო, ვიდრე მეორე.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991) სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის მნიშნელოვანი საკითხების გაშუქება პირობითად სამ მონაკვეთად იყოფა. ის იწყება 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებით, რომელმაც სულაც არ შეასრულა ისეთი დადებითი როლი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში, როგორც ეს დიდი ხნის განმავლობაში ეგონათ. დღეს საბჭოთა მიდგომა ჩამოიშალა. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში 1921 წლის მნიშვნელობის ამგვარი გააზრება ისტორიული მეცნიერების განვლილი ეტაპია.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მნიშვნელოვანი მიჯნა ჩანს 30-იანი წლების შუა ხანები. ადგილი აქვს ისტორიული მეცნიერების სტალინიზაციას, უნიფიკაციას. მყარდება ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია. 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება „სტალინური ხანა“, რომელმაც გასტანა 1953 წლამდე, მის გარდაცვალებამდე. აქ მთავრდება მეორე მონაკვეთი და იწყება მესამე ეტაპი, რომელიც გრძელდება 1991 წლის დეკემბრამდე, როდესაც საბჭოთა კავშირი

დაიშალა, თავის მხრივ ის კიდევ იყოფა ორ ქვეპერიოდად „დათბობის ხანად“ და „უძრაობის პერიოდად“.

***

დავიწყოთ იმით, რომ თავდაპირველად საბჭოთა კავშირში განხორციელდა ექსპერიმენტი. ეს იმით გამოიხატა, რომ უარი თქვეს სკოლაში ისტორიის სწავლებაზე და შემოღებული იქნა ახალი საგანი, საზოგადოებათმცოდნეობა. ეს იყო ისტორიის, ფილოსოფიის და პოლიტეკონომიის ერთგვარი ნაზავი. ისტორიის სწავლებამ უკანა პლანზე გადაინია. ამ ექსპერიმენტმა სრული ფიასკო განიცადა. მასზე თვით საბჭოთა ხელისუფლებამ განაცხადა უარი. ეს იყო სწორი ნაბიჯი. 30-იან წლების შუა ხანებში სკოლაში აღდგა ისტორიის სწავლება. ეს შეუსაბამობა გასწორდა [5; 6]. ჩვენი აზრით, ეს მონაკვეთი 1921 წლიდან 30-იანი წლების შუა ხანებამდე ქართული მედიევისტიკის განვითარების ოპტიმალურ ხანად შეიძლება მოვიაზროთ (7, 197; 8, 51-68].

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს პროფ. გრიგოლ ნათაძის ორი წიგნი: „დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია“. პირველი გამოვიდა 1926 წელს, ხოლო 1933 წელს ზუსტად ამ სათაურით გამოვიდა მეორე წიგნი [9; 10]. დაზუსტებას საჭიროებს პროფ. ალექსანდრე ნამორაძის მოსაზრება, თითქოს ეს სახელმძღვანელოები იყო [11, 376]. ჩვენი აზრით, ეს შეიძლება ძალიან ხმამაღალი ნათქვამი გამოდგეს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საქართველოში „შუა საუკუნეების ისტორიის“ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის პირველ მცდელობასთან, რაც ქართული მედიევისტიკის წინაშე პროფ. გრიგოლ ნათაძის ერთ-ერთ დამსახურებას წარმოადგენს [8]. ვფიქრობთ, ეს უფრო სწორი იქნება. აქ კარგად შეინიშნება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ შემორჩენილი თავისუფალი აზროვნების უკანასკნელი მბჟუტავი სხივი, ამიტომ ეს მონაკვეთი ამ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ოპტიმალურ ხანად შეიძლება იქნას მოაზრებული, მისი პირველი ეტაპია.

დავიწყოთ წიგნის სათაურით. ის არაა შემთხვევითი და მასში გარკვეული შინაარსია ჩადებული. როგორც ხედავთ, მას ჰქვია არა შუა საუკუნეების ისტორია, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არამედ „დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია“. ამაში გასაკვირს ვერაფერს ვხედავთ და იმ პერიოდში არსებული რეალური ვი-

თარების გამოძახილი უნდა იყოს, როდესაც ისტორიის სწავლება ჩაანაცვლა საზოგადოებათმცოდნეობამ. ტერმინი შუა საუკუნეები სადღაც გაქრა, გაუჩინარდა, თითქოსდა არც კი არსებობდა, და ის ჩაანაცვლა „ფეოდალიზმის ისტორიამ", რომელიც აშკარად არ არის ექვივალენტური შუა საუკუნეების ისტორიის. ის უფრო ფართო მცნებაა, ვიდრე ფეოდალიზმის ისტორია. საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეხს იკიდებს საკითხისადმი ვიწრო ფორმაციული მიდგომა, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს მთელს საბჭოთა ისტორიოგრაფიას. შუა საუკუნეების ისტორიისათვის დამახასიათებელია მრავალწყობიანობა, რომლის ვიწროფორმაციული მიდგომის ჩარჩოებში მოქცევას შეეცადა საბჭოთა ისტორიოგრაფია, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვიდა. დღეს ამგვარი მიდგომა მოძველებულია, ჩამოიშალა. ის ქართული მედიევისტიკის წარსულთან უფრო ასოცირდება, ვიდრე მომავალთან. დღეს ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს სხვა გზით წავიდეს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ძველი ინერცია ჯერ ისევ ძლიერია და ბოლომდე დაძლეული არაა [12; 13].

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იწყება სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის აქტუალური თემებით გრიგოლ ნათაძის დაინტერესების მეორე პერიოდი. ის საბჭოთა რეალობასთან ასოცირდება და თავდაპირველი გზის გაგრძელებად ძნელია მივიჩნიოთ. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს მისი წიგნი „ინგლისის მოკლე ისტორია" [14], რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში გამოვიდა 1919 წელს. თავდაპირველად ის ისტორიის სოციოლოგიური გაშუქების მომხრე იყო და „ეკონომიკური მატერიალიზმის" პოზიციებზე იდგა. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არსებითად შეიცვალა ვითარება და ეს იმით გამოიხატებოდა, რომ გრიგოლ ნათაძე ცდილობს „ეკონომიკური მატერიალიზმიდან" მარქსიზმისაკენ ევოლუციას. ამ ორი პერიოდს შორის მთავარი განსხვავება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს [8, 45-81].

ორივე სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, ის შეეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს ვიკინგების შემოსევებს, მაგრამ მასზე საგანგებოდ არ ჩერდება და განიხილავს ინგლისის და საფრანგეთის ისტორიასთან კავშირში. აქ იგი აგრძელებს „ინგლისის მოკლე ისტო-

რიაში“ წამოჭრილ საკითხს, თუმცა ამას აკეთებს განსხვავებულ პოლიტიკურ გარემოში, რაც აისახება მის შემოქმედებაში.

პროფ. ალექსანდრე ნამორაძე ფიქრობს, რომ ეს არის ორი სახელმძღვანელო [11, 377]. სინამდვილეში, ეს არის ერთი სახელმძღვანელო. მეორეში პირველი ნაწილი მეორდება და თემატურად უფრო მრავალფეროვანი გახდა. ჩვენ ის მიგვაჩნია ერთ სახელმძღვანელოდ, რომელმაც თემატური გაფართოვება განიცადა, და არა ორ სახელმძღვანელოდ.

სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო საკითხებით დაინტერესებამ სულ სხვა ხასიათი შეიძინა და სხვა მიმართულება მიიღო. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი და, უწინარესად, პოლიტიკურ ფაქტორებთან ასოცირდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსხვავება პრინციპულ ხასიათს ატარებდა და ამაზე თვალის დახუჭვა აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას როდი ჩამოგვიყალიბებდა. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ამ განსხვავებამ ყველაზე უფრო რელიეფურად იჩინა თავი ნორმანისტულ თეორიასთან მიმართების საკითხში. გასაბჭოებამდე ქართული ისტორიოგრაფია იზიარებდა ნორმანისტულ თეორიას, რაც ამ თემაზე მათი მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გამოძახილს წარმოადგენს [15; 16; 17; 18; 19, 49].

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში „ნორმანისტულ თეორიაზე“ მინიშნებაც კი არაა. იგი სადღაც გაქრა. ეს არცაა გასაკვირი. უმთავრესად, ი. სტალინის ძალისხმევით, საბჭოთა ისტორიოგრაფია კატეგორიულად უარყოფდა ნორმანისტულ თეორიას. ამგვარი მიდგომა მეცნიერულად დაუსაბუთებელია და ურაპატრიოტიზმის მორიგი გამოვლინებაა. ნორმანისტული თეორიის უგულებელყოფა ფაქტებზე ძალმომრეობის, თვითნებობის შედეგს წარმოადგენს, რომელიც დამახასიათებელი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისთვის. მის მთავარ სულისჩამდგმელად ი. სტალინი გვევლინება. ნორმანისტული თეორიის უგულებელყოფის გამოძახილი შეინიშნება პროფ. გრიგოლ ნათაძის ორივე წიგნში.

როგორც ძველი რუსული მატიანე „გარდასულ დროთა ამბავი“ გვამცნობს, ერთ-ერთი შინააშლილობის დროს სლავებმა, რომლებიც მოსახლეობდნენ ნოვგოროდის ტერიტორიაზე, მიმართეს ვარი-

აგებს (ასე იხსენიებდნენ რუსული წყაროები ნორმანებს): „ქვეყანა ჩვენი დიდი და უხვია, მაგრამ წესრიგი აქ არ არის, მოდით იმთავრეთ და გვეუფლეთ ჩვენ“. ამ თხოვნის საფუძველზე მათი ერთი თავკაცი რიურიკი გამოჩნდა რუსეთში. რუსული წყაროს მიხედვით, სწორედ, ის მოგვევლინა რუსეთის მთავართა დინასტიის ფუძემდებლად. ასე გაჩნდა რუსეთის წარმოშობის „ნორმანისტული თეორია“, რომელსაც ბევრი მეცნიერი იზიარებდა. 1918-1921 წლებში გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შემდეგ ეს ნამდვილად არ იყო წინგადადგმული ნაბიჯი, თავდაპირველი გზის გაგრძელება.

უახლესმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ ამ საკითხის სავსებით სამართლიანად გადახედა და აღადგინა სამართლიანობა. ეს სწორი ნაბიჯი იყო, რაც ამ თემაზე მათი მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია [20, 71; 21, 64)

წმინდა კონცეპტუალური თვალსაზრისით, გრიგოლ ნათაძის ორივე წიგნი „ინგლისის მოკლე ისტორიაში“ დასმული ხაზის, საკითხის გადაწყვეტის, გაგრძელებად გვევლინება. განსხვავება მხოლოდ იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ საბჭოთა პერიოდში ის ცდილობს „ეკონომიკური მატერიალიზმიდან“ მარქსიზმისაკენ ევოლუციას. ეს სიახლეა. ის პოლიტიკური კატაკლიზმებით გახლდათ გამოწვეული და საქართველოს გასაბჭოებასთან უნდა ასოცირდებოდეს.

ორივე წიგნში გრიგოლ ნათაძის დამოკიდებულება აღნიშნული თემისადმი მეტად უცნაურია და თავისებურ ხასიათს ატარებს. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ იყო, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. ამის მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, მის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. პირველ შემთხვევაში ის, როგორც აღვნიშნეთ, საკითხის სოციოლოგიური გაშუქების მომხრე იყო და „ეკონომიკური მატერიალიზმის“ პოზიციებზე დგას, მეორე შემთხვევაში მან, უმთავრესად, პოლიტიკური ქარტეხილების გამო, გარკვეული სახეცვლილება განიცადა, რაც, უწინარესად, იმით გამოიხატებოდა, რომ ის ცდილობს „ეკონომიკური მატერიალიზმიდან“ მარქსიზმისაკენ ევოლუცას. აღსანიშნავია, რომ ეს ტენდენცია ლაიტმოტივად გასდევს მთელ მის შემოქმედებას [8, 48-81]. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით იყო განპირობებული, რომ ორივე წიგნში მთავარი აქცენტი კეთდება სოციალ-ეკონომიკური ისტორიის გაშუქებაზე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მისი მსჯელობის დადე-

ბით მხარეს წარმოადგენს. ეს არის მედლის ერთი მხარე. რა თქმა უნდა, მას გააჩნია მეორე მხარე, რომლის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და აღნიშნული საკითხის გაშუქების საქმეში მის წვლილზე ამომწურავ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. ყველაფერმა ამან განსაზღვრა პოლიტიკური ისტორიისა და კულტურისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია [8, 56]. ეს მხარე გაშუქებულია შედარებით უფრო სუსტად, მკრთალად.

ახლა უნდა შევეხოთ კიდევ ერთ პრინციპულ საკითხს, იმ განსხვავებას, რომელიც გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდეგი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას შორის არსებობს და ისტორიაში პიროვნების როლთანაა დაკავშირებული.

გასაბჭოებამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში მეფეების, პირველ რიგში კი, ალფრედ დიდის და კანუტ დიდის მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს და ისტორიაში პიროვნების როლის გაცნობიერების ლოგიკური შედეგია. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. ისტორიაში პიროვნების როლისადმი გრიგოლ ნათაძის მიდგომა პოლიტიკური ისტორიისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების ლოგიკური გაგრძელებაა. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამითაა განპირობებული, რომ ორივე წიგნში ალფრედ დიდის და კანუტ დიდის მოღვაწეობა გაშუქებულია მეტად სუსტად, მკრთალად და გარკვეული უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა, რაც ისტორიაში პიროვნების როლის შეუფასებლობის გამოძახილია. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი და მისი მიზეზი გრიგოლ ნათაძის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ჩვენი აზრით, საქმე უნდა გვქონდეს გრიგოლ ნათაძის ესერული მრწამსის და მარქსიზმის კვეთასთან. ეს საკითხი სწორედ ასე გვესახება.

ამ თემაზე პროფ. გრიგოლ ნათაძის მსჯელობის დადებით მხარედ მიგვაჩნია: ის იზიარებდა ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ შეხედულებას დანიელთა შემოსევების პერიოდიზაციაზე. ის მას ორ ეტაპად ყოფს. პირველი მონაკვეთი მოიცავს VII-VIII საუკუნეებს და ხასიათდება ცალკეულ სამეფოებს შორის მეტოქეობით, ქიშპით, პირველობისათვის ბრძოლით, რაც გარეშე მტრისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ნორმანები თავს ესხმოდნენ ინგლისს, მაგრამ აქ არ რჩებოდნენ. მეორე ეტაპი მოიცავს IX-XI საუკუნეებს, როდესაც მიმდინარეობს ანგლო-საქსების სა-

ხელმწიფოს კონსოლიდაციის პროცესი. ნორმანები ცდილობდნენ ინგლისში ფეხის მოკიდებას და დამკვიდრებას. [9, 24; 10, 46]. აღსანიშნავია, რომ დანიელთა შემოსევებს მხოლოდ ნეგატიური შედეგები არ მოყოლია. მას გააჩნდა დადებითი მომენტები. „დანიელთა დაპყრობებმა მძლავრი სტიმული მისცა ანგლო-საქსების სახელმწიფოს კონსოლიდაციის პროცესს. ხელი შეუწყო მის გაერთიანებას" [9, 28; 10, 49). პროფ. გრიგოლ ნათაძეს, ვფიქრობთ, კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ქვეყნის გაერთიანების საქმეში საგარეო ფაქტორის პოზიტიური მნიშვნელობა. რომელსაც საბჭოთა ისტორიოგრაფია სრულიად უგულებელყოფდა და სოციალ-ეკონომიკურ ისტორიაზე აკეთებდა აქცენტს. ჩვენი აზრით, გრიგოლ ნათაძის მიდგომა არ იყო შემთხვევითი და მასში, პირველ ყოვლისა, საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ შემორჩენილი თავისუფალი აზროვნების უკანასკნელი მბჟუტავი სხივი მოჩანს. ეს ამ თემაზე გრიგოლ ნათაძის მსჯელობის კიდევ ერთი პლუსი გახლდათ.

ამრიგად, პროფ. გრიგოლ ნათაძემ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის, აქტუალური საკითხების პოპულარიზაციის საქმეში. ეს ქართული მედიევისტიკის წინაშე მის ერთ-ერთ დამსახურებად მიგვაჩნია. ამის გვერდის ავლა, ამ სფეროში გრ. ნათაძის მიერ შეტანილ წვლილზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის.

შუა საუკუნეების ისტორიის საზოგადოებათმცოდნეობის პოზიციებიდან გაშუქების მცდელობას წარმოადგენს ა. გუკოვსკის და ო. ტრახტერნბერგის საშუალო სკოლის სახელმძღვანელო, ანალოგიური სათაურით „ისტორია ფეოდალიზმის ეპოქისა" [22]. ფაქტობრივად, მოხდა მარქსიზმის ვულგარიზაცია, რომელსაც ავთენტურ მარქსიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა. ამგვარი მიდგომა აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. სახელმწიფო ცდილობს ჩაერიოს მეცნიერების საქმიანობაში და ძალით მოახვიოს თავს მისთვის სასურველი იდეოლოგია. ეს იყო საბჭოთა, უფრო კონკრეტულად, სტალინური სტილი. ცხადია, ეს მიუღებელია. სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს მეცნიერების საქმიანობაში.

ამით ფაქტობრივად მთავრდება ქართულ მედიევისტიკაში აღნიშნული საკითხის გაშუქების ერთი ეტაპი, რომელიც, ჩვენი აზრით, საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის განვითარების ოპტიმალურ ხანად შეიძლება მოვიაზროთ. ეს იმით გამოიხატება,

რომ თავისუფალი აზროვნების უკანასკნელი შუქი ჯერ კიდევ შეინიშნება და საბოლოოდ არ ჩამქრალა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. იწყება მეორე ეტაპი, რომელიც პირველის შემდეგ, რა თქმა უნდა, წინგადადგმულ ნაბიჯს არ წარმოადგენს და ის, პირველ ყოვლისა, ისტორიული მეცნიერების სტალინიზაციასთან, უნიფიკაციასთან, უნდა ასოცირდებოდეს.

საბჭოთა ხელისუფლებამ სავსებით სამართლიანად თქვა უარი ამ ექსპერიმენტზე და აღადგინა სკოლაში ისტორიის სწავლება. ეს იყო სწორი ნაბიჯი, მაგრამ მთელი ეს პროცესი მთავრობის, კონკრეტულად კი ამხანაგ ი. სტალინის, მკაცრ კონტროლს დაექვემდებარა. ადგილი აქვს ისტორიული მეცნიერების სტალინიზაციას, უნიფიკაციას. ყველაფერი იმართებოდა ცენტრიდან. ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნის იდეა უკვე აღარ იყო უწინდებურად აქტუალური. საკითხისადმი მარქსისტულ-ლენინური მიდგომა გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. მყარდება ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია. მისი ყველაზე უფრო უარესი დოგმატური-ორთოდოქსული, საბჭოთა-ბოლშევიკური, ლენინურ-სტალინური ფორმით. ეს ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება დაედო საფუძვლად შუა საუკუნეების ისტორიის სწავლებას საბჭოთა პერიოდის ქართულ სკოლაში და მეცნიერულ კვლევას. მისი გამოძახილი, რა თქმა უნდა, თავს იჩენს სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების აქტუალური თემების გაშუქების დროს. ეს იყო სტალინური ხანა, რომელმაც გასტანა ი. სტალინის გარდაცვალებამდე, 1953 წლამდე. ეს იყო ქართული მედიევისტიკის განვითარების ყველაზე უფრო რთული და მძიმე მონაკვეთი. ამ ხანაში ღირებული პრაქტიკულად ძალიან ცოტა გაკეთდა. ეს არ იყო შემოქმედებითი საქმიანობისათვის საუკეთესო წლები. ამიტომ საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის განვითარების შელამაზებულად, ვარდისფერებში წარმოდგენა, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და დარგის განვითარების ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს [23].

ამგვარი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური მიდგომის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად, შუა საუკუნეების ისტორიის, კონკრეტულად, სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდიზაცია მიგვაჩნია. უმთავრესად ი. სტალინის ძალისხმევით ყველაფერი თავდაყირა იქნა დაყენებული. სტალინური

პერიოდიზაციის თანახმად, შუა საუკუნეების ისტორია, მათ შორის, ბუნებრივია, სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორია, სრულდებოდა XVIII საუკუნის მიწურულს, საფრანგეთის რევოლუციის დაწყებით. ამგვარ მიდგომას საფუძვლად ედო წმინდა ფორმაციული პრინციპი. შუა საუკუნეების ისტორია დაკავშირებული იყო ფეოდალიზმის განვითარებასთან [24].

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ცნობილი ისტორიკოსების პროფ. ალექსანდრე უდალცოვის, აკად. ევგენი კოსმინსკი და პროფ. ოსიპ ვაინშტაინის, რედაქციით გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რომელიც უმალ ითარგმნა ქართულ ენაზე. პირველი ნაწილი გამოვიდა 1947 წელს, ხოლო მეორე კი 1949 წელს. აქ სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის თხრობა, ბუნებრივია, მიყვანილია XVIII საუკუნის მიწურულამდე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაწყებამდე [25, 490-498]. რა თქმა უნდა, არავინ უარყოფს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიულ მნიშვნელობას. ეს, ბუნებრივია, აბსურდული იქნებოდა, მაგრამ აქედან ახალი დროის ისტორიის დაწყება დაგვიანებული უნდა იყოს და არაადეკვატურია. შეიძლება ითქვას, რომ მას ნაკლი უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე პლუსები. შუა საუკუნეების ისტორიაში აღმოჩნდა მთელი რიგი ისეთი მოვლენები, რომლებიც ახალი ისტორიაა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, რეფორმაცია, ევროპული რევოლუციები, კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესი, აზროვნების სეკულარიზაცია, რაციონალიზმი. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, საბჭოთა ისტორიოგრაფიამ კორექტივები შეიტანა ამ პერიოდიზაციაში, მაგრამ ის არ ატარებდა პრინციპულ ხასიათს და ნიუანსობრივი გახლდათ. ახლა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების და ახალ ისტორიას შორის მიჯნად მიიჩნია XVII საუკუნის შუა ხანების ინგლისის რევოლუცია [26, 431-442; 27]. შეცდომა მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გასწორებული და მაინც ინგლისის რევოლუციით სკანდინავიის ქვეყნების ახალი ისტორიის დაწყება დაგვიანებულია და კორექტივების შეტანას, დაზუსტებას, მოითხოვს. ის ძალზე შორს იყო საერთაშორისო სტანდარტებისგან და ძალიან კარგად გამოხატავდა ერთი ისტორიული სკოლის, საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს. ფრიად სიმპტომატურად მიგვაჩნია, რომ მცდელობა საბჭოთა პერიოდიზაცია თავს მოეხვიათ საერთაშორისო საზოგადოებისათვის,

სრული ფიასკო განიცადა და გაზიარებული არ ყოფილა. საბჭოთა ისტორიოგრაფია იზოლაციაში აღმოჩნდა.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ გასაბჭოებამდე ქართულ ისტორიოგრაფიას პერიოდიზაციის საკითხში სავსებით სწორი პოზიცია ეკავა. ცხადია, ეს არ იყო შემთხვევითი და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გამოძახილია. მათ სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების და ახალი ისტორიას შორის მიჯნად ესახებოდათ XVI საუკუნის დასაწყისი, კონკრეტულად კი ამ რეგიონში რეფორმაციის იდეების გავრცელება. ეს იყო სწორი მიდგომა [15; 16; 17; 18; 19]. ის უეჭველად შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოცემული შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

აქ პერიოდიზაციის საკითხზე საუბრის გასრულება ნაადრევად მიგვაჩნია და ამ თემაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებდა. რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს კიდევ ერთი, საინტერესო პრობლემა: შუა საუკუნეების ისტორიის შიდა პერიოდიზაცია, რომელზეც გასაბჭოებამდე ქართულ ისტორიოგრაფიას და საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას შორის სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა, რომელსაც ნიუანსობრივი დატვირთვა კი არ გააჩნია, არამედ პრინციპულ ხასიათს ატარებდა. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს შუა საუკუნეების ისტორიის სამ პერიოდად დაყოფასთან, რომელშიც ისინი სრულიად განსხვავებულ შინაარსს დებდნენ. სხვაა ქრონოლოგიური ჩარჩოები. მთავარი განსხვავება, სწორედ, ამაში მდგომარეობს.

პირველი პერიოდის დაყოფა, ადრეული შუა საუკუნეები, ორივე შემთხვევაში ერთნაირია და ქრონოლოგიურად მოიცავს V-XI საუკუნეებს, მაგრამ პრინციპული განსხვავება არსებობს მასში ჩადებულ შინაარსთან მიმართებაში. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში აქცენტი კეთდებოდა ფორმაციულ მიდგომაზე და შუა საუკუნეების ისტორია ფეოდალიზმთან ასოცირდებოდა, არა „ადრეული შუა საუკუნეები“, არამედ „ადრეული ფეოდალიზმის ხანა“. გასაბჭოებამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის მცდელობასთან, რომელიც გვხვდება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსულ შუა

საუკუნეების ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ეს ამ სახელმძღვანელოების ერთ-ერთი პლუსია. აღსანიშნავია, რომ გასაბჭოებამდე ქართული ისტორიოგრაფიის მიდგომა გაცილებით უფრო ადეკვატურ წარმოდგენას გვიქმნის ადრეული შუა საუკუნეების ისტორიაზე, ვიდრე ვიწროდოდგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, მისთვის დამახასიათებელი ფორმაციული პრინციპით. ეს უკვე სხვა მიდგომაა.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ეს განსხვავება შუა საუკუნეების ისტორიის მეორე და მესამე პერიოდის პერიოდიზაციის განხილვის დროს კიდევ უფრო ღრმავდება და რელიეფურად იჩენს თავს. ეს უკვე ეხება არა მხოლოდ შინაარსს, როგორც ეს პირველ შემთხვევაში იყო, არამედ მის ქრონოლოგიურ ჩარჩოებსაც, ამ შემთხვევაში განსხვავება კიდევ უფრო დიდია. ის სახელწოდებაშია ჩადებული. არა „კლასიკური შუა საუკუნეები", არამედ „კლასიკური ფეოდალიზმის ხანა" პრიორიტეტული ხდება ფორმაციული პრინციპი. ეს უკვე სხვა მიდგომა იყო.

თუ გასაბჭოებამდე ქართული ისტორიოგრაფია განვითარებული შუა საუკუნეების ისტორიის ხანად XII-XIII საუკუნეებს მოიაზრებდა, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია კლასიკური ფეოდალიზმის ხანად XI-XV საუკუნეებს აღიქვამდა. ამ შემთხვევაში განსხვავება შეეხება არა მარტო შინაარსობრივ მხარეს, ფორმაციულ პრინციპს, არამედ მის ქრონოლოგიურ საზღვრებს. ის დაზუსტებას, შემდგომ სრულყოფას, დახვეწას, საჭიროებს. აქ იმის თქმას ვაპირებთ, რომ კლასიკური შუა საუკუნეების ხანის ქრონოლოგიური ჩარჩოები ხელოვნურადაა განელილი და ორ სრულიად განსხვავებულ ეპოქას, კლასიკურ და გვიან შუა საუკუნეების ისტორიას აერთიანებს. მას მოიაზრებს არა როგორც შუა საუკუნეების ისტორიის ცალკე პერიოდს, არამედ როგორც ქვეპერიოდს და კლასიკური შუა საუკუნეების ხანას ორ მონაკვეთად ყოფს: XII-XIII საუკუნეები და XIV-XV საუკუნეები. ამ ორ ეპოქას შორის პრინციპული განსხვავება არსებობს და მისი გაერთიანება კლასიკური შუა საუკუნეების ეგიდით, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ხელოვნურ ხასიათს ატარებს. ცვლილებები თვისებრივ, ხარისხობრივ, ხასიათს ატარებს და ამაზე თვალის დახუჭვა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. კლასიკური ფეოდალური დაქსაქსულობის ხანა ჩაანაცვლა ძლიერმა ცენტრალიზებულმა ხელისუფლებამ. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. როგორც ერთი ისტორიკოსი აღნიშნავს,

„სამეფო ხელისუფლება წარმოადგენდა წესრიგს უწესრიგობაში“. XIV საუკუნიდან ვითარდება სასაქონლო ფულადი ურთიერთობები. მისი გაიგივება კაპიტალიზმთან, როგორც ამას ზოგიერთი ევროპელი და ამერიკელი ისტორიკოსი სჩადის, მთლად დამაჯერებელი არ უნდა იყოს და, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. დასავლეთ ევროპაში ბატონყმობამ უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები [28]. კლასიკური ფეოდალიზმის ხანა დასრულდა. იწყება გვიანი შუა საუკუნეების ისტორია.

XIV-XV საუკუნეები არის გვიანი შუა საუკუნეების ისტორია, როგორც ეს გასაბჭოებამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში მოიაზრებოდა. აქვე უნდა შევეხოთ ერთ საკამათო საკითხს. ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის, რომ ახალი ისტორიის დაწყება XIV საუკუნიდან, ჩვენი აზრით, ძალიან ადრე უნდა ჩანდეს და მთლად დამაჯერებელი არ უნდა იყოს. ბელგიური ისტორიოგრაფიის აღიარებული მეტრი ანრი პირენი ფიქრობს, რომ „კაპიტალიზმი იმაზე უფრო ძველია, ვიდრე ჰგონიათ“. ამ მოსაზრებამ ფართოდ მოიკიდა ფეხი „ბიზნესის სკოლის'' ამერიკელი ისტორიკოსების შრომებში. ამერიკელი ისტორიკოსი დევიდ ნეფი ირწმუნებოდა, რომ „კაპიტალიზმი ყოველთვის არსებობდა ცივილიზებულ სამყაროში“. ალბათ, უფრო ზუსტი იქნება ვთქვათ, რომ აქედან იწყება არა ახალი ისტორია, როგორც ეს ზოგიერთ ევროპელ და ამერიკელ ისტორიკოსს ესახება, არამედ გვიანი შუა საუკუნეების ისტორია, ანუ, როგორც ცნობილმა ჰოლანდიელმა მეცნიერმა ჰოიზინგამ თქვა, „შუა საუკუნეების შემოდგომა“ [29], ეს უფრო სწორი იქნებოდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფია გვიან შუა საუკუნეების ისტორიად მოიაზრებდა ისტორიულ მონაკვეთს XVI საუკუნის შემდეგ. სტალინურ ხანაში მის დასასრულად მიიჩნეოდა XVIII საუკუნის მიწურული, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასაწყისი [24]. ხოლო სტალინის გარდაცვალების შემდეგ გვიანი შუა საუკუნეების ისტორიის დასასრულად აღიქმებოდა XVII საუკუნის შუა ხანების ინგლისის რევოლუცია.

შეიძლება ითქვას, რომ ცვლილება კონცეპტუალურ ხასიათს არ ატარებდა და ნიუანსობრივი იყო. ფორმაციული მიდგომა კვლავ ძალაში რჩება და პრიორიტეტულია. ასე აღმოჩნდა საბჭოთა პერიოდში ახალი ისტორიის ერთი მოზრდილი და საინტერესო მონაკვეთი შუა საუკუნეების ისტორიაში. დღეს თანამედროვე ქართულ ის-

ტორიოგრაფიაში [30, 31, 32, 33] ეს შეუსაბამობა გასწორებული იქნა, თუმცა ზოგიერთი საკითხის შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს.

პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩნია პროფ. გივი ჟორდანიას მოსაზრება ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდის გამოყოფის თაობაზე, რომელიც მოიცავს მეტად დიდ პერიოდს: გეოგრაფიულ აღმოჩენებიდან საფრანგეთის რევოლუციის დაწყებამდე. ის არ უარყოფს მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვას, მაგრამ ხომ არ ვართულებთ საქმის ვითარებას? ეს არ გახლავთ არავითარი გარდამავალი პერიოდი. ეს არის უბრალოდ ადრეული ახალი ისტორია, როგორც ეს არის მიღებული საერთაშორისო კონფერენციებზე, კონგრესებზე, სიმპოზიუმებზე, სასწავლო-საცნობარო ლიტერატურაში, სამეცნიერო გამოკვლევებში. ამგვარი მიდგომა სტალინური პერიოდიზაციის რეანიმაციის ფარულ მცდელობად მიგვაჩნია [34]. მას მხარი დაუჭირა ქართველ მედიევისტთა ერთმა ჯგუფმა. პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, პროფ. გურამ კუტალიამ და პროფ. აკაკი გეთიაშვილმა, მათი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი მეტად წინააღმდეგობრივად და არათანამიმდევრულად გვეჩვენებინა. ისინი არ უარყოფენ მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვის აუცილებლობას, მაგრამ შუა საუკუნეების დასრულებას და ახალი დროის დაწყებას XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე, რენესანსით, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებით და რეფორმაციით, როგორც ეს მიღებული იყო ევროპულ და ამერიკულ ისტორიოგრაფიაში, სკეპტიკურად ეკიდებიან. მათ აქ შუა საუკუნეების ისტორიის დასრულება და ახალი ისტორიის დაწყება მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ [35. 12. 6-11]. ისინი ფიქრობენ, რომ ეს იყო გარდამავალი პერიოდი XVI საუკუნის დასაწყისიდან XVII საუკუნის შუა ხანებამდე, ან „გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო" ერთად. ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამგვარი დამოკიდებულება უფრო მეტ ნათელს კი არ ფენს საკითხს, რამდენადაც ბუნდოვანს ხდის. მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვა პალიატიურ, ზედაპირულ, ხასიათს ატარებს და უფრო სიტყვიერად ხდება. ჩვენი აზრით, მსოფლიო ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვის ეს მცდელობა წარმატებულად ძნელია მივიჩნიოთ. ამ თემაზე კამათი კი ღია კარის მტვრევად მიგვაჩნია. ეს იქნება დავა უდავო საკითხზე.

ამრიგად, თავდაპირველად ქართული ისტორიოგრაფია შუა სა-

უკუნეების, კონკრეტულად სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის პერიოდიზაციის დროს სწორი გზით მიდიოდა. იმ წლებში გამოცემული შუა საუკუნეების პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ილუსტრაციაა. მკვეთრ მეტამორფოზს ადგილი აქვს 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ქართული ისტორიოგრაფია იძულებული იყო გადაეხვია არჩეული გზიდან და სულ სხვა მიმართულებით წასულიყო. პრიორიტეტული შეიქმნა საკითხისადმი ფორმაციული მიდგომა, მონისტური პრინციპი. ეს როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია, მივიჩნიოთ. მათ შორის მთავარ განსხვავებას სწორედ ეს უნდა წარმოადგენდეს. საბჭოთა მიდგომა იყო ძალზე იდეოლოგიზებული და პოლიტიზებული. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება [30].

**დამოწმებული ლიტერატურა:**


1. უ. სიდამონიძე, საქართველოში ბურჟუაზიულ დემოკრატიული მოძრაობის და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917-1921წწ.) თბილისი, 1970.
2. მ. კალანდაძე, პროფესორი უშანგი სიდამონიძე, თბილისი, 2004.
3. Merab. kalandadze, Ushangi Sidamonidze.ein opfer der totalitaren. Regimes Georgica, 28.2005.
4. მ. კალანდაძე, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი. ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. VIII საფაკულტეტო კონფერენცია, თბილისი, 2015.
5. ნ. მამუკელაშვილი, საზოგადოებათ მეცნიერების სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში, ალექსანდრე ნამორაძის კრებული, თბილისი, 1993
6. ნ. მამუკელაშვილი, ისტორიის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში, ალექსანდრე ნამორაძის კრებული, თბილისი, 1993.
7. მ. კალანდაძე, შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა საქართველოში (XX საუკუნის 50-იანი წლებიდან 1991 წლამდე),

ქართული წყაროთმცოდნეობა, XXIII, თბილისი, 2021.
8. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბილისი, 1999.
9. გრ. ნათაძე, დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია, თბილისი, 1926.
10. გრ. ნათაძე, დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია, თბილისი, 1933.
11. ალ. ნამორაძე, პროფესორი გრიგოლ იასონის-ძე ნათაძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77, თბილისი, 1959.
12. შუა საუკუნეების ისტორია. პროფ. გურამ კუტალიას რედაქციით, თბილისი, 2004.
13. დასავლეთ ევროპის ისტორია XVI საუკუნეში, (სახელმძღვანელო) მურმან პაპაშვილის რედაქციით, თბილისი, 2016.
14. გრ. ნათაძე, ინგლისის მოკლე ისტორია, თბილისი, 1919.
15. ვ. დონდუა, საშუალო საუკუნეების ისტორია, ქუთაისი, 1919.
16. ივ. გველესიანი, საშუალო საუკუნეების ისტორია (შედგენილი პროფ. ა. ა. ვასილევის სახელმძღვანელოს მიხედვით) თბილისი, 1920.
17. ვულფიუსი, საშუალო ისტორიის სახელმძღვანელო, 1919.
18. ალ. წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნაწილი მეორე, საშუალო საუკუნეები, თბილისი, 1919.
19. მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბილისი, 2009.
20. კ. ანთაძე, ლ.ფირცხალავა, შუა საუკუნეების ისტორია, VII კლასის სახელმძღვანელო მეორე გამოცემა, თბილისი, 2000.
21. ჯავახია, ა. გეთიაშვილი, შუა საუკუნეების ისტორია, VII კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 2003.
22. გუკოვსკი, ო. ტრახტენბერგი, ისტორია ფეოდალიზმის ეპოქისა, თბილისი, 1933.
23. გ. კუტალია, თსუ შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის ისტორია, შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, VI, თბილისი, 2004.
24. ისტორიის შესწავლისათვის, თბილისი, 1937.
25. შუა საუკუნეების ისტორია, ა. უდალცოვის, ე.კოსმინსკის და

ო. ვაინშტაინის რედაქციით ნაწილი მეორე, თბილისი, 1949.
26. გ. ტივაძე, შუა საუკნუეების ისტორია, ნაწილი მეორე, თბილისი, 1970.
27. გრ. ჩხარტიშვილი, შუა საუკუნეების ისტორია, ნაწილი პირველი, თბილისი, 1963.
28. М. Блок, Характерные черты французской аграрной истории, Москва,1957.
29. И. Хейзинга, Осень средневековья, Москва,1988.
30. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბილისი, 2007.
31. 98. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველიანი, ისტორიის პერიოდიზაციისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, 2. 1992.
32. М. Каландадзе, Грузинские школьные учебники новой истории, Преподавание истории в школе, 7, 1994.
33. მ. კალანდაძე, შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდიზაცია, გელათის მეცნეირებათა აკადემიის ჟურნალი, 9-10, 2017.
34. გ. ჟორდანია, შენიშვნები მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხზე, თბილისის უნივერსიტეტი, 1991, 29. ნოემბერი
35. აკ. გეთიაშვილი, რამდენად მისაღებია ეს ქრონოლოგია ანუ განა უნდა დაუბრუნდეთ XV საუკუნეს? შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, ნაწილი მეორე, თბილისი, 2000 (ჩვენი აზრით, საკითხის ასე დასმა ძირშივე მცდარია. ახალს ვერაფერს გვთავაზობს და რეტროგრადულად მიგვაჩნია).

**Merab Kalandadze**
*Doctor of historical sciences,*
*Ivane Javakishvili Tbilisi state*
*university, associated professor*

## Study of the History of Medieval Scandinavian Countries' in Georgian Historiography

Summary

The ongoing research aims to explore and shed light on a specific issue related to the study of the medieval history of Scandinavian

countries. This topic has not been sufficiently addressed in previous research, and the current work represents the initial stage of its investigation. This is a novelty within the Georgian context, and it is interesting and relevant for us.

The main goal is to achieve accurate, objective, and comprehensive assessment within the framework of the study of the Soviet Georgian historiography. This is not an easy task and requires a principled approach.

The apologetic assessment of the Soviet Georgian historiography, which dominated during previous years, is now outdated and has entered a stage of advanced historical research. This is a unique opportunity. We should not repeat the mistakes of the past. The objective evaluation of the Soviet Georgian historiography cannot be replaced by a biased view. This statement applies to the course of action for both uniqueness and continuity. The true path lies in the middle, not on either extreme. This approach does not involve any easy actions, but it is desirable to determine the truth differently. Let us investigate the path of truth, as it already exists. This opportunity allows us to examine it as a means of clarification, both in the north and in the south, to attempt to uncover its hidden, objective motives.

Now let's briefly discuss the periodization of the question. The Georgian historiography of the Soviet period can be divided into three distinct periods. Factually, this implies an internal periodization of the question. From the years 1920 to 30s, during the interwar period, the struggle for independent thinking, which had been present within the framework of Soviet connections, resurfaced and has not yet been resolved. This issue could be approached optimally in the context of Georgian media studies during the Soviet period.

**სოფიო ანდღულაძე**
*ისტორიის დოქტორი*

# წმინდა აღმსარებელ ეპისკოპოს სტეფანეს (კარგელაშვილი) მოსაზრებები მუსიკისა და სიმღერის წარმოშობის შესახებ

წმინდა აღმსარებელი ეპისკოპოსი სტეფანე სასულიერო სფეროში მოღვაწეობის კვალდაკვალ, აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. ცნობილია მისი როლი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დაარსებისა და ფუნქციონერების საქმეში [1, 72-86]. იგი განსაკუთრებული მონდომებით კრებდა და ამუშავებდა ხალხურ ზეპირსიტყვიერ მასალას. ეს უკანასკნელი უძველესი ხანიდან იღებს სათავეს და მასში საუკეთესოდაა ასახული ქართველი ხალხის წეს-ჩვეულებები თუ რელიგიურ-მითოლოგიური შეხედულებები. როგორც წესი, თქმულებებსა და ზეპირგადმოცემებში ხალხში დაგროვილი დიდძალი ცოდნაა ასახული, თუმცა ძირითადი სათქმელი ერთგვარი საბურველითაა დაფარული და, როგორც თავად წმინდა აღმსარებელი ეპისკოპოსი სტეფანე აღნიშნავს, მათში ჭეშმარიტების მაძიებელი ლამობს იპოვოს ის, რასაც ეძებს სხვადასხვაგვარი წინარემოსაზრებებითა და ჰიპოთეზებით. ეს მოსაზრებები უნდა ემყარებოდეს სარწმუნო ისტორიულ ცნობებსა და არქეოლოგიურ კვლევა-ძიებით მოპოვებულ მასალებს [2].

ქვემდებარე სტატია მითითებულ საარქივო დოკუმენტის განხილვას ეძღვნება, სადაც ის 1866 წელს, მის ბავშვობში, მოსმენილ და შემდეგ ჩაწერილ ზეპირთქმულებას გადმოგვცემს. ზეპირთქმულების განხილვამდე მის მიერ ჩამოყალიბებულ შეხედულებებს გაგაცნობთ, რაც ქართველი ხალხის წარმოშობას და მასთან დაკავშირებულ ხალხურ შემოქმედებას, კერძოდ, მუსიკისა და ცეკვა-სიმღერის მდიდარ ტრადიციებს უკავშირდება. ფაქტობრივად, მისი წერილი წარმოადგენს მცირე კვლევას ქართული სიმღერა-მუსიკის წარ-

მოშობის შესახებ, რომელიც პირველ რიგში ძველი აღთქმის წიგნს „დაბადება“-ს და აგრეთვე სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებებს ეყრდნობა. ამ ზეპირთქმულებასთანაა დაკავშირებული მისი მოსაზრებებიდან გამომდინარე დასკვნაც და აღნიშნულ წერილს სწორედ ამ თანმიმდევრობით მიმოვიხილავთ.

მას მიაჩნია, რომ რამდენდაც კაცობრიობის ისტორია წარმოადგენს „პირმშო შვილს“ დიდებული წიგნისას, რომელსაც ეწოდება „დაბადება“, უპირველეს ყოვლისა, ქართველთა წარმოშობის და ვინაობის გამოკვლევა მკვლევარმა სწორედ აქედან უნდა დაიწყოს. ის ცდილობს „დაბადების“ მეშვეობით გაიკვლიოს გზა და მასში მოპოვებული ცნობების დახმარებით მიაღწიოს რაიმე დადებით შედეგს [2]. თუმცა არ გამორიცხვას მეცნიერ-მკვლევართა დაკვირვებებსა და ჰიპოთეზებს, მათ შორის წერილობითი საისტორიო წყაროებისა და არქეოლოგიური კვლევის მასალების გათვალისწინებას.

განვიხილოთ მისი მოსაზრებები ქართველთა წარმომავლობის, მათი მდიდარი კულტურის გავრცელების არეალისა და იმ ცივილიზაციის შესახებ, რომელის საფუძველზეც აღმოცენდა ხმელთაშუა ზღვის, მესოპოტამიური და ზოგადად წინა აზიის ცივილიზაციები. საგულისხმოა, რომ წერილში, ბიბლიაში მოხმობილი წყაროების გარდა, მას მოყვანილი აქვს უცხოელი მკვლევარების: იოსებ ფლავიუსის, პროფესორ გლაგოლევის და სხვათა გამოკვლევებიც [3, 21-22; 4].

წმინდა აღმსარებელი ეპისკოპოსი სტეფანე, თავისი შეხედულებებიდან გამომდინარე, უნებლიედ ემხრობა ქართველთა სამხრეთ კავკასიაში საბოლოოდ განსახლების მიგრაციულ მოდელს. სამწუხაროდ, მის პირად არქივში დაცული აღნიშული წერილი არაა დათარიღებული, ამიტომ ჩვენთვის რთულია, გავარკვიოთ, განიცდიდდა თუ არა ის ქართველი მეცნიერი კორიფეების: ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრებების გავლენას პროტოქართველური ტომების განსახლებისა და მათ მიერ შექმნილი ცივილიზაციის შესახებ [5]. ამის შესახებ მის წერილში არაფერია ნათქვამი, პირიქით, წმინდა აღმსარებელი ეპისკოპოსი სტეფანე გამოთქვამს წუხილს, რომ, მიუხედავად მისი არაერთგზის დაინტერესებისა, ვერც ერთი ქართველი პროფესორისაგან მიიღო კითხვაზე პასუხი, თუ ვინ იყვნენ **ქალდეველები** ან მათი ქვეყანა **ქალდეა** რას ნიშნავდა? აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ის გარდაიცვალა 1936 წელს, ხოლო ზემოხსენებული მეცნიერების ნაშრომი 1943 წელს გამოიცა [5].

ჩვენი მოსაზრებით, წმინდა აღმსარებელი ეპისკოპოსი სტეფანე, კვლევების შედეგად, ნაწილობრივ დამოუკიდებლად მივიდა იმ დასკვნებამდე, რაც მოგვანებით აღნიშნულ სახელმძღვანელოში იქნა ჩამოყალიბებული. კერძოდ, საუბარია ხეთებისა და სუბარების შესახებ: „რომლებიც ძვ. წ. მე-2 ათასწლეულის დამდეგისათვის წინა აზიის უზარმაზარ მიწა-წყალზე და სამხრეთ ევროპაში (ბალკანეთის, აპენინისა და პირინეის ნახევარკუნძულებზე) ცხოვრეობდნენ... ხეთები და სუბარები ქართველ ტომთა წინაპრები არიან“ – ვკითხულობთ ხსენებულ ნაშრომში [5, 14].

რა თქმა უნდა, ჩვენ არ გამოვრიცხავთ კორიფე მეცნიერების მოსაზრებების შესაძლო ზეგავლენას წმინდა აღმსარებელი ეპისკოპოს სტეფანეს შეხედულებებზე, მით უფრო, რომ ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად ირიცხებოდა და, ალბათ, ესწრებოდა კიდეც ივანე ჯავახიშვილის ლექციებს. ასეთ შემთხვევაშიც კი მისი კვლევა, ქართული სამუსიკო ხელოვნების წარმოშობა-განვითარების კვლევის მიმართულებით სიახლედ გამოიყურება. უფრო მეტიც, ის საინტერესო მოსაზრებას გვიზიარებს: „...ჩემი ღრმა რწმენით და დაკვირვება – გამოცდილებით ამ საკითხში, ეჭვი აღარ არის ჩემში, რომ მუსიკა-სიმღერა კაცობრიობაში შეიტანა და გაავრცელა ქალდეველის ხალხმა და მუსიკალური განათლება და მუსიკალური საკრავების გამოგონება-გაკეთება. ვარსკვლავმრიცხველი ხალხი, დროისა და საათების გამნაწილებელი წუთ-წამებით და სხვა ბევრნაირ დარგის მომგონი ხალხი შესძლებდა სიმღერისა და მუსიკის გამოგონებასაც“ [2].

აღნიშნული თამამი განაცხადი, პირველ რიგში, მას გაკეთებული აქვს ძველი აღთქმის წიგნის „დაბადების“ საფუძველზე. ის აღნიშნავს, რომ „ქალდეველები, ჯერ კიდევ წინასწარმეტყველ მოსემდე 4000 წლით ადრე, დიდად განვითარებული და ძლიერი ხალხი იყო მიწის დამუშავების, ვარსკვლავთმრიცხველობის, ასტრონომიის, ჰიმნოლოგიის (მზის ქება), მწერლობის და სხვა მიმართულებით“ [2]. აქვე მოჰყავს მოსე წინასწარმეტყველის შექმნათა წიგნის მე-4 თავის მე-22 მუხლი, სადაც წერია, რომ ლითონის დამუშავება და მუსიკალური საკრავების გაკეთება-გამოკვერვა ეკუთვნის თობელს და მის შთამომავლობას: „ხოლო სელაცა შვა თობელი: ესე იყო კვერით ხუროი მჭედელი რვალისა და რკინისა“, და მე-10 თავის მე-2 მუხლი: „ძენი იაფეთისნი, ღამერ და მაგოგ და მადაიმ, და იოავან: და ელისა, და თობელ, და მოსოქ, და თირას და ძენი ღამერისნი“.

„დაბადების“ შემდეგ ის სარწმუნოდ მიიჩნევს იოსებ ფლავიუსის გამოკვლევას: „თობელისაგან იწარმოეს თობელნი. (თობელთაც) ჩვენ ვუწოდებთ ივერიელებათ“ [3] და განაგრძობს: „...ამ თობელებს ჩვენ ვხვდებით დაბადების წიგნში 1300 წ. ქანანების ქვეყანაში, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენენ და დიდის პატივისცემით ეპყრობიან აბრამს, აყვავებული აქვთ მიწის დამუშავება, კულტის მსახურება და აქვთ მშვენივრად მოწყობილი პოლიტიკური ცხოვრება, ხოლო „ხეტტეველების“ სახელით დიდებული მათი ეფრონი, მისნი მოყმენი მეგობრულად შეხვდნენ აბრამს თავის ოჯახობით და უამრავი საქონლით... ბაბილონის გოდოლის დარღვევის შემდეგ ისინი გაიფანტნენ ენის შერევით და ერთი შთამომავლების დავიწყებით“ [2].

წმინდა აღმსარებელი ეპისკოპოსი სტეფანე აღნიშნავს, რომ კავკასიაში მათ გადმოსახლებას საფუძველი დაუდო ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსარმა და არც ის ფაქტი მიაჩნია შემთხვევითად, რომ მირიან მეფე ნებროთის წიგნს ფლობდა. თავისი მოსაზრების გასამყარებლად მას მოჰყავს მეცნიერ რაისის წიგნი „დავიწყებული სამეფო ხატეველთა“ (ხსენებულ ნაშრომს სამწუხაროდ ვერ მივაკვლიეთ, რაც უდავოდ, საინტერესო იქნებოდა – ს. ა.), აგრეთვე პროფესორ გლაგოლევის გამოკვლევა ხატეველთა ღამისთევის დღესასწაულებზე [4, 9-10]. მისი მოსაზრებით, ეს უკანასკნელი ნაშრომი დამაფიქრებელია, რადგან მასში აღწერილი ღამისთევები, დროსტარება, ქეიფი, ლხინი, ცეკვა-სიმღერა და ჭიდაობა გასაოცარი სიზუსტით ასახვას ქართველთა ხასიათსა და ზნე-ჩვეულებებს.

მეტი დამაჯერებლობისათვის წმინდა აღმსარებელი ეპისკოპოსი სტეფანე „საქმე მოციქულთა“-ას იმოწმებს (თავი 2, მუხლი 9). ის ამბობს, რომ ხეთელები ზედმეტად წოდებული სახელი იყო ქალდეველებისა, რომლებიც იხსენიებიან საქმე მოციქულთაში და რომ ხეტტეველები იყვნენ ამასთნავე ძლიერ მუსიკის მოყვარული და მომღერალი, შემქცევი და პურმარილიანი, სტუმართმოყვარე და სათნო ხალხი“ [2].

წმინდა აღმსარებელ ეპისკოპოს სტეფანეს მოსაზრებები ქართული მუსიკის წარმოშობის და განვითარების შესახებ მოგვიანებით დიდმა მეცნიერებმა და დარგის მკვლევარებმა თანმიმდევრულად ჩამოაყალიბეს. ივანე ჯავახიშვილი უარყოფდა ქართველთა მიერ ევროპული მრავალხმიანობის ნასესხობას და ქართულ მრავალხმიანობას ადგილობრივ, ორიგინალურ მოვლენად მიიჩნევდა [6].

აქვე უნდა მოვიყვანოთ რუსუდან წურწუმიას ნაშრომი „ქართული მუსიკის ისტორია უძველესი დროიდან მე-20 საუკუნემდე", სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ქართველთა შორეულმა წინაპრებმა თანმიმდევრულად განვლეს მუსიკალური აზროვნების განვითარების ყველა ეტაპი, უმარტივესიდან მაღალგანვითარებულ ფორმებამდე და რომ ქართული მრავალხმიანობის ჩასახვა იმ შორეულ დროს უკავშირდება, როცა ადამიანები ჯერ კიდევ ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრობდნენ და მათი შრომა კოლექტიურ ხასიათს ატარებდა. ძველ ქართულში თამაშის, თამაშობის აღმნიშვნელი სიტყვა „მღერა" იყო [7, 57].

როგორც ცნობილია, პირველი წერილობითი ცნობა ქართული მუსიკის შესახებ ჩანს ძვ. წ. მე-8 საუკუნიდან. ასურეთის მეფის სარგონ მეორის ცნობით (ძვ. წ. 714), მის მიერ დაპყრობილი ურარტუს ერთ-ერთი სამთავროს, მანას მცხოვრებლები მაღალი კულტურის მატარებლები იყვნენ. განსაკუთრებით კი იმას აღნიშნავს, რომ ისინი მუშაობის დროს „მხიარულ სიმღერებს" ასრულებდნენ [7, 50].

მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის აგრეთვე ბერძენი მხედართმთავრი და ისტორიკოსი ქსენოფონტე (Xenophon. Anabasis. წიგნი IV) [7, 53]. იგი მოგვითხრობს უძველესი ქართველური ტომის საბრძოლო და თავშესაქცევი სიმღერების შესახებ: „...როცა ისინი (მოსინიკები) მარტონი რჩებოდნენ, ერთმანეთში საუბრობდნენ და იცინოდნენ, ცეკვავდნენ ყველგან, სადაც მოხვდებოდათ, თითქოს უნდოდათ, თავისი ხელოვნება სხვებისათვის ეჩვენებინათ" [7, 54]. ხაზს უსვამს ტაოხების დამარცხებისადმი შეურიგებლობას. განსაკუთრებით განაცვიფრა და შეძრა სურათმა, როცა დაინახა როგორ ყრიდნენ მშობლები ბავშვებს და შემდეგ თავადაც უკან მიჰყვებოდნენ [7, 53].

წმინდა აღმსარებელი ეპისკოპოსი სტეფანე, მუსიკა-სიმღერის წარმოშობა-განვითარების გარდა, მუსიკალური საკრავების გამოგონებასაც და მათ შექმნასაც ქართველებს მიაწერს. მის მოსაზრებას ამყარებს ერთ-ერთი უძველესი ცნობა ძველ კოლხეთში გავრცელებული მრავალღერიანი სალამურის (ლარჭემი) შესახებ, რომლის გამომგონებლად და გამავრცელებლად ითვლება ქართველთა უძველესი ტომის მუშქების (მესხები) მეფე მითა [7, 44].

დავუბრუნდეთ სტატიის დასაწყისში მოყვანილ ზეპირთქმულებას სამყაროს შექმნის შესახებ. ვფიქრობთ, ეს თქმულება საინტერესო სიახლე იქნება კონკრეტული დარგის სპეციალისტებისათვის.

სხვადასხვა ხალხებში სამყაროს შექმნის სხვადასხვა მოდელი არსებობს, რაც საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდის ამა თუ იმ ხალხის ეთნოფსიქიკის და მსოფლმხედველობის შესახებ. წმინდა აღმსარებელი ეპისკოპოსი სტეფანეს მოთხრობილი ლეგენდის შინაარსი კი ასეთია: როდესაც ქვეყნიერება არ იყო გაჩენილი დალაგებით და იგი მთლიანად უკუნეთში იყო გახვეული, სინათლით მოცულ ბაღჩაბაღის შუაგულში იდგა ქართულ სამოსში გამოწყობილი ქალი: ქათიბში, ჩიხტიკოპ-კავებით, რომელსაც სახელოები ბეჭებზე ჰქონდა გადაყრილი. ეს ქალი მუყაითად ზელდა თიხას, როგორც ცომს. როდესაც კარგად დაზილა და დააგუნდავა, გააბრტყელა, როგორც ლავაში და მაღლა შეისროლა. ამის შემდეგ მთელი სიბნელე-უკუნეთი გაქრა და გამოჩნდა ნათელი, ცა, დედამიწა, ყველაფერი მოეწყო მშვენივრად. დაღლილ ქალს ხის ძირას მიეძინა და როდესაც გაიღვიძა, გვერდით კოხტად გამოწყობილი მშვენიერი ვაჟკაცი იხილა, რომელსაც ქულაჯა კაბა და ბუხრის ქუდი ემოსა. ამის შემდეგ მათ დაიწყეს ცხოვრება და მათგან ჩამოვიდა ხალხი, მოშენდა პირუტყვი, ქვეწარმავლები, ფრინველები და მცენარეები [2].

როგორც ვხედავთ, ლეგენდაში ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ქალი და წმინდად ქართული, ნაციონალური კუთხითაა დახატული სამყაროს შექმნის სურათი. აქ უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ ქართული სამოსი, არამედ ის ფაქტი, რომ უძველესი ქართული წარმართობის დროინდელ ღვთაებათა შორის უზენაესად სწორედ მზის ქალღმერთი ითვლებოდა, მზის მეუღლედ კი ავდრის ღმერთი, ვაჟი ღვთაება. ხეთის მეფე ითვლებოდა ქალ-ღმერთი მზის, ხეთის სამეფოს „უზენაესი დედოფლის" მსახურად, მის პირველ ქურუმად და იგი „დიდი მეფის" ტიტულს ატარებდა. ხეთის მეფე თავის თავს „ჩემ მზეს" უწოდებდა [5, 17].

საინტერესოა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ქალებს საპატიო ადგილი ეკავათ საზოგადოებაში. მაშასადამე, ლეგენდაში ქალის როლის წინა პლანზე წამოწევა და თვით სიტყვა „ქალდედა"-ს, როგორც სამყაროს შექმნის შუაგულში მყოფი ფიგურის, მნიშვნელობის ხაზგასმა შემთხვევითი არაა. წმინდა აღმსარებელი ეპისკოპოსი სტეფანე სწორედ „ქალდედა"-ს სახელწოდებაში პოულობს თავისი კვლევის გასაღებს და ამბობს, რომ თუ ამ სიტყვიდან მეორე „დ" ამოიშლება, დარჩება „ქალდეა". მის მოსაზრებით, სწორედ ეს უნდა იყოს „ქალდეა"-ს მნიშვნელობა – იგი ქალდეველების ქვეყანას ნიშნავს.

ამრიგად, წმინდა აღმსარებელმა ეპისკოპოსმა სტეფანემ ერთ-ერთმა პირველმა გამოსთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ქართველთა შორეული წინაპრები, პროტოქართველები – ქალდეველები (იგივე ხეთები) არიან და სიტყვა „ქალდეა"-ს მნიშვნელობაც „ქალდედა"-დან წარმოსდგება: „ეს ის ხალხია, რომელსაც დედა ქალი თითქმის მიაჩნია რაღაცა ღვთაებად, თითქმის აღმერთებს და აწერს მას ქვეყნის გაჩენასაც", – აღნიშნავს ის წერილის ბოლოს [2] და ასეთი დასკვნის საფუძვლად მიიჩნევს მის მიერ მოხმობილ ზეპირთქმულებას, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. საგულისხმოა ასევე მისი დასკვნა ქალდეველთა მიერ კაცობრიობაში მუსიკა-სიმღერის შეტანა-გავრცელების და მუსიკალური საკრავების გამოგონება-შექმნის შესახებ. მაშასადამე, ამ მოსაზრებით მან წინა პლანზე წამოწია ქართველთა პირველობა მსოფლიო მუსიკალური კულტურის ჩასახვა-განვითარების საქმეში.

ვფიქრობთ, აღნიშნულ მოსაზრებას არსებობის მყარი საფუძველი გააჩნია და საქართველომ, როგორც ვაზისა და ღვინის სამშობლომ, პირველობა მუსიკა-სიმღერის დარგშიც უნდა დაიმკვიდროს.

**დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**


1. ს. ანდღულაძე, ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი), თბილისი, 2006.
2. ქართველი ხალხის მუსიკა. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ვასილ კარბელაშვილის ფონდი №38, საქმე №157.
3. Иосиф Флавий, Иудейские древности. к. 1
4. Глаголев Сергей Сергеевич, Очерки по истории религий, ч. 1: Религии древнейших культурных народов. Сергиев Посад, 1902.
5. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის და სიმონ ჯანაშიას რედ., თბილისი, 1943.
6. ივანე ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1938.
7. რუსუდან წურწუმია, ქართული მუსიკის ისტორია უძველესი დროიდან XX საუკუნემდე, თბილისი, 2020.

**Sofia Andghuladze**
*Dr. of History*

## The Holy Confessor Bishop Stephen (Karbelashvili's) views on the origins of music and singing.

### Summary

The paper explores the beliefs of the holy confessor Bishop Stefan (Karbelashvili) on the history of Georgia, the spread of music and song, and the development of musical instruments. He was one of the first to propose that the Chaldeans (the same Hittites) were the distant forebears of the Georgians, the proto-Georgians. After conducting his investigation, he came to the conclusion that the Chaldeans were responsible for the invention of musical instruments as well as the development and spread of song-music among humans. The basis of the research include the oral history of the world's creation, appeals to heavenly scriptures, and the viewpoints of many experts in the field.

This is the first time the oral tradition has been published, which is another unique development that will definitely be of interest to academics working in the area. His Holiness Confessor Bishop Stephen emphasized the crucial role Georgians had in shaping and expanding global musical culture. We believe that the declared opinion has a good foundation, and that Georgia, as the motherland of grapes and wine, should assume a leadership role in music and singing as well.

**Николай Джавахишвили**
*Доктор исторических наук, профессор Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили, Главный научный сотрудник Отделения новой и новейшей истории Института истории и этнологии имени Иванэ Джавахишвили, Иностранный член Латвийской Академии наук*

# ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-БАЛТИЙСКОГО НАУЧНОГО СОТРУДНИЧЕСТВА: ГЕОРГИЙ АХВЛЕДИАНИ И ЯНИС ЭНДЗЕЛИНС

*Посвящаю светлой памяти академиков Георгия Ахвледиани и Яниса Эндзелинса*

Известно, что языковедческому исследованию в Грузии заложили основу крупные грузинские учёные-лингвисты: Иосиф Алексеевич Кипшидзе (1882-1919), Акакий Гаврилович Шанидзе (1887-1987) и Георгий (по-грузински – *Гиорги)* Сариданович Ахвледиани (1887-1973).

Как отмечал великий грузинский учёный и общественный деятель, основоположник Тбилисского университета, академик Иван (Иванэ) Александрович Джавахишвили (1876-1940): «Создание отрасли языкознания в Тбилисском университете является заслугой трех лиц: проф. И. Кипшидзе, проф. А. Шанидзе и проф. Г. Ахвледиани. К сожалению, ввиду преждевременной кончины первого, тяжелое бремя легло на плечи двух последних» [1, 78-79].

Востоковед-лингвист Г. Ахвледиани являлся многогранным исследователем. Ему довелось работать в нескольких областях лингвистической науки. Им созданы капитальные труды по общему языкознанию, общей и экспериментальной фонетике, логопедии, индоевропейским и картвельским языкам, некоторые из коих являются основополагающими.

Великий грузинский учёный был потомком древних грузинских княжеских и дворянских родов. Он родился 13 апреля 1887 года в селе Дерчи Лечхумского уезда, в семье князя Саридана (Сардиона) Кациевича Ахвледиани (1844-1932) и его супруги Эграсти (Епраксия) Асатиани (1855-1942). Отцом последней был дворянин Окропир Асатиани из Лечхуми. Саридан и Эграсти повенчались 12 февраля 1881 года.

Самым древним предком Саридана Ахвледиани по отцовской линии, имя которого сохранилось в грузинских исторических источниках, являлся дед его деда – князь Георгий Ахвледиани. Его прямая (мужская) генеалогическая линия до праправнука выглядит так: 1) Георгий – 2) Рамаз – 3) Свимон – 4) Кациа – 5) Саридан [2, 271].

По материалам председателя Грузинского генеалогического общества академика Юрия Константиновича Чиковани (1937-2018), супругой князя Рамаза Георгиевича Ахвледиани (в источнике упоминается в 1806 году) была княжна Анна Эристави (Рачинская), супругой их сына – прарорщика Свимона Рамазовича (1773-1858) – княжна Мзехатун Зурабовна (1793-1854), фамилия которой неизвестна, супругой их сына – Кации Свимоновича (1814-1867) – княжна Лейхатун (1817-1867), дочь князя Георгия Чиковани из села Уцхери (Лечхуми).

После получения высшего образования в Харьковском и Петроградском университетах, в 1917 году Г. Ахвледиани вернулся в Тбилиси. В связи с основанием национального высшего учебного заведения, он участвовал в академической комиссии «Общества Грузинского университета». С 26 ноября того же года он присоединился к первой коллегии профессоров и стал одним из основателей Тбилисского университета, который был торжественно открыт 26 января (8 февраля) 1918 года. В качестве профессора он начал педагогическую деятельность в том же университете, которая продолжалась более полувека.

В Тбилисском государственном университете Г. Ахвледиани довелось быть пионером в таких дисциплинах, как общее языкознание и общая фонетика. Он руководил кафедрой общего языкознания, которая выполнила историческую роль в деле зарождения и развития языковедческого мышления в Грузии. В разное время он

читал следующие университетские курсы: введение в языкознание, общее языкознание, история лингвистических учений, общая фонетика, санскрит, греческий язык, армянский язык, осетинский язык, история и диалектология русского языка, сравнительная грамматика индоевропейских языков. Некоторое время он также читал историю западноевропейской литературы, преподавал логопедию и др. [3, 18-20].

Он работал в Министерстве просвещения Грузинской демократической республики (1918-1921), где руководил отделением среднего образования. В тот же период были изданы его учебники на грузинском языке для Тбилисского университета: „Введение в языкознание" (в трёх частях) [4] и „Санскрит" [5].

Издание этих книг молодого учёного (особенно последней) явилось событием большого культурно-исторического значения в истории просвещения нашей родины, что свидетельствовало о престиже молодого Тбилисского государственного университета и многосторонности изучаемых здесь научных дисциплин. В этой работе за чёткой и точной характеристикой грамматического строя классического индийского языка, следует подобранный для чтения материал, набранный индийским шрифтом и переданный в латинской транскрипции, а в конце дан словарь.

Одним из направлений его деятельности была индоиранистика. В этой области он исследовал осетинский язык, фонетику картвельских и горских кавказских языков. Проводил исследования в области общего языкознания (теория фонемы, проблемы фонологической синтагматики, вопросы экспериментальной фонетики).

Наблюдения Г. Ахвледиани над осетинским языком (входившим в иранскую группу индоевропейских языков) породили новые вопросы и пролили свет на неизвестные до этого фонетические закономерности. Он интенсивно изучал грузино-осетинскую проблематику, языковые контакты, существовавшие в условиях долгого и тесного общения грузинского и осетинского народов [3, 26-28].

По инициативе Г. Ахвледиани в Тбилиси было созвано учредительное собрание грузинских языковедов и филологов, которое учредило «Грузинское языковедческое общество» (1923), издававшее сборник «Ежегодник». Ныне это общество носит имя своего основателя.

По инициативе и под руководством Г. Ахвледиани в Тбилис-

ском государственном университете был основан кабинет экспериментальной фонетики, а в Институте языка, истории и материальной культуры имени Николая Марра – кабинет фонетики. В этих кабинетах, которыми руководил он, была заложена основа кимографической и фонографической записи картвельских языков, а также среднеазиатской арабской живой речи.

Ему принадлежат фундаментальные работы по лингвистике. Его труды: «Вопросы общей и грузинской фонетики» [6], «Основы общей фонетики» [7], „Введение в общую фонетику“ [8] „Сборник избранных работ по осетинскому языку“ [9] выделяются оригинальним подходом и новым освещением ключевых вопросов.

Г. Ахвледиани принадлежит классификация звуков грузинского языка. Он внес неоценимый вклад внес в разработку грузинской научной терминологии. При его участии разработана терминология как для гуманитарных, так и технических научных отраслей.

Он известен и как логопед, который разрабатывал вопросы теории и практики логопедии. В изучении природы речевых нарушений, он особое место придавал фонетике. Под его руководством выполнен ряд исследований по теории и практике логопедии, в том числе: «Типология заикания», «Профилактика речевых нарушений», «Речевые нарушения и их исправления», «Сигматизм и его исправления», «Недостатки произношения грузинских школьников», «Коллективная коррекция звуков», «Особенности письма детей с недостатками произношения», «История логопедической работы в Грузии» и «Дидактические игры-упражнения в логопедической работе».

В 1951 году он возглавил сектор логопедии Тбилисского научно-исследовательского института педагогики имени Якоба Гогебашвили. Он являлся председателем Грузинского отделения общества «Знание» и Грузинского лингвистического общества. К созданним им научной школе принадлежат известные грузинские логопеды: Н. Асамбадзе, А. Кайшаури, З. Габашвили, Т. Перадзе, А. Келбакиани и др. Созданная по инициативе Г. Ахвледиани группа логопедов провела огромную работу во время Второй мировой войны в эвакогоспиталях по лечению контуженных и утративших дар речи военнослужащих.

Г. Ахвледиани являлся одним из основателей Академии наук

Грузинской ССР. Он входил в первый состав членов этой Академии и в разное время занимал различные ответственные должности – академика-секретаря Академии, председателя Отделения общественных наук, директора Института языкознания при Академии наук Грузинской ССР (1949-1950).

Как пользующийся широкой известностью учёный, он был избран (перечисляю в хронологическом порядке): членом Международного общества по экспериментальной фонетике (1932), членом-корреспондентом Академии наук СССР (1939), членом Американского лингвистического общества (1940), действительным членом Академии наук Грузинской ССР (1941), заслуженным деятелем науки Грузинской ССР (1943), заслуженным деятелем науки Северо-Осетинской АССР (1967) и т. д.

Характерные для Г. Ахвледиани професионализм, глубокая эрудиция, тактичность и педагогическая способность являлись прочным основанием для того, чтобы им была воспитана целая плеяда молодых кадров в следующих отраслях: общее языкознание, общая и экспериментальная фонетика, русское языкознание, индология, германистика, романистика, иранистика, осология и логопедия. Являлся научным руководителем более двух десятков диссертаций [3, 20-30; 10, 297; 11, 50; 12, 458].

Академик Симон Николаевич Джанашиа (1900-1947) особо подчеркнул огромную заслугу Г. Ахвледиани в изучении осетинского языка в Грузии [13, 5].

Академик Арнольд Степанович Чикобава (1898-1985) в 1945 году отмечал: «26 лет тому назад вышло в свет «Введение в языковедение» (в трёх частях) Г. Ахвледиани. Это был первым «Общим языкознанием» на грузинском языке. Этот труд, от существовавщих в то время на русском языке аналогичных учебников, отличается богатством содержания и высоким уровнем разработки вопросов. По этому учебнику не одно поколение на грузинском языке ознакомилось с основами языкознания» [14].

Следует отметить, что в научное становление Георгия Ахвледиани огромный вклад внёс его учитель – великий латышский филолог и языковед академик Янис Эндзелинс (1873-1961), он же Ян Марцевич Эндзелин, иногда – Иван Мартынович Эндзелин, который

признан крупным специалистом балтийских языков и авторитетом в области сравнительно-исторического языкознания. Он окончил Юрьевский (ныне Тартуский) университет (1900). Был профессором Императорского Харьковского университета (с 1911 года), а затем Латвийского университета (с 1920 года). Являлся исследователем латышского, древнепрусского и других балтийских языков, балто-славянских и финно-балтийских языковых связей, автором «Грамматики латышского языка» (1951 и 1958), одним из создателей современного латышского письма. Изучал также историю латышской литературы и фольклористики. За огромные научные достижения его избрали членом-корреспондентом Академии наук СССР (1929), действительным членом Академии наук Латвийской ССР (1946) и присудили почотное звание заслуженного деятеля науки Латвийской ССР [15, 180].

Георгия Ахвледиани и Яниса Эндзелинса связывали долгое и тесное научное сотрудничество и дружеские взаимоотношения [16, 72].

В 1910 году Г. Ахвледиани был зачислен на славяно-русское отделение историко-филологического факультета Императорского Харьковского университета. В период своего обучения он углубил знания классических и новых европейских языков, изучил древний индо-санскритский, древнегерманский и древнеиранский языки. В историко-сравнительном языкознании он «закалялся» с такими выдающимися языковедами, как вышеупомянутый профессор Я. Эндзелинс.

Г. Ахвледиани был награжден золотой медалью за представленную на конкурс работу «Очерк истории плавных и носовых согласных в санскрите, греческом, латинском и славянских языках» [17, 7-11].

Профессор Я. Эндзелинс написал обширную рецензию на эту работу и дал ей высокую оценку. Рецензия была опубликована в 1914 году в вестнике «Записки Императорского Харьковского университета» [18, 7-10]. Она внесена в хронологическую библиографию работ Я. Эндзелинса, опубликованную в 1958 году в Риге.

Высокий академический уровень упомянутой выше работы и то признание, которое она получила в рецензии видного латышского учёного, навсегда определили будущность и научную перспективу грузинского выпускника Императорского Харьковского университета.

По окончании университета Г. Ахвледиани вернулся в Грузию, где приступил к педагогической деятельности в Кутаисской гимназии.

Профессор Я. Эндзелинс специально навестил старшего брата Г. Ахвледиани – Валериана, находившегося тогда в Харькове, и предложил ему: «Георгий – талантливый молодой человек. Жаль, что он работает учителем, он призван для науки. Я очень прошу Вас, напишите ему, пусть срочно приезжает, я хочу представить его на подготовительные профессорские курсы университета» [17, 10].

В 1915 году Г. Ахвледиани вернулся в Харьков, где, по рекомендации Я. Эндзелина, был оставлен на кафедре сравнительного языкознания для «подготовки к профессорской должности» (по современной терминологии – в докторантуре).

Вскоре Ахвледиани был направлен в Императорский Петербургский (тогда – Петроградский) университет, где слушал лекции таких крупных ученых, как Николай Яковлевич Марр (1864-1934) – по грузинской филологии, Карл Германович Залеман (1850-1916) – по иранской филологии, Фёдор Ипполитович Щербатской (1866-1942) – по индийской филологии, Лев Владимирович Щерба (1880-1944) – по общей и экспериментальной фонетике и др.

В 1917 году Г. Ахвледиани вернулся на родину. О его полодтворой научной деятельности в Грузии довольно подробно рассказали выше.

Примечательно, что Ахвледиани всегда с большой благодарностью вспоминал внимание и заботу, оказанные ему Эндзелинсом. Изданную в 1949 году свою фундаментальную работу «Основы общей фонетики» грузинский учёный посвятил своему латышскому учителю. На первой странице этого труда читаем: «Я посвящаю эту книгу своему дорогому учителю, научившему меня самоотверженности ради науки, действительному члену Академии наук Латвийской ССР Я. Эндзелину» [7].

Для подтверждения тесного научного сотрудничества и дружеских взаимоотношений академиков Г. Ахвледиани и Я. Эндзелинса важнейщим источником является их переписка. Пять писем Эндзелинса, отправленных в Грузию к Ахвледиани, хранятся в историческом фонде Тбилисского государственного университета имени

Иванэ Джавахишвили. Хронологические рамки этих писем охватывают десять лет. Из них первое посьмо датировано 30 апреля 1948 года, а последнее – 22 декабря 1958 года. Тексты этих писем, написанных на русском языке, впервые публикуются в данной статье.

30 апреля 1948 года Янис Эндзелинс своему грузинскому воспитаннику и другу Георгию Ахвледиани отправил письмо, которое начинается так: «Глубокоуважаемый Георгий Сариданович!».

Как выясняется из этого письма, ученые в ближайшее время должны были встретится в Москве. В конце письма читаем: «До свидания в Москве! Надеюсь, что Вы уже получили посланный Вам словарь Мюленбаха с дополнениями.

С сердечным приветом

Ваш И. Эндзелин» [19].

В письме Эндзелинса, отправленном Ахвледиани 6 сентября 1950 года, читаем:

«Глубокоуважаемый Георгий Сариданович!

Можете себе представить, что я с большим удовольствием читал Вашу статью в «Правде», как и статью Л.-А. Булаховского. Выражаю Вам теперь и письменно свою благодарность за посвященную мне и Л. В. Щербе книгу! Кроме приложенных тут мелочей, я сейчас, к сожалению, ничего другого не смогу со своей стороны Вам послать.

Желая Вам всего хорошего,

с сердечным приветом

Ваш И. Эндзелин.

P. S. Так как весною тут на меня нападали за то, что не придерживаюсь учения Марра, то я ушел из университета и остаюсь только в Академии» [20].

16 ноября 1950 года академик Эндзелинс отправил академику Ахвледиани письмо следующего содержания:

«Глубокоуважаемый Георгий Сариданович!

Посылаю Вам опять одну мелочь. Хотелось бы думать, что Вы теперь успокоились и можете опять работать!

С сердечным приветом

Ваш И. Эндзелин» [21].

В письме Эндзелинса, отправленном к своему грузинскому коллеге 8 октября 1950 года, читаем:

«Глубокоуважаемый Георгий Сариданович!

Очень благодарю Вас за благоприятный отзыв о моей латвийской топонимике! Без моего ведома, однако, обременили Вас чтением и оценкою (части) моей работы. И вопреки моему желанию начинают её издавать: работа не окончена (придётся сидеть над ней ещё года три по крайней мере, а буду ли я ещё так долго жить?) да и написанную часть её надо было бы ещё совершенствовать (во многих случаях мне ещё неизвестно точное произношение имён и добытые сведения иногда расходятся между собой).

Желаю Вам всего хорошего и прежде всего здоровья,

Ваш И. Эндзелин» [22].

В письме Эндзелинса, отправленном Ахвледиани 22 декабря 1958 года, читаем:

«Дорогой Георгий Сариданович!

Сердечно благодарю Вас за поздравление и посылку. Желаю и Вам здоровья и успехов в научной работе!

Ваш И. Эндзелин» [23].

Таким образом, академик Георгий Ахвледиани всегда с большой благодарностью вспоминал внимание и заботу, оказанные ему академиком Янисом Эндзелинсом [24, 167-168], о чём свидетельствует их переписка. Тесное научное сотрудничество и дружеские связи этих великих учёних являются одним из ярких фактов в истории грузино-балтийских взаимоотношений.

**Указанные источники и литература:**


1. Джавахишвили Иван, Сочинения в двенадцати томах, том X, Тбилиси, 1992 (на грузинском языке).
2. Семьи князей и дворян Мегрелии, именние семейные списки, тексты собрали и подготовили к печати Зураб Чумбуридзе, Юрий Чиковани и Анзор Сичинава, под редакциеей Зураба Чумбуридзе, Тбилиси, 2013 (на грузинском языке).
3. Дзидзигури Шота, Георгий Сариданович Ахвледиани (краткий обзор научной и общественной деятельности). В книге: Георгий

Ахвледиани (1887-1973), Биобиблиография, составители: М. Баркава, Э. Долидзе, редакторы: Ш. Дзидзигури, С. Хадури, библиографическая редакция Т. Накашидзе, Тбилиси, 1978 (на грузинском, русском и английском языках).
4. Ахвледиани Георгий, Введение в языковедение (в трёх частях), Тбилиси, 1918-1919 (на грузинском языке).
5. Ахвледиани Георгий, Санскрит, краткая грамматика и отрывки из классического санскрита и Ригверды со словарем, Тбилиси, 1920 (на грузинском языке).
6. Ахвледиани Георгий, Вопросы общей и грузинской фонетики, т. I, Тбилиси, 1938 (на грузинском языке).
7. Ахвледиани Георгий, Основы общей фонетики (в двух частях), Тбилиси, 1949 (на грузинском языке).
8. Ахвледиани Георгий, Введение в общую фонетику, Тбилиси, 1956 (на грузинском языке).
9. Ахвледиани Георгий, Сборник избранных работ по осетинскому языку, Тбилиси, 1960 (на русском языке).
10. Дзидзигури Шота, Ахвледиани Георгий Сариданович, Энциклопедия «Грузия», Тбилиси, 1997 (на грузинском языке).
11. Лилуашвили Манана, Ахвледиани Георгий Сариданович, Энциклопедия-словарь «Демократическая республика Грузия», Тбилиси, 2018 (на грузинском языке).
12. Климов Г., Ахвледиани Георгий Сариданович, «Большая советская энциклопедия», третье издание, т. 2, Москва, 1970 (на русском языке).
13. Буклет фото-документальной выставки, посвященной 130-летию академика Георгия Ахвледиани, составили и подготовили к изданию А. Маруашвили и М. Гурабанидзе, Тбилиси, 2017 (на грузинском языке).
14. Чикобава Арнольд, Общее языкознание (основные проблемы), т. II, Тбилиси, 1945 (на грузинском языке).
15. Грисле Р., Эндзелин Ян Марцевич, «Большая советская энциклопедия», третье издание, т. 30, Москва, 1978 (на русском языке).
16. Джавахишвили Николай, Очерки из истории грузино-балтийских взаимоотношений, Тбилиси, 2019 (на грузинском языке).

17. Жгенти Серги, Георгий Ахвледиани, Тбилиси, 1963 (на грузинском языке).
18. Эндзелин Иван, Отзыв о медальном сочинении (Г.Ахвледиани) на тему: «Очерк истории плавных и носовых согласных в санскрите, греческом, латинском и славянских языках», «Записки Императорского Харьковского университета», книга 1, Харьков, 1914 (на русском языке).
19. Музей Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили, Фонд истории № 10013/1, рукопись № 1495/1 (на русском языке).
20. Музей Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили, Фонд истории № 10013/2, рукопись № 1495/2 (на русском языке).
21. Музей Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили, Фонд истории № 10013/1-2, рукопись № 2643/1-2 (на русском языке).
22. Музей Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили, Фонд истории № 10013/1, рукопись № 2643/1 (на русском языке).
23. Музей Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили, Фонд истории № 14354, рукопись № 2824 (на русском языке).
24. Джавахишвили Николай, Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Тбилиси, 2019 (на русском языке).

**Niko Javakhishvili**
*Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Chief Scientist-Researcherof the Modern and Contemporary History Department of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Foreign Member of Latvian Academy of Sciences*

## From the history of the Georgian-Baltic scientific collaboration: George Akhvlediani and Jānis Endzelīns

*Dedicated to the memory of Academicians George Akhvlediani and Jānis Endzelīns*

Academician George (in Georgian – Giorgi) Akhvlediani (1887-1973), the descendant of ancient Georgian princely and noble families, was a great Georgian scholar, orientalist-linguist, who worked in several branches of linguistics. To his pen belong major studies in general linguistics, general and experimental phonetics, logopedics, Indo-European and Kartvelian languages. A man of broad social interests, he took an active part in the foundation of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Several pedagogical institutes in Georgia where also established with his active participation.

G. Akhvlediani had intensive scientific collaboration and friendly relationship with the prominent Latvian linguist, Academician Jānis Endzelīns/Endzelin (1873-1961), who was the full member of the Latvian Academy of Sciences.

In 1910 George Akhvlediani was admitted at the Faculty of History-Philology of Kharkov University, where he broadened his knowledge in classic and European new languages, learned old Indian-Sanskrit, German and Persian languages. Professor Jānis Endzelīns, who in 1909-1920 years was working at Kharkov University, taught historic-competitive linguistics to G. Akhvlediani. Endzelīns was the author of several important scientific works among of which is «Latvian Grammer» (Riga, 1922).

G. Akhvlediani presented on the contest his work: «For the history

of sonorant and alveolar nasal consonants in Sanskrit, Greek, Latin and Slavic languages» for what he was awarded with the gold medal. J. Endzelīns gave the high evaluation to this work («Kharkov University Bulletin», 1914, t. I), which is included in the chronological bibliography of works (Riga, 1958).

After graduating from the university, George Akhvlediani came back to Georgia and started working as a teacher at Kutaisi gymnasium.

Jānis Endzelīns paid a special visit to George's brother – Valerian Akhvlediani in Kharkov and suggested the following: „George is a talented man. It's a pity that he works as a teacher; his vocation is science. Please, write him to come here, I am going to prepare him to be professor and present to the university».

G. Akhvlediani took into account his teachers advice and in 1915 went back to Kharkov. By the recommendation of Endzelīns he became at chair of the competitive linguistic at the University «for preparing as a professor».

Back to Georgia G. Akhvlediani started working at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University. After electing as a full member of the Georgian Academy of Sciences (1941) and received the science rank as a devoted figure (1943), already a well known scientist, dedicated to his Latvian tutor his seminal work *Fundamentals of General Phonetics* (1949). The first page of the above work states: «I dedicate this book to my dear teacher – member of the Latvian Academy of Sciences Jānis Endzelīns, who taught me the dedication to science».

Akhvlediani always recalled the consideration and care shown by Endzelīns with great gratitude, evidenced by their correspondence. Five letters, sent by Endzelīns to Akhvlediani, are kept in the Museum of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Thus, close scientific collaboration and friendly ties between the prominent scholars have been one of the brightest facts in the history of Georgian-Baltic relationships.

## გამოხმაურება არჩილ ჩაჩხიანის მონოგრაფიაზე „სომხეთ-საქართველოს ომი“

თქვენს წინაშეა თადარიგის პოლკოვნიკის, ისტორიის დოქტორის, პროფესორ არჩილ ჩაჩხიანის მორიგი სქელტანიანი მონოგრაფია „სომხეთ-საქართველოს ომი“, რომელიც ორ ნაწილადაა წარმოდგენილი. ეს მონოგრაფია სამხედრო-ისტორიული ხასიათის სამეცნიერო ნაშრომია, რომელშიც უმდიდრეს წყაროთმცოდნეობის ბაზაზე დაყრდნობით ქართულ ისტორიოგრაფიაში მეცნიერული თვალსაზრისით პირველადაა წარმოდგენილი სომეხ დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და მისი გენეზისი. ნაშრომში სრულყოფილადაა გაშუქებული დაშნაკური სომხეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ომის დაწყება და მსვლელობა, ამ ომის სამხედრო-სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური ანალიზი, მისი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა და შედეგები.

ნაშრომი მიძღვნილია 1918-1919 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემისადმი, რაც ასე აქტუალურია დღესაც, თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის პირობებში.

მონოგრაფიაში მოცემულია ისტორიულ-პოლიტიკური პროცესების მიმოხილვა, რომელიც წინ უძღოდა სომხეთ-საქართველოს ომს. ავტორი მიზნად ისახავს, წარმოადგინოს სომხეთსა და საქართველოს შორის არსებული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები, ახსნას ის, თუ რამ მიიყვანა სომხეთის პირველი რესპუბლიკა საქართველოსთან დაპირისპირებამდე, რაში მდგომარეობდა ე. წ. „სომხური საკითხის“ რეალური არსი, განმარტებულია, რომ სომხეთისათვის კეთილსასურველი საგარეო პირობების ატმოსფეროში (ასეთად აღიქვეს დაშნაკებმა საქართველოს მოკავშირე გერმანიის გასვლა საქართველოდან და ანტანტის დახმარების იმედი) „სადავო“ ისტორიული ქართული მიწები უნდა ქცეულიყო სომეხთა მომავალი სახელმწიფოს, „დიადი არმენიის“ შემადგენელ ნაწილად. ეს ე. წ. „დიადი არმენია“ კი უნდა შემდგარიყო „დიდი არმენიის“, „მცირე

არმენიისა'' და „ქილიკიის არმენიისაგან". „დიდი არმენიის" ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში განსაზღვრული იყო ისტორიული საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის ჩართვა.

წარმოდგენილ მონოგრაფიაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ სომხეთის მიერ საქართველოსადმი წაყენებული ტერიტორიული პრეტენზიების არსი შორს ცილდებოდა საქართველოს პირველ რესპუბლიკასა და სომხეთს შორის მთელი 1918 წლის განმავლობაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობებს, რომ სწორედ „სომხური საკითხის", როგორც ასეთის, დასმა და არსებობა იყო ფუძემდებლური მიზეზი სომხეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებული ომისა და ამავე დროს მისი გამართლების ერთგვარი მცდელობაც.

ნაშრომში ისტორიული ექსკურსის სახით წარმოდგენილია XIX საუკუნის განმავლობაში და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიებზე სომეხთა მშვიდობიანი დემოგრაფიული ექსპანსიის საინტერესო პროცესი და მისი სტატისტიკა. დამოწმებულია ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება ქვემო ქართლში – ბორჩალოს მაზრაში სომეხთა კომპაქტური, მრავალრიცხოვანი მოსახლეობის გაჩენის შესახებ, აგრეთვე რუსი ავტორებისა და ცნობილი ბრიტანელი მკვლევარის, სტივენ ჯონსის (Stephen F. Jones) მონაცემები საქართველოში სომეხთა მასობრივი მიგრაციის შესახებ, რამაც საქართველოს ზოგიერთ რაიონში, პირველ რიგში კი ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, დემოგრაფიული დისბალანსი შექმნა. მითითებულია, რომ თბილისში დაფუძნებულ სომეხთა ეროვნული საბჭოს (ქალაქის ყოფილი თავის, ალექსანდრე ხატისოვის თავმჯდომარეობით) მთავარ ფუნქციას, ჩვენთვის საინტერესო ეტაპზე, საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიის სომეხი მოსახლეობისაგან საბრძოლო რაზმების ორგანიზება და შეიარაღება წარმოადგენდა.

XIX საუკუნის ბოლოსათვის დაშნაკთა მიერ შემოხაზული „დიადი არმენიის" რუკაზე ლორე-ბამბაკისა და ახალციხე-ახალქალაქის რეგიონები მოექცა. ამ ეფემერული სომხური სახელმწიფოს დედაქალაქად XX საუკუნის 10-იან წლებამდე აღმოსავლეთ ანატოლიის უდიდესი დასახლებული პუნქტი, „თურქეთის სომეხთა" პოლიტიკური აქტივობის ცენტრი, ქალაქი არზრუმი მოიაზრებოდა, ხოლო 1918 წლისათვის „კავკასიის დიდებული დედაქალაქი", (რიჩარდ ოვანესიანის გამოთქმაა) თბილისი. ხაზგასმულია ის საინტერესო

ფაქტი, რომ 1918 წლის დასაწყისისათვის ბაქოს გუბერნიაში მათთვის ხელსაყრელი ვითარების შექმნის გამო, დაშნაკთა მთელი ყურადღება აღმოსავლეთისაკენ იქნა გადატანილი. ამ მიმართებით ნაშრომში დამოწმებულია საინტერესო ფაქტები დაშნაკცუტიუნის პარტიის მეტამორფოზისა, ბოლშევიკებთან საიდუმლო კონტაქტებისა და მათი ესერებთან და ბრიტანელებთან ალიანსის შესახებ.

ნაშრომში ამიერკავკასიაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ჭრილში გამოკვლეულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი სომხეთის სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული პრეტენზიების, ე. წ. „სადავო ტერიტორიების" ისტორიული კუთვნილების საკითხი XX საუკუნის პირველი ოცწლეულის მიწურულს. ერთი რამ გადაჭრით უნდა ითქვას: დამოუკიდებელი საქართველოს ხანაში, სომხეთ-საქართველოს ომს მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით არაერთი მკვლევარი შეხებია, მაგრამ საკვლევი პრობლემა სპეციალურად, განსაკუთრებით სამხედრო-სტრატეგიული და ოპერატიულ-ტაქტიკური ანალიზის თვალსაზრისით, შეუსწავლელი იყო. აქვე მინდა შევნიშნო, რომ მოცემული თემის სამხედრო ისტორიის ასპექტით შესწავლის წარმატება განაპირობა იმან, რომ მას ხელი მოჰკიდა მაღალკვალიფიციურმა ისტორიკოსმა და ამავდროულად პროფესიონალმა კადრის ოფიცერმა, სამხედრო საქმის მცოდნე პირმა.

კარგა ხანია, პირადად მე ასეთ მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული ნაშრომი არ მინახავს. არ მინახავს ასეთი დიდი რუდუნებით, დიდი მონდომებითა და სიყვარულით დაწერილი გამოკვლევა. ნაშრომი სამჯერ წავიკითხე, ცალკეული საკითხები – კიდევ უფრო მეტჯერ, მაგრამ ყველაფრის ერთობლიობაში გააზრება მაინც რთული გამოდგა. ნაშრომი იმდენად ტევადი და ინფორმატიულია როგორც დოკუმენტური მასალით, ისე დასკვნებით, რომ დიდ დროს საჭიროებს გააზრებისა და სრულად აღქმისთვის.

აქტუალობის, მნიშვნელობისა და ღირებულებითი თვალსაზრისით, წარმოდგენილი მონოგრაფია უდავოდ იმსახურებს დიდ ყურადღებას. ამასთან მიმართებში აუცილებლად ხაზგასასმელია რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი:

პირველი – ისტორიული ასპექტი, ანუ ის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წ.წ.) ისტორია ისე ვერ დაიწერება, თუ სომხეთ-საქართველოს ომის ისტორია არ იქნა ღრმად და საფუძვლიანად შესწავლილი.

მეორე – ის, რაც საქართველოს დაატყდა თავს 1918 წლის 26 მაისის სახელმწიფოებრიობის აღდგენის წინა პერიოდსა და მომდევნო წლებში, თითქმის ზუსტად განმეორდა XX საუკუნეში 1991 წლის 9 აპრილს სახელმწიფოებრიობის მეორედ აღდგენის წინა პერიოდსა და მომდევნო ხანებში. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ დღეს საქართველოს წინაშე მდგარი ურთულესი პრობლემების გადაჭრის გზებს ცალსახად 1917-1921 წლებში ამიერკავკასიასა და საქართველოში განვითარებული მოვლენების ანალიზის შედეგად მოვიპოვებთ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ისტორია ხშირად მეორდება და ამდენად, წარსულის ცოდნით, შეცდომების ნაწილს მაინც ავიცილებთ თავიდან.

მე ვერ მოგახსენებთ, თუ რამდენი წელი მოანდომა ავტორმა ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნას, თუმცა ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება აღინიშნოს: რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით შესრულებულია წარმოუდგენლად დიდი სამუშაო და გაწეულია მართლაც ტიტანური შრომა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა რაღაცა ოდენობის მასალის შეგროვებასა და დალაგებასთან, არამედ უამრავი დოკუმენტიდან ისეთის შერჩევასთან, რომელსაც ისტორიული პროცესის აღდგენისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. წყაროსადმი ასეთი მიდგომა კი, დიდ პროფესიონალიზმს, კრიტიკული აზროვნების ნიჭს და ლოგიკური დასკვნების გაკეთების განსაკუთრებულ უნარს მოითხოვს. ჩვენს მიერ გამოთქმული ეს შეფასებები ეხება როგორც გამოუქვეყნებელ (საარქივო), ასევე გამოქვეყნებულ მასალებს, როგორც ქართულენოვანს, ასევე რუსულ და სხვა ენებზე არსებულ წყაროებს. არაერთი უცნობი დოკუმენტი და ფაქტია შემოტანილი პირველად მეცნიერულ ბრუნვაში. ყოველივე ამის საფუძველზე შეძლო ავტორმა სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობის აღდგენა, კომენტარების გაკეთება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ ნაშრომში შესწორებული და დაზუსტებულია ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი სომხურ და პროსომხურ ისტორიოგრაფიაში, დამახინჯებულად და ტენდენციურად ინტერპრეტირებული ესა თუ ის მოვლენა თუ ფაქტი.

დიდი შრომა აქვს გაწეული ავტორს თემის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის თავმოყრისა და შესწავლის მიზნითაც. წარმოდგენილი და კრიტიკულად შეფასებულია რამდენიმე ისტორიოგრაფიული სკოლის ნაღვაწი. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ

სომეხ ისტორიკოსთა ნაშრომების შეფასების სირთულე და მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით, წიგნის ავტორის მხრიდან ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება მხოლოდ შექებას იმსახურებს.

მდიდარმა წყაროთმცოდნეობითმა ბაზამ, ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის ობიექტურად გააზრებამ და ეპოქის საფუძვლიანმა ცოდნამ ბატონ არჩილს საშუალება მისცა ნაშრომის ისეთი სტრუქტურა შეემუშავებინა, რომელიც საშუალებას მისცემდა მთელი სისრულით წარმოეჩინა შესასწავლი საკითხი. სწორედ წიგნის სტრუქტურამ მისცა საშუალება ავტორს წარმოეჩინა ის მეტად საყურადღებო მასალა, რომელიც სხვა შემთხვევაში ვერ გახდებოდა მსჯელობის საგანი. ფორმატიდან და გადმოცემული მასალის დიდი მოცულობიდან გამომდინარე, ავტორმა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პირველი რედაქციისგან განსხვავებით, ამჯერად თავისი ნაშრომი ორ ნაწილად წარმოადგინა, რაც აღქმისა და გააზრების თვალსაზრისით, ნამდვილად გამართლებულია. პირველი ნაწილის დასახელებაა „სომხეთ-საქართველოს ომი – „სომხური საკითხის" დასმიდან დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიებამდე", ხოლო მეორისა – „სომხეთ-საქართველოს ომი – გამოუცხადებელი ომის ქრონიკა და „ლორეს ნეიტრალური ზონა".

ორ ნაწილად წარმოდგენილი მონოგრაფია ძალიან მოცულობითია. საერთო სტრუქტურული ფორმით წიგნის პირველი ნაწილი შედგება შესავალი ნაწილის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნითი ნაწილისაგან. შესავალი ნაწილი ექვსი პუნქტისგან შედგება, ხოლო დასკვნითი ნაწილი – სამი პუნქტისგან. წიგნის მეორე ნაწილის შესავალი ნაწილი ოთხი პუნქტისგან შედგება, ხოლო დასკვნითი ნაწილი – შვიდი პუნქტისგან. მონოგრაფიის პირველი ნაწილი სამ თავს და ოცდაშვიდ პარაგრაფს მოიცავს, ხოლო მეორე ნაწილი – ასავე სამ თავს და ოცდაცხრა პარაგრაფს.

მონოგრაფიის ახალ რედაქციაში თითოეული გვერდის სქოლიოში გამოტანილია ნაშრომში განხილული საკითხებისა თუ შემოტანილი ტერმინების განმარტებები, შენიშვნები და კომენტარები, აგრეთვე ჩვენთვის საინტერესო ისტორიულ პერსონაჟთა მოკლე ბიოგრაფიები. გარდა ამისა, პირველი გამოცემისგან განსხვავებით, ნაშრომს დამატებული აქვს ისტორიულ პერსონაჟთა და გეოგრაფიული ობიექტების სახელთა საძიებელი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დამატება – ნაშრომში წარმოდგე-

ნილი პერსონაჟების უკეთ იდენტიფიცირებისა და მოვლენებისა და პროცესების სრულყოფილად აღქმა-გააზრებისათვის წიგნის თითოეულ თავს შესაბამისი ილუსტრაციები აქვს დართული. წიგნის მეორე რედაქციაში შეტანილმა დამატებებმა მისი საერთო მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია და გვერდების რაოდენობამ A-4 ფორმატში ათას ხუთასს მიაღწია.

საერთო ჯამში, ამ მეტად საინტერესო ისტორიული პერიოდისა და მაშინ განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების შესახებ მივიღეთ სქელტანიანი ფუნდამენტური კვლევა, რომელიც ქართული მეცნიერებისა და ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს შენაძენს წარმოადგენს.

ზემოთ ხსენებული ღირსებანი ზოგადი ხასიათისაა. შეიძლება ჩამოვთვალოთ უფრო კონკრეტული ღირსება-სიახლენი:

პირველი – მონოგრფიაში წარმოდგენილია სომხეთ-საქართველოს ომის მიზეზების ობიექტური სურათი.

მეორე – სომხეთ-საქართველოს ომის ისტორიას წინ წამძღვარებული აქვს პროფესიონალი სამხედრო სპეციალისტის თვალთახედვით დაწერილი დაპირისპირებულ მხარეთა შეიარაღებული ძალების შექმნის ისტორია, მათი საორგანიზაციო-საშტატო და საბრძოლო სტრუქტურები, შეიარაღება, დაპირისპირებულ მხარეთა სამხედრო-სტრატეგიული გეგმები და სამზადისი, საომარ მოქმედებათა თეატრის სტრატეგიული მიმოხილვა, სამობილიზაციო საკითხები და ა. შ.

მესამე – საბრძოლო მოქმედებები აღწერილია სამხედრო ისტორიკოსისათვის დამახასიათებელი პროფესიონალიზმითა და საქმის ღრმა ცოდნით. ჩატარებულია ცალკეული ბრძოლების ტაქტიკური ანალიზი, ხოლო თავად ბრძოლები სამხედრო ხელოვნების კუთხითაა განხილული.

მეოთხე – სამხედრო-სტრატეგიული საკითხებით გატაცებასთან ერთად ავტორი ხაზს უსვამს იმასაც, რომ ომი პოლიტიკის გაგრძელებაა. პოლიტიკური სიტუაციის ანალიზი წარმოდგენილია ვრცლად და დამაჯერებლად, საომარ მოქმედებებთან კავშირში.

მეხუთე – სომხეთ-საქართველოს ომს თან ახლდა დიპლომატიური ბრძოლაც. ეს ასპექტიც ღრმად და საფუძვლიანად არის შესწავლილი.

მეექვსე – სანდო დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობითაა წარმოდგენილი საკითხი გარე ძალის, კერძოდ, დიდი ბრიტანეთის როლი სომხეთ-საქართველოს ომში და სამშვიდობო კონფერენციაზე.

მონოგრაფიაში კარგად არის ნაჩვენები სომხეთში საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე ომის მზადების პროცესი მის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, და ეს მაშინ, როცა საქართველოს მთავრობა სამხედრო დოქტრინის შემუშავებას არ თვლიდა საჭიროდ და საგარეო ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ადგა, თუმცა საგარეო ნეიტრალიტეტის ეს პოლიტიკა ხელისუფლების მიერ მხოლოდ დეკლარირების დონეზე არსებობდა. უფრო მეტიც, სომხეთის მიერ სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების გაშლის ეტაპზედაც კი, საქართველოს მთავრობა არ აღიარებდა სომხეთის მხრიდან დაწყებული სამხედრო აგრესიის ფაქტს და 1918 წლის 16 დეკემბრამდე მას მხოლოდ ცალკეული დაშნაკური ბანდების გამოხდომებად თვლიდა. ამიტომ იყო ეს ომი საქართველოსათვის სრულიად მოულოდნელი.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, პატივცემული ავტორი სამართლიანად აკრიტიკებს საქართველოს მთავრობის „პაციფისტურ“ პოლიტიკას, რომელიც თავის მთავარ დასაყრდენ ძალად მხოლოდ „მსოფლიო ინტერნაციონალურ დემოკრატიას“ მიიჩნევდა და არა რეალურ სამხედრო ძალას. საგანგებოდ ჩერდება ავტორი სომხეთისა და საქართველოს მოკავშირეების საკითხზე, რაც იმ პერიოდისთვისაც მწვავედ იდგა ორივე სახელმწიფოს წინაშე. 1918 წლისათვის არსებული დიდი პოლიტიკის არეალში ისინი დაპირისპირებულ ბანაკებში აღმოჩნდნენ ჩართულნი. რეგიონში შექმნილი ვითარების გამო, „დიადი არმენიის“ დაშნაკმა აპოლოგეტებმა ანტანტას, ანტიოსმალურ ალიანსს დაუჭირეს მხარი, ხოლო საქართველოს მთავრობამ პროგერმანული პოზიცია დაიკავა, რაც ავტორის მართებული შენიშვნით ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო არსებული რთული სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. სწორედ გერმანელთა პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერის წყალობით გადაურჩა საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი ოსმალურ ოკუპაციას.

ნაშრომში გაშუქებულია სომხურ პრესაში გაჩაღებული ცილისმწამებლური ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი კამპანია, ვითომდა ქართველთა მხრიდან სომხების შევიწროების, დევნისა და ჟლეტვის შესახებ. რეალურად კი ყველაფერი პირიქით იყო. დაშნაკთა ექსპანსიონისტური მისწრაფებები ოფიციალურად პირველად 1918 წლის 13 ნოემბერს გაცხადდა, როდესაც ბორჩალოს მაზრასთან სასაზღვრო მიჯნად მდინარე ხრამი გამოიკვეთა, დამატებით – ახალქალაქის მაზრა მთლიანად და გორის მაზრის ნაწილიც კი. წიგ-

ნის ავტორი მართებულად მიიჩნევს 1918 წლის 5 დეკემბრისათვის ქართული მხარის მიერ ახალციხე-ახალქალაქში ქართული სამხედრო ნაწილების შეყვანას, თუმცა მისი შენიშვნით საქართველოს მთავრობის მიერ არ იქნა გათვალისწინებული სომხური მხარის საპასუხო რეაქცია – ღია საომარი მოქმედებების დაწყების დიდი ალბათობა, რომლის აღკვეთისათვის საქართველოს მენშევიკური მთავრობა და მისი შეიარაღებული ძალები სრულიად მოუმზადებლები აღმოჩნდნენ. სომეხთა შეიარაღებული აგრესიული მოქმედებების დაწყება 1918 წლის 6 დეკემბრიდან სწორედ ახალქალაქის მაზრას უკავშირდება, რასაც 9 დეკემბრიდან ორგანულად მოჰყვა სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების გაშლა ბორჩალოს მაზრაშიც.

წარმოდგენილ მონოგრაფიაში დაწვრილებით არის აღწერილი საომარ მოქმედებათა მსვლელობა დღეებისა და ზოგჯერ საათების სიზუსტითაც კი, სომხეთ-საქართველოს საომარ მოქმედებათა მთელ თეატრზე, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა და სიდიდით 7000 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა. იგი ბორჩალოს მაზრის მნიშვნელოვან და ახალქალაქის მაზრის სამხრეთ ნაწილზე იყო განფენილი.

ნაშრომში დამოწმებულია საომარი მოქმედებების დაწყების სომხური, პროსომხური და რუსული პროსომხური ვერსიები, კერძოდ, გენერალ ანტონ დენიკინის ე. წ. „დობროაარმიის" საშტაბო დოკუმენტაცია. ავტორი არ ეთანხმება ცნობილი ამერიკელი მეცნიერების, რიჩარდ ოვანესიანისა (Richard Hovannisian) და ფირუზ კაზიმზადეს (Firuz Kazemzadeh) დასკვნებს იმის შესახებ, რომ ლორეს გლეხობა „აუჯანყდა" საქართველოს ხელისუფლებას, „ხმაური ატეხა" სომხეთთან შესაერთებლად და იარაღით ხელში წინ აღუდგა ქართული რეგულარული ჯარის ქვედანაყოფებს. ბატონი არჩილ ჩაჩხიანი ამტკიცებს, რომ რეალურად ისინი კარგად დაგეგმილ დაშნაკურ პროვოკაციას წამოეგნენ.

ნაშრომში მითითებულია სომეხი ავტორების მიერ დიდი ტირაჟებით გამოცემული ლიტერატურა, რომელშიც მოცემულია კარგად გააზრებული დეზინფორმაცია, თითქოს ქართველთა საბრძოლო ძალები აღემატებოდნენ სომხეთისას, და ეს იმ დროს, როცა უტყუარი საარქივო დოკუმენტების მონაცემების ანალიზის საფუძველზე ავტორის მტკიცებით, სანაინი-ალავერდის უბანზე 1918 წლის 9 დეკემბრისათვის სომხური მხარე ცოცხალი ძალის რაოდენობით ოცმაგ, ხოლო 14-15 დეკემბრისათვის ათმაგ უპირატესობას ფლობდა.

წიგნში დეტალურად არის წარმოდგენილი საომარი მოქმედებები ახალქალაქის მაზრასა და ვორონცოვკის მიმართულებაზე, უზუნლარი-სანაინისა და ალავერდი-ახტალის ბრძოლები, ეკატერინენფელდის ბრძოლა, დაღეთ-ხაჩინისა და ბოლნის-ხაჩინის ბრძოლები, სადახლოს თავდაცვითი ბრძოლების ტაქტიკური ასპექტები, შულავერის ფრონტის სტაბილიზაცია და შულავერის დაბრუნების საფრონტო ოპერაცია, რომელიც 1918 წლის 29 დეკემბერს ქართველთა სრული გამარჯვებით დასრულდა. შულავერის აღების ოპერაცია, რომელიც გენერალ გიორგი მაზნიაშვილის საერთო სარდლობით იქნა აღსრულებული გენერალ კვინიტაძესა და გენერალ სუმბათაშვილთან ერთად, ავტორს სამხედრო ხელოვნების ნიმუშად აქვს შეფასებული. მისი აზრით, ეს ოპერაცია გამორჩეული ბრძოლა იყო საჯარისო ტაქტიკის, ოპერატიული ხელოვნებისა და სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით.

სომხეთ-საქართველოს ომის დამაგვირგვინებელი ბრძოლა კი, სადახლოს შტურმი იყო. ეს სტრატეგიული პუნქტი, როგორც დასახლება, ასევე რკინიგზის სადგური, სომეხ ავტორთა მტკიცებულებების საწინააღმდეგოდ, ცეცხლის შეწყვეტის მომენტისათვის, ე.ი. 1918 წლის 31 დეკემბრის 24 საათისათვის არსებული ოპერატიული მდგომარეობით, ქართველთა ხელში იყო, რასაც ბატონი არჩილი დოკუმენტურად და ისტორიულად დადასტურებულ ფაქტად მიიჩნევს.

ცალკეა განხილული ბრიტანული ფაქტორის როლი საომარი მოქმედებების შეჩერებასა და სამშვიდობო კონფერენციის გამართვაში, რომელიც ავტორის აზრით აბსოლუტურად ფორმალურ ღონისძიებას წარმოადგენდა, რამდენადაც მისი შედეგები ბრიტანელთა მიერ წინდაწინვე ცალსახად იყო განსაზღვრული კაპიტან გრინის „სამშვიდობო შემოთავაზების“ სახით, ჯერ კიდევ 1918 წლის 15 დეკემბრისათვის. გადამწყვეტი ხმა სომხეთ-საქართველოს წარმომადგენელთა შორის სადავო საკითხების გადაწყვეტაში, რა თქმა უნდა, მოკავშირეთა ბლოკის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, როგორც ნეიტრალურ მხარეს, ეკუთვნოდა. კონფერენციის მთავარი საკითხი ეხებოდა იმ ოპერატიული ხაზის დადგენას, რომელზეც უნდა გაჩერებულიყო ქართული ჯარი, რასაც სომხური მხარე არ ეთანხმებოდა, მაგრამ ამ საკითხის გადაჭრაში ნეიტრალურმა მხარემ საქართველოს დაუჭირა მხარი. კონფერენციის მსვლელობისას ასევე მწვავე ხასიათი მიიღო ე. წ. „ლორეს ნეიტრალურ ზონაში“ ადმინისტრაციული მოწყობისა და რკინიგზის საკითხმა.

ნაშრომში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ სომხეთ-საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო საზღვარი ზუსტად იმეორებს ომში დაპირისპირებულ მხარეთა ძალების დისპოზიციასა და ფრონტის ხაზის რეალურ მოხაზულობას 1918 წლის 31 დეკემბრის 24 საათისათვის არსებული ოპერატიული მდგომარეობით. სწორედ ამ პუნქტებზე გაიარა ჯარების დაშორიშორების სადემარკაციო ხაზმაც, რომელიც სულ მალე იქცა კიდეც ლორეს ნეიტრალური ზონის ჩრდილოეთ საზღვრად.

მეტად მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივია ის მოსაზრებები, რითაც ბატონი არჩილი აფასებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ზოგადად, ქართველი სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულებას ამ ომისადმი. იგი კომენტარს უკეთებს ნოე ჟორდანიას მოსაზრებას ცეცხლის შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ მის გამონათქვამებში კარგად ჩანს ქართველ სოციალ-დემოკრატთა ეროვნული ინფანტილიზმი და ყოვლად გაუმართლებელი ინტერნაციონალიზმი, მენშევიკი ლიდერების მიერ რეგიონში არსებული და მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური რეალობების არაადეკვატური აღქმა.

ბატონ არჩილ ჩაჩხიანის მიერ შესწორებულია ომის ხანგრძლივობისა და მიმდინარეობის ქრონოლოგიაც. სომხეთ-საქართველოს ომის დაწყების თარიღად იგი 1918 წლის 18 ოქტომბერს თვლის, როდესაც სომხეთის პირველი რესპუბლიკის რეგულარული ჯარის ნაწილებმა და დაშნაკურმა საბრძოლო რაზმებმა პირველად გადმოკვეთეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფაქტობრივი საზღვრები და მისი გარკვეული ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინეს. ამ ეტაპზე ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მოკლე ხანში შეძლეს დაშნაკური აგრესიის აღკვეთა, თუმცა, რეგიონში განვითარებული ახალი სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების გამო, სრულ წარმატებას მაინც ვერ მიაღწიეს. ნოემბრის თვის განმავლობაში ქართულ მხარესთან მთელი რიგი დიპლომატიური მანევრების მიუხედავად, 6 დეკემბრიდან ახალქალაქის მაზრაში, ხოლო 9 დეკემბრიდან ბორჩალოს მაზრაში სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები განაახლეს, სამმხრივ ბრიტანულ-ქართულ-სომხური შეთანხმების საფუძველზე კი, ცეცხლი 1918 წლის 31 დეკემბრის ზუსტად 24 საათზე შეწყდა. სამშვიდობო კონფერენცია თბილისში 1919 წლის 9 იანვარს დაიწყო, ხოლო ხელშეკრულებას ოფიციალურად, სამთავრობო დონეზე, 1919 წლის 17

იანვარს მოეწერა ხელი, ნაცვლად 22 იანვრისა, როგორც ეს, მათ შორის ქართველ ავტორებს აქვთ დაფიქსირებული. ასევე, ავტორი აზუსტებს აზრს იმის თაობაზე, რომ თითქოს ლორეს ნეიტრალური ზონიდან თანდათან იქნა გამოყვანილი ქართული ქვედანაყოფები და იქ მხოლოდ მისი შეზღუდული კონტინგენტი დარჩა. ავტორის მტკიცებით, ამ ზონაში, 1918 წლის 17 დეკემბრიდან, ქართველთა მიერ ალავერდი-ახტალის დატოვების შემდეგ, არცერთი ქართველი ჯარისკაცი აღარ იმყოფებოდა და ზონის დემილიტარიზაციის საკითხი მხოლოდ სომხურ მხარეს შეეხო. 1918 წლის ბოლოდან ქართველ ჯარისკაცს ლორე-ბამბაკის ტერიტორიაზე ფეხი აღარ დაუდგამს, თუ არ ჩავთვლით 1920 წლის ნოემბერი – 1921 წლის თებერვლის რაღაც სამთვიან პერიოდს. მაშინ, სომხეთის დასავლეთი ნაწილის ქემალისტური ოკუპაციისა და გასაბჭოების გამო, ლორეს ნეიტრალურ ზონაში მცხოვრები მოსახლეობისა და დანარჩენი საქართველოს უსაფრთხოების მიზნით, სომხეთის მთავრობის თანხმობით, ქართულმა მხარემ დროებით შეიყვანა ჯარები ნეიტრალურ ზონაში, რითაც ამ ტერიტორიებზე თავისი დე იურე და დე ფაქტო იურისდიქცია აღიდგინა.

მონოგრაფიაში ნაჩვენებია სომხეთ-საქართველოს ომის შედეგები და მისი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა. მონოგრაფიის ავტორი არ იზიარებს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ თეზისს სომხეთ-საქართველოს ომში ქართველების გამარჯვების შესახებ და მართებულად შენიშნავს, რომ ამ ომში ქართველთა დამარცხების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები ომის საბრძოლო, ტერიტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა შედეგები. საქართველო დამარცხდა – აღნიშნავს ავტორი – დამარცხდა უსამართლოდ და დაუმსახურებლად. დამარცხდა გაცილებით სუსტ და უღირს მოწინააღმდეგესთან ომში, რაშიც არც თუ უკანასკნელი როლი საქართველოს ხელისუფლების სათავეში მყოფი ქართველი სოციალ-დემოკრატების ინტერნაციონალურმა იდეოლოგიამ და მათ მიერ წარმოებულმა პაციფისტურმა კურსმა ითამაშა. მან დათმო იურისდიქცია თავის ისტორიულ მიწაზე – ლორე-ბამბაკზე, რომელიც ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. მაგრამ ამავე დროს, სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ქართულმა მხარემ გაიმარჯვა. მაგრამ ალბათ არც ის უნდა უგულებელვყოთ, რომ ვერც სომხურმა მხარემ მიაღწია ამ ეტაპზე თავის

მიზანს ახალქალაქის მაზრასა და ხრამის რაიონთან მიმართებაში. ავტორის დასკვნით, საქართველოს პოლიტიკური წარუმატებლობის მიზეზი ამიერკავკასიაში განვითარებული ქართველთათვის არასახარბიელო სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შექმნა, რასაც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, და რაც მთავარია, საქართველოს პირველი რესპუბლიკის „ჰუმანური“ და „ინტერნაციონალისტი“ მთავრობის მიერ გატარებული არასწორი სამხედრო-პოლიტიკური კურსის შედეგი იყო.

სომხეთის მიერ საქართველოსადმი ტერიტორიული პრეტენზიების წამოყენება ამიერკავკასიის რესპუბლიკების გასაბჭოების შემდეგაც გრძელდებოდა. საბოლოოდ, 1921 წლის 6 ნოემბრის ხელშეკრულებით უკვე საბჭოთა სომხეთმა მაინც მიაღწია ე. წ. „ლორეს ნეიტრალური ზონის“ სომხეთისათვის გადაცემას. ახალქალაქის მაზრისა და ხრამის რაიონის ტერიტორიების კუთვნილება კი, საქართველოსათვის უცვლელად იქნა დატოვებული.

საინტერესოა ავტორის დაკვირვება სომხეთ-საქართველოს ომის ერთ-ერთი შედეგის თაობაზე. ომის მსვლელობისას, თბილისის სომეხთა ეროვნული საბჭოსა და გარკვეული სომხური წრეების ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი ძირგამომთხრელი ღონისძიებების, საქართველოს წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში ჩართულ სომეხთა აშკარა იდეოლოგიური და ფინანსური დახმარებების გამო, მასიურად დაიწყო დამნაშავე პირთა დაპატიმრებები, რის შედეგადაც 1919 წლიდან საგრძნობლად შეირყა საქართველოს დედაქალაქში სომეხთა პოლიტიკური და ფინანსური ჰეგემონია. ქალაქის ადმინისტრაციული აპარატი სომხებისაგან განთავისუფლდა და ეკონომიკური და ეთნო-კულტურული თვალსაზრისით 1919 წლიდან თბილისმა თანდათანობით დაიწყო თავისი ეროვნული სახის დაბრუნება.

მონოგრაფიის მეორე ნაწილის ბოლო, მეოთხე თავში წარმოდგენილია პარტია „დაშნაკცუტიუნის“ დღევანდელი აქტივობები და მისი ადგილი სომხეთის პოლიტიკურ სივრცეში. აქვეა განხილული სომხურ ტერორიზმთან და ტერორისტულ ორგანიზაციებთან დაკავშირებული საკითხები. მონოგრაფიის ბოლო პარაგრაფში კი, საუბარი ისტორიული „დიადი არმენიის“ თანამედროვე ელემენტებს – ე. წ. „დასავლეთ სომხეთსა“ და „სომხურ სახელმწიფოს“ შეეხება.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ წარმოდგენილი მონოგრაფიის ერთ მეტად მნიშვნელოვან ღირსებაზე. სომხეთ-საქართველოს ომი ისე კარგად და ცოცხალი ენითაა დაწერილი, რომ მკითხველს შეუძ-

ლია ობიექტურად გაიაზროს არა მარტო ეს ომი, არამედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და მთლიანად ამიერკავკასიის რეგიონის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ისტორიის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. მონოგრაფია გამოირჩევა აგრეთვე მოხმობილი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაციისა და შეფასება-განზოგადების მაღალი დონით, იგი შესანიშნავად არის გამართული და დახვენილი. წიგნში გადმოცემული მოვლენებისა და პროცესების დაწვრილებითი ანალიზის ფონზე აშკარად იკვეთება ის სურათიც, რომ საგმირო საქმეებთან ერთად, პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით, სომხეთ-საქართველოს ომში ბევრი ისეთი რამ გამოვლინდა, რაც უკვე წინასწარ მიგვანიშნებდა იმ კატასტროფაზე, რომელიც 1921 წლის თებერვალ-მარტში დაატყდა თავს საქართველოს.

დაბოლოს. თადარიგის პოლკოვნიკის, პროფესორ არჩილ ჩაჩხიანის მონოგრაფია „სომხეთ-საქართველოს ომი" შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, გამოირჩევა დამოწმებული ფაქტობრივი მასალების სიუხვითა და სანდოობით. ფრიად საინტერესო და ინფორმაციულია თითოეული გვერდის სქოლიოში გამოტანილი მონაცემები, თითოეული თავის ბოლოს წარმოდგენილი ფოტომასალა და ილუსტრაციები, ცხრილები და მონაცემები, საბრძოლო რუკები და სქემები, რაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიდევ უფრო ამდიდრებს ნაშრომის ისედაც მდიდარ წყაროთმცოდნეობის ბაზას და ზრდის მის შემეცნებით დონეს.

**ვახტანგ გურული**
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

## Feedback on Archil Chachkhiani's monograph "Armenia-Georgia War"

### Summary

In front of you is another thick monograph "Armenian-Georgian War" by colonel, doctor of history, Professor Archil Chachkhiani, which is presented in two parts. This monograph is a scientific work of a military-historical nature, in which, based on the richest base of source

knowledge, the nationalist-expansionist ideology of the Armenian Dashnaks and its genesis are presented for the first time in Georgian historiography. In the work, the start and progress of the war by Armenia against the Democratic Republic of Georgia, the military-strategic, operational and tactical analysis of this war, its military-political significance and consequences are fully covered.

The monograph provides an overview of the historical-political processes that preceded the Armenia-Georgia war. The author aims to present the existing military-political relations between Armenia and Georgia, to explain what led to the conflict between the First Republic of Armenia and Georgia, and what was the real essence of the so-called "Armenian issue". The monograph clearly shows the process of preparations for the ongoing war against Georgia in Armenia long before its start. Moreover, even at the stage of full-scale hostilities by Armenia, the georgian government did not recognize the fact of military aggression started by Armenia, and until December 16, 1918, it considered it only as the actions of Dashnak gangs. That is why this war was completely unexpected for Georgia.

The book presents in detail the military operations in the Akhalkalaki uezd and Vorontsovka, the battles of Uzunlar-Sanain and Alaverdi-Akhtala, the battle of Ekaterinenfeld, the battles of Daget-Khachin and Bolnis-Khachin, the tactical aspects of the defensive battles in Sadakhlo, the stabilization of the Shulaveri front and the Shulaveri operation, which is ended with a complete victory of the Georgians on December 29, 1918. The author has evaluated the operation of capturing Shulaveri, which was executed under the general command of General Giorgi Mazniashvili together with General Kvinitadze and General Sumbatashvili, as a work of military art. According to him, this operation was an outstanding battle in terms of military tactics, operational art and military strategy. The crowning battle of the Armenian-Georgian war was Sadakhlo storm. This strategic point, contrary to the evidence of Armenian authors, for the moment of the ceasefire, i.e. as of 24:00 of December 31, 1918, it was in the hands of the georgians, which Mr. Archil considers a documented and historically

proven fact. In the work, it is especially mentioned that the current Armenia-Georgia state border exactly repeats the opposing sides' disposition in the war, and the real outline of the front line as of 24:00 of December 31, 1918.

The role of the British factor in the cessation of hostilities and the holding of the peace conference is discussed separately. During the conference, it became acute the issue of administrative arrangements and railways in the so-called „Lore neutral zone".

Armenia's territorial claims to Georgia continued even after the sovietization of Transcaucasian republics. Finally, with the agreement of November 6, 1921, Soviet Armenia at least reached transfer of the so-called "Lore neutral zone" to Armenia. The ownership of the territories of Akhalkalaki uezd and Khrami district was left unchanged for Georgia.

The opinions with which Mr. Archil evaluates the attitude of the government of the Democratic Republic of Georgia and the Georgian social-democrats in general towards this war are very important and significant. He comments on Georgian prime minister Noe Jordania's opinion regarding the cease-fire issue and notes that the national infantilism and completely unjustified internationalism of the Georgian social-democrats, the Menshevik leaders' inadequate perception of the existing and ongoing military-political realities in the region are clearly visible in his statements.

Finally. The professor Archil Chachkhiani's monograph "Armenia-Georgia War" is distinguished by the abundance and reliability of verified factual materials. The data displayed in the footnotes of each page, photographs and illustrations at the end of each chapter, tables and data, battle maps and diagrams are very interesting and informative, further enriches the already rich source knowledge base of the work and increases its cognitive level.

**Vakhtang Guruli**
Doctor of historical sciences, professor

## ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲜᲘᲙᲝ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ – ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ

2022 წლის 24 ნოემბერს ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე უცხოელ წევრად – აკადემიკოსად აირჩიეს 50 წლის ქართველი მეცნიერი ნიკოლოზ (ნიკო) ჯავახიშვილი. იგი მეორეა საქართველოდან, რომელსაც აღნიშნული საპატიო სამეცნიერო წოდება მიენიჭა. ეს წოდება 2008 წლის 20 ნოემბერს მიანიჭეს აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს (1929-2021), რომელიც იმჟამად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი გახლდათ.

* * *

ნიკოლოზ ჯავახიშვილი დაიბადა 1972 წლის 12 სექტემბერს, თელავში, ცნობილი ლიტერატურათმცოდნისა და მწერლის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ გიორგი ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილისა (1941-2015) და საშუალო სკოლის პედაგოგ მარიამ გიორგის ასულ გოგბაიძის (დაბ. 1947 წ.) ოჯახში. იქვე მიიღო საშუალო განათლება.

უკვე მესამედი საუკუნეა, რაც ნ. ჯავახიშვილის ცხოვრება და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა დაკავშირებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ისტორიის ფაკულტეტის წარჩინებით დასრულების შემდეგ მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები სპეციალობით: «საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია». აქედან პირველი დაიცვა თემაზე: „ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა)“ (1997 წლის 2 ივნისს), ხოლო მეორე თემაზე: „ქართული ბონისტიკა (ქაღალდის საფასთმცოდნეობა)“ (2003 წლის 7 აპრილს). არის ყველაზე ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორი საქართველოს ისტორიის დარგში.

1994 წლიდან დღემდე მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც სხვადასხვა დროს იყო: ლაბორანტი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 1997 წლიდან

კითხულობს ლექციებს, ჯერ დოცენტის, ხოლო 2003 წლიდან – პროფესორის რანგში.

ამჟამად არის: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი, წარმომადგენლობითი საბჭოს – სენატის წევრი, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრი.

ამის პარალელურად, 2006 წლიდან მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად. არის ამავე განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებულის «ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები» რედაქტორის მოადგილე და იმავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ავტორია 261 სამეცნიერო ნაშრომისა (მათ შორის 21 წიგნისა), რომლებიც გამოქვეყნებულია საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში, როგორც ქართულ, ასევე უცხო (ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, ლატვიურ, რუსულ, სომხურ, თურქულ და არაბულ) ენებზე. მის ნაშრომებში შესწავლილია საქართველოს და კავკასიის ისტორიის აქტუალური საკითხები, ასევე პრობლემატიკა დამხმარე საისტორიო დარგებისა, რომელთა შორისაც გახლავთ: ქართული ბონისტიკა, ფალერისტიკა, ნუმიზმატიკა, ჰერალდიკა, ვექსილოლოგია, გენეალოგია, დიპლომატიკა და ტოპონიმიკა.

იყო არაერთი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ძირითადი შემსრულებელი.

მისი რედაქტორობით ანდა რეცენზენტობით გამოცემულია 60-მდე სამეცნიერო წიგნი. მისი ხელმძღვანელობით და ოპონენტობით ან რეცენზენტობით დაცულია 50-მდე სამაგისტრო ნაშრომი და სადოქტორო დისერტაცია ისტორიის დარგში.

სხვადასხვა დროს იყო წევრი: 1) საქართველოს სახელმწიფო გერბის ესკიზის შემრჩევი ხუთკაციანი ჟიურისა, რომლის მიერ მონონებული პროექტის საფუძველზეც 2004 წლის 1 ოქტომბერს პარლამენტმა დაამტკიცა ორგანული კანონი «საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ»; 2) «საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს» ჰერალდიკის საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიისა (2008-2021); 3) საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული ფულის ნიშნებისა და საიუბილეო მონეტების ესკიზების შემრჩევი კომისიისა (2005-2009); 4) საქართვე-

ლოს უმაღლესი და საშუალო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსი (2018-2019) და სხვ.

არის პირველი ლაურეატი საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა და შემოქმედთა პრემიისა «წინანდალი – 2000» – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში (მიენიჭა 2001 წლის 8 თებერვალს). იყო ახალგაზრდა მეცნიერთა საპრეზიდენტო სტიპენდიის მფლობელი (1997-2000).

საქართველოს პარლამენტთან არსებულმა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭომ დააჯილდოვა მედლით «საქართველოს 1918-2018 წლების სახელმწიფო სიმბოლოები» (№ 6) – საქართველოს სახელმწიფო ჰერალდიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის (გადაეცა 2018 წლის 26 მაისს).

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მჭიდროდ თანამშრომლობს ბალტიის ქვეყნების სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან. საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში სისტემატურად იბეჭდება მისი სამეცნიერო ნაშრომები, რომლებშიც შესწავლილია ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიის საკითხები. ამ თემაზე დაწერილი მისი მონოგრაფია გამოქვეყნებულია ქართულ, ლატვიურ და რუსულ ენებზე, როგორც თბილისში, ასევე რიგაში. აღნიშნულ თემაზე რეგულარულად კითხულობს სალექციო კურსებს რიგის, ვილნიუსისა და კაუნასის უნივერსიტეტებში.

არაერთხელ დაჯილდოვდა საქართველოსა და ბალტიის ქვეყნებს შორის სამეცნიერო-კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

2014 წლის 10 ივნისს, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატმა მიანიჭა საპატიო დოქტორის წოდება (Doctor Honoris Causa) – ისტორიის დარგში. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს საპატიო სიგელები გადასცეს: ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ლატვიის უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტმა, აკადემიურმა ბიბლიოთეკამ, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტმა და ლიტვის ისტორიის ინსტიტუტმა.

2022 წლის 24 ნოემბერს, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე აირჩიეს უცხოელ წევრად – აკადემიკოსად.

აკადემიკოსი ნ. ჯავახიშვილი დღეისათვის ერთადერთი მეცნიერია კავკასიის ქვეყნებიდან, რომელიც არჩეულია ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად.

ვულოცავთ ჩვენს თანამშრომელს ამ დიდ საერთაშორისო აღი-

არებას და ვუსურვებთ მას შემდგომ წინსვლას სამეცნიერო-პედა-გოგიურ სარბიელზე.

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება;*

*სამეცნიერო შრომათა კრებულის «ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები» სარედაქციო კოლეგია*



Latvian Academy of Sciences

ACADEMIA SCIENTIARUM LATVIENSIS

Nr. F. 165

Riga 2022

Latvian Academy of Sciences

On November 24, 2022

Nikolai (Niko) Javakhishvili

has been elected

Foreign member
of the Latvian Academy of Sciences

President

Secretary General

დამკაბადონებელი
**ნანა დუმბაძე**

დიზაინერი
**ირაკლი უშვერიძე**

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com